მაზიანე

№4

მატიანე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

**Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района**

Chronicle

**The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre**

№4

**ვანი
Вани
Vani
2015 წ.**

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ დამდეგ ახალ, 2016 წელს ულოცავს:

– რაიონის ყველა ოჯახს და მაცხოვრებელს.

– კვლევის ცენტრის კონსულტანტებს, სახელოვან მეცნიერებს, პროფესორებს, ბატონებს: თეიმურაზ სურგულაძეს, ამირან ნიკოლეიშვილს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, ომარ ძაგნიძეს, გურამ ყიფიანს, გურამ ლორთქიფანიძეს, უჩა დვალიშვილს, სერგო ვარდოსანიძეს, ნანა ვალიშვილს, ქრისტინე მეძველიას.

– ყველა იმ მეცნიერსა და მოღვაწეს, რომლებიც სიტყვითა და საქმით გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრს“.

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელობას, მათ ცალკეულ სამსახურებსა და თანამშრომლებს.

– ვანი-ბაღდათის ეპარქიის მღვდელთმთავარს, ვანის ოლქის სამღვდელო და სამონაზვნო დასს, რომლებიც გულწრფელად იღწვიან ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისათვის და აღავლენენ ლოცვებს ერისა და რაიონის უკეთესი მომავლისათვის.

– კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი სტატიების, ნარკვევების, წერილების ავტორებს, მათ მკითხველებს.

– კრებულ „მატიანის“ გამოცემათა მხარდამჭერებს – ქველმოქმედებს, ბატონებს ბეჟან წაქაძესა და ზაურ თათვიძეს.

– ვანის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ვანელს, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ საკმაოდ რთულ პროცესებში დაუდგნენ ვანს გვერდით.

– ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ყველა საჯარო სკოლას და მათ ხელმძღვანელებს, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, რომლებიც გვერდით უდგანან კვლევის ცენტრის საქმიანობას.

– შპს „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და ყველა თანამშრომელს.

ბედნიერება იყოს თითოეული მათგანის, მათი ოჯახების გზამკვლევი!

ბედნიერება და გამთლიანება ვუსურვოთ სრულიად საქართველოს!

სარჩევი

ამირან ნიკოლეიშვილი 5

ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან

მანანა ვაშაყმაძე 15

ბრინჯაოს პლასტიკა ვანში

გურამ ყიფიანი 22

ლაბავჯაურის წმინდა გიორგი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი 26

თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია

ომარ კაპანაძე 41

საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით

ქრისტინე მეძველია 65

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში

უჩა დვალიშვილი 70

„ექსპედიცია თურქეთში“

შალვა შარაშენიძე 72

ვანელი ებრაელები

რამაზ კილაძე, მზია კვირკველია, ეთერ გენიძე 80

კლიმატის გლობალური ცვლილებების ნიშნები იმერეთის რეგიონში

აკაკი თევზაძე 83

ვანის ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზია

ქეთევან ძაგნიძე 95

ფიქრები კვლევის შემდეგ

ომარ ძაგნიძე 103

ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის...

თამილა მჟავანაძე 106

სადღესასწაულო და ხალხური რიტუალები ვანის რაიონის ზოგიერთი სოფლის მიხედვით

იური კორძაძე 110

მუსიკალური შეხვედრები ლენინგრადში

ომარ კაპანაძე 115

ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში

ომარ გაგუნია 120

დიდი არქეოლოგიური ოთარ ლორთქიფანიძე

სოსო ჩაჩუა 125

წრფელი გულიცა და დიდი სიყვარულით – ვანის საპატიო მოქალაქე ნოდარ ანდრიაძე

* * * 128

საქმითა და წლებით დატვირთული კაცი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი – დუშიკო მებურიშვილი

რამინ ქოგალია 130

ცოტა რამ, ვანელ, ცნობილ ქირურგზე, ვიშნევსკის პრემიის ლაურეატ – შოთა თოდუაზე

მერაბ კვაჩიძე 133

სოფელი ამაღლება

თამაზ ჩიტორელიძე 143

სოფელი ზედა ვანი

ამირან ნიკოლეიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან

ქართველები, რომ მსოფლიოს უძველესი ხალხია, ამის თაობაზე უამრავი ვინმე წერდა და წერს დღესაც. ჰეროდოტის გამონათქვამი კოლხები მთელ მსოფლიოში არიან განფენილებიო, სულაც არ არის მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა და ის სრულ სიმართლეს შეეფერება, რადგან ისეთი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, როგორიც ჰუმბოლდტი იყო, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წერდა, რომ პირენეის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების, კუნძულების, მცირე აზიის, იტალიის, ბალკანეთის, საბერძნეთის, კავკასიის, პალესტინისა და ინდოეთის ავტოქთონები მეორე ათასწლეულის შუა ხანებამდე პროტოიბერები (კოლხები) იყვნენ, რომლებიც კავკასიურ (პალეოკავკასიურ) იბერიულ რასას ქმნიდნენ. ამ რასის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 1776 წელს წერდა გერმანელი მეცნიერი ბლუმენ ბახი. მისი აზრით შორეულ წარსულში ისტორიის სათავეებთან იდგა ბერძნული რასა. ამ მოსაზრებას XIX საუკუნეში სრულად იზიარებდა დიდი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტიც, ხოლო XX საუკუნეში შოტლანდიელი მეცნიერი დ. მაკლეოდიც (ბევრი სხვაც).

მათი ენა იყო ერთი, რომელსაც ჰქონდა დიალექტები: ბასკური, ეტრუსკული, კოლხური, ლაზური, ლუზიტანური, პელაზგური, სვანური, ტრუდედანტული და ქართული.

ჩვენი წარმომავლობის სიძველეზე ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია ჯერ კიდევ 1948 წელს გამოცემულ თავიანთ „საქართველოს ისტორიაში" წერდნენ, რომ ჯერ კიდევ წარღვნამდე არსებობდა თუბალ-კაინის ქვეყანა, რომელსაც სპილენძისა და რკინისაგან ყველა იარაღის მჭედელს უწოდებდნენ, მათი აზრით ქართველები სწორედ ამათგან წარმოიშვნენ.

მსოფლიოს მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით კი, ჩვენი შორეული წინაპრები იბერები (კოლხუები) ატლანტისზე ცხოვრობდნენ და მისი ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილები მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ. ამის თაობაზე პეტერბურგში გამოსული „დღესასწაულთა წიგნიც" წერს, რომ ატლანტიდელები 10 000 წლის წინ ჩავიდნენ ახლო აღმოსავლეთში.

ქართველთა წარმომავლობაზე ორი მოსაზრების არსებობა სულაც არ უშლის ხელს ერთმანეთს და პირიქით ადასტურებენ, რომ ჩვენ დედამიწაზე მართლაც და ყველაზე ძველი წარმომავლობის ხალხი ვართ. აშშ ერთ-ერთმა სატელევიზიო არხმა თავის ვრცელ გადაცემაში, რომელიც პროტოიბერებს მიუძღვნა, აღნიშნა, რომ 15000 წლის წინათ მთელი ევრაზია პროტოქართულად ლაპარაკობდა. ბ. საიქსი (აშშ) კი გენეტიკური ანალიზით ასკვნის, რომ ევროპელთა უმრავლესობა წარმოშობით ქართველია (გენეტიკური კოდი 10 000 წელიწადში ერთხელ იცვლება), რადგან ქართული გენი აღმოაჩნდათ ესპანელთა 80%, ბრიტანელთა და ფრანგთა 70%, შვეიცარიელთა 50% და გერმანელთა 45%. ერთი სიტყვით, კოლხუები (იბერები) წარღვნამდელი ქართული ტომია და თავდაპირველად ის ატლანტისზე ცხოვრობდა. ისინი ძალიან მაღალი განვითარებისანი იყვნენ და მათ ცოდნა ზეციდან დაშვებული ანუნაკისაგან მიიღეს (ანუნაკი ცივილიზაციაა და კაცობრიობის ისტორიაც მისით იწყება). ასე რომ, სწორედ ატლანტისიდანაა (ე.ი. კოლხუებისაგან-იბერებისაგან) აღებული ასტრონომიული ცოდნა, დროის ანგარიში, კალენდარი, პირამიდების აგების წესი, მზის კულტი და ა. შ. აქაურია ნოეც, რომელმაც ბალახეულთა საიდუმლო წიგნი შერმის გადასცა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იქ დამწერლობა ჰქონიათ, რადგან ისე ხომ წიგნს ვერ შექმნიდნენ. ყველაფერი ეს შემდეგ იბერებისაგან (კოლხუებისაგან) დანარჩენ მსოფლიოშიც გავრცელდა. როგორც გერმანელი მეცნიერი ფ. შლოცერი წერს, სწორედ კავკასიის ხალხმა გამოიგონა ყველაფერი მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ყველაფერი გონიერი. ისაა კაცობრიობის ბირთვი, ცენტრი და მის ირგვლივ ბრუნავს სამყაროს ისტორია.

ასევე ფიქრობს ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისიც, რომელიც თავის წიგნებში „ქართველე-

ბი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი" და „პირველი ცივილიზაციებ-ის ქართული სათავეები" წერს, რომ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან ქართველები იდგნენ.

როგორც „მსოფლიო ენციკლოპედია" წერს, იბერიელებს ეს სახელი ატლანტელი იბერის პატივსაცემად ეწოდათ, რომელიც ტიტან ატლანტის ძმა ყოფილა. წერენ კიდეც, რომ ქვის ხანის გარდა ყველა ხანა ბანანური ენის (სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობდნენ იბერები (კოლხ-უები) ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე არის შექმნილიო.

ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა პროტოქართველმა კოლხებმა (იბერებმა) პირველი ქართული სახელმწიფო, რომელშიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაც შედიოდა, IV ათასწლეულის მეორე ნახევარში დაახლოებით 3300 (ე.ი. 5300) წლის წინათ შექმნეს და მას ენგური-ინგური (რაც წყალს ნიშნავს) ჰქვიოდა. სამეფო რეზიდენცია თავიდან დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში მდებარეობდა. ცნობილია ამ სამეფოს ერთ-ერთი ძლევა-მოსილი მეფე ანმარეც (3185-3120 წწ), რომელმაც შუამდინარეთში ახალი დედაქალაქი კოლხა დააარსა, ქვეყანასაც კოლხა (კოლხეთი) უწოდა და ბაბილონის გოდოლის აგებას შეუდგა.

ქართულად იშიფრება სახელი ანმარეც, სადაც „ან" ზეცაა (კოლხურად) და „მარე" კაცია (სვანურად) ე.ი. ანმარე ზეცის, ანუ ღვთის კაცს ნიშნავდა. აქედან კიდევ ერთი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება: ანმარეს მოღვაწეობისას ერთიან პროტოქართულ ენას ჯერ კიდევ არ არიან გამოყოფილები სვანური და ზანური ენები, რადგან გონიერი კაცი თავის სახელს ერთ-ბაშად ორი სხვადასხვა (სვანური და ზანური) ენისაგან ხომ არ აწარმოებდა.

ანმარეს შემდეგ ქვეყანაში მარედიხა მეფობდა, რომლის სახელშიც ისევ გვხვდება „მარე" (კაცი) და ჩნდება კოლხური „დიხა" (მიწა). ე. ი. მარედიხა უკვე მიწის კაცს ნიშნავდა და არც მის დროს იყო გამიჯნული ზანური, სვანური და ქართული ენები.

XXII საუკუნიდან კი კოლხებმა (იბერებმა) მასიური გადასახლება დაიწყეს შავი ზღვის აღ-მოსავლეთ სანაპიროზე, სადაც XX საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოც შექმნეს, იქვე გადაიტანეს ღვთაება ეას (აიას-ენქის) კულტი და ენგურის ტაძარიც, ხოლო ქვეყანასა და მთავარ ქალაქს აია (ეა-ნოქალაქევი) დაარქვეს. ერთი სიტყვით ქვეყანას ერქვა ენგური-ინგური, რაც წყალს ნიშნავს, მაგრამ ქართველებზე განაწყენებულმა გერმანელმა ებრაელმა არქეოლოგმა ოპერიტმა (მის განაწყენებაზე ცოტა ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ) ქვეყანას ენგურის ნაცვლად შუმერი, ენგურელს შუმერელი და კოლხთა (იბერთა) მიერ შექმნილ ლურსმნულს შუმერული უწოდა. სამწუხაროდ, ეს სიცრუე მთელს მსოფლიოში გავრცელდა და ინერციით დღესაც ძალაში არის.

უფრო გვიან ცნობილი ქართველი მოაზროვნე ლეონტი მროველიც წერდა, რომ დასავლეთ საქართველოს თავიდან ენგური ერქვა და მისი დედაქალაქი – კოლხა იყო, რაც მოგვიანებით მთელ ქვეყანასაც ეწოდა.

კოლხური (იბერიული) კვალი ქვემო (სამხრეთ) მესოპოტამიის ჩრდილოეთში, შუა ტიგრო-სზე, დიაულში და ზაგროსის მთიანეთში ურის III დინასტიის დაცემამდე – XXI საუკუნემდე აშკარად და ძვ.წ. I ათასწლეულის დაწყებამდე უფრო მკრთალად ჩანს. შემდეგ კი ისინი შუამ-დინარეთიდან ისევ შავი ზღვის სანაპიროზე გადასახლდნენ.

როგორც უკვე ვწერდით, თავიდან კოლხებს იბერები, ხოლო ქვეყანას იბერია ერქვა და ცხ-ოვრობდნენ კავკასიაში, მცირე აზიასა და მის ირგვლივ მდებარე მიწებზე, რასაც გერმანელი არქეოლოგის შმიდტის მიერ თურქეთში ნაპოვნი 11 000 წლის წინანდელი ტაძრებიც ადას-ტურებენ დამწერლობის მაგვარი სიმბოლოებით.

მცირე აზია და დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო ქალდეველებითა და ხეთებით და ქვეყანასაც ამიტომ ქალხეთი ერქვა, რაც ბერძნების მოსვლის შემდეგ კალხეთად – კოლხ-ეთად იქცა. ქალდებიც ბანანურ ენაზე ლაპარაკობდნენ და კონკრეტულად ვანისა და (კოლა) და ურმიის ტბების ირგვლივ (სხვაგანაც) ცხოვრობდნენ.

რაც შეეხებათ ხეთებს, ისინი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე – ბოლაზქოიში და დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ.

ავსტრიელი მეცნიერები კრეჩმერი და შახენმაიერი და შვეიცარიელი შვიცერი თვლიან, რომ IV-III ათასწლეულებში მცირე აზიაში, ბალკანეთში და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ცხოვ-რობდნენ არაინდოევროპელები, რომელთა ეროვნული ჯგუფი ახლოს იყო სამხრეთ-კავკასიურ

ეტრუსკულ ენებთან, ხოლო ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველესი მოსახლეობა, კავკასიის ჩათვლით ერთ ან მონათესავე ენებზე ლაპარაკობდა. ის, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზსა და აპენინის ნახევარკუნძულზე კავკასიელების (ქართველების) წინაპრები ცხოვრობდნენ, დაადასტურა გამოჩენილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერის ფურნიეს კვლევებმაც, რომელმაც ამ რეგიონში 5 000 პროტოქართული სიტყვის გავრცელება აღმოაჩინა.

ასე რომ, შეიძლება თამამად ვთქვათ – ქართველთა წინაპრებმა შექმნეს პირენეის, აპენინის, ბალკანეთის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აუზების პროტოიბერიული კულტურა და არიან მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან. მათი სახელმწიფოებრიობა კი სულ მცირე 50 საუკუნეზე მეტს მაინც ითვლის (როგორც ზემოთ ვწერდით პირველი ქართული სამეფო IV ათასწლეულის მეორე ნახევარში შეიქმნა და ის II ათასწლეულის დასაწყისში ერთიანმა ქართულმა სამეფომ შეცვალა, რომელმაც ამ სახით ძვ. წ. VI-IV საუკუნეებამდე იარსება).

კავკასია თავიდან ერთი ქვეყანა იყო, ერთი ხალხითა და ერთი ენით და ესენი ქართველები იყვნენ.

ქართველ მეცნიერთა ნაწილი სამწუხაროდ, თვლის, რომ კოლხეთისა და იბერიის სამეფოები არ არიან ერთი სამეფოს მემკვიდრეები, რადგან ისინი სხვადასხვა ეთნოსს წარმოადგენდნენ. ამ მოსაზრებას საბედნიეროდ, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს და მაგალითად მკვლევარი ა. შონია (ბევრი სხვაც) მიიჩნევს, რომ ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი ხალხი და თავიდანვე ენაც ერთი ჰქონდათ. ასეთნაირად ფიქრობდნენ ჰეროდოტეც (აღმოსავლეთ საქართველო და კავკასია მთლიანად კოლხეთი (იბერია) იყო)), ი. ჯავახიშვილი (გურულები და იმერლები გაქართველებული მეგრელებიაო, ხოლო მესხები კოლხებია და სწორედ, მათ დაარსეს მცხეთა (ხეთა), გ. მელიქიშვილი (აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი მეგრელები იყვნენო), ი. ყიფშიძე (მეგრულ ენას ერქვა იბერიული ენა, სამეგრელოს იბერია და მეგრელებს იბერები და მისი კვალი საინგილოშიც კი ჩანსო).

თავიდან ბერძნები მხოლოდ დასავლელ ქართველებს ეძახდნენ კოლხებს, ხოლო კოლხეთის წინარე ეპოქამდე უკვე მთელ საქართველოს ერქვა იბერია (კოლხეთი) – დასავლეთს ზემო და აღმოსავლეთს ქვემო იბერია-კოლხეთი (აღმოსავლეთ საქართველოში თავის დროზე კოლხები ქოროხის ხეობიდან გადავიდნენ).

როგორც ჰეროდოტე წერდა, ქართველთა წინაპრები მეწამულიდან კასპიის ზღვამდე სივრცეს ფლობდნენ და მას კოლხეთი ჰქვიოდა. ისინი ცხოვრობდნენ კავკასიაში, მცირე აზიაში, ლაზიკაში, პონტოში და ერაყიდან სპარსეთის ყურემდე (ყურეს კოლხების (იბერთა) ყურე ჰქვიოდა.

კოლხური (იბერიული) ცივილიზაცია მთელს მსოფლიოში გავრცელდა ფართოდ – მათ შორის კავკასიაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, ინდოეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში – დონიდან აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე დაღესტნისა და ყალმუხეთის ჩათვლით (ასევე ქართველთა მონათესავეები არიან ჩერქეზები, ქისტები, და სხვა ჩრდილო კავკასიელებიც, რომელთა კრებითი სახელი სარმატები იყო), სამხრეთ რუსეთში მდინარე ვოლგამდე, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმში, აზოვის ზღვის ირგვლივ, რომელსაც ლაზოვსკოე მორე – ლაზების ზღვა ერქვა და ა. შ.

უფრო მეტიც, ცნობილი რუსი მეცნიერის, ი. მელიშევსკის აზრით, მთელი სამხრეთ რუსეთი ყაზან-რიაზანამდე ლაზებით იყო დასახლებული და ან-ზე დაბოლოებული ქალაქებიც ყველა კოლხური (იბერიული) წარმოშობის ყოფილა.

ერთი სიტყვით, როგორც ცნობილი ქართველი ანთროპოლოგი მ. აბდუშელიშვილი წერს, ბრინჯაოს ხანაში ჩვენი მოსახლეობა უკვე ქართული ანთროპოლოგიური ტიპის ყოფილა და ცხოვრობდნენ კავკასიაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ინდოეთში.

კოლხებმა (იბერიელებმა) პირველებმა შექმნეს ცივილიზაცია, რელიგია და სათავე დაუდვეს მედიტერიანულ კულტურას. როგორც გერმანელი მეცნიერი ი. რიხტერი წერს, პირველი ასტრონომები, გემთმშენებლები, კარტოგრაფები და მეზღვაურებიც კოლხები (იბერები) ყოფილან და მათ ასევე პირველებმა მოჭრეს მონეტა ძვ.წ.VII საუკუნეში, შექმნეს წყლის საათი, 4000 წლის წინათ ააგეს პირველი პირამიდა და ა. შ. ასევე კოლხურია (იბერიული) პურის ყველაზე ძველი ჯიშები ემერი, ზანდური და მახაც.

მაგრამ ქართულმა (კოლხურ-იბერულმა) სამეფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მაინც აიეტის დროს მიაღწია, რომელმაც ააგო ქ. აია (ნოქალაქევი), რომლის კედელი 2 მ სისქისაა და 8 მ სიმაღლისა იყო. თვითონ აიეტი ჰელიოსისა და პერსეიდას შვილი იყო. მისი ძმები იყვნენ პერსი – ყირიმში ტავრიის მეფე, აქციუსი – ეგვიპტის ქ. ჰელიოპოლის დამაარსებელი, ალოე – პურის ფქვილის ღმერთი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული სიტყვები – ალაო და ალიობა, დები – ქალღმერთი ქალიფსო, ფასია (ფაცია) – კრეტის მეფე მინოსის ცოლი და არიადნას დედა და ცირცეა (ცირა) – აიას დედოფალი, გერმანელთა მამა ტუისტონის ცოლი, ევროპელთა და აფრიკელთა მითიური დედა, იტალიის პირველი მეფის ავსონის და იტალიის დედა. შვილები: ამსირტი (აფსირტე), რომელიც არგონავტებთან ბრძოლაში დაიღუპა, მედეა – მედეთის, მიდიის დამაარსებელი და ნავთობისათვის ძველი სახელის (მედეაზოილი) მიმცემი. შვილიშვილები (ცირას შვილები): ლათინი – ლათინების ტომის ფუძემდებელი (რომლის შთამომავლები არიან ბრიტანელები, ესპანელები, იტალიელები და ფრანგები) და ლავრენტიის მეფე, იტალი – სიცილიის მეფე, რომელიც შემდეგ მდინარე ტიბრის ნაპირზე გადავიდა და იტალია დააარსა, ანთეოსილიბიის მეფე და იტალიური ტომების ვოლსკისა და მარსების შემქმნელი, ნუმიდიის სამეფო დინასტიის საფუძველჩამყრელი.

მოკლედ უნდა შევეხოთ კოლხ-იბერთა სამეტყველო ენის საკითხსაც, რომელიც ყველაზე ძველია ენათა შორის. აკი მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კოლხური ენა კაცობრიობის პირველი ენა იყო და მხოლოდ ქართულ ენაში არის სიტყვა ადამიანი, რაც ადამისაგან მოდის.

საერთოდ კი, პირველი დანაწევრებული მეტყველება ჰომოერექტუსმა აითვისა, ხოლო ნეანდერტალელს უკვე დანაწევრებულთან ერთად პრიმიტიული მეტყველება ჰქონდა და სხვადასხვა ენაზეც დაიწყო ლაპარაკი. გვიან, 8 000 წლის წინ, კი ენობრივი ჯგუფებიც გაჩნდნენ.

მეექვსე ათასწლეულში საერთო ქართველური ენობრივი სისტემის ჩამოყალიბებაც დაიწყო და 7600 წლის წინათ უკვე გაჩნდა პროტოქართული ენა, რომელსაც თავიდან ბანანური, შემდეგ კი კოლხური ენა ჰქვიოდა. ამავე პერიოდიდან იწყებს ჩამოყალიბებას ქართული ეთნოსიც.

ერთიანი სახით ბანანურმა (პროტოქართულმა-კოლხურმა) ენამ დაახლოებით 3 000 წელი იარსება და 4 700 წლის წინ დაშლა დაიწყო. პირველი ამას ბასკური ენა გამოეყო, მეორე სვანური 3 800 წლის წინ, მესამე ზანური 2 800 წლის წინ და მეოთხე ქართული 2 500 წლის წინ.

მას კილოებიც ჰქონდა და ის ძალზე ვრცელ ტერიტორიაზე ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, კავკასიასა, ევროპასა და მეწამულიდან კასპიის ზღვამდე იყო გავრცელებული. ამ ენაზე საუბრობდნენ ბასკები, ზანები, მაკრონები, მესხები, სვანები, ქალდები და ქართები. XV საუკუნემდე კოლხურად საუბრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც, მათ შორის კრეტაზეც, სადაც სწორედ ამიტომ, უამრავი პროტოქართულწარწერიანი ნივთები არის ნაპოვნი. სამწუხაროდ, მიუხედავად ამისა, რ. ბარამიძე მაინც ჯიუტად წერდა, რომ მისთვის ძველი კოლხური ენა უცნობი იყო.

კოლხური ენა არა მხოლოდ სამეტყველო, სამწერლობო ენაც იყო, რასაც ფესტოსის დისკო და ოქროს საწმისიც ადასტურებენ, რადგან დისკოს ენა კოლსურ- პელაზგურია და არა მეგრული, როგორც ამას კუთხურობაში ჩარჩენილი ზოგიერთი ავტორი დაჟინებით ირწმუნება.

პროტოქართული-კოლხური ენა ასე ფართოდ რომ იყო გავრცელებული, სწორედ ამან განაპირობა სხვადასხვა ენებში ქართული სიტყვების მრავლად შესვლა. ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთს:

ბერძნულში=ღვინო (ვაინ, ვინო), პური (პურეი), ფოლადი (ხალიბას-ხალიბებიდან), შვილი (გენი), სიხარული (ხარებო).

გელურში= ცხენი (აჩუ).

გერმანულში = თითბერი (მესინგ-მოსინიკისაგან).

ეგვიპტურში = შენება (კედ-კედელისაგან), პური (ბერი), უფალი (უბენი), მეფე (ბატ-ბატონისაგან)

ვალიურში = ამინდი (ამზეხ-მზისაგან), ბევრი (ბაურ), კარდიფი (კარდუ-კარდუხისაგან), მადლობა (დიოლხ-დიახისაგან), აქვთ ყ, ნ, ჭ და რბილად გამოთქვამენ თ, ფ, ქ.

ლიბიურში = მეფე (ბატ-ბატონისაგან).

ინგლისურში = ბოძი (ბოდი), ბავშვი(ბოიშ – ბავშვი – ბოვში, ბოშისაგან).

მეფე არტურის ხმალს კი ესკალიბური (ეს ხალიბური) ერქვა.

ქართული კვალი სხვა ქვეყნებშიც არის შემორჩენილი. მაგალითად, თურქეთში ორ მდინარეს ჰქვია ენგური, ირანში არის მთა ბელქანია, ტუნისში – მთა მაღალია. კაპადოკიაში მდინარე ღალისი – საქართველოში მდინარე ღალიძგა, შუამდინარეთში (სადაც კარდუხები ცხოვრობდნენ) მხარე ხუმუშქია და მდინარე კენტრიტი – საქართველოში მდინარე კინტრიში, შუამდინარეთში (სადაც მუშქები ცხოვრობდნენ) მხარე შუბრია და ა.შ. ასევე მრავალ ქვეყანაში ბევრ ადგილს, ქალაქს, სოფელს, არქიტექტურულ ძეგლს და ა. შ. ჰქვია ქართულ-კოლხური სახელები.

აქვე უნდა შევეხოთ კოლხების (იბერების) მიერ დამწერლობის საკითხსაც. ძველი ბერძენი ავტორებიდან დაწყებული, თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობა მათ, ჯერ კიდევ 40 000 წლის წინ კირბების სახით შექმნეს. კირბი კი გ. კვაშილავამ ასეთნაირად გაშიფრა: კირბი – კირიბი (კრავი) – კირიბუა – ბეჭდვა.

როგორც აპოლონიოს როდოსელი წერდა, კოლხებმა შემოინახეს მამათა ნაწერი კვირბები, რაზეც ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვრები იყო ჩაწერილი. ის ასევე წერდა, რომ კვირბებზე ნაწერები ძველი კოლხეთის სამეფოსი იყო.

იგივე აზრის იყო ჰეროდოტეც, რომელიც თვლიდა, რომ კოლხებს დამწერლობა ადრეც ჰქონდათ.

დ. სიცილიელი კი ძალზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის და წერს, რომ მედეამ წარწერებიანი სპილენძის სამფეხი თან წაიღოო. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მედეას ეპოქის კოლხებს (იბერებს) სულ მცირე 3 300 წლის წინათ მაინც ჰქონიათ დამწერლობა, რადგან მისი არარსებობის შემთხვევაში სამფეხზე როგორ დააწერდნენ რაიმეს. სტრაბონი კი თვლიდა, რომ კვირბები ეს იყო საკრალური სახის წარწერები და ის კრეტელმა კორიბანტებმა (კოლხებმა) შექმნეს.

ასე რომ, ჩვენ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ კოლხებს (იბერებს) ბერძნების მოსვლისას უკვე ჰქონდათ დამწერლობა და ტყუილია, რიცა წერენ, რომ თითქოსდა დამწერლობა ძვ. წ. 1750 წელს შეიქმნა უგარითში.

არადა, კოლხური დამწერლობის არსებობა სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ჩვენს შორეულ წინაპრებს დამწერლობათა შექმნის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდათ და ეს სწორედ მათ შექმნეს სხვადასხვა დროს პირველი სურათებიანი ანუ ხატოვანი დამწერლობა, იეროგლიფური და ლურსმნული დამწერლობები, რამდენიმე სახის ქართული ანბანური დამწერლობა და ლემნოსური და მიკენის მინოსური დამწერლობები.

არც ის არის ინტერესმოკლებული, რომ ჩვენ ჯერ კიდევ „ბიბლიამდე" გვქონდა სულ მცირე 6 წიგნი მაინც: „ანუნაკის ეფუთი," რომელიც 7 000 წლის წინათ შეიქმნა და პირველ „ბიბლიადაა" მიჩნეული („ბიბლიაში"), „მარგალითი," რომელიც ასევე 7 000 წლის წინათაა შექმნილი და „ანუნაკის ეფუთი" სიბრძნის წიგნი იყო, რომელიც სამწუხაროდ დაკარგულია. დედამიწის პირველი წიგნი ეს „ეფუთი" იყო, რომელშიც მოცემული იყო ათი მცნება. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ეფუთი" მეგრულ ენაზე იყო შექმნილი, რაც არ არის სწორი, რადგან მეგრული წინანდელია. ის უფრო ბანანურ (კოლხურ) ენაზე იქნებოდა დაწერილი და 3 500 წლის წინათ შექმნილი „ტაბუ," „ტოფშა," „ოქროს საწმისი" და „იბერიული ტაბულა." „იბერიული ტაბულა" პირველმა შ. ხვედელიძემ 1975 წელს გაშიფრა, რაც აღიარეს აკადემიკოსმა – ა. ჩიქობავამ, პროფესორმა – ი. ზიცარმა, აკადემიკოსმა – ი. ბელოპლედივსკიმ, აკადემიკოსმა – ა. ბარაუოვმა და სხვებმა. სხვათა შორის, ამ მიღწევით ქართული დამწერლობის ისტორია სულ მცირე 3500 წლით მაინც გადაიწია უკან, მაგრამ ქართველი მეცნიერების (უპირატესად ფილოლოგების) დიდი ნაწილი არ აღიარებს ამას და მაინც ჯიუტად თვლის, რომ ქართული დამწერლობა „შუშანიკის წამებით" იწყება.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ძველი ბერძენი ავტორის ჰალიფატეს მოსაზრება, რომ „ოქროს საწმისი" ტყავზე ნაწერი წიგნი იყო, რაც შემდეგში სხვებმაც გადაიღეს. მასზე კი ეწერა ოქროს მოპოვებისა და სელის დამუშავების წესები და სხვა მნიშვნელოვან საქმეთა წარმოების საიდუმლოებანი.

საუკუნეების შემდეგ ანალოგიურად ფიქრობდნენ ჰ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძეც – კოლხებს ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც კორიბანტები ინახავდნენო. მას ბერძნები ხრისოგრა-

ფიას – ოქროს დამწერლობას უწოდებდნენ, საიდანაც გაჩნდა სახელი „ოქროს საწმისიც.“ სწორედ ამ დამწერლობის წესები იყო ვერძის ტყავზე – „ოქროს საწმისზე“ ჩაწერილი და მის წასაღებად მოვიდნენ არგონავტები კოლხეთშიო (იბერიაშიო).

კოლხებს (იბერებს), რომ საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ, ამას ყველაზე უტყუარად „ფესტოსის დისკოს“ გაშიფვრა ადასტურებს, რაზეც შედარებით ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით.

დისკო 1908 წელს იტალიელმა ლ.პერნიემ კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა და მას ორივე მხარეს აქვს ნახატი ნიშნებით შესრულებული წარწერები, რომელშიც დაახლოებით 40 საუკუნის წინ ოქროდამწერლობით არის შესრულებული და ჯერჯერობით ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაბეჭდი ტექსტია.

1894-1909 წელს კრეტაზე ინგლისელმა ა. ევანსმაც აღმოაჩინა A კლასის ფირფიტები (1427ცალი) ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფებით 40 საუკუნის წინათ დაწერილი. დისკო და ფირფიტები კრეტაზე ინახება.

დისკო და A კლასის ხაზოვანი ნაწერები არის მინოსურ-პელაზგური კულტურის უძველესი ნიმუშები – კვირბები.

მათ გაშიფვრასთან ყველაზე ახლოს მივიდა ავსტრიელი მეცნიერი ჰ.ძებიში, რომელმაც განაცხადა, რომ მათი ენა შეიძლება ყოფილიყო კოლხური (პროტოიბერიული, პროტოქართველური). ის ამ მოხსენებით 1988 და 1991 წლებში გამოვიდა ბუდაპეშტის სიმპოზიუმებზე, თანაც მოგვიანებით გამოსცა მონოგრაფიები „იბერიული ღმერთების ენა“ და „პელაზგური იბერიული ენა,“ რომლებშიც წერს, რომ პელაზგური ენა ქართველურ ენათა დედას წარმოადგენდა.

მოგვიანებით დისკოც, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფები და XVII საუკუნის კრეტული ცულის წარწერა გაშიფრა გ. კვაშილავამ და თან მიუთითა, რომ დისკოს ენა, როგორც ჰ. ძებიში ვარაუდობდა, მართლაც პელაზგური (პროტოქართველურ – კოლხური, პროტოიბერიული) აღმოჩნდა. დისკო შექმნილია ძვ.წ. 1856-1600 წლებში. ეს არის თიხის 16 სმ. დიამეტრის მქონე დისკო, რომლის ორივე მხარეზე არის ოქროს ყალიბებით დაბეჭდილი 244 ნახატი ნიშანი და შემდეგ არის გამომწვარი.

ამათმა შემქმნელებმა ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში, ხმელთაშუაზღვის აუზში შექმნეს პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია – არაბერძნული, არაინდოევროპულ ენაზე და ეს ენა პროტოქართული იყო.

დისკო მსოფლიოში პირველი მითოსურ-ფოლკლორული და რელიგიური ხასიათის ლიტერატურული ძეგლია, რომლითაც, როგორც მეცნიერები წერენ, თითქოსდა დაიწყო ქართული დამწერლობის ისტორია. ვფიქრობთ საკითხის ასეთი დაყენება არ არის სწორი და უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ დისკოდან ბეჭდვა დაიწყო, რადგან დამწერლობა პროტოქართველებს კვირბების სახით გაცილებით ადრეც ჰქონდათ.

დისკოს პირველ გვერდზე ჩაწერილია ვედრება კოლხი კორიბანტებისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვაზე, ხოლო მეორე გვერდზე ჩაწერილია სავედრებელი-საგალობელი, რომელიც მიძღვნილია პელაზგ-კოლხთა ნაყოფიერების და მიწის დედაღვთაების ნენასადმი (ნეაკაბილესადმი), თარხონისა და ჰეფესტოსადმი, რათა მათ ააყვავონ, განაახლონ და განწმინდონ ტაძარი, სასახლე და ოჯახი.

A კლასის ფირფიტები კი არის რელიგიური და სამეურნეო-ადმინისტრაციული ხასიათის ტექსტები, რომლებშიც არის კოლხურ-პელაზგურ ღვთაებათა, მცენარეების (ლეღვი, სელი, ღვინო, ქერი, ხორბალი) ცხოველების (თხა, ცხვარი, ღორი, ცხენი, მსხვილფეხა საქონელი) სახელები, მთელი რიცხვები, ანგარიშის ტერმინები, წილადი რიცხვები და ა. შ.

სხვათა შორის A კლასის ფირფიტების დამწერლობის მსგავსი არის დაბლა გომში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოქის წარწერაც.

მ. წერეთლის ვარაუდი, ქართველთა სამწერლო ენა უძველესი დროიდან შეიძლება ყოფილიყო სვანური და კოლხური მთელი 20 საუკუნის მანძილზე, ბრწყინვალედ დაადასტურა დისკოს გაშიფვრამ.

დისკოსა და ფირფიტების გაშიფვრით გ. კვაშილავამ უზარმაზარი საქმე გააკეთა, რადგან გაირკვა, რომ დისკოს შექმნის დროს კოლხებს უკვე ჰქონიათ დამწერლობა, პოეზია, საგალობლები და რელიგია, ჰყოლიათ ღმერთები და ღვთაებები (ნანა, ნენანა, თარხონი, ჰეფესტო) და ა. შ.

გ. კვაშილავას მიღწევები მსოფლიომ აღიარა და 2010 წელს ინგლისში გამოვიდა რ. მორიტის წიგნი „ქვები, რომლებიც მეტყველებენ," რომლის დიდი ნაწილი გ. კვაშილავას ეძღვნება და ის ნ. მარის გვერდით არის დაყენებული. იმავე წელს დუბლინმიც გამოვიდა ენციკლოპედია „ატლანტიპედიაც," რომელშიც გ. კვაშილავაზეც არის წერილი მოთავსებული და მისი ნაშრომი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ მთელს მსოფლიოში არის რეკომენდებული.

შუმერები

საგანგებოდ უნდა შევეხოთ შუამდინარეთში მცხოვრებ ერთ-ერთ უძველეს ხალხს შუმერებს, რომლებიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, იქ, სულ მცირე 9 500 წლიდან მაინც ცხოვრობენ.

როგორც ზემოთ ვწერდით, ჩვენი შორეული წინაპრები თავიდან ატლანტისზე ცხოვრობდნენ და კაცობრიობის ისტორიაც წარღვნამდე სწორედ იქედან იწყება. დედამიწაზე პირველ ცივილიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი და ის იქაურ ადამიანებს ზეციდან დაშვებულმა ანუნაკმა გადასცა. ანუნაკი კი თვითონ ცივილიზაცია იყო და მასზე სხვა არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ის ციდან დაშვებულს ნიშნავს. სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეული არის უძველესი შუმერული ნახატები, რომლებზეც უცხოპლანეტელები არიან გამოსახულნი და სავარაუდოდ, ისინი მართავდნენ შუმერებს, რომლებმაც ყველაფერი ანუნაკისაგან (უცხოპლანეტელებისაგან?) ისწავლეს.

ატლანტისის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი ბანანურ ენაზე (კოლხურად) მოლაპარაკე კოლხ-იბერები (ბ.სოფია, ნ. ფოფხაძე) მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ და მათ ვრცელი მიწები დაიკავეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ტიგროს-ევფრატის სათავეებთან და ვანისა და ურმიის ტბების ირგვლივ. ისინი ძალიან მაღალი განვითარებისანი იყვნენ და მაღალი დონის კოლხურ-იბერიული კულტურაც შექმნეს. აკი წერენ კიდეც, ქვის ხანის გარდა ყველა ხანა ბანანური ენის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე არის შექმნილიო.

სწორედ, ბანანურ (კოლხურ) ენაზე არის შექმნილი კოლხების (ანუ შუმერების) მიერ წარღვნაზე თქმულება „ გილგამეშიანი," რომლის გმირები გილგამეში, არარუ, ენქიდუ, სუმბაბა და უთნაფითში – კოლხები არიან. აქედან მოდიან ამირანი, არამხუტუ, ვერემხუტუ, ჰერაკლე და ჰერკულესიც.

ბანანურ (კოლხურ) ენაზეა შექმნილი 7 აფქალიც, რომლის საფუძველზეც შემდეგში შუმერული ცივილიზაცია შეიქმნა.

კოლხურია (იბერიული) შუმერული მითის კუნძული დილმუნიც (და არა მეგრული), რომელშიც არის აღაპა და 7 აფქალი, რაც დღესაც არის შემორჩენილი მეგრულში. მეგრულში ასევე არის ენქიდუ, ენქია, მარდუკი, სუმბაბა და ა. შ.

არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც წარღვნა შუამდინარეთში მოხდა და მითიურმა ნოემ წარღვნამდე თავისი კიდობანი-ნავი-ნიში (მეგრულად ნავი) სწორედ ქ. ელკურნიაში (დღევანდელ ერაყში) ააგო. ამ ქალაქშივე იყო ედემის ბაღიც, სადაც ადამი და ევა ნებივრობდნენ. ეს კი იმას ადასტურებს, რომ შუამდინარეთში კოლხუას ერა წარღვნამდეც არსებობდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ სწორედ იქ მდებარეობდნენ წარღვნამდელი ქალაქები: ბადთიბირა, ერიდუ (რომლის სახელწოდება კოლხურად იხსნება და სადაც მეფობა შეიქმნა (ციდან დაეშვა). ერიდუში იყო ენქის ტაძარი ენგურიც. აქ საყურადღებოა მეფობის ციდან დაშვებისა და ანუნაკის ზეციდან დაშვებას შორის პარალელის გავლება, რაც შესაძლოა მიანიშნებს იმას, რომ კოლხი-იბერების განვითარების მაღალი დონე კავშირში ზეციურ ძალებთან (უცხოპლანეტელებთან?) იყოს, ზიფარი (რომელსაც რატომღაც წარღვნა არ შეხებია), ლარაქი და შურუფაქი და წარღვნის შემდეგ გაჩენილი ადამი, ნიფური, ური და ქიში, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ყველა ესენი ქართული წარმომავლობის ქალაქები არიან.

კაცობრიობის განვითარების სათავეებთან, რომ სწორედ ჩვენი წინაპრები იდგნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ წარღვნის შემდეგ პირველი დინასტია, ცივილიზაცია და მეფობა ქართული წარმომავლობის ქ. ქიშში აღსდგა.

ისევ მივუბრუნდეთ პირველ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც 9 500 წლის წინათ კოლხი-იბერები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ და VIII ათასწლეულიდან ისინი სავარაუდოდ ზაგროსის მთიანეთში (ირანი) დამკვიდრდნენ, სადაც VI ათასწლეულამდე გაჩერებულან.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ზაგროსის მთიანეთში ამ პერიოდში ძალზე მაღალი განვითარების ხალხი ცხოვრობდა, რომელიც თავისი დონით აშკარად გამოირჩეოდა რეგიონის სხვა მოსახლეობისაგან. მათი მაღალგანვითარებულობა ეტყობა ზეციდან დაშვებული ანუნაკისაგან მოდის, რომელმაც მათ ცივილიზაცია და ცოდნა მისცათ.

VI ათასწლეულში კოლხმა-იბერებმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს და შუა და სამხრეთ შუამდინარეთში დამკვიდრდნენ. სწორედ, ამათი შთამომავლები არიან ნამდვილი შუმერები.

VI ათასწლეულის შუა ხანებიდან სამხრეთ შუამდინარეთში, სადაც კოლხი-იბერები ცხოვრობდნენ, ბახრეინიდან მოსული შავთავიანები შეიჭრნენ. ოპერიტის წყალობით შეცდომით სწორედ მათ შეერქვათ შუმერები.

შავთავიანების მისვლამდე მესოპოტამიაში კოლხები-იბერები რომ ცხოვრობდნენ, ამას იქაური კოლხური (შუმერულ-ბაბილონური) ტოპონიმებიც ადასტურებენ, რომლებიც შავთავიანთა იქ მისვლამდე მცხოვრებ ხალხს (ე.ი. კოლხ-იბერებს, შუმერებს) ეკუთვნოდათ.

ტოპონიმების გარდა სამხრეთ შუამდინარეთში აგებული იყო ტაძარი, რომლის გოდოლის 7 სართული მიწის ზემოთ, ხოლო ერთი სართული მიწაში მდებარეობდა და მას ქიგალუ (მეგრულად შემოგევლე) ჰქვიოდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეგრული ხომ კოლხურის მემკვიდრე ენაა.

იქვე არსებობდა კიდევ ერთი აქითუს კოლხური სასახლეც, სადაც მეფე ურნამუ იჯდა (ურ- ქალაქის სახელწოდებაა, ნამუ-კი ღმერთია კოლხურ-მეგრულად) ქ. ურშივე იყო მთვარის ღმერთის ნანას ტაძარიც.

როგორც ვწერდით, კოლხურია შუმერთა ტოპონიმიკა და რელიგიაც (და არა ლაზურ-მეგრული, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი წერს) და ბევრი შუმერული სიტყვა, ტერმინი, ღმერთები, ქალაქების, მთების, ტაძრების, მდინარეების, არქიტექტურული ძეგლების, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და მათი გმირების სახელები კოლხურად იხსნება.

ურის III დინასტიის დაცემის გამო (2024 წ) მესოპოტამიაში შეიქმნა ლიტერატურული ნაწარმოები "ურუში გარა" (ურუს გოდება), ანუ ტირილით გოდება, რაც სამეგრელოში დღესაც არის შემორჩენილი. ეს კი ადასტურებს, რომ ურის III დინასტიის დაცემის ტრაგედია და ტკივილი კოლხებმა, რომელთა მემკვიდრეები მეგრელები არიან, თავიანთ თავზე გამოსცადეს.

ბანანურ-კოლხურია (შუმერული) ტერმინი ზიმბარაც, რაც ბრინჯაოს ნიშნავს. აქედან დასტურდება,რომ ბრინჯაო ქვემო მესოპოტამიაში მცხოვრები კოლხების შექმნილია (ქვემო მესოპოტამიაში ბრინჯაოს ხანა 2 800 წლიდან დაიწყო).

კოლხური სახელია ბაბილონიც, რაც ვაზის ლერწს (რტოს) ნიშნავს.

შუამდინარელ შუმერებსა (ე.ი. კოლხ-იბერებსა) და მაშინდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებლებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირებზე უთუოდ მიანიშნებს ისიც, რომ დღევანდელი სამხრეთ ერაყის ტერიტორიაზე არსებობდა ქართული სამეფო, რომლის მოსახლეობას კოლხები წარმოადგენდნენ და მისი ერთ-ერთი მეფის ქადაშმანის ცოლიც ქართველი ნეფერტიტის მეორე ქალიშვილი ათენა (მენი) იყო.

შუმერებისა და ქართველების ერთიანობასა და ერთ სივრცეში ცხოვრებას ადასტურებს 2012 წელს აზერბაიჯანის საზღვარზე გათხრილი 6 000 წლის წინანდელი კულტურაც, რაც შუმერული (ე.ი. კოლხური) კულტურის იდენტურია.

და ბოლოს, ამ ერთიანობის ნათელი დასტურია 5 300 წლის წინათ არსებული უზარმაზარი კოლხური სამეფოს არსებობა, რომელშიც დღევანდელი საქართველოს გარდა შედიოდა კავკასია სპარსეთის ყურემდე და მეწამულიდან კასპიის ზღვამდე არსებული ტერიტორიები, ნილოსის ხეობა (დღევანდელი ესპანეთი და პორტუგალია). ამ სამეფოს ერთ-ერთი ძლევამოსილი მეფე და იმავდროულად ქურუმიც იყო ანმარე (შუმერში მეფე ერთდროულად ქურუმიც იყო), რომელსაც რეზიდენცია დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში ჰქონდა. 3200 წელს დაარსებული ქალაქი კოლხა კი (შემდგომში დედაქალაქი) მდინარე ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში მდებარეობდა.

მეგრულსა და სვანურ ენებში სხვა შუმერული კვალიც არის შემორჩენილი. მაგალითად, ამ ენებში არის შუმერული მითების მსგავსი მითები და ზღაპრები. ეს კვალი ჩანს იმაშიც, რომ

კოლხ-იბერები (შუმერები) დიდ პატივს სცემდნენ ღვთაება ნანას. მეგრელებს აქვთ სიმღერები ნანაზე რაც კ. ევბეაზე არის შექმნილი (კოლხ-იბერები იქაც ცხოვრობდნენ), ოდოია და ერ-ეხეთი-მერეხეთი, მაშინ როცა შუმერებსაც ჰქონდათ სიმღერები ნანაზე და ქალაქ ერეხეთზე, თუმცა თქმა იმისა,რომ გილგამეში და ვერემხუტუ ლაზურ-მეგრული წარმოშობის გმირებია, არ არის სწორი. უნდა ვთქვათ, რომ ისინი კოლხურ-იბერიული წარმოშობისანი არიან.

ნამდვილი შუმერები – კოლხ-იბერები მესოპოტამიაში შავთავიან შუმერთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ, სადაც მათ 7600 წლის წინ შუმერული კულტურის შექმნა დაიწყეს. მაშინ ქვეყანას ენგური, ხალხს კი ენგურელი ჰქვიოდა, მაგრამ ეს ყველაფერი შეცვალა და გააყალბა გერმანელმა ებრაელმა არქეოლოგმა ოპერიტმა და ქვეყანას დაარქვა შუმერი, ხალხს შუმერელი და ენას და მათ ლურსმნულ დამწერლობას შუმერული. ამით მან ნამდვილი შუმერების კოლხ-იბერების, ენგურელების ისტორია გვიანდელ შავთავიან შუმერებს მიაკუთვნა. ეს ოპერიტი XIX საუკუნის ბოლოს გათხრებს აწარმოებდა სამხრეთ საქართველოში, სადაც კონფლიქტი მოუვიდა და ძალიან განაწყენდა ქართველებზე. მან შური იმით იძია, რომ მესოპოტამიაში არსებულ ქვეყანა აიას-ეას-ენგურს-ინგურს შუმერი დაარქვა.

როგორც ზემოთ ვწერდით, ნამდვილი შუმერები-კოლხი-იბერები ბანანურ (კოლხურ შუმერულ) ენაზე საუბრობდნენ. ბანანური (კოლხ-შუმერული) ენა კი ქართულ-მეგრულ-სვანურის ერთობლიობა არის და მისი შექმნა 7 600 წ. დასრულდა. პროტოქართულ ბანანურ (კოლხურ-შუმერულ) ენაზე მესოპოტამიაში XXV ს-შიც კი საუბრობდნენ, ხოლო სახელმწიფო კანცელარიის ენად ის კიდევ უფრო გვიანდლამდე შემორჩა. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე კი ის მეცნიერებისა და რელიგიის ენაც იყო. ერთიანი ბანანური (კოლხურ-შუმერული)ენის დაშლა 4 700 წლის წინ დაიწყო, როცა პირველი მას ბასკური ენა გამოეყო. 3 800 წლის წინ გამოეყო სვანური, 2 800 წლის წინ ზანური (ჭანური) ლაზურისა და მეგრულის წინაპარი ენა და 2 500 წლის წინ ქართული ენები.

ზოგიერთი მკვლევარი თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს, როცა წერს, რომ პროტოქართული ენა იყო ქართულ-მეგრულ-სვანურის წინაპარი ენა და ეს მეხუთე ათასწლეულიდან მეგრული არისო (სწორი იქნებოდა თუ დაწერდა კოლხურს, ბანანურს, შუმერულს). კი, მაგრამ რანაირად შეიძლება ყოფილიყო მეგრული, უფრო მეტიც ზანური, რომელიც მეგრულის წინაპარი ენაა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზანური და მით უფრო მეგრული ენები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილნი მეხუთე ათასწლეულში. სწორი არც ის არის, როცა წერენ ჯერ არსებობდა კოლხური ენა, რომელიც შემდეგ გაიყო ქართულად და მეგრულადო. სწორია ის, რომ თავიდან არსებობდა ბანანური (კოლხური, შუმერული) ენა და მისი დაყოფა დაიწყო 4 700 წლის წინ, რომელსაც პირველი 4 700 წლის წინ გამოეყო ბასკური, 3 800 წლის წინ სვანური, 2 800 წლის წინ ზანური და 2 500 წლის წინ ქართული. ისიც ტყუილია, რომ, როცა წერენ მეგრული იყო ფუძე ენა და მისგან გაჩნდა ქართული ენა, ფუძე ენა იყო ბანანური (კოლხური, შუმერული) და სწორედ მისი დაშლის შედეგად გაჩნდნენ მეგრულიც და ქართულიც.

მესოპოტამიაში დამკვიდრებულმა კოლხ-იბერებმა ანუნაკისაგან მიღებული ცოდნა თან წაიღეს და ის თავიანთ ახალ სამკვიდრო ტერიტორიაზე გაავრცელეს. ასე რომ, მესოპოტამიაში სწორედ მათი შექმნილია პირველი კანონები მეოთხე ათასწლეულში და ჰამურაბის კანონები ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში, ფერადი მინა 2 400 წ. გილგამეშიანი 2 300 წ. არითმეტიკა, ასტრონომია, ბორბალი, წყლის ამოსაქაჩი ბორბალი, მზისა და მთვარის კალენდრები, მსოფლიო რუკა, მედიცინა, მშენებლობა, ოქროს დამუშავების წესი, პირამიდები, საათი (რომელიც 60 წუთადაც დაჰყვეს), წრე დაჰყვეს 360°, შემოიღეს დღეები და ქალაქთა გამაგრება, დაიწყეს ტაძრების აგება და მრავალი სხვა.

ეთნიკურად მეგრული წარმომავლობის ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი წერს, რომ თითქოსდა მესოპოტამიაში ლაზ-მეგრელები ცხოვრობდნენ და ლაზურ-მეგრულად ლაპარაკობდნენ, რაც არასწორია და მას პროვინციალიზმის სუნი ასდის. თუ გვინდა, რომ ვინმემ რაიმე დაგვიჯეროს, ასეთ იაფფასიან მოსაზრებებზე უარი უნდა ვთქვათ. თუნდაც იმის გამო, რომ 7 600 წლის წინათ უბრალოდ არ არსებობდნენ არც იმერლები, არც კახელები, არც ლაზები, არც მეგრელები და ა. შ. იყო შუმერის (კოლხ-იბერების) ქვეყანა, რომელსაც ენგური ჰქვიოდა,

ხოლო ხალხს ენგურელები და ლაპარაკობდნენ ისინი ბანანურ (კოლხურ, შუმერულ) ენაზე. ასე რომ, როცა წერენ იქ ლაზურ-მეგრული კულტურა იყოო, ეს ტყუილია, რადგან სწორია, რომ იქ იყო კოლხურ-იბერიული კულტურა ბანანური (კოლხური, შუმერული) ენით. ვიმეორებ: იყო ენგურის ქვეყანა, რომელშიც ენგურელები ცხოვრობდნენ (კოლხი-იბერები, შუმერები) და არა ლაზ-მეგრელები და ისინი ლაპარაკობდნენ ბანანურ (კოლხურ, შუმერულ) ენაზე და არა მაშინ არარსებულ ლაზურ-მეგრულ ენაზე, რადგან ზანური (ლაზურისა და მეგრულის წინაპარი ენა) ხობ ბანანურს (კოლხურს, შუმერულს) 2 800 წლის წინათ გამოეყო.

ბანანურ (კოლხურ-შუმერულ) ენაზე იხსნება ფესტოსის დისკოზე მოხსენიებული მდინარეების: ტიგროსის (ოდიგნა) და ევფრატის (ბურანუნი) სახელებიც და არა მეგრულ ენაზე, როგორც ამას ზოგიერთი წერს, რადგან მაშინ მეგრული ენა ცალკე ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ვუახლოვდებით რა შუმერებზე საუბრის დასასრულს კიდევ ერთხელ ავღნიშნოთ, რომ შუმერები ორად იყოფიან: 1. ნამდვილი შუმერები იგივე კოლხი-იბერები და 2. დამპყრობი, ანუ შავთავიანი შუმერები, რომლებიც ოპერეტის წყალობით შეცდომით ასევე შუმერებად იწოდებიან.

ნამდვილი შუმერები IV ათასწლეულიდან XVIII საუკუნემდე უკვე მესოპოტამიის სამხრეთში ცხოვრობდნენ და მათ ძალიან მაღალი განვითარების საზოგადოება ჰქონდათ. შუმერულ ოჯახში მთავარი მამა იყო, თუმცა დედასაც დიდი უფლებები ჰქონდა. თანასწორები იყვნენ ცოლ-ქმარიც და მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებაც კი იდებოდა. ყოველ ქალაქ-სახელმწიფოს ჰყავდა მფარველი ღმერთი, თუმცა იყვნენ ისეთი ღვთაებებიც, რომელთაც მთელს მესოპოტამიაში სცემდნენ თაყვანს. მაგალითად: ცის (ან), მიწის (ენლილი), წყლის (ენქი) და ა. შ. ღვთაებებს ცოლ-შვილიც ჰყავდათ და თაყვანს მათაც სცემდნენ (ზოგჯერ უფრო მეტსაც კი) მაგალითად, ანუს ცოლი იყო იშთარი – ბაბილონელთა მთავარი ღვთაება, ჰყავდათ ქალი ღვთაებებიც. მაგალითად, ინანა, რომელიც ქალაქ ურუქის მფარველი იყო და ა. შ.

და ბოლოს, არ შეიძლება გვერდი აუაროთ ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის ძალიან უცნაურ პოზიციას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ცოცხალი თავით არ აღიარებენ არამარტო შუმერთა, არამედ ბევრ სხვათა რაიმე შესაძლო კავშირს ქართულ ფესვებთან. ეს, რომ ცალკეული მეცნიერის კერძო აზრი იყოს ჯანდაბას, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ, როცა მათმა ასეთმა პოზიციამ სახელმძღვანელობშიც გადაინაცვლა, ეს უკვე მოუთმენელი და საგანგაშოა. მაგალითისათვის ავიღოთ „კულტუროლოგიის“ ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელშიც 204-ე გვერდზე წერია, რომ „მცდელობები გამოეკვლიათ შუმერებს. ნათესაური კავშირი ქართულ, კავკასიურ, ეტრუსკულ და სხვა ხალხებთან, სამწუხაროდ უშედეგოდ დასრულდა“, კი მაგრამ დავიჯერო, რომ ამ სტრიქონების ავტორს და წიგნის რედაქტორს, მართლა არ წაუკითხავთ ან არ გაუგიათ მაინც იმ ასობით ნაშრომის შესახებ (როგორც ქართველ, ისე უცხოელთა), რომლებშიც შუმერთა და კოლხ-იბერთა წარმომავლობა და ნათესაური კავშირები ცხადზე უცხადესია? კი, მაგრამ თუ კი უცხოელი მეცნიერები გვიმტკიცებენ ამას, ჩვენ რა ღმერთი გავიწყრა და რატომ უარვყოფთ ყოველივეს? ეს, რომ მართლაც ასე იყოს შენ პირველი ნუ გამოხტები და ნუ დაიწყებ მტკიცებას, არა, ჩვენ არანაირი კავშირი არ გვქონია შუმერებთანო, მაგრამ არა, აბა რა ქართველები იქნებიან, თუკი თავზე ნაცარი არ წაიყარეს და არ იყვირეს – ყველა უცხოელი (ქართველიც ვინც ასე ფიქრობს) ტყუისო. ნუთუ ასე ძნელია აღიარო, რომ იმ უცხოელმა (ბევრმა ქართველმაც) შენს აზროვნებას აჯობა და ახლებურად შეხედა მოვლენებს, თუნდაც ძველს რომ თავი დავანებოთ, ახალ მეცნიერულ მონაპოვართა საფუძველზე.

ძვირფასო მკითხველო, ეს სტატია ამით დავასრულოთ და თუკი ღმერთი შესაძლებლობას მომცემს ისევ შევხვდეთ, მომდევნო ნომერში დანარჩენ პროტოქართულ ხალხზეც მოგითხრობთ, რომელთა რაოდენობა მთლიანობაში 80-მდე აღწევს.

მანანა ვაშაყმაძე
ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ- თანამშრომელი

ბრინჯაოს პლასტიკა ვანში...

/ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით/

დღევანდელი ვანი, შუაგულ იმერეთში, მდინარე სულორის ულამაზეს ხეობაშია გადაშლილი. სახელწოდება, „ვანი" წერილობით წყაროებში მხოლოდ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება გერმანელი მეცნიერის ნაწერების გამოქვეყნებისას.

მთელ მსოფლიოში უკვე საყოველთაოდ ცნობილი ანტიკური ნაქალაქარი კი, საკუთრივ ვანში მდებარეობს პატარა გორაკზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ახვლედიანების გორას" უწოდებს.

ვანის ნაქალაქარმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიიქცია სიძველის მოყვარულთა ყურადღება.

საზოგადოების ფართო წრეებში ვანის გათხრები ტრადიციულად ოქროს ბრწყინვალე სამკაულებთან ასოცირდება, უკანასკნელი სამი ათეული წლის აღმოჩენებმა კი ბრინჯაოს ნაკეთობების არანაკლებ შთამბეჭდავი კოლექცია შემატეს ვანის საგანძურს, რომ არაფერი ვთქვათ ვანში დაფლული განძის უნიკალურ ჭრაქებსა და სამკაულებზე, ასე რომ გვაოცებენ თავიანთი უჩვეულო კომპოზიციით, მდიდარი სიმბოლოკით და თემების არჩევანით, ჩვენს ხელთაა სხმული ბრინჯაოს ათასამდე ფრაგმენტი და უკვე კარგად ცნობილი ჭაბუკის ტორსი. რამდენადაც, ვანის ბრინჯაოს ათასამდე ფრაგმენტი ნგრევის ფენიდან მომდინარეობს, რომელიც ძვ.წ.აღ I -ს. განსაზღვრული, ჩვენ მხოლოდ მათი განადგურების თარიღზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ და არა შექმნის დროზე. არის ვარაუდი, რომ მათი უმეტესობა ჩამოსხმულია ქალაქის არსებობის ფინალურ სტადიაზე, დაახლოებით, II-I სს-ში.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული უძველესი მასალა ძირითადად ძველი წ.აღ. VIII-VII სს. თარიღდება. ესაა ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა, ბრინჯაოს ქანდაკებები, ქვის არქიტექტურული და სკულპტურული დეტალები, ლითონის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, ოქროსა და ვერცხლის უნიკალური სამკაული.

ამჯერად, მხოლოდ ბრინჯაოს მასალასა და იმ მონაპოვარზე ვისაუბრებთ, რომელიც არა მარტო ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, არამედ ვანის სხვა ადგილებშიც.

ვანის სატაძრო ქალაქი ბრინჯაოს ქანდაკებებით და სკულპტურული კომპოზიციებით იყო მორთული. არქიტექტურულ ნაგებობათა მდიდრულ მორთულობასა და მის სილამაზეს მოწმობს ბრინჯაოს ქანდაკებათა ის უამრავი ფრაგმენტი, რომელიც ყოველწლიურად ჩნდება ნაქალაქარის საიდუმლოებით მოცულ კულტურულ ფენებში.

როგორც მეცნიერები და, მათ შორის, ვანის დიდი ქომაგი და მოამაგე პროფესორი, აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, ქალაქი ორჯერ იქნა დანგრეული შემოსეული მტრის მიერ. მტერი კი ანადგურებდა ყველაფერს, ძარცვავდა ტაძრებს, მიჰქონდა ყველაფერი კარგი და ძვირფასი. ბრინჯაო კი ერთ-ერთი საჭირო და საუკეთესო ნედლეული გახლდათ ახალი ქანდაკების, ან საბრძოლო იარაღის დასამზადებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ მასალაში ძალზე ბევრია ბრინჯაოს ქანდაკებათა ფრაგმენტი, მაგრამ აქ საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, მათი უმეტესობა ერთ ადგილზე ცენტრალური ტერასის დასავლეთით ნაწილში, თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არეშია მიკვლეული.

საკულტო კომპლექსის ირგვლივ, მის ნანგრევებში ნაპოვნია ბრინჯაოს ქანდაკებების ათასამდე ფრაგმენტი. (მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, „ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები") მათში გამოირჩევა ადამიანის სხეულის (მხარის, ტერფის, მარცხენა ყურის, თმის კულულების, ტანსაცმლის დრაპირების,

ცხოველთა ჩლიქების, ყურების, ლომის, გველის) სკულპტურული გამოსახულებები. ბრინჯაოს ქანდაკებების ფრაგმენტები აღმოჩნდა სხვა უბნებზეც და ასევე უხვადაა მიკვლეული ვანის შემოგარენშიც. ახლა მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ თქვენ ყურადღებას და ვისაუბრებთ მათი დამზადების ტექნოლოგიის თავისებურებებსა და ქანდაკებათა მხატვრულ ღირებულებაზე.

გვიანი ბრინჯაოს ხანის დადგომამ, კარდინალური ძვრები გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურაში, ხდება დემოგრაფიული ცვლილებები. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გადაადგილებები, წარმოიშობა მსხვილი დასახლებები და ბრინჯაოს მეტალურგია განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადის.

ბრინჯაოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნიმუში სკულპტურულგამოსახულებიანი ცული ნაპოვნია სოფელ სულორში. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს რეწვის ბრწყინვალე მაგალითს, რომელიც იხვეწებოდა ათასწლეულების განმავლობაში.

„კოლხური ცული" ხშირად მორთული იყო პლასტიკური გამოსახულებებით და წარმოადგენდნენ ძველკოლხურ, ბრინჯაოში შესრულებულ ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს.

ძვ.წ.აღ IX-VII - სს. ძალზედ გავრცელებული იყო ცულის ტარის ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით შემკობა. „სულორის ცული" – ძვ.წ.აღ VIII-VII სს. თარიღდება, იგი შემკულია ცხენებზე ამხედრებული ორი მხედრის გამოსახულებით. მხედრებს ფრიგიული, წოწოლა ქუდების მსგავსი თავსაბურავი ამშვენებთ, ხელში კვერთხი უჭირავთ, ხოლო ზურგზე ისრებიანი კაპარჭები აქვთ მოგდებული. ეს ორი მხედარი გაიგივებულია „დიდი დედის (მიწათმოქმედების ღვთაების) მხედრებთან."

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცული სოფელ სულორში იქნა აღმოჩენილი, უფრო სწორად, იგი შემთხვევითი მონაპოვარია. სულორშივე იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა საჭირო ინსტრუმენტები, რომლებიც, სავარაუდოდ, განკუთვნილი იყო ბრინჯაოს ნაკეთობების დასამზადებლად. თიხის ყალიბები, თიხის კოვზები რომლის საშუალებით გამდნარ ლითონს თიხისვე ყალიბებში ასხამდნენ, უხვად აღმოჩნდა საწარმოო ნაშთები, ნაღვენთები, ბრინჯაოს ზიდები.

არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე, აშკარაა ბრინჯაოს ტექნოლოგიის განვითარების მაღალი დონე, ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი, ფიქსირდება სხვადასხვა ტექნიკური სიახლეების დანერგვაც, განსაკუთრებით, აღსანიშნავია მაღალხარისხოვანი დარჩილვა, რამაც ასე, თუ ისე კარგი პირობები შექმნა მეტად სრულყოფილი საბრძოლო საშუალებების, განსაკუთრებით, კი, ნაირგვარი მორთულობების შესაქმნელად.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბება დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დიდი და ხანგრძლივი პროცესი გახლდათ, რომელიც სავარაუდოდ დაახლოებით ძვ.წ.აღ II – ათასწლეულიდან დაიწყო და გაგრძელდა მომდევნო საუკუნეებში, ეს დაკავშირებული იყო მეგრულ-ჭანური (კოლხური) მოსახლეობის სამოსახლეო არეალის გაშლასთან.

ვანის ნაქალაქარი უდაოდ ლამაზი იქნებოდა უძველეს დროში, შემკული ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი ქანდაკებებით და მორთულობებით, რასაც აქ მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიებები ადასტურებენ. იმ უამრავ მასალაში, რომელიც ფონდებში ინახება, ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფთ (სტატიის ფორმატიდან გამომდინარე), და შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ მათ შესახებ.

ორი სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ფიგურის ფრაგმენტი: ერთია ცხოველის ფაფარს ჩაქიდებული მარცხენა ხელის მტევანი, ნატურალური ზომის, დაახლოებით 1:2; მთლიანადაა გამოსახული ცერი, საჩვენებელი და შუათითები სანახევროდ ფაფარშია ჩაფლული, ხოლო ორი დანარჩენი თითი მთლიანად დაფარულია. სახსრები ღრმა ნაჭდევებითაა გადმოცემული, ფაფარი გადმოცემულია არათანაბარი სიღრმის მორკალული ნაკაწრებით. იქნებ ეს ნემეის ლომთან შერკინებული ჰერაკლეს ხელია? ამაზე მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, ხოლო, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, ესაა – ბრინჯაოს პლასტიკის გასაოცარი ოსტატობა, ბრწყინვალება და სილამაზე.

მეორე ფრაგმენტი ასევე მარცხენა ხელის მტევანს წარმოადგენს, ის ნატურალურ ზომას რამდენადმე აღემატება და მასზე, მხოლოდ სამი თითია შემორჩენილი – შუა, უსახელო და

ნეკი. თითები რბილადაა მოდელირებული, ნატურალისტურადაა გადმოცემული ფრჩხილები და ნუნები, ხოლო სახსრები მათთან შედარებით სქემატურადაა ნაჩვენები – ორი ან სამი არა ღრმა ჰორიზონტალური შტრიხით. ფრაგმენტი დაფარულია მომწვანო-შაბიამნისფერი კეთილშობილური პატინით, იგი დაახლოებით ორ მეტრიანი ქანდაკების ნაწილი უნდა ყოფილიყო. ახლა ამ მცირე ფრაგმენტით ძნელია იმსჯელო იმაზე, თუ ვის წარმოადგენდა იგი თავის დროზე, მაგრამ აშკარაა რა სილამაზესთან და გრაციოზულობასთან გვექნებოდა საქმე. სავარაუდოდ, ქალაქში ნატურალური ზომის ცხენის (მხედრიანად?) ქანდაკებაც მდგარა. ამის საფუძველს გვაძლევს რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ-ერთი ცხენის ჩლიქია. თვით ჩლიქის ზედაპირი გლუვია, ხოლო სახსრის არეს ირგვლივ ბეწვი შემოუყვება, რომელიც გადმოცემულია ღრმა, მორკალული ნაჭდევებით; სახსრის არე ამოზიდული, ირგვლივ ქედებითაა გამოსახული. ჩლიქის ამგვარი სკულპტურული წარმოსახვა ცნობილია გვიანელინისტური ხანის ძეგლებზე. ასევე გვაქვს ცხენის სხვა ფრაგმენტები, ყურები, კუდი და ჯავშნის ნაწილი. შეჯავშნული სამოსის შემადგენელი ნაწილია სამხედრო მოსასხამი. ვანის კოლექციაში გვაქვს დრაპირების ფრაგმენტები, რომელთაგან ერთი გამოსახავს კვანძად მოკეცილი საბრძოლო მოსასხამის ნაწილს, ხშირად მოსასხამი ფოჩებით ბოლავდებოდა და ჩვენს კოლექციაში მოსასხამის ქობის ნაწილად არის მიჩნეული.

მრავალრიცხოვან ნატეხებს შორის გამოიყოფა რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც ერთი ქანდაკების – ქალის სკულპტურის ნაწილებადაა მიჩნეული. ესენია: ქალის ორივე ხელის, ბარძაყის მუხლითურთ, მარცხენა ტერფის და მარჯვენა მხარის ფრაგმენტები, სულ ხუთი არტეფაქტი. ერთ-ერთი პოპულარული თემა ელინისტური პერიოდის ხელოვნებაშია, მითოლოგიურ სიუჟეტებთან ერთად, ქალღვთაებათა და საერთოდ, ქალის სილამაზის ასახვა იყო. განსაკუთრებით გავრცელდა ქალღმერთ აფროდიტეს შიშველი ქანდაკებები.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრინჯაოს ფრაგმენტების მიხედვით განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იყო ქალის მთლიანი სკულპტურა, საკმაოდ ძნელია, თუმცა საკმარისია იმისათვის, რომ ის მივიჩნიოთ კლასიცისტური სტილის ქანდაკებად და დათარიღდეს ძვ.წ. II-I სს. ქალის ფიგურა შიშველი იყო; შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ის ჯგუფური კომპოზიციის, ანდა დეკორატიული ქანდაკების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც განკუთვნილი იყო ბაღის და საერთოდ სახლგარე მიდამოს მოსართავად.

ცალკე აღსანიშნავია, ბრინჯაოს მოოქრული ფირფიტები, შემკული გრავირებული მცენარეული ორნამენტით; ფირფიტა პალმეტის გრავირებული გამოსახულებებით, აკანთის ღეროს დამახასიათებელი განტოტებებით და ბაფთით და ჩვეული ხვიით. მსგავსი ორნამენტი, რომელსაც ქმნის აკანთის მოტივის უსასრულო რიგი, ღეროთა ანალოგიური მოდელირებით, კარგადაა ცნობილი გვიანელინისტური ხანის სხვადასხვა ნაწარმზე, განსაკუთრებით პოპულარულია ეს მოტივი ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობებზე. ის შეადგენს ორნამენტის ცალკე ჯგუფს, რომელიც „აკანთის არშიის" სახელითაა ცნობილი და გვხვდება ოქროს დიადემებზე, ვერცხლის ჭურჭელზე, ოქროს ფირფიტებსა და არქიტექტურულ დეტალებზე.

ელინები სულის სიღრმემდე ეტრფოდნენ სილამაზეს. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მათ გამოიკვლიეს სილამაზის ზუსტი კანონები. როგორი უნდა იყოს ადამიანის აღნაგობა, მისი სიმაღლე, თვალის ზომა, მკლავის სიგრძე და ა. შ. და მათი ერთმანეთთან შესაბამისობა. სილამაზის ამ კანონებს ბერძნებმა „პროპორციის კანონები" დაარქვეს.

საქართველოს ანტიკურ საბერძნეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორია გააჩნია, რამაც მას ძველი ბერძნების, ანუ ელინების მიღწევების გაცნობის საშუალება მისცა. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ვანში და მის შემოგარენში, მოპოვებულმა მდიდარმა არქეოლოგიურმა მასალამ, ეს თვალნათლივ დაადასტურა.

ანტიკური სამყარო ევროპული ცივილიზაციის საფუძველია. ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ზოგადად კაცობრიობის ისტორიაზე და ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი და გასაოცარი აღმოჩენა ვანის ნაქალაქარზე გახლდათ 1988 წელს „ახვლედიანების გორის" ცენტრალურ ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრინჯაოს ტორსი. „ვანელი ჭაბუკის" სახელით ცნობილი მთელ მსოფლიოში.

„გასაოცარი მრავალი რამ არის ამქვეყნად, ადამიანზე საოცარი კი არაფერია“ – ძვ.წ.აღ V-საუკუნის დიდი ტრაგიკოსის სოფოკლეს ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს, რომ ძველი ბერძნების მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს ადამიანი წარმოადგენდა. ამიტომ, არქიტექტურაშიც კი ნაგებობების ზომებს და პროპორციებს ადამიანური მასშტაბები განსაზღვრავდა. თუ ძველ ეგვიპტეში შექმნილი ნაგებობები თავისი გრანდიოზულობით იქცევდა ყურადღებას, ბერძნული ტაძრების მთავარი ხიბლი, არქიტექტურული ფორმების ჰარმონიული ურთიერთშეთანხმება იყო.

ძვ. საბერძნეთში ადამიანის სხეულის მშვენიერების სრულყოფილად გადმოცემა მთავარ ამოცანად იქცა სახვითი ხელოვნების ყველა დარგისთვის. ქანდაკების თუ კერამიკის მოხატულობის ნიმუშები დღემდე რჩება იდეალური სილამაზის ეტალონად.

არქაული ხანის შემდგომ ბერძნული, თუ ელინური ხელოვნების განვითარება, ზომიერების, ჰარმონიის, წონასწორობის პრინციპის ძიების გზით წარიმართა. ყოველივე ამან განსაზღვრა ახალი კლასიკური ეპოქის ხასიათი. სწორედ კლასიკურ ხანაში დაიხვეწა ქანდაკებაში ფიგურის პლასტიკური გამომსახველობის ხერხები, გადაწყდა ფიგურის დაყენების, თუ მოძრაობის გადმოცემის ამოცანები.

ქანდაკება სახვითი ხელოვნების სპეციფიკური დარგია, რომელსაც ფერწერისაგან განსხვავებული გამომსახველობითი საშუალებები გააჩნია. არც ერთ სხვა სახის ხელოვნებაში ელინისტური ეპოქის არსი და ხასიათი არ ასახულა ისე ნათლად და სრულყოფილად, როგორც ქანდაკებაში. მხატვრულ სახეს მოცულობითი ფორმა წარმოაჩენს, რომლის წყალობითაც იქმნება რეალობაში არსებული ობიექტის ერთგვარი სამგანზომილებიანი მოდელი. მრგვალი ქანდაკების თემატიკა შეზღუდულია. ის უმეტესად ადამიანის ფიგურას გამოსახავს და მისთვის უცხოა მხატვრობისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი თემები და ჟანრები.

სახელგანთქმულმა მოქანდაკემ პოლიკლეტმა ადამიანის ფიგურის პროპორციული აგების კანონებს თეორიული ნაშრომი მიუძღვნა. მანვე თავის სკულპტურაში „შუბოსანი“ – შეიმუშავა ერთ ფეხზე დაყრდნობილი ფიგურის გადმოცემის პრინციპები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოქანდაკეებისათვის სანიმუშოდ იქცა.

ანტიკურ ეპოქაში შექმნილი ქანდაკებები საუკუნეების მანძილზე სრულყოფილების ნიმუშად ითვლებოდა და დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი აღმოჩენაა ჭაბუკის ბრინჯაოს ტორსი. იგი 1988 წელს ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა, ძვ.წ.აღ I–ს. შუა ხანებში დანგრეული შენობის გათხრისას. სავსებით აშკარა იყო, რომ ის გადმოგდებული გახლდათ სხვა ადგილიდან, ამ შენობის დანგრევისთანავე. მას კედლების ნანგრევების და ჩაქცეული სახურავის კრამიტყრილზე მიაკვლიეს.

ქანდაკების გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 1 მეტრი და 5 სანტიმეტრია, დაფარულია მომწვანო, მონაცრისფრო ფერის კეთილშობილი პატინით. შემორჩენილი ტორსი წარმოადგენს უნაკლო სხეულს კისრიდან მუხლებამდე. არ აქვს კიდურები და თავი, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჭაბუკს თავი ოდნავ მარცხნივ, მხრებისკენ აქვს მიბრუნებული და მტკიცედ დაყრდნობია მარჯვენა ფეხს.

ტორსის შემორჩენილი ნაწილი გვიჩვენებს ათლეტურად აგებული ჭაბუკის ტანის სილამაზეს და დინამიკას. სრული ჰარმონიაა სრულყოფილებისა. არც ერთი კუნთი არ გამოირჩევა რაიმე ხაზგასმულობით. მხრები თითქმის ჰორიზონტალურია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნებს იდეალურ სილამაზემდე დაჰყავდათ თავიანთი ქანდაკებები. ამიტომ რომელიმე ღვთაების, ან თუნდაც მამაკაცი პერსონის სკულპტურა თითქმის ქალურად ნაზი ნაკვეთებით გამოირჩევა. რაც შეეხება „ვანელ ჭაბუკს“ – იგი რამდენადმე ცდება ამ სტილს და საქმე გვაქვს უფრო „ვაჟკაცურ“ ფიგურასთან, მკვეთრად გამოკვეთილი კუნთებით, მუცლის პრესით და დახვეწილობით. ჩვენს წინაშეა ელინისტური ეპოქის ე.წ. კლასიცისტური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში.

სავარაუდოდ, ქანდაკება 1,75 – 1,80 სმ. სიმაღლისა იქნებოდა, იმის გამო, რომ იგი ძლიერ დაზიანებულია. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ ვის გამოსახავდა იგი – უბრალოდ ათლეტს, ღვთაებას თუ ჰერიოზირებულ მმართველს.

„ქანდაკება შეიძლება ჰერმესს გამოსახავდეს, ღმერთების შიკრიკს“ – მისი აღმოჩენიდან ძალიან მოკლე დროში დაიწერა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში „ის აპოლონია (სინათლისა და ხელოვნების მფარველი ღმერთი) თავისი უნაკლო სხეულით“ – არსებობს სხვა ვარაუდიც.

ერთი კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: ქანდაკება ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია და შესრულებულია უდიდესი ოსტატობით. იგი ე.წ. ცვილის მოდელის გამოყენებითაა დამზადებული. ტორსის შიგნით დაფიქსირდა რკინის კონსტრუქცია, რკინის ღერო, რომელიც ფეხებთან ორად იყო განტოტვილი და მერე საყალიბე მიწით იყო შემოფენილი.

ასეთი ზომის ქანდაკების შესაქმნელად თითქმის სავალდებულო და ნორმა გახლდათ ძუძუმკერდისა და თვალების ინკუსტრაცია. ანტიკურ ხანაში მოქანდაკენი ხშირად მიმართავდნენ ამ წესს, ვერცხლის, გაუმჭვირვალე მინის, ძვირფასი ქვების და სპილოს ძვლის ჩადგმული თვალები მეტად ხშირია ბრინჯაოს სკულპტურებზე. ჩვენი ქანდაკების შემთხვევაშიც აქეთკენ მივდივართ. როგორც ჩანს, ქანდაკება უხეში ძალის გამოყენებით დაამსხვრიეს, ტორსზე გარკვევითაა შემორჩენილი მძიმე საგნის რტყმევის კვალი, მკერდზე ფოსოები ცარიელია და ეტყობა ძვირფასი თვლები საგანგებოდ ამოაგდეს. ქანდაკების თავს ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ (იმედს ვიტოვებთ, რომ წინ უამრავი დიდი აღმოჩენა გველოდება), მაგრამ, სავარაუდოდ, ქანდაკების თავი მოოქროვილი კულულებით და ძვირფასი თვლებით ინკუსტრირებული უნდა ყოფილიყო. კისრის ადგილზე ჩანს კვალი, თუ ძალის გამოყენებით, როგორ მოაცილეს სხეულს თავი, როგორც ძვირფასი ნადავლი (?) ე.წ. მკაცრ სტილში შესრულებული ქანდაკება, ფიგურის აგებითა და გარკვეული დეტალების გადმოცემით, მსგავსებას ავლენს „კრიტოსის ჭაბუკთან“. „ვანელი ჭაბუკიც“ კრიტოსის ჭაბუკივით“ ეყრდნობა ორივე ფეხის ბრტყელად მდგარ ტერფს. ამავე წრის ქანდაკებებს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, პროტოტიპი რომაული ხანის იმ ქანდაკებებისა, რომელნიც „აპოლონ ომფალოსის“ სახელითაა ცნობილი. მიუხედავად მთელი რიგი მსგავსებისა, ვანელი ჭაბუკის ტორსი მაინც გამოირჩევა რიგი თავისებურებებით. პირველ რიგში ესაა უფრო მეტი სრულყოფილება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამაკაცურობა.

რაც შეეხება ქანდაკების დათარიღებას, ვიდრე არაა აღმოჩენილი თავდაპირველი ადგილსამყოფელი, ძნელია რაიმის გადაჭრით თქმა, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქანდაკება ვანში ძვ.წ.აღ II ს. (მეორე ნახევარში) აღიმართა. ყოველ შემთხვევაში ვანში აღმოჩენილი ქანდაკება უძველესია დღემდე ცნობილი ელინისტური ხანის იმ კლასიცისტურ ქანდაკებებს შორის, რომლებიც მკაცრ სტილზეა ორიენტირებული. ახლა საფიქრალი ისაა, ქანდაკება ადგილზე დამზადდა, თუ აუცილებლად შემოტანილი უნდა იყოს?

ცხადია, ბერძნულ-ელინისტური კულტურის გავლენა, ბრინჯაოს დამუშავებისა და რეწვის მეთოდის მსგავსება თვალშისაცემია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი შეიძლებოდა ადგილზეც დაემზადებინათ ადგილობრივ ოსტატებს უცხოური სტილის ზეგავლენითა და მიბაძვით? განა არ შეეძლოთ კოლხ ოსტატებს მსგავსი ქანდაკებების შექმნა ადგილზე, თუ ოქრომქანდაკებლობის ისეთ ბრწყინვალე ნიმუშებს ქმნიდნენ, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებათ? ვანში აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობათა მრავალრიცხოვნება და თავისებურებანი მათი ტექნიკური და მხატვრულ-სტილისტური ერთიანობა ხომ აშკარად მიუთითებს, ადგილობრივ პროფესიონალ ოქრომჭედელთა ძლიერი სკოლის არსებობაზე.

ახლა დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ძვ.წ.აღ VI-IV საუკუნეებში პირველ რიგში სწორედ ვანში არსებობდა პროფესიონალ ოქრომჭედელთა ძლიერი კერა, რომელიც ურთულესი ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით (კერვა, ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. გვაქვს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ ძვ.წ.აღ. VI-IV სს. მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლობის ცნობილი ცენტრების (აქამენიდური, ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ და სწორედ ამიტომ იბადება კითხვა: რატომ ვერ შეძლებდნენ კოლხები ბრინჯაოს ქანდაკებების შექმნას, თუნდაც ანტიკური სტილის რომაელი მიმბაძველებივით აქ, ადგილობრივ?

ნაქალაქარის მთელ ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი ბრინჯაოს ფრაგმენტია ფიქსირებული,

ამათგან კიდევ რამდენიმე ასეული სხვადასხვა ქანდაკებისაა, ანუ ნაწილი გაურკვეველი ფორმისაა, გამოდის რომ ქალაქში ათეულობით ქანდაკება მდგარა. აქედან, რამდენიმე სანტიმეტრიანი სკულპტურით დაწყებული, მონუმენტურ ქანდაკებამდე დამთავრებული.

მიუხედავად წერილის ფორმატისა, არაფრით არ შეიძლებოდა ყურადღების მიღმა დაგვეტოვებინა ვანის მონაპოვარის მნიშვნელოვანი ექსპონატი – გამარჯვების ქალღმერთი „ნიკე", ის 1968 წელს ცენტრალური ტერასის ე.წ. „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის" გათხრისას აღმოჩნდა. ფრთოსანი ქალღმერთი გამოსახულია მაღლა აწეული მკლავებით და ფრთებით, ერთი ფრთა ოდნავაა დაზიანებული, ერთი ფეხი წინ აქვს წამოწეული და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ქალღმერთი ეს-ესაა ოლიმპოს მთიდან დაეშვა. ქანდაკება 18 -სან. და დიონისეს წრის ღვთაებათა ნიღბებით შემკულ ბრინჯაოს ჭურჭელს აგვირგვინებდა.

ბრინჯაოს ნივთებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიუხვე მცირე ზომის სწორკუთხა, ზოგჯერ პოლიგონალური ბრინჯაოს თხელი ფირფიტებისა, ე.წ. ჩასართებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო ბრინჯაოს სხმული ქანდაკებების ზედაპირზე არსებული დეფექტების დასაფარავად. მათი აღმოჩენა უყოყმანოდ მიუთითებს დიდი მასშტაბის სკულპტურის არსებობაზე. პარალელურად ნაპოვნია ქანდაკების ფრაგმენტები, რომელთაც ზედაპირზე ფოსოები აქვთ ამოკვეთილი. ესაა გლუვფსკერიანი ოთკუთხა, ზოგჯერ მრავალკუთხა ბუდეები, რომლებიც ამოკვეთილია ქანდაკების ზედაპირზე იმ ადგილებში, სადაც ჰაერის ბუშტულებმა ჩამოსხმისას წარმოქმნეს ნახვრეტები, ანუ ე.წ. ნიჟარები. მათი დაფარვის მიზნით ხდებოდა ნიჟარების ნაპირების შემოჭრა და ფსკერის გაგლუვება, გაქლიბვა, რათა გამლღვალი ლითონი კარგად ჩამჯდარიყო მათში. შემდეგ ზედაპირის დამუშავების შედეგად, ეს ნაკერი შეუმჩნეველი ხდებოდა. თუ არა საგანგებო ძალით, ძნელია ამ ჩასართების ბუდეებიდან ამოყრა. ცხადია, ყველა ეს ქანდაკება ადგილზე დაიმტვრა, სწორედ ამით აიხსნება მათი ფრაგმენტულობა და ჩასართების თავმოყრა ერთ ადგილას. არსებობს სარგონის სასახლის რელიეფი, სადაც ასეთი სცენაა: – ასურიელები ბრინჯაოს დიდ ქანდაკებას ადგილზე ამსხვრევენ ცულებით. – ასე იქცეოდნენ ლითონის ძიების მიზნით, მიჰქონდათ ის როგორც ძვირფასი ნადავლი და მერე საკუთარი ქანდაკების, თუ საბრძოლო იარაღების ჩამოსასხმელად იყენებდნენ.

საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს ქანდაკების დამზადება ხდებოდა ვანშიც, ადგილობრივი ოსტატების მიერ, რომლებიც ბრწყინვალედ იყვნენ დაუფლებულნი ელინისტური ხანის ხელოვნების კანონებს და ლითონის ჩამოსხმის ტექნიკას. 1989 წელს, ვანში, ცენტრალურ ტერასაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში, გამოვლენილია ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები, წარმოდგენილი სამსხმელო ორმოთი და მასთან მიერთებული არხებით. საბერძნეთში არსად არ არის შემორჩენილი ლითონის სადნობი ქურა – ქურა ტიგელი ან ქურა – შახტა. (საბერძნეთში მიკვლეულია, ძირითადად, მხოლოდ სამსხმელო ორმოები.) როგორც ჩანს, იგი ძვ.წ.აღ მეორე საუკუნის დასასრულისას და პირველის დასაწყისში ფუნქციონირებდა. ესაა კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ოვალური ფორმის ორმო, რომლის კედლები მორგებულია ერთმანეთთან თიხით დაკავშირებული კრამიტის ნატეხებით. ორმოს ორივე მხარეს, გარეთ გამართულია არხები, როგორც ჩანს, ცვილისა და ბრინჯაოს თხევადი მასების გამოსასვლელად. ყალიბის ირგვლივ ცეცხლი ინთებოდა ცვილისა და ყოველგვარი სინოტივის გამოსაწვავად. სწორედ, სამსხმელო ორმოა ნაპოვნი ვანის სამსხმელო სახელოსნოს ნაშთებთან. მის ძირზეც ძლიერი ცეცხლის კვალია. ის წარმოადგენს თირში ამოკვეთილ ოვალურ ორმოს, საფეხურისებურად ჩაჭრილი და წაგრძელებული ფორმით.

ვანის სამსხმელო ორმოს ძირი ძლიერ დამწვარია, მის ცენტრში კი ქვის ფილა – ყალიბის ბაზისი დევს. სამხრეთის მხრიდან არხი უფრო დაბალია, ჩრდილოეთის მხრიდან კი ღრმა. სივრცე ორმოსა და არხს შორის ქვითაა ამოქოლილი. გარდა ქვის ბაზისისა, ორმოს შიგნით ჩარჩენილი იყო ყალიბების ფრაგმენტები.

ვანის სამსხმელო ორმოს მიმდებარე ფართობიდან ასევე ყალიბების ფრაგმენტები, უამრავი ბრინჯაოს შლაკი, ძაბრის – სასხამის ბრინჯაოს წვეთები – ე.წ. ნაღვენთები. ისინი ხშირად იჩენს თავს, სადაც ლითონია შეგროვებული ხელახალი გადადნობისთვის.

ძნელია იმის თქმა, თუ რა ტიპის ქანდაკებები იყო ჩამოსხმული ამ სამსხმელოში, მაგრამ

ყალიბისა და სახბამის მასშტაბის მიხედვით აქ დიდი სკულპტურა ჩამოისხმებოდა. სამსხმელო ორმოს ზომები ამის უფლებას გვაძლევს. ალბათ ამ სახელოსნოში უნდა შექმნილიყო ჭაბუკის ბრინჯაოს ტორსი, ამ მოსაზრებას განამტკიცებს ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის ნიშანიც, ესაა ბერძნულისთვის უჩვეულო შენადნობის შედგენილობა.

რაც შეეხება ვანის სკულპტურების ბერძნულ ხასიათს, ცნობილია, რომ ოსტატები და მოდელები ბერძნულ ცენტრებს ძლიერ დაშორებულ ქვეყნებში მოგზაურობდნენ და ასე ვრცელდებოდა კანონიკური მხატვრული სახეები ელინისტური სამყაროდან მოწყვეტილ რეგიონებში.

ზემოაღწერილი მონაცემები მოწმობს, რომ ანტიკური ხანის კოლხეთში და არა მარტო კოლხეთში კარგად იცნობდნენ ბრინჯაოს ღრუ ქანდაკების ჩამოსხმის ხელოვნებას და მისი დამუშავების ტექნოლოგიებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვანი VIII.
2. Отар лордткипанидзе „Наследие древней Грузии“
3. ე. გიგოლაშვილი, ვ. თოლორდავა, მ. ფირცხალავა, „ბრინჯაოს ქანდაკება და ბრინჯაოს ნარმოების ნაშთები ვანის ნაქალაქარზე.“
4. ოთ. ლორთქიფანიძე. „ვანი – „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი.“

გურამ ყიფიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლაბაჯაურის წმინდა გიორგი

ძეგლი დღემდე ნაკლებადაა ცნობილი. იგი ვანის რაიონში მდებარეობს, სულორის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირას, პატარა კლდოვან შემაღლებაზე. მდინარე ჰყოფს ეკლესიას ლაბაჯაურისაგან – სოფ. ისრითის წყლის პირას დასახლებული უბნისაგან. რაიონულ ცენტრს სოფელი 6 კმ-თაა დაშორებული. არავითარი ცნობა ძეგლის შესახებ წერილობით წყაროებში არ გვხვდება. მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა იგი XX საუკუნის დასაწყისში.[1] მოგვიანებით ძეგლი ინახულა ნინო ხოშტარიამ. მას შემდეგ ძეგლმა არსებითი ცვლილებები განიცადა.

ადგილობრივი მოსახლეობა მას „ლაბაჯაურის წმინდა გიორგის" უწოდებს. კვარცხლბეკად გამოყენებული კლდოვანი ბორცვი მოხერხებულად არის ნაპოვნი. ეკლესია შორიდანვე კარგად აღიქმება ყოველი მხრიდან. იგი ქვაყორისა და კირხსნარის ნაერთითაა ნაგები, მოპირკეთებულია ქვიშაქვის სქელი და არათანაბარი ზომის ფილებით. როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ნაკერების სწორხაზოვნება ხშირად ირღვევა. ეკლესიის გეგმა კვადრატს მიახლოვებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. იგი მარტივია, ცალნავიანი მცირე შენობაა, დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე, რომელიც ალაგ-ალაგ მიწითაა დაფარული. პროფილირებული, სადა კარნიზის ქვები ფასადებზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. შიგნიდან მას ჩვეულებრივი, ნახევარწრიული აფსიდი აქვს, ორსავე მხარეს მცირე, გეგმაში წრიული მოყვანილობის ნიშებით. მარტივი კაპიტელებით დაბოლოებული კედლის სვეტებითა და საბჯენი თაღით ნავი ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა, სამხრეთის სვეტი თითქმის აღარ არსებობს. იგი მოგვიანებით ნახევრამდე ამოუყვანიათ კირქვის ფილებით, ასე რომ კაპიტელი საყრდენის გარეშეა დარჩენილი.

ეკლესიას კარის ორი ღიობი აქვს, სამხრეთით და დასავლეთით. როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, დასავლეთის ღიობი მოგვიანებით გაუჭრიათ ფიცრული ეკვდერისათვის. მას ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. მოჩუქურთმებულია ორივე – აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმელთა საპირეები. 1961 წელს ძეგლზე ჩაუტარებიათ სარესტავრაციო სამუშაოები. თითქმის მთლიანად განუახლებიათ ჩრდილოეთის კედელი კირქვით. კირქვითაა შევსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებიც, ხოლო სამხრეთით ფასადის შუა ნაწილს შემორჩა მხოლოდ ქვიშაქვის ფილები.

შიგნიდან ეკლესია მოხატული ყოფილა. საღებავთა კვალი ალაგ-ალაგ დღესაც შეიმჩნევა; კამარა ნაწილობრივ მცენარეული საფარითაა დაფარული, საბურველი ჩვენამდე არ შემორჩენილა. ძეგლს არავითარი წარწერა არ აქვს. ნაგებობის გეგმა, რომელიც სწორკუთხედს წარმოადგენს მასში ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდით, საკმარისი არაა თაღის დასადგენად, მხოლოდ დეკორის საშუალებითაა შესაძლებელი მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ეკლესიის აგების დრო. ე. თაყაიშვილი ძეგლს, მისი მორთულობის კაბენისა და გუდარეხის მონასტრების ჩუქურთმებთან შედარების შედეგად ზოგადად XII-XIII სს. ათარიღებს.

პირვანდელ სახეს შედარებით უკეთ ინარჩუნებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადები თითქმის მთლიანადაა დაკარგული დასავლეთ სარკმლის შემკულობის ზედა, მარჯვენა ნახევარი. უშუალოდ სარკმლის ჭრილს საზღვრავს გრეხილი, რომელიც ქვედა ნახევარზე მარცხნიდან მარჯვნივ აღმა მიუყვება, ხოლო მეორე ნახევარზე იგი მარჯვნიდან მარცხნივ უვლის ლილვს მოჩუქურთმებულ საპირეს გარშემო უვლის თაღოვანი, ორმაგლილვიანი გლუვი ჩარჩო, რომელიც ქვემოთ ეშვება და შუა გზაზე წყდება სამმაგი კონით. მორთულობას

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907, გვ.19-20

ამთავრებს თავსართი. იგი სარკმლის თაღოვან ნაწილს ეყრდნობა. მის ჩუქურთმებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

აღმოსავლეთის სარკმელი პირველ სახეს ინარჩუნებს, თუ არ ჩავთვლით თავსართსა და იმპოსტებიდან გამქრალ ჩუქურთმებს ფანჯრის ჭრილს აქაც გრეხილი ლილვი საზღვრავს. საპირეც ორნამენტითაა შემკული. მას აქაც ორმაგი გლუვი ლილვი აჩარჩოებს, რის შემდეგაც სამმაგ ნახევარსვეტად ეშვება ქვემოთ და შემკული ფუძით ეყრდნობა სწორკუთხა კვარცხლბეკს, რომელიც თავის მხრივ ცოკოლზეა დაბჯენილი. თავსართი ეყრდნობა იმპოსტებს, საიდანაც ორივე მხარეს, თავსა და ბოლოში, ბურთულებით დასრულებული ორმაგი ლილვები ეშვება ბაზისებისაკენ. ბაზისი შემკულია რელიეფებით – კურდღლებზე ბრჭყალებჩავლებული არწივებით.

სამხრეთის შესასვლელის მარჯვნივ წყობაში შემორჩენილია კარის მორთულობის ფრაგმენტი მცენარეული ჩუქურთმებიანი გრძივი ფილის სახით ეს მოტივი, ლენტოვან წრეში ჩაწერილი ფოთოლი, საუკუნეთა მანძილზე მრავალი სახესხვაობით გვხვდება თითქმის ყველა სახის არქიტექტურული დეტალის მორთულობაში. შესაძლოა ამ ჩუქურთმასაც გულისხმობდა ე. თაყაიშვილი, როცა იგი კაბენისა და გუდარეხის მონასტრების მორთულობებს ადარებდა ამ ეკლესიის ჩუქურთმებს.[1] მსგავსი მოტივი კაბენში კარნიზის შემკობადაა გამოყენებული. ეს შესასვლელი, მსგავსად დასავლეთის ღიობისა, ბეტონის ფილებით იქნა გადახურული რესტავრაციის დროს. ნინო ხოშტარიას არქივში შემორჩენილ ფოტო-სურათზე, რომელიც რესტავრაციამდეა გადაღებული, სამხრეთის კარი თაღოვანი ჩანს.

დასავლეთ სარკმლის საპირედ გამოყენებულია წრე-რომბების წნულის „კლასიკური" სახე ქართულ ხუროთმოძღვრებაში X საუკუნიდან (ბედია) მოყოლებული XIV ს-მდე იგი თითქმის ყველგან კარ-ფარნჯრების საპირეებად გვხვდება (სავანე, ნიკორწმინდა, მანგლისი, ბეთანია, თიღვა, ახტალა, საფარა, იკორთა, ქვათახევი, სამთავრო, კაბენი, თირი, დაბა და სხვა), გვხვდება აგრეთვე XV საუკუნის არქიტექტურაში. ცნობილია ამ მოტივის გართულებული ან გამარტივებული სახეობანიც. წრე-რომბების წნულის ეს სახე რომბებისა და წრეების ისეთი თანმიმდევრობისგან შედგება, როცა ეს ფიგურები ერთმანეთშია ჩახლართული ისე, რომ წრე წრეს უკავშირდება ნასკვით, რომბი კი რომბს ჯაჭვისებური ჭდობით. ამასთანავე წრეცა და რომბიც ნასკვებითვე უკავშირდება პარალელურ არშიებს, რომლებიც მთელს გაყოლებაზე საზღვრავენ ამ ფიგურებისგან შედგენილ წნულს.[2] განსხვავებით იმ ადრეული ძეგლებისგან, სადაც ეს მოტივია გამოყენებული (ბედია, ნიკორწმინდა, სავანე), აქ იგი რამდენადმე სქემატურია, ნახატიც შედარებით დაუხვეწავია, ხოლო თაღოვან ნაწილებში რომბების წვეროები მომრგვალებულია. ასეთივე სურათია XIV ს. დათარიღებული დაბის აღმოსავლეთ ფასადის სარკმელზე. ეს მორთულობა კი ჩასმულია გლუვი ნახევარსვეტების კონაში. სარკმლის ამგვარი გაფორმების გარკვეული სახესხვაობით არის აგებული XII ს. ბოლოსა და XIII ს. მრავალი ძეგლის ფანჯარა. მათ საერთო ნიშანი ჩარჩოდან ნახევარსვეტთა კონების დაშვებაა ქვემოთ, რომლებიც ან შუა გზაზე წყდებიან, ან სწორკუთხა ბაზამდე ეშვებიან. ეს მოტივი საუკუნეთა მანძილზე თითქმის უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მოჩარჩოების დამუშავება. ადრეულ ძეგლებში სარკმლის ქვედა კუთხეებში მოჩუქურთმებული სწორკუთხედებია გამოყოფილი. ასევე სწორკუთხედებს ეყრდნობა თაღოვანი ნაწილიც (მაღალაანთ ეკლესია), თვით ლილვებიც მდიდრულადაა შემკული გრეხილებით. მოგვიანებით ხდება ამ მოტივის განტვირთვა სხვადასხვა მორთულობისგან, ქრება ქვემო კუთხეების ოთხკუთხედები (დმანისის კარიბჭე), ქრება გრეხილებიც ლილვებზე, ხოლო XIII ს. პირველი მეოთხედით დათარიღებული ახტალის მცირე ეკლესიაში სარკმელი ყველა სხვა ელემენტისგან განტვირთულია და მხოლოდ გლუვი ნახევარსვეტთა კონის საყრდენი – მოჩუქურთმებული კვარცხლბეკია გამოყოფილი.[3] ასეთივე სურათია სათხის სამხრეთ მინაშენის აღმოსავლეთ სარკმელზე, თირის სამხრეთ ფასადზე და სხვა.

---

1. იქვე, გვ 19
2 ვ. ბერიძე, სავანე. ქართული ხელოვნება, 1. თბ., 1942, გვ.115
3 ვ. დოლიძე, სახით ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ხელოვნება, 7, თბ., 1971, გვ. 155

განსახილველ ძეგლზე დასავლეთის სარკმელი ძლიერაა დაზიანებული. ფანჯრის ჩარჩოებიდან ქვემოთ დაშვებული და შუა გზაზე შეწყვეტილი ნახევარსვეტთა კონის თავდაპირველ მდგომარეობად მიღება საეჭვოა, მოგვიანებით გაჭრილ კარის ღიობსაც შეეძლო ის შუა გზაზე გაეწყვიტა.

აღმოსავლეთის სარკმლის აგებულებისათვის ჩვენ ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ. როგორც აღვნიშნეთ, ნახევარსვეტთა კონაზე „შესმულ" სარკმელს აჩარჩოებს ბაზისებზე დაყრდნობილი ორმაგი ლილვები და იმპოსტებზე დაბჯენილი თავსართი. ფანჯრების მორთულობის ამგვარი მოტივები მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ადრეულ ძეგლებზე გვხვდება, იმ განსხვავებით, რომ ეს მორთულობა უშუალოდ საპირეს ან სარკმლის ჭრილს ერტყმის სამი მხრით გარს.[1] აქ ლილვები თავისუფალია გრეხილებისგან, რომელიც ტაოკლარჯეთის ადრეული ძეგლების აუცილებელი კომპონენტია. თავსართი მოკლებულია მხრებს, ქვემოთ არშიად გაყოლებული აქვს გრეხილი ლილვი ზუსტი ანალოგია ვერ მოვუძებნეთ, აგრეთვე, აღმოსავლეთ სარკმლის საპირის ორნამენტს, თუმც აქ არაა არცერთი უცხო ელემენტი. ეს ჩუქურთმა წამოადგენს წრეების, სწორკუთხა ორი რიგისა და სამმაგი კვანძებისაგან შედგენილ ნნულს, წრეები სამმაგი კვანძებით იკვრება ერთმანეთთან და ამავე ელემენტებით უკავშირდებიან ისინი ნნულის მსაზღვრავ პარალელურ არშიებს. თითოეული სწორკუთხედი გრძელი ფუძით საპირის ცენტრში ებჯინება მის მოპირდაპირე სწორკუთხედს. ამ ორნამენტის ერთმანეთზე მიბმული წრეების რიგი შეიძლება დაიშალოს ორი სახის თავისთავში ჩაკეტილ ფიგურულ ლენტად. პირველი რიგით ვერტიკალურ რიგში იქმნება წრეთა ზედა და ქვედა მეოთხედები, ხოლო მეორე ფიგურით – გვერდითი, მართკუთხედები ქმნიან ნნულის მსაზღვრავი არშიებიდან გამომავალი ლენტებისაგან, რომლებიც წრეთა ცენტრში ტყდებიან მართი კუთხით და კვლავ არშიას უბრუნდებიან. შიდა მსაზღვრავი არშიის კუთხეებში კვანძების ხლართვა ვერაა სრულყოფილი. განსაკუთრებით, თვალში საცემია მარჯვენა კუთხეში კვანძების ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ქაოტური გროვა. მიახლოებით ანალოგს ვხვდებით ხობის XIV-XV სს. დათარიღებული ძეგლის დასავლეთ კარიბჭის კამარის სამხრეთ-აღმოსავლეთ თაღზე, იქ უარყოფილია კვანძები და გარდა ამისა, წრეებიც ორ რიგად არის დაწყვილებული, რომლებსაც ერთმანეთთან გვერდებზე სწორკუთხედები აკავშირებს, შუაში კი კვადრატი. მეორე შემთხვევაში სწორკუთხედების მაგივრად სამკუთხედები იხლართება წრეში და ფუძეებით ებჯინება ერთმანეთს, ამ მოტივის სამივე სახესხვაობაში წრის შუაგულში ჯვარი წარმოიშვება. განსახილველ ძეგლზე ოსტატი ვერ აგრძელებს ამ ჩუქურთმას თაღოვან ნაწილში და აქ, იყენებს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ორნამენტულ მოტივს – ერთმანეთზე გადაჭდობილ წრეთა ორ უწყვეტ ჯაჭვს. ეს მოტივი პირველად XI ს. ჩნდება და XVIII. ჩათვლით,[2] უმეტეს შემთხვევაში, კარ-ფანჯრების საპირეების მორთულობად გვხვდება. აქ, ეს ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ჩუქურთმა ორმაგი კვანძებითაა გადაბმული. ამგვარი დეკორაციული ხერხი, ერთი მოჩარჩოების საზღვრებში რამდენიმე ორნამენტული მოტივის გამოყენება ქართულ ხუროთმოძღვრებაში XIII ს. ვრცელდება და თანდათანობით იკიდებს ფეხს XIV ს. ძეგლებში (საფარა, დაბა,).[3]

ნახევარსვეტთა კონის სწორკუთხა პედესტალზე დაყრდნობილი ფუძე შემკულია „კონებით," რომლებიც ლილვების რელიეფს მიჰყვება, ხოლო ნნულით შემკული სარტყელი გაჭიმულია. „კონებს" და „სარტყელს" შორის არსებულ მცირე მონაკვეთებზე თითოეული ლილვი ჰორიზონტალურად, სამ ვიწრო ზოლად არის დანაწევრებული. ბურთულები სფერული მოყვანი-

1. გამონაკლის ვხვდებით ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონში, ეხვევის ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ტაძრის ფასადებზე. ამ ტაძრის მორთულობათა სიახლოვე ტაო-კლარჯეთის ძეგლებთან დადგენილი აქვს ვ. ბერიძეს (ვ. ბერიძე, ეხვევის ტაძარი „დედა ღვთისა", ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942)

2 პ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბ.მ, 1956, გვ.74

3 Р. Шмерлинг, Постройка Моларет-Ухцеса царця Георгия Блистателъного в сел. Даба Боржомского района, ქართული ხელოვნება, 2 თბ., გვ. 122

ლობისაა. ზომოთ მათ რელიეფს მიმყოლი ზონარი საზღვრავს, ქვემოთ კი – გაჭიმული ორსაფეხურა სარტყელი. კვარცხლბეკი ოდნავ წაგრძელებულია სიმაღლეში. მას ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი ორნამენტის სრულად წამოდგენის საშუალებას იძლევა მისი მორთულობა წარმოადგენს თავისთავში ჩაკეტილ უწყვეტ ლენტს, რომელიც ერთმანეთზე გადაჭდობილ ოთხ ნახევარწრეს ქმნის.

მასში ჩახლართულია კუთხით დაყურსული კვადრატი, რომელიც ასევე უწყვეტი ლენტითაა შესრულებული. კუთხეებში გვერდები სცილდება მათი გადაკვეთის წერტილებს, ებჯინება ჩარჩოს, წრიული მოხაზულობით უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის ერთგვარ ტეხილ კვანძებს. მსგავსი მოტივები ადრეულ ძეგლებზე მხოლოდ წრიული მოყვანილობის ელემენტებისაგან არის შესრულებული. მოგვიანებით ვრცელდება წრიულ ნაწილებში სწორხაზოვანი და კუთხური ფიგურების შერწყმა.[1] მიახლოებით ანალოგიას ჩვენ ზარზმის ტაძრის დასავლეთის ფასადის მარცხენა სარკმლის ქვედა კუთხეების კვადრატებზე ვპოულობთ. იქ ეს ჩუქურთმა გაცილებით უფრო სრულყოფილია. კვადრატი შექმნილია ოთხი სამკუთხედის ერთმანეთში ჩაწვნით. ამავე დროს სამკუთხედთა გვერდები წარმოადგენს ამ წნულის ჩარჩოს, აქ კი წნული არაფრით არ უკავშირდება ჩარჩოს, თვით ჩარჩოც დანაწევრებულია და თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს მორთულობაში.

ორნამენტული წნულის შემადგენელი ლენტები ორივე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სარკმელთა საპირეებზე ორი ღარითაა დანაწევრებული, ხოლო ცოკოლს დაბჯენილ კვარცხლბეკზე ლენტები რამდენადმე ფართოა და სამად დაღარული. ორნამენტის კვეთა არსად არაა ღრმა. ზოგ შემთხვევაში კი („კანათა“ შემკრავი გრეხილი სარტყელი) იგი ნაკაწრის დონეზეა შესრულებული.

როგორც აღვნიშნეთ, თავსართისა და იმპოსტების მორთულობა (გარდა გრეხილისა) გამქრალია ქვის დაშლის შედეგად. იმპოსტებისა და ბაზისების დამაკავშირებელი ორმაგი ლილვები თავსა და ბოლოში სფერული ბურთულების გარდა კიდევ რა ელემენტებს შეიცავდა, გაურკვეველია.

ორივე ბაზისზე ერთი და იგივე გამოსახულებაა – ფრთებგაშლილ არწივს, en face ბრწყალებით უპყრია კურდღელი. არწივის თავი ორივე რელიეფიდან გამქრალია, ხოლო მარცხენა ბაზისზე კურდღელი ჯერ კიდევ გაირჩევა. ეს სიუჟეტი, როგორც ცნობილია, პირველად ხახულის ტაძრის სამხრეთ ფასადზე ჩნდება X საუკუნეში.[2] მოგვიანებით იგი ჩნდება ბაგრატის ტაძარშიც და სვეტიცხოველზეც, თუმც, მაინც მსგავსი სიუჟეტები სამხრეთ საქართველოს ძეგლებისთვის უფროა დამახასიათებელი (იშკი, საფარა). ორივე გამოსახულება აქ საკმაოდ რელიეფურია. ფრინველის ტანი დაუნაწევრებელია, ფრთები მათი მოხაზულობის მიხედვითაა დაღარული და შემდეგ გარდიგარდმო დაყოფილი. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ორნამენტი და რელიეფები სხვადასხვა ოსტატის მიერაა შექმნილი. ინტერესს იწვევს ამ სიუჟეტის ასე უხვად გამოყენება ამ პატარა, ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებზე.

სარკმლის შესამკობად ოსტატი უხვად იყენებს სამხრეთ საქართველოში ადრე შექმნილ და შემდეგ გამარტივებულ ფორმებს, ამავე დროს იგი აშკარად სესხულობს ორნამენტის სახეებს ხობის ძეგლიდან და თავისებურად ართულებს მათ; იყენებს ნახევარსვეტთა კონაზე სარკმლის „შესმის“ საბოლოოდ გამარტივებულ სახეს და ყველა ამ ელემენტთა თავისებური შერწყმის შედეგად ღებულობს ხელოვნურად გართულებულსა და ჩვენი აზრით, სარკმლის აგების საკმაოდ დამძიმებულ სახეს.

ვფიქრობ, რომ ძეგლის აგების დრო შეიძლება ზოგადად XIV ს. დასასრულითა და XV ს. დასაწყისით შემოისაზღვროს.

---

1. პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77
2. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოზღვრება, თბ. 1955, გვ. 86

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
პროფესორი

თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია

მიუხედავად თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სიმრავლისა (სამწუხაროდ, სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია), ეთნიკური წარმომავლობით ჩვენს თანამემამულე იქაურ მწერლებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ლიტერატურულად ფასეული ქართულ ენაზე ძალზე ცოტა რამ თუ შეუქმნიათ. ეს გულსატკენი მოვლენა უპირველეს ყოვლისა ორმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა განაპირობა არსებითად.

პირველი იმან, რომ თურქეთელ ქართველთა უმრავლესობამ არათუ სასურველ დონეზე, არამედ სუსტადაც კი არ იცოდა და არც დღეს იცის წინაპართა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა; და მეორე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე თურქეთელ და აქაურ ქართველობას შორის კავშირ-ურთიერთობის არარსებობის გამო თურქეთში მოღვაწე ქართულენოვანი მწერალი (თუკი ასეთი იქნებოდა) არაითუ ამ ქვეყანაში, არამედ მის ისტორიულ სამშობლოშიც კი ვერ შეძლებდა მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას.

თუმცა, ობიექტურად არსებულ ამ სირთულეთა მიუხედავად, ჩვენი თანამემამულე თურქეთელი სახალხო მთქმელებისა და მწერლების მიერ ქართულ ენაზე მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის ცალკეულ მცდელობებს სხვადასხვა დროს მაინც ჰქონდა მეტ-ნაკლებად წარმატებული ადგილი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ სიტყვას შეჭიდებულ იმ ავტორებს მიუძღვით, რომლებიც XIX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ მესამედში მუჰაჯირობის შედეგად გადასახლდნენ ოსმალეთში.

საბედნიეროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოსა და თურქეთს შორის მკვეთრად გაუმჯობესებულ ურთიერთობათა შედეგად ვითარება არსებითად იცვლება და თურქეთელ ქართველთა ეროვნული ცნობიერება აღმავლობის თვისებრივად ახალ სტადიაში შედის.

პირველ ყოვლისა, სწორედ, ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ეთნიკურად ქართული წარმომავლობის თურქეთელი მწერლები უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მათი ისტორიული სამშობლოსადმი და არა მარტო წინაპართა ენის სრულფასოვნად შესწავლისადმი ავლენენ დაუცხრომელ სწრაფვას, არამედ თავიანთი ნააზრევის გამოხატვასაც ცდილობენ ხოლმე ამ ენაზე.

თურქეთში შექმნილი ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედება თავდაპირველად ფოლკლორული ნიმუშებით შემოიფარგლებოდა და იმ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს მოიცავდა, რომლებიც იქ მცხოვრებმა ჩვენებურებმა შექმნეს სხვადასხვა დროს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ამ ტექსტების ჩაწერა ძალზე იშვიათად ხდებოდა, მათი უმეტესობა დღესდღეობით დაკარგულია და ჩვენამდე მათ მიერ შექმნილი ფოლკლორული შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილია მოღწეული.

ჩვენებურების ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედების ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომა და ამ თვალსაზრისით იქაურ სახალხო მთქმელთა და მხატვრულ სიტყვას შეჭიდებულ ავტორთა რამდენადმე გააქტიურება უკვე მუჰაჯირობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად თურქეთში გახიზნული ის ქართველები, რომელნიც შემოქმედებითი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული, თავიანთ ნოსტალგიურ გრძნობებს ქართულ ენაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი (იშვიათად წერილობითი) ფორმით შექმნილი მხატვრული ტექსტებით გამოხატავდნენ.

სამწუხაროდ, თურქეთელ ქართველთა მიერ შექმნილი ფოლკლორული ტექსტების უმეტესობა, იმის გამო, რომ მათი ჩაწერა თავის დროზე არავის უცდია, დღესდღეობით კი ისინი უკვე აღარავის ახსოვს, სამუდამოდ დაკარგულია, არც ტექსტების შემქმნელთა და გამავრცელებელთა სახელებია ცნობილი, გარდა რამდენიმე მათგანისა.

იქიდან გამომდინარე, რომ ‘ნოგადქართული და ჩვენებურების ფოლკლორული შემოქმედების ბევრ ნიმუშს შორის აშკარად ხელშესახები ტექსტოლოგიური მსგავსებანი არსებობს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი დიდი ნაწილი იქაურ ქართველებში საქართველოდან თურქეთში გადასვეწილმა მუჰაჯირებმა გაავრცელეს. მართალია, ზეპირსიტყვიერი ფორმით მოარულმა ამ ტექსტებმა დროთა განმავლობაში შინაარსობრივადაც და ენობრივ-მხატვრული თვალსაზრისითაც გარკვეული ცვლილებები განიცადეს, მაგრამ მათი უმეტესობა შესაბამის ფოლკლორულ პირველწყაროებს არსებითად მაინც არ დაშორებია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მუჰაჯირთა შორის სახალხო მთქმელებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც თურქეთში არა მარტო საქართველოში, მათ მიერ შექმნილ ფოლკლორულ ტექსტებს ავრცელებდნენ, არამედ ქართული ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებსაც.

ქართულ ფოლკლორთან თურქეთელ ქართველთა ზეპირსიტყვიერების სიახლოვის განმაპირობებელ ფაქტორებზე საუბრის დროს აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები მათ ისტორიულ სამშობლოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყვნენ მოწყვეტილები, გასული საუკუნის 30-იან წლებამდე აქაური და იქაური ქართველები ერთმანეთთან დაკავშირებას მაინც ახერხებდნენ. ეს გარემოება კი, ჩემის აზრით ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ ქართული ფოლკლორის ამ ორი ნაკადის ერთმანეთთან დაახლოების ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ფაქტორად.

როგორც ითქვა, ჩვენებურების ზეპირსიტყვიერი შემოქმედების დიდ ნაწილთან ერთად, დროის მდინარებამ იმ სახალხო მთქმელთა სახელებიც წარეცხა უკვალოდ, რომლებიც თურქეთში ქართული ხალხური სიტყვიერების შექმნის პროცესის უშუალო მონაწილენი იყვნენ. მათგან დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე მათგანის სახელიღაა ცნობილი. ამ მოლექსეთაგან ამჯერად ორი პიროვნება მინდა გავიხსენო – თურქეთში გადასვეწილი სახალხო მთქმელები: რეჯებ მჟავანაძე და შირინ შარაშიძე.

აჭარაში თავიანთი პოეტური ქმნილებებითაც და მეამბოხე ცხოვრებითაც კარგად ცნობილ ამ პიროვნებათა შემოქმედების ჩვენთვის ცნობილი ნიმუშების უმეტესობა, მართალია, სამშობლოში მათი ცხოვრების დროსაა შექმნილი, მაგრამ ამ ტექსტებმა თურქეთელ ქართველებშიც ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ისინი არა მარტო ზეპირი ფორმით გადაეცემოდა თაობიდა თაობას, არამედ ქართული წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ჩვენებურები ზოგიერთ მათგანს ოსმალური ანბანით ჩაწერილი სახითაც ავრცელებდნენ ერთმანეთში.

როგორც ემენ დავითაძის მიერ თურქეთში რეჯებ მჟავანაძის (1873-1929 წწ.) ცხოვრებასთან დაკავშირებით მოძიებული მასალებით ირკვევა, ქართული ხალხური პოეზიის ეს ნიჭიერი ოსტატი მუჰაჯირად თურქეთში გადასვეწის დროსაც ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას (ამასთან დაკავშირებით იხ: აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგია, ე. დავითაძის რედაქციით. გამომცემელი მ. ხარაზი, ბათუმი, 1993 წ. გვ. 69-84)

შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში დაბადებულ რ. მჟავანაძეს მეზობელ სოფელ ჭვანის მედრესეში მუსლიმანური განათლების მიღების შემდეგ სასულიერო სამსახური დაუწყია და მალე ხოჯაც გამხდარა, მაგრამ ხალხში ფართო პოპულარობა ღვთისმსახურებაზე მეტად თავისი ლექსებით მოუპოვებია. რ. მჟავანაძის პოეტური შემოქმედებით ხალხის ამგვარი დაინტერესების უმთავრეს საფუძველს პირველ ყოვლისა ის გარემოება წარმოადგენდა, რომ ავტორის მიერ შეთხზულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ადვილად აღსაქმელი ფორმით იყო წარმოსახული იმჟამინდელი ცხოვრებისეული უსამართლობანი და მათ წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირები.

ცხოვრებისეულ უსამართლობათა მამხილებელი თავისი ლექსებით რ. მჟავანაძემ ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გაილაშქრა იმ სოციალური და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ატარებდა ოსმალთა ბატონობისაგან ახლად. განთავისუ-

ფლებულ „სამუსლიმანო საქართველოში." ხალხში ანტისახელისუფლებო სულისკვეთების კიდევ უფრო მეტად გასამძაფრებლად რ. მჟავანაძის პოეტურ ქმნილებებში ამ პოლიტიკის მანკიერ მხარეთა წარმოჩენასაც აქვს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება.

რ. მჟავანაძის ამგვარ ანტისახელისუფლებო გამოხდომებს ის შედეგი მოჰყვა, რომ ხელისუფლებამ მისი შეპყრობის ბრძანება გასცა. სასჯელისაგან თავის დასსნის მიზნით რ. მჟავანაძე იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. მუჰაჯირობის მწარე ხვედრი გაეზიარებინა, თურქეთს შეხიზვნოდა და თავი ჯერ ართვინისთვის, შავშეთისა და იმერხევისათვის შეეფარებინა, შემდეგ კი ქალაქ ედრემითში დასახლებულიყო. თურქეთში დამკვიდრებულ რეჯებს, იქაური წესის შესაბამისად, გვარ-სახელი ოსმალურ ყაიდაზე გადაუკეთებია და ჯერ ალემდარ-ზადე დაურქმევია, შემდეგ კი ალემდარ-ოღლუ.

რ. მჟავანაძეს თურქეთში ცხოვრების დროსაც გაუგრძელებია აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა. მისი პოეტური ტექსტები იქაურ ქართველებში იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ქართული წერა-კითხვის უცოდინარი ქართველები მათ ცალკეულ ნიმუშებს ოსმალური ანბანითაც იწერდნენ და ასე ავრცელებდნენ ერთმანეთში. მართალია, მუჰაჯირობის პერიოდში დაწერილი რეჯების ლექსების დიდი ნაწილი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ტექსტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ რ. მჟავანაძის პოეზიაში კვლავაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო სულისკვეთების გამოხატვას, რის გამოც იგი ვერც ოსმალეთში გადაურჩა ხელისუფლებისაგან დევნასა და შევიწროებას.

დაბეჯითებით იმის თქმა, რ. მჟავანაძის შემოქმედებიდან ოსმალეთში ცხოვრების პერიოდში რომელი ლექსები უნდა იყოს დაწერილი, სათანადო არგუმენტების არარსებობის გამო შეუძლებელია. ერთადერთი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ამ საკითხის გარკვევა შეიძლება ვცადოთ, მათი შინაარსია. თუმცა ავტორის შემოქმედებაში ვერც ამ თვალსაზრისით ვხედავთ რაიმე არსებით ცვლილებას – თავისი სახალხო ლექსებით რ. მჟავანაძე მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ნაღვლიანი პოეტური ჰანგებით გოდებდა ცხოვრების ამაოებასა და ბედისწერის ულმობლობაზე და მის თანამემამულეებს რელიგიური დიდაქტიკით შთააგონებდა, რომ ადამიანის სულის ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი გზა ღვთის რწმენა და მსახურება იყო.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვრცელი მოცულობის ლექსი „ყიამეთის დესტანი" (აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგია, 1993წ. გვ.96), რომელშიც ყველაზე მეტად გამოვლინდა ავტორის რელიგიური თვალთახედვის არსი და წუთისოფლის ნარმავლობისა და ცხოვრების ამაოების მისეული შეფასებანი. მაგალითად:

ოჲ ყიამეთი ახლოს არი, იცვლება დრო, ზამანები (ჟამი-ა.ნ.),
ვინც რომ ვართ მუსლიმანები, ღმერთსა შევთხოვოთ იმანები (წყალობანი – ა.ნ.)
სუყველ დღეს ომრი (სიცოცხლე, წუთისოფელი – ა.ნ.) მიგვიდის,
გვაქ სიცოცხლის გუმანები,
აბუდლებულო ინსანო (მოტყუებულო ადამიანო – ა.ნ.),
აჯაფ (ნეტავ – ა.ნ.) რას ეპრუალები (აპირებ – ა.ნ.).

რელიგიური დიდაქტიკით გაჟღენთილ ამ ლექსში ავტორი თანამოძმეებს კიდევ ერთხელ არწმუნებს იმაში,რომ მათ ღმერთს ყოველდღიურად უნდა შესწირონ მადლობა მათი მუსლიმანობის გამო: „მადლობა ღმერთს მოვახსენოთ, მუსლიმანი რომ გაქ ჯული." ლექსის შექმნის უმთავრესი მიზანი მკითხველის იმაში დარწმუნება იყო, რომ ამ „ტყვილ დუნიაში" (ეს მეტაფორული გამოთქმა ხშირად მეორდება ჩვენებურების პოეტურ ზეპირსიტყვიერებაში) სიკვდილს ვერავინ გადაურჩება – „ვერც თათარი, ვერც ქართველი, ვერცა გუბერნატორები, ვერც ავროფა (ევროპა – ა.ნ.) გადარჩება, ქვეყნის იმფირატორები". ავტორის შეგონებით ადამიანის სულის ხსნისა და სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვედრის ერთადერთი გზა ამქვეყნად მხოლოდ კეთილ საქმეთა ქმნაა. რ. მჟავანაძის ხაზგასმით, ის ზნეობრივ-რელიგიური პრინციპები, რომელთა დაცვასა და ერთგულებას იგი მის მოძმეებს თავისი დიდაქტიკური ნაწარმოებით უქადაგებს, მას ყურანიდან გადმოუტანია და გაულექსავს ქართულად:

აჲ ქართულზე გამევყვანე ნესიხეთი არაბული,
ქითაბიდან (ყურანიდან – ა.ნ.) ამოვწერე, ღმერთო, მიყავი ყაბული.

შინაარსობრივადაც და ტექსტუალური თვალსაზრისითაც რ. მუავანაძის „ყიამეთის დესტანი" თითქმის ზუსტად ემთხვევა, ანდა უმნიშვნელო სახეცვლილებებით იმეორებს თურქეთელ ქართველებში ფართოდ პოპულარულ „გურჯულ ვაიზს." სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე ამჯერად იმის დაბეჯითებით თქმა, ამ ორი პოეტური ტექსტიდან პირველად რომელია შექმნილი – რ. მუავანაძის ზემოთ განხილული ლექსი, თუ „გურჯული ვაიზი" შეუძლებელია.

„გურჯულ ვაიზსა" და „ყიამეთის დესტანს" შორის არსებულ აზრობრივ და ტექსტოლოგიურ მსგავსებას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც მინდა მივაქციო, რომ ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, „გურჯული ვაიზის" თავდაპირველი ვარიანტი რ. მუავანაძის მიერ უნდა იყოს დაწერილი. მაგალითად, აი რას წერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თინა შიოშვილი: „ის გარემოება, რომ ვაიზის გავრცელების არეალი მოიცავს აჭარასა და დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ ტერიტორიებს და აგრეთვე – მუჰაჯირ ქართველობას, გვაფიქრებინებს, რომ ამ ვაიზის ავტორიც რეჯებ მუავანაძეა" (შავშეთი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორთა ჯგუფის გამოცემა, თბ. 2011 წ. გვ.182)

ოსმალეთში იძულებით გადახვეწილ ქართველ სახალხო მთქმელთაგან ასევე უნდა გავიხსენოთ ჭვანელი (შუახევის რაიონი) შირინ შარაშიძე-ვოდელიოღლიც (დაბადებული უნდა იყოს 1875-1880 წლებს შორის). დედასამშობლოსთან აჭარის რეგიონის შემოერთების შემდეგ რუს მოხელეთა ძალადობისა და ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლის გამო იგი იძულებული გახდა ჯერ მშობლიურ მხარეში გავარდნილიყო ყაჩაღად, შემდეგ კი სამშობლოდან გადახვეწილიყო და სიცოცხლის ბოლო წლები ოსმალეთში გაეტარებინა.

შ. შარაშიძის ხალხური პოეზიის პოპულარობა იმით იყო განპირობებული, რომ მათში უმთავრესი ყურადღება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი კაცის მისწრაფებანია გამოხატული. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად „ვოდელიოღლის ლექსი" გამოირჩევა, რომელსაც აშკარად ეტყობა „არსენას ლექსის" პოეტური ზეგავლენის კვალი. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს შ. შარაშიძის ხსენებული ლექსიდან (აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგია, 1993 წ. გვ.135)

ფირალობა დამიმტკიცეს, ვეღარ ვქენი სახლში რჩენა,
სამა-სიმღერა მიყვარდა, ქოშიებში შამოფრენა,
ნაჩალნიკები მტერი მყავს, იგინია იმფო ფენა,
თოფის სროლას რომ დავიწყეფ, ჩაუვარდებიან ენა.
...შვიდი ნაჩალნიკი მეძებს, საქმე ჩამივარდა სუდში,
საღლამი ვერ ჩავბარდები, გამაგზავნიან სიბირში.

შ. შარაშიძის პოეტური შემოქმედების პოპულარობაზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1940 წელს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დროს ნ. მარს „ვოდელიოღლის ლექსის" იმერხეული ვარიანტებიც ჩაუწერია, რომლებშიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ამ სახალხო გმირის ფირალობის დროინდელი ყოფა ახალი დეტალებით გამდიდრებული ფორმითაა წარმოსახული. ნ. მარის ინფორმაციით, ხსენებულ ვარიანტთა მთქმელებს კარგად სცოდნიათ, რომ ნაწარმოების ძირითადი ტექსტის ავტორი შირინ ოდელიოღლი იყო და იმერხევში ეს „სიმღერა საქართველოდან მოვიდა" (მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, რუსულიდან თარგმნა რევაზ დიასამიძემ, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო პროფესორმა მამია ფაღავამ, ბათუმი, 2012წ. გვ.185). იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ხსენებული ნაწარმოების იმერხეულ ვარიანტებზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს ერთ-ერთი მათგანიდან:

მე საწყალმა ვისა უთხრა ჩემი გულისა დერდები?
ღამით გზაზე სიარულში ბევრჯელაც-და გავგორდები.
ღალატობა რომ შამოვდა, ვერა კაცს ვერა ვენდობი,

ველარ შევალ ვერა სახში: დილა-საღამ ვზივარ ტყეში...
რა უბედური მე დევბადე, ვერ ვუყურე სოფლებსაო.
რა საცოდავად მე დავრჩი, ველარ მიველ ჯამი (მეჩეთი - ა. ნ.). კარსა.
ფირალად რო გამოველი, არ ვიყავი ოცი წლისა,
სოფელი მტერი გამიხდა: მიზებნიან სამყოფნელსა.

უმთავრესი თავისებურება, რითაც თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების პოეტური შემოქმედება ხასიათდება, იმაში მდგომარეობს, რომ დღესდღეობით ცნობილი და ხელმისაწვდომი მათი ლექსების უმეტესობა სასიმღეროდ გამიზნულ ტექსტებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მათში დიდი ადგილი აქვს დათმობილი განმეორებად მისამღერებს, რეფრენად ქცეულ სტრიქონებსა და მუსიკალური ჟღერადობის გამაძლიერებელ ისეთ რიტმულ სიტყვებსა და შეძახილებს, რომელთა ნაწილი აზრობრივ დატვირთვასაც კია მოკლებული.

აღნიშნულმა გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩვენებურების ზეპირპოეტური სასიმღერო ტექსტების უმრავლესობა შინაარსობრივად მსუბუქია და ზოგადქართული ხალხური პოეზიის ფართოდ ცნობილი შედევრებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ აზრობრივ სიღრმეებსა და ცხოვრებისეულ მოვლენათა პოეტურ-ფილოსოფიური თვალთახედვით განსჯა-შეფასებებს მოკლებული.

ყოველივე ზემოდ თქმულთან ერთად, აქვე ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებურების ზეპირპოეტური შემოქმედება ვერც სიტყვიერი ოსტატობით შეედრება ზოგადქართული ხალხური პოეზიის ცნობილ ნიმუშებს.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენი თურქეთელი მოძმეების მიერ შექმნილი ამ შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული ყურადღება თუნდაც ორი უმთავრესი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გამოვიჩინოთ:

პირველი, იმის გამო, რომ მასში თავისებური ფორმით წარმოჩინდა ჩვენებურების ცხოვრებისეული თვალთახედვის ცალკეული მხარეები და ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული მოვლენები, და მეორე, ამგვარი ყურადღების გამოვლენა რეალურად შეუწყობს ხელს მათ ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების შემდგომ გამტკიცებასა და ქართულ ენოვანი შემოქმედებითი პროცესის გაძლიერებას.

ჩვენებურების ზეპირპოეტური შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად „გურჯულ ვაიზში" (სწავლა დარიგებაში) გამოვლინდა. საკმაოდ ვრცელი მოცულობის ეს პოეტური ტექსტი, რომელიც ჟანრობრივი თვალსაზრისით ლირიკულ პოემადაც შეიძლება მივიჩნოთ, მუსლიმან ქართველებში იმდენად პოპულარული იყო, რომ მისი რამდენიმე ვარიანტია შექმნილი. მათგან ორი შუშანა ფუტკარაძემ ჩაინერა და გამოაქვეყნა თავის „ჩვენებურების ქართულში" (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993 წელი, გვერდი 271-275; 354-358), მესამე – ოთარ ფუტკარაძემ (ჩვენებურების სიმღერა, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ფოლკლორის ნიმუშები, შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ო. ფუტკარაძემ, ბათუმი 1991 წელი გვ. 37-42), მეოთხე და მეხუთე კი მამია ფაღავამ და მისმა თანაავტორებმა მონოგრაფიაში „შავშეთი" (გვ. 492-496, 348-357).

„გურჯული ვაიზის" ამგვარი პოპულარობა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი თურქეთელი ჩვენი თანამემამულეები მისი მეშვეობით მშობლიურ ენაზე ისმენდნენ იმ ზნეობრივ შეგონებებს, რასაც მაჰმადიანური რელიგია უწესებდათ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრინციპებად. რელიგიურ ფაქტორს კი ჩვენებურების ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული. როგორც ისინი ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ამბობენ „სწორ გზაზე მათი გამყვანი არი ყურანი ჰაზრეთი (წინასწარმეტყველი)".

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ „გურჯული ვაიზის" შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ჩვენებურების ერთი, არცთუ მცირე, ნაწილის მიერ არაბული და თურქული ენების არცოდნა იქცა. პირველყოვლისა, სწორედ ეს მოვლენა გახდა უმთავრესი ფაქტორი მშობლიურ ენაზე ღვთის განმადიდებელი ამ სწავლება-დარიგების შექმნისა. არაბული და თურქული ენების უცოდინარ მუსლიმან ქართველებს ხსენებული ტექსტი მაჰმადიანური ღვთისმსახურების აღსრულებას უადვილებდა.

თუმცა აქვე იმ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ „გურჯული ეაიზის" გავრცელების არეალი მხოლოდ ე.ნ. „ოსმალოს საქართველოს" გეოგრაფიული მასშტაბებით არ შემოიფარგლებოდა და იგი შესაბამისი პერიოდის აჭარაშიც ყოფილა საკმაოდ პოპულარული.

მიუხედავად იმისა, რომ „გურჯული ვაიზის" ყველა ეარიანტის მასაზრდოებელი ძირითადი წყარო „ყურანია" და მათი შექმნის უმთავრეს მიზანს მუსლიმანური რელიგიის ფუძემდებლური პრინციპებისადმი ერთგულებისა და უღალატოდ მსახურების ქადაგება წარმოადგენს. ხსენებული ტექსტის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტსაც უნდა მიეაქციოთ რომ მასში ჩვენებურების ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვაცა და მშობლიური ქართული ენისადმი გამძაფრებული სიყვარულიც გამოელინდა ემოციურად ძალზედ შთამბეჭდავი ფორმით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოების ის ვარიანტია, რომელშიც შ. ფუტკარაძემ ჩაიწერა ნიაზ ჯიჯანიძისაგან.

რელიგიური რწმენის განმსაზღვრელი პრინციპების სწავლა-ქადაგებასთან ერთად, მასში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი მშობლიური ქართული ენისადმი სიყვარულის გამოხატვასაც აქვს დათმობილი. ნაწარმოების შემქმნელის (თუ შემქმნელთა) არაერთგზისი ხაზგასმით, სიტყბოებითა და კეთილხმიერებით გამორჩეული ქართული ენისადმი ჩვენებურების განსაკუთრებული სიყვარულის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორს ის გარემოებაც უნდა ნარმოადგენდეს, რომ იგი „იმ დუნის" (ქვეყნის) ენაცაა და მისდამი ღალატი ყოვლად გაუმართლებელი ამბავია. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანური რელიგიის კანონიკურ პრინციპთა მიხედვით ყოველი მუსლიმანი ვალდებულია ლოცვა-ვედრება ღმერთს არაბულ ენაზე აღუელინოს, „გურჯული ვაიზი" ამ დოგმატური მოთხოვნის ჩარჩოებით არ იბოჭება და ქართველ მორწმუნეებს დაბეჯითებით შეაგონებს, რომ ღმერთს თავიანთი გულისთქმა უწინარესად მშობლიური ქართული ენით უნდა განუცხადონ, რადგანაც „დიდ ბატონს" სათქმელი ყველა ენაზე ესმის.

„გურჯული ვაიზის" პატრიოტულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მშობლიური ქართული ენისადმი ამგვარი ერთგულების ქადაგებასთან ერთად იგი წინაპართა წიაღს მოწყვეტილ ჩვენს მუსლიმან თანამემამულეებს იმასაც დაბეჯითებით შეაგონებს, რომ მათი წარმომავლობაცა და ფესვებიც არასოდეს დაივიწყონ და ბოლომდე დარჩნენ ქართული სისხლის უღალატოდ ერთგულნი.

იცოდე გურჯული რომ ქართულია, ქართული ენა მეტად ტკბილია,
იმ დუნის (ქვეყნის – ა. ნ.) ენა ჩუენებურია, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თუალი და გული,
შეინახე ენა გულში ჩარგული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული, ვისი სისხლი გაქ ტანში გართული,
იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული , ქართულ ქოქზე (ფესვზე – ა. ნ.) ხარ ამომართული ...
ქართული ენა გულში დამალე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
დიდ ბატონს უყუარს ყუელაი მილლეთი, ყუელა ენაზე ესმის სათქმელი,
ღმერთ შეეხუეწე ლამაზ ქართულით, ღმერთის ემანეთი (საპატრონოდ ჩაბარებული – ა. ნ.)
ტკბილი გურჯულით.
ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით, ღმერთ ეხუეწება სულ ჩუენი გული,
იმ ქუეყნის ენა ცუენი ქართული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
ღმერთო, სამოთხის ქოშქზე ამყოფნე, მწერავ-მკითხავი, დამყურებელი,
შენიდამ ველით ყუელა კარგობას, შენ ხარ მილლეთის დამპურებელი,
ქართული ენის დამბრუნებელი!

მძაფრად გამოხატული ქართული სულისკვეთებით „გურჯული ვაიზის" დამოწმებული ფრაგმენტი მნიშვნელოვანწილად განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან, მათ შორის იმ ვარიანტისგანაც, რომელიც ხსენებული ტექსტის პირველმთქმელ ნიაზ ჯიჯანიძისაგან განმეორებით ჩაუწერია მ. ფაღავას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამ გარემოებას ქალბატონი თინა შიოშვილი შემდეგნაირად ხსნის: „ქალბატონმა შუშანამ ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძისაგან ეს ვაიზი ვიდეოფირზე ჩაიწერა უშუალოდ მთქმელის შესრულებით, რომელმაც იცოდა, რომ ეს

ჩანაწერი საქართველოში მოხვდებოდა და ამიტომაც ნაკლებად ნიღბავდა ქართული ენისადმი და ქართველობისადმი თავის პატრიოტულ დამოკიდებულებას; პროფ. მამია ფაღავა კი ისეთ დროს შეხვდა მოხუცებულ ხოჯას, როდესაც მძიმედ იყო ავად, ზეპირად ვერ შეძლო თქმა და საკუთარი ჩანაწერი გადასცა, სადაც ბუნებრივია, თვითცენზურის ფაქტორიც მოქმედებდა, რადგანაც მისი გავრცელების არეალი არ იყო საქართველო" (შავშეთი, 2011 წ. გვ. 180).

იმისათვის, რომ რელიგიური რწმენის განმსაზღვრელი პრინციპებისადმი ერთგულებისა და ქართული თვითშეგნების განმტკიცებისაკენ „გურჯული ვაიზის" შემქმნელის (თუ შემქმნელთა) მონოდებამ მეტი დამაჯერებლობა და შთამბეჭდაობა შეიძინოს, ტექსტში იმ გარემოებასაც დაბეჯითებით ესმება ხაზი, ადამიანის ამქვეყნიური არსებობა დროებითი მოვლენა რომ არის, ცხოვრება – ამაოება, მარადიული კი იმქვეყნიური ყოფაა:

ამ დუნიაში მუსაფირი (სტუმარი – ა. ნ.) ვართ, პაწა ხან უკან საფლავში წავალთ,
ღმერთ გამჩენელის უზურზე (ნანდომზე, ნასურვევზე – ა. ნ.) მივალთ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...

ამიტომაც ადამიანის სულის ხსნისა და გადარჩენის ერთადერთ ჭეშმარით გზად „გურჯულ ვაიზში" ღვთის (უფრო ზუსტად – მუსლიმანური) რწმენისადმი უღალატო ერთგულება და ლოცვაა ერთმნიშვნელოვნად გამოცხადებულ „ულოცავი თუ არი კაცი და ქალი, ძაღლი და ღორი მაზე კაი არი, დეიხრუკის ჯოჯოხეთში მისი ხელ-პირი." ქადაგების მიხედვით, სამოთხის კარი მხოლოდ იმ ადამიანისათვის გაიღება, „ვინცა ამ დუნიას მლოცავი არი."

ამგვარი რელიგიურ-დიდაქტიკური შეგონების უმთავრესი მიზანია, დაეხმაროს ადამიანს მიწიერ ცოდვათა და პიროვნულ მანკიერებათა დაძლევაში და კიდევ უფრო მეტად განუმტკიცოს მას სიკეთის ქმნის სურვილი და მოყვასისადმი სიყვარული:

რათა გინდა დუნიაში კაი სმა და ჭამა, ყუელა ესენი გეიარს, წავა,
სული გეიწმინდე, გული გეისუფთე, ღმერთო ბატონო, შემ შეგვიბრალე ...
რათ გინდა დუნიაში დიდი ქონება, ცოტაი იკმარე, მეიკრიფე გონება ...
ხელცარიელი არნა დატიო, კარზე მომდგარი, ატირებული,
არ დაგავიწყდეს, ღმერთის შვილია, ყუელა თხელი და გაჭირვებული,
შეძლებისდაგუარ ხომ დაეხმარე? ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
სიკვდილის საათი ჩუენთან რომ მოვა, თეთრი სინათლე თუალიდან წავა,
გონჯი ეშმაკი ჰემ მაშინ მოვა, ველარ გვიშველის ტირილი, გლოვა,
მადლი ნასაქმი მოგვნახავს, მოვა, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
ეშმაკს გაგუაცლის ნასაქმი მადლი, სანთლად დაგუადგება სინათლე ბადრი,
აღარ გუექნება სიკვდილის შიში, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
ოლოცე, იკითხე, ზიარეთზე (წმინდა ადგილების მოსანახულებლად – ა. ნ.) წაი;
შეიბრალე დუნის ღარიბი ყუელაი,
ობოლ შეხედავ, გახდები სულ კაი, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...
გული გეისუფთე ღმერთზე ხუეწნაში, შენი ნალოცი წავა ზეცაში,
სამოთხე მოვა ამდენ ლოცვაში, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე ...

საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვიტყვი იმას, რომ სიტყვიერი ოსტატობის მხრივ „გურჯული ვაიზი," მართალია, ქართული პოეტური ფოლკლორის შედევრებს ვერ შეედრება, მაგრამ მისი შეფასების დროს ქართველი მკითხველისათვის მთავარი და არსებითი ეს კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი ფორმით გადაცემული ამ რელიგიურ-დიდაქტიკური ტექსტით თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცნობიერებაში მიზანმიმართულად მტკიცდებოდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სიყვარული მშობლიური ქართული ენისადმი.

ჩვენებურების ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში ფართოდ დამკვიდრებული რელიგიური თემატიკის გაანალიზების დროს ყურადღება იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ, რომ ამ თემაზე შექმნილი ტექსტების ცალკეულ ნიმუშებში ქრისტიანული რწმენის გამოვლინებანიც შეინიშნება. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ზემოთხსენებულ ფოლკლორულ ქმნილებებში თავისებური ფორმით გამოიხატა ისტორიული ავბედობის გამო გამაჰმადიანებული

ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ ცნობიერებასთან საუკუნეების მანძილზე შესისხლხორცებული ქრისტიანული ფასეულობებისადმი მოკრძალება და თაყვანისცემა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ლაზეთში ჩაწერილი ეს ხალხური ლექსი (ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 2008 წელი, №1/2).

იმედი გვაქვს შენი, ღმერთო, გვიშველე, არსად დავიღრჩოთ,
გადაგვარჩინე ამ ზღვას და შემოგფიცავ:
ქალაქში ვიყიდი სანთელს, სამი მინარის სიმაღლისას,
დღე და ღამ რომ ინვოდეს და წარღვნამდის არ ჩაქრეს.

ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოში" მცხოვრები ჩვენი მოძმეების დამოკიდებულების არსს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ სტამბოლის ქართული საეანის არქივში მიკვლეული ვრცელი მოცულობის ლექსი „დედა ღვთისმშობლის საგალობელი" („ჯვარი ვაზისა, 2008 წელი №1/2), რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ჩაუწერია ახალციხელ ანდრია გრილაძეს 95 წლის სფირიდონ ხმალაძისაგან. სფირიდონის ინფორმაციით ისმალობის დროს ხსენებულ საგალობელს თურმე „ლოცვასავით წარმოსთქვამდნენ საერო სიმღერების ხმაზე" და „თავყრილობებზედ, ქორწილებშიდაც გალობდნენ, რადგან მართლმადიდებლებს საეკლესიო ლოცვების ცხადლივ წარმოთქმა ეკრძალებოდათ." სფირიდონ ხმალაძის თქმით, „ეს საგალობელი ჩვენი წინაპრებიდან მოდიოდა და 200-250 წლისა მაინც იქნებოდა".

ხსენებული საგალობლისადმი ინტერესს კიდევ უფრო მეტად ზრდის ის ფაქტი, რომ მარიამ ღვთისმშობლისადმი აღვლენილ ამ პოეტურ სავედერებელში მისი შემქმნელები თავიანთ ეროვნულ გულისთქმასაც უმჟღავნებენ ზეციურ დედას, რომელსაც „სიბნელის გამნათებელ ანთებულ სანთელს" ხვალინდელი დღის იმედსა და ადამის ტომის დამხსნელ ქალწულს უწოდებენ. ისინი ცრემლნარევი ვედრებით შეთხოვენ ღვთისმშობელს, რომ მისცეს „ძალი და შეწევნა ქართულ ენით ლექსის თქმისა" და წინაპართა ფუძეზე მკვიდრობისა:

მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
დედუფალი ხარ, დედაო, იმედო ჩვენი ხვალისა...
ისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო ჩვენი გულისა,
მწარე ცრემლები იხილე სამშობლო დაკარგულისა...
დედის უბეში გვამყოფე, ხელი გვაშორე მტერისა,
ისმინე, დიდო დედაო, ვედრება ჩვენი ერისა...
გვამყოფე გამგრძელებელი მამა-პაპათა წესისა,
ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, გვაღირსე ხილვა ზეცისა!...

ჩვენებურების ქართულენოვანი ფოლკლორი მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მასში საუკუნეების მანძილზე, მშობლიურ ნიაღს მოწყვეტილი და უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებსაც იხსენებენ თავისებური ფორმით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის თქმულებები, ზღაპრები და ლეგენდარული ამბები, რომლებიც მათ ჩვენი ერის დიდ შვილებზე, პირველყოვლისა კი თამარ მეფეზე აქვთ შექმნილი.

იგივე უნდა ითქვას იმ მოკრძალებაზე, რასაც ჩვენი გამაჰმადიანებული თანამემამულენი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებისა და წმინდანებისადმი იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურმა რელიგიამ მათ ყოველდღიურ ყოფასა და სულიერ სამყაროში ბევრი რამ შეცვალა არსებითად, თავიანთ ქართულენოვან შემოქმედებაში ისინი არა მარტო იმ გარემოებას უსვამენ ხაზს, მათი წინაპრები ქრისტიანები რომ იყვნენ, არამედ თავადაც გამოხატავენ მოკრძალებასა და პატივისცემას ამ სარწმუნოებისადმი.

ჩვენებურების ქართულენოვანი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად დამკვიდრებული ეროვნული პრობლემის გააზრება სისხლხორცეულად აღმოჩნდა დაკავშირებული მშობლიური ფესვებიდან მათი იძულებით მოწყვეტასთან და უცხო ქვეყნის ბინადრებად გადაქცევასთან. ამ თვალსაზრისით თავიანთი ეროვნული ტკივილის გამოხატვა თურქეთელმა ქართველებმა ყველაზე მეტად მუჰაჯირობას დაუკავშირეს. როგორც ცნობილია XIX-XX საუკუნეებში მეტნაკ-

ლები ინტენსივობით განხორციელებული ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად საქართველოდან თურქეთში ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი გადასახლდა, მათი უდიდესი ნაწილი აჭარიდან იყო.

ბევრი მუჰაჯირი მაშინ ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მშობლიურ ფუძეს მხოლოდ დროებით ტოვებდა და მალევე დაბრუნდებოდა უკან. მაგრამ ოსმალეთში გადახვენილნი სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ – რუსეთის იმპერიის ძალადობრივ პოლიტიკას სამშობლოდან თურქეთში იმის იმედით გაქცეულნი, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლება დაპირებულ მფარველობასა და მზრუნველობას არ მოაკლებდათ, სრულიად უსახსროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ. მდგომარეობას კიდევ უფრო უიმედოს ხდიდა ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მუჰაჯირებს უკან დასაბრუნებელი გზები ჩაუკეტა.

სამწუხაროდ, ქართველ მუჰაჯირთა მიერ შექმნილი იმ მხატვრული ტექსტების უდიდეს ნაწილს, რომლებშიც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტითა და ოსმალეთში გადახვეწით განპირობებული უმძაფრესი ეროვნული ტკივილი იქნებოდა ასახული, ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ თვალსაზრისით ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსები, რომელნიც პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ მოიძია და მოგვაწოდა წინამდებარე ანთოლოგიაში გამოსაქვეყნებლად.

როგორც თავად მკითხველიც დარწმუნდება, აჭარიდან ოსმალეთში მუჰაჯირად გადახვენილი ამ გულმხურვალე პატრიოტის ლექსებში უმძაფრესი ემოციური შთამბეჭდაობითა და ჩვენებურების პოეტურ ქმნილებათაგან გამორჩეული სიტყვიერი ხელოვნებით გამოვლინდა არა მარტო ამ პიროვნების სულიერი სასოწარკვეთა, არამედ ათასობით ქართველი მუჰაჯირის დაუცხრომელი წუხილიც მშობლიური კარ-მიდამოს სამუდამოდ მიტოვებისა და უცხო ქვეყანაში იძულებით გადახვეწის გამო. ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, თუნდაც ამ ფრაგმენტების დამოწმებაც იქნება საკმარისი:

ბათომიდან მიდის გემი, ზღვას მიაპობს კვნესა-გვემით.
მაქეთ მრჩება გული ჩემი...
ოსმალეთში მიმაცილებს სევდა – სულის გადამრჩენი.
ოსმალეთში მივალ, მარა სული სახლში გემეპარა,
სახლი ემიას (ბიძას) მიებარა, ჯიბეს მიწვავს სახლის ფარა...
აჭარლებო, თქვენმა შვილმა მუჰაჯირად წევდა, მარა
ცხელი ცრემლით დანაცრული სელამები დიგიბარა...
მომაბრუნე უკან, გემო, მომენატრა ჩემ წყლის გემო!...

ან კიდევ:

შორი გზიდამ ვიყურებით, შემოვნატრით ვათანს (საშშობლოს),
მონაქროლებ ნიავს მაქეთ ცრემლებს ვატანთ...
ბათომურო სახლო, გადამდგარო ზღვაზე,
არ გეგონოს, გაგცვალო სტამბოლზე ან სხვაზე ...

თაობებისათვის ეროვნულ ტრაგედიად ქცეულ ამ მოვლენას მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელი შთამომავლებიც ხშირად იხსენებენ უდიდესი გულისტკივილით. მშობელ ქვეყანასთან სამუდამო განშორებით გამონვეული ამ უმწვავესი ტკივილის ანარეკლი მათი ზეპირსიტყვიერების არაერთმა ნიმუშმაც შემოგვინახა ემოციურად შთამბეჭდავი ფორმით. მაგალითად, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ეს ტკივილი ასეთი სულისშემძვრელი ფორმითაა გამოხატული:

ავდგეთ, ნევდეთ მუჰაჯირათ, რა ლამაზი დარიაო,
ჩუენ გემში რო ჩავჟდებით, ჩვენი გული კდარიაო.

სამწუხაროდ, მშობლიური ნიაღისგან მრავალსაუკუნოვანმა მოწყვეტამ და უცხო გარემოში ცხოვრებამ, რასაც შედეგად არა მარტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაუცხოება მოჰყვა, არამედ სარწმუნოებრივი ერთობის დარღვევაც, არსებითად ნეგატიური ზეგავლენა ჩვენებურების ზეპირსიტყვიერბაზეც მოახდინა. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოებათა სავალალო შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მათ ფოლკლორულ ნააზრევში ქართულმა

თემატიკამ უმნიშვნელო ადგილი დაიმკვიდრა და ისტორიული სამშობლოსადმი ნოსტალგია მკრთალად გამოვლინდა.

ზემოთ აღნიშნულმა ვითარებამ ჩვენებურების დიდი ნაწილის ეროვნულ თვითშეგნებას იმ-დენადაც კი შეურყია საფუძვლები, რომ ქართული ენის პრაქტიკული საკომუნიკაციო არეალი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიწროვდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი თურქეთელი თან-ამემამულეები მათი წინაპრების ენაზე დღესდღეობით არათუ თავად ქმნიან რაიმეს, არამედ მათ უმეტესობას წინამორბედ თაობათა მიერ ზეპირსიტყვიერი ფორმით შექმნილი ქართულე-ნოვანი ტექსტებიც აქვს მთლიანად დავიწყებული. ერთ-ერთი ჩვენებური ასეთ ქართველებს „ბლაყვ გურჯებს" უწოდებს და ამ სამწუხარო მოვლენას ამგვარ შეფასებას აძლევს: „ჩვენ კაი გურჯი არა ვართ, ბლაყვი გურჯები ვართ... ასიმილე გამხდარი ვართ" (შავშეთი, 2011 წ. გვ. 410).პირველ ყოვლისა სწორედ ყოველივე ზემოთქმულის შედეგია ის ფაქტი, რომ ჩვენებუ-რების ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს შორის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ტექსტები მცირეა.

თუმცა ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენებურების ფოლკლორულ ნააზ-რევში ეროვნულ-ქართული თვალთახედვა მთლიანად იყოს ყურადღების მიღმა დარჩენილი. ეს რომ ასე არაა, ამის დასტურად აქ მათში ფართოდ პოპულარული ლექს-სიმღერის – „შე-ფრენილო ფუტკაროს" გახსენებაც იქნება საკმარისი. თავად ჩვენებურების განმარტებით, შე-ფრენილი ფუტკარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ცხოვრების გზაკვალარეული იმ ადამიანის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, რომელიც ბედისწერას მშობლიური წიაღისგან მოუწყვეტია და. უცხო ქვეყნის ბინადრად უქცევია.

შეფრენილო ფუტკარო, ნადი, მავანს უთხარო:
– შენც ქართველი შვილი ხარ, შვილო მოდი ჩემთანა...
ერთიც ამდონი ხანია, სულაც არ გიმიხარია...
ჩემი დერდების მგონე, სიმღერები მევგონე,
შორ დაგვირჩა მემლექეთი ღმერთო, მეგვე ბერექეთი (სიკეთე ა. ნ.)...
შავი ზღვის პირზე თოვლი მოსულა,
შენი ფუტკარი სხუასთან წასულა,
შავი ზღვის პირზე მასკვლავი ბრწყინავს,
შენი ფუტკარი დღეს სხუაგან ფრინავს.

თავიანთი ნოსტალგიური გრძნობების გამოხატვა თურქეთელმა ქართველებმა ერთ-ერთ ლექს-სიმღერაში თეთრი მამლის ალეგორიულ სახე-სიმბოლოსაც დაუკავშირეს. შ. ფუტკარაძის მართებული განმარტებით, „თეთრი მამალი" სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახეა, „ლამაზი ქალი" კი მუჰაჯირთა შთამომავლების სიმბოლო ... დრო გასულა სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ, ჩვენებურები შეგუებიან ბედის ტრიალს, აღარ ფიქრობენ მემლექეთში დაბრუნებაზე. ამიტომაც აღარ ყივის თეთრი მამალი. ადრე თუ მუჰაჯირი ქალები, თეალებში ცრემლჩამდგარნი, იგონებდნენ გურჯისტანს, ახლანდელი ქალები აღარ ტირიან, ახალ სამშობ-ლოში გაუჩენიათ კერა... ღელე გაღმაში – მიტოვებულ სამშობლოშიც – ბევრი რამ შეცვლილა, ძველები წასულან წუთისოფლიდან, ახალგაზრდები მოსულან მათ ადგილას. ე. ი. ლექსში სამი ალეგორიული სახეა: თეთრი მამალი, ლამაზი ქალი და ღელე გაღმა (თეთრი მამალი – სამშობ-ლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახე; ლამაზი ქალი – მუჰაჯირთა შთამომავლობა; ღელე გაღმა – მიტოვებული სამშობლო)" (შ. ფუტკარაძე, მითითებული წიგნი, გვ. 17).

თეთრო მამალო, რატომ არ ყივი, ლამაზო ქალო რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი თვალწარბი მე შემიცვალე.
ღელე გაღმაში ჩვენი სახლები, მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები,
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი თვალწარბი მე შემიცვალე.

ვფიქრობ, დამოწმებულ და ანალოგიური შინაარსის მქონე სხვა ლექსებში აშკარად იგ-რძნობა მშობლიური წიაღისაგან იძულებითი მოწყვეტის საფუძველზე გაჩენილი იმ ტკივილისა და სევდანაღველის ალეგორიული ფორმით გამოვლინება, ჩვენებურების დიდი ნაწილისათვის სულიერი ცხოვრების მარადიულად თანამდევ მოვლენად რომ ქცეულა. მაგალითად:

ჩუენო დიდო დედაო, ეს რა დაგვებედაო,
ჩუენო დიდო ანაო, აქ რამ მოგვიყვანაო,
შორ დაგვირჩა მემლექეთი, ღმწერთო, მეგვე ბერექეთი (სიკეთე - ა.ნ.).

ან კიდევ:

ბათუმი და ქედა, რომ დამირჩა, დედა, ლალეე,
ნეველ გავხდი ფირალი, დედა დავტიე ტირალი.
მემლექეთის დერდი, გოგო დამრჩა ერთი, ლალეე,
ჩიტი გავხდე, გადავფრინდე, შიმიბრალებს ღმერთი, ლალეე...
საყუარელი ვეღარ ვნახე, დამიფინეს შავი მახე,
ლოცვით მთები გადავლახე, დამჩენელო, შიმინახე, ლალეე

ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების ეროვნული თვალთახედვის წარმომჩენ ფოლკლორულ ტექსტებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა მათ დალოცვებზეც და წყევლებზეც მინდა ვთქვა. თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი ფორმით გადაცემულ ამ სხარტ გამონათქვამებში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ჩვენებურები მათი მოძმეებისადმი სურვილების დონეზე გამოთქმულ თავიანთ პიროვნულ დამოკიდებულებას დედა გურჯისტანთან მიმართებითაც ხშირად გამოხატავენ ხოლმე. მაგალითად: „ღმერთმა მემლექეთში ჩეგიყვანოს!" ანდა „ღმერთმა მშვიდობით მემლექეთში გედეგიყვანოს!" (შავშეთი, 2011 წ. გვ 475).

გულისწრომის ობიექტად ქცეულ თვისტომს კი ისინი ასე წყევლიდნენ: „ღმერთმა მემლექეთში არ ჩეგიყვანოს!" ანდა „ღმერთმა იქავრი ღურბელი არ დაგანახვოს!"

ხსენებული წყევლები უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მათში რუსეთისადმი, როგორც დედა გურჯისტანის მიმტაცებელი და მშობლიური წიაღიდან ჩვენებურების მომწყვეტი სახელმწიფოსადმი, ნეგატიური დამოკიდებულებაცაა გამოხატული. მაგალითად: „რუსიეში გადაგარბენიოს ღმერთმა, შე კათოლიკი შვილო!" ანდა „ღმერთმა რუსიე გადაგარონიოს!" აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათთვის არასასურველ პირიოვნებებს ჩვენებურები დროდადრო ამგვარი ფორმითაც მოიხსენიებენ ხოლმე: „შე რუსო! შე მოსკოველო!"

პოეტური ტექსტებისაგან განსხვავებით პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა ხვედრითი წილი ჩვენებურების ქართულენოვან შემოქმედებაში მეტისმეტად მცირეა. ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების მიერ მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ამ მიმართულებით შექმნილი ერთადერთი სიმდიდრე ხალხში ზეპირსიტყვიერი სახით გავრცელებული ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებებია.

პროზაული ფოლკლორული ტექსტების რაოდენობრივი სიმცირის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ მათი გავრცელების არეალი შედარებით შეზღუდული იყო. კერძოდ, ერთ-ერთი ჩვენებურის – მაქახლელი ფათმა დურსუნის თქმით, ამგვარ ზეპირსიტყვიერ ამბებს ჩვენებურები ერთმანეთს ძირითადად მაშინ უყვებოდნენ ხოლმე, როცა ნადს მოიწვევდნენ და ერთად თავმოყრილნი ხელსაქმობდნენ. მაგალითად: აი, რას ამბობს იგი ამასთან დაკავშირებით: „მაქახელში მცხოვრებელი სუნყველას ეს ჰექიები (ზღაპრები, ლეგენდები ა. ნ.) გაგონილი ექნება. მატყლის ჩეჩვაში, რთვაში, ძახვაში ნად იქმენ. ჰექიაჯი (ზღაპრის მთხრობელი – ა.ნ.) დედაფრეფსას დუძახვენ. ნადი ხელნაქმარ იქს. დედაბრების ჰექიაჯ ილაპარიკევს. ჰექიების დაყურებაში ქალები ხან საჩეჩელზე თით დაკრუვენ, ხან პირი აფჩენილი ყურებაში გამუვაღიმებენ. დრო როის გევდა, იმდენი საქმე როის ქნენ, ვერ მიხდებიან" (ჟურნალი „ჩვენებური," სტსმბოლი, 2000 წ. №38, გვ.21)

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, დამოწმებული სიტყვების მთქმელი იქვე იმის გამოც გამოთქვამს გულისტკივილს, რომ მის მიერ ნახსენები სახალხო მთქმელები ამჟამად უკვე ძალზე ცოტანი არიან, რის გამოც რეალურად იკარგება ხალხური ზეპირსიტყვიერების ბევრი ნიმუში. „ახალებმა მარტვაი ამ ჰექიების სახელები იციან, რომ ელაპარიკები, პაწპაწაი მოაგონდებიან. ჩემ გულ უნდა, რომ ეს ხალხური არ დავკარქოთ. თელმა თითო-თითო დევწავლოთ. ახლა ჰექიაჯი დიდნენეები აღარ არიან, ნელნელა გვაკლდებიან."

ფოლკლორული აზროვნების ეს ნიმუშები, რომელთაგანაც ჯერჯერობით მხოლოდ უმცირესი ნაწილია ჩაწერილი და დასტამბული, თემატურ-შინაარსობრივადაც და მათი შემქმნელების

მიზანდასახულობითაც არაფრით განირჩევა შესაბამისი ჟანრის ტექსტებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ ნიშან-თვისებათაგან. კერძოდ, ხალხის მიერ შეთხზული და თაობიდან თაობას მოარულ სიუჟეტებად გადაცემულ ამ ფოლკლორულ მონათხრობებში მკვეთრი სწორხაზოვნებით იმიჯნება ერთმანეთისაგან სიკეთე და ბოროტება, დაგმობილია სოციალური უსამართლობა და სხვადასხვა სახის ადამიანური მანკიერებანი, განდიდებული არიან ბრძენი და ცხოვრებისეულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები და ა.შ.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, „ოსმალოს საქართველოს" შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავტორები (გ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, გ. წერეთელი, ე. თაყაიშვილი, დ. წერეთელი, ს. ბავრელი (ასლანიშვილი) და სხვები) არაერთგზის უსვამენ ხაზს იმ განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას, რასაც ამ რეგიონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები იჩენდნენ თამარ მეფისადმი. კერძოდ, საქართველოს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით შექმნილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ისინი ყველაზე მეტად უპირველეს ყოვლისა სწორედ თამარს განადიდებდნენ.

აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია" 1877 წელს: „იქ თამარს მიაწერენ ყოველ შენობას, ციხე-სიმაგრეებს,მშვენიერ ხიდებს და ტაძრებს... ოსმალოს საქართველოში თამარს გარდა სხვა მეფეზე ვერას გაიგონებთ."

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე, რომელმაც „ოსმალოს საქართველოში" მოგზაურობის დროს პირადად ჩაიწერა თამარ მეფესთან დაკავშირებით ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების მიერ ზეპირსიტყვიერი სახით შექმნილი და ხალხში ფართოდ გავრცელებული ლეგენდები და თქმულებები, რის საფუძველზეც 1911 წელს სპეციალური წიგნიც გამოაქვეყნა – „თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირი ცნობებით."

ჩვენებურების ქართულენოვანი შემოქმედების წინამდებარე განხილვის ბოლოს აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა ყურადღება რომ მივაქციო: რამდენიმე ჩვენებურმა (ფარნა-ბექა ჩილაშვილმა, ბაიარ შაჰინ ქონდარიძემ, ეშრეფ ილმაზ მახარაშვილმა, სულეიმან ინოღლუმ (ინაიშვილმა) ისმაილ იაზიჩი-დავლაძემ და სხვებმა), სტამბოლში გამომავალ ჟურნალ „ჩვენებურში" ქართულად დაწერილი თავიანთი ლექსებიც გამოაქვეყნა. მართალია, ამ ლექსების მხატვრული ოსტატობის დონე საკმაოდ სუსტია, მაგრამ ამჯერად მთავარი ეს კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების გარკვეულ ნაწილს ოთხ საუკუნოვანი დუმილის შემდეგ წინაპართა ენაზე თავიანთი გულისთქმის გამოთქმის სურვილი გაუჩნდა.

ბოლო წლებში ჩვენებურების ეროვნულ ცნობიერებაში მიმდინარე სასიკეთო ძვრები, ვფიქრობ, რეალურად იძლევა იმის იმედს, ხსენებული ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო მეტად რომ გაძლიერდება და ჩვენი თურქეთელი მოძმეების ლიტერატურული ნამოღვაწარი ახალ, რეალურად ანგარიშგასაწევ, ნაკადად შეემატება ქართულ მწერლობას.

პირველი და უმთავრესი მოვლენა, რასაც მათ მიერ შექმნილ პოეტურ ტექსტებზე საუბრის დროს უნდა მიექცეს ყურადღება სენტიმენტალიზებული ფორმით გამოვლენილი ის სიყვარული და მონატრების გრძნობაა, რასაც მათი ავტორები გამოხატავენ დედა მემლექეთისადმი.

პირველი და უმთავრესი რითაც ფ. ჩილაშვილის ლექსებმა პირადად ჩემი ყურადღება მიიქცია, იმ ადამიანის პიროვნულ გრძნობათა გამოხატვაა, რომელიც ისტორიულმა ავბედობამ არა მარტო ფიზიკურად მოწყვიტა მშობლიურ წიაღს, არამედ სულიერ-რელიგიურადაც გააუცხოვა და დააშორა მას. მართალია, ახალმა რეალობამ მას კვლავაც მისცა ამ წიაღთან მობრუნებისა და მის სისხლხორცეულ ნაწილად ქცევის შესაძლებლობა, მაგრამ ამის გაკეთება უკვე მრავალხილულ თუ უხილავ სირთულესთანაა დაკავშირებული და მარტივად გადასაწყვეტ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამიტომაც, პირველი და უმთავრესი კითხვა, რომალსაც ამ მოვლენის არსში ღრმად და საფუძვლიანად გარკვეული პოეტი მთელი სიმწვავით სვამს, იმის გარკვევაა ვინ არის იგი:

შენ, მეჩეთის დედაბოძო, შენ მითხარი
ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,

თათარი თუ ქართველი?!
შენ, ეკლესიის დედაბოძო, შენ მითხარი:
ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,
ქართველი თუ თათარი?!
შენ სინაგოგის დედაბოძო, შენ მითხარი:
ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,
ებრაელი თუ ქართველი?!
შენ ქართლის დედავ შენ მითხარი:
ვინა ვარ მე? ქართველი, ებრაელი თუ თათარი?!

საკუთარი ეროვნული ვინაობის ამგვარად მაძიებელი პოეტის თვითშეგნებაში ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მტკიცდება რწმენა იმისა, რომ იგი პირველყოვლისა ქართველი კაცია,უღრმესი შინაგანი სიყვარულით შესისხლხორცებული მშობლიურ საქართველოს. ეს რწმენა მის ლექსებში ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანებისა და ყალბი სენტიმენტალიზმის გარეშეა გამოვლენილი. მაგალითად:

რა ლამაზად წვიმს, რა მშვენივრად!
მაგრამ აკლია რაღაც ამ მშვენიერ წვიმას.
შენ აკლიხარ, მზევ ჩემო, საქართველო!

საქართველოზე ამგვარად შეყვარებული კაცი კი, ბუნებრივია სულიერი სიმშვიდით ვერ შეეგუება იმ სამწუხარო მოვლენას რის შედეგადაც საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ ეროვნულ წიაღს იძულებით მოწყვეტილი ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების დიდი ნაწილის ცნობიერებაში რეალურად აქვს გამოცლილი საფუძველი ადამიანის ეროვნული კუთვნილებისა და მენტალიტეტის განმსაზღვრელ ისეთ უმთავრეს ფენომენს, როგორიც წინაპართა ენაა. ფ. ჩილაშვილის ერთ-ერთ პატარა ლექსში ეს ტრაგიკული მოვნელა ასეა წარმოსახული:

– დედა, შაქარი მინდა!
– წაყურდი, ნუ ლაპარაკობ ჩვენებურად,
ქალაქში სირცხვილია.
– კარგი, მაშინ „შექერ ისთიორუმ“

ფ. ჩილაშვილის ქართულ ენოვან შემოქმედებაში ესოდენი სიმძაფრით გამოვლენილ სიყვარულს თავისი ისტორიული სამშობლოსადმი ავტორი მეტ მასშტაბებსა და შთამბეჭდაობას იმითაც სძენს, რომ იგი სიკვდილის შემდეგ უკვე ქართული მიწის ღვიძლნაწილად ქცევაზეც ოცნებობს, რათა მისი წიაღიდან აღმოცენებულ ყვავილად ხელმეორედ მოევლინოს მშობელ ქვეყანას.

ვეღარ ვიცხოვრებ იმდენს, რამდენიც აქამდე ვიცხოვრე,
გადავიქცევი მიწად, აქაც, იქაც...
მაშინებს უცხოეთში სიკვდილის ფიქრი...
უცხო მიწა უფრო ცივი, უფრო ბნელი... უფრო დაღლილი...
ერთადერთი სურვილი – დავემატო შმობლიურ მიწას
– ამოვიდე ყვავილად... გავვრცელდე თესლად... ან ახალ ყვავილად...
მიმართვან ახალგაზრდა გოგონებს სიყვარულის ნიშნად...
გავუღიმებ ყველას უფრო მშობლიურად და უფრო თბილად...

ფ. ჩილაშვილი გამონაკლისი არ არის და მსგავსი ეროვნულ-ქართული პატრიორიზმი პოეტურ სიტყვას შეჭიდებულ სხვა თურქეთელ ქართველთა ქართულ ენოვან ტექსტებშიც გამოვლინდა. მაგალითად, ბაიარ შაჰინ ქონდარიძე, „არ მავიწყდება“ („ჩვენებური“ 1998 წ. №29, გვ. 26):

რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი, მაჭახელო, შენ, რა ლამაზი,
ვერაფრით ვერ მიგამსგავსე რომელიმე სოფელი და ქალაქი.
არ მავიწყდება ცივი, ცივი წყალები,
გამოსულში წევიდენ ახალთაზე ქალები;
კაცს რავაი დავიწყდება წიფე, წიფე სხალები,

როცხა მომაგონდები, ემევსება თვალები.
რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი, მაჭახელო, შენ, რა ლამაზი,
ვერაფრით ვერ მიგამსგავსე რომელიმე სოფელი და ქალაქი.

ხოლო თანამედროვე თურქული პოეზიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ეშრეფ ილმაზ მასარაშვილი 1993 წელს ქართულ ენაზე დაწერილ ლექსში „საგოდავი" („ჩვენებური", 2000 წელი. №37, გვ. 26) ისტორიული სამშობლოსადმი თავის დამოკიდებულებას შემდეგნაირად წარმოაჩენს:

აგიანიდან გავხედე, ჩანდა თოვლიანი კარჩხალი,
მის გადაღმა არის ბათუმი.
ცხვარს ვაძოვებდით აგიანძე მთი ყურძენებში.
იტყოდენ დიდვანები: გადაღმა არიენ ჩვენი ძმები,
დაღვრებდენ ბუკებს ცრემლები!... იქ არისო მკაცრი მმართველობა.
შემეცოდენ ქართველი ძმები, გეეღო კარი „რკინისა"
შეველ საქართველოში,
მევიარე ქალაქი და სოფელი, გავაგენ მაშინ სულ კარგა
საცოდავი მე ვყოფილვარ!...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურების პატრიოტული ლექს სიმღერების უმეტესობა მარადიული მონატრების საგნად ქცეული დიდი მემლექეთის ფიზიკურად უნახავ ქართველთა მიწერაა შექმნილი, მათი ავტორების რწმენით მსგავსი სილამაზის ქვეყანა დედამიწის ზურგზე სხვაგან არსად იპოვება. ნათქვამის დასტურად, ვფიქრობ, ჟურნალ „ჩვენებურის" 1978 წლის V-VI ნომერში დასტამბული თუნდაც ეს პატარა ლექსიც გამოდგება:

მაღლა ცაში ავფრინდები, გადმოვხედავ ქვეყანას,
მარა ვერსად ვერ შევხვდები ჩემი სამშობლოსთანას.

ჩვენებურების ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გულწრფელად გამომხატველი ეს და მსგავსი ლექსები აშკარად წარმოაჩენენ მათი შემთხზველების დაუცხრომელ სიყვარულს „ნატრულ სამშობლოდ" სახელდებული დიდი მემლექეთისადმი.

ზემოთქმული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო პირველ ყოვლისა მათი ქართულენოვანი პოეტური შემოქმედების ის ნიმუშებია, რომელთა ავტორები 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ტრაგედიას გამოეხმაურნენ. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ერთ-ერთი მათგანიდან (ო. ფუტკარაძე, ჩვენებურების სიმღერა, 1991 წელი. გვ. 7):

ჩვენთვის დასავიწყარი დღე არ არის, შავი დღეა 9 აპრილი,
იმ დუუვიწყარ დღეს იყო ქართველები ქუჩაში დაყრილი,
ჩვენ თავისუფლება გვინდაო, ყველგან ჰქონდენ თავი მოყრილი,
რაფერ დაგვავიწყდება იგი დღეი ჩვენ, ოცი ადამიანი ვნახეთ მოკლილი...
მსოფლიოს დედაქალაქობა შეშვენდება ჩვენს თიფლისს,
სამოთხე არის ამ სამყაროს, ჰემ ზაფხულის, ჰემ ზამთრის,
ყოლიფერში ლამაზად ჩვენ ამ ქვეყნის ხალხები თუ დაგვთვლის,
მოგვასწროს უნდა ღმერთმა გამჩენმა გადარჩენა ჩვენი ქართლის.

თურქეთში მცხოვრები ქართველების პოეტური შემოქმედება მეტად საინტერესო იმ შეფასებებითაცაა, რასაც ჩვენი მაჰმადიანი თანამემამულეები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეროვნულ და რელიგიურ მოღვაწეობას აძლევენ. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენებ ფრაგმენტს სულეიმან ინოღლუს (ინაიშვილის) ლექსიდან „ილია მეორის საქებისა:"

შენ, ჩვენი რწმენის ამშენებელო კათალიკოსო,
შენ განათლებულო ქართლის უმფოსო,
ჩვენ ღმერთს ვეხვეწებით, წმინდა გიორგის დაგამსგავსოსო...
შენს საქებელად ჩემი ენა ვერ შეწვდება,
აქედან უნდა გაკოცო ხელზე, ჩემი გონება მაქ ვერ მოწვდება.
ღმერთის მოციქულო, ჩემგან ბოდიში,

ვერ მიეხვდები და სიტყვა დამიცდება,
შენზე მოცემული ღმერთის ჭკუით და მიხდენილობით
მკვდარიც ფეხზე წამოდგება.

საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქის განსადიდებლად აღვლენილ ამ პოეტურ ხოტბაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველყოვლისა იმ როლს მიაპყრობს, რომელიც ილია მეორემ ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიის პერიოდში შეასრულა განსაცდელისაგან ჩვენი ხალხის დასაცავად. მისი შეფასებით პატრიარქი ღვთისაგან მოვლენილი ის ადამიანია, რომელსაც „ტალახში დარჩენილი საქართველოს" გადარჩენა შეუძლია:

შენ ცხრა აპრილში ხალხის ერთად დაჯექი ქუჩაში,
შენ თურქეთიდან მადლობას გიგზავნით, თუ მოაწევს სიტყვაში,
გვჯერა შენი დიდობა, ჭკუა ავსილი გაქვს შენ თავი,
შენ უნდა გადაარჩინო საქართველო, თუ არა დარჩენილია ტალახში.
საქართველოს ახლა ჭირია შეკავშირება და ერთობა,
ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა, ოსეთობა, აჭარლობა,
გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება...

როგორც ითქვა, ჩვენებურთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი პირველყოვლისა პოეტური ჟანრის ტექსტებში გამოვლინდა. მათი უდიდესი ნაწილი ზეპირსიტყვიერი ფორმით შექმნეს საზოგადოებისათვის სრულიად უცნობმა (ძალზე იშვიათ შემთხვევაში – ცნობილმა) სახალხო მთქმელებმა. თურქეთელ ქართველთა ფოლკლორული პოეტური შემოქმედების ეს ნიმუშები ძირითადად ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

პოეტური ჟანრის პრიორიტეტი უპირველეს ყოვლისა ორმა გარემოებამ განაპირობა არსებითად: პირველი იმან რომ ამ ფორმით შექმნილი ხალხური ლექსების უმეტესობა სასიმღეროდ გამიზნულ ტექსტებს წარმოადგენდა და მათზე შექმნილი პოპულარული სიმღერები ღრმად აღიბეჭდებოდა ხალხის მეხსიერებაში და მეორე, ქართული წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენებურებისათვის გაცილებით უფრო იოლი იყო თავიანთი გულისთქმა პატარ-პატარა ლექს-სიმღერებითა და სახალისო პოეტური ტექსტებით გამოეხატათ. მსუბუქი იუმორითა და მახვილსიტყვაობით გაჯერებული და ჩვენებურების ეროვნული ტკივილებისა და ყოველდღიური ყოფითი რეალობის ამსახველი ეს ლექსები უფრო ადვილად იქმნებოდა და ვრცელდებოდა ხალხში, ვიდრე ვრცელი მოცულობის ნაწარმოებები.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რასაც შედეგად საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება მოჰყვა, ჩვენებურებთან საუკუნეების განმავლობაში გაწყვეტილი კავშირი აღდგა, რაც მათი ეროვნული ცნობიერების განმამტკიცებელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა. ამ მოვლენის შედეგად თურქეთელ ქართველობაში განახლებული ძალით გამოვლენილმა სიყვარულმა მათი ისტორიული სამშობლოსადმი მათ ცხოვრებას რეალურად შესძინა ახალი საასპარეზო სივრცე.

ომარ კაპანაძე

საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები „ვანის“ სოფლების მიხედვით

კვლევა მოიცავს რამდენადმე მკვეთრად განსხვავებულ პერიოდებს:

ა – 1880-იანი წლებიდან 1917 წლამდე, როდესაც დღევანდელი ვანის რაიონის სოფლები ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ და ადმინისტრაციული მართვის უფლებით ექვემდებარებოდნენ სამტრედიისა და ბაღდათის საბოქაულოებს. ამ დროიდან, პროცესთა განვითარების და სიტუაციათა ზეწოლის გამო ვანის ზოგიერთ თემსაზოგადოებებში იწყება პირველი ნაბიჯების გადადგმა ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლების დაფუძნებისათვის და მთელი 37-წლიანი მონაკვეთი ჩამთავრდა ისე, რომ ასეთი „უმდაბლესი“ ტიპის სასწავლებლებითაც ვერ დაიფარა სოფელთა დიდი ნაწილი.

ბ – მეორე პერიოდი, 1917 წლის შემდეგ, მოიცავს 4-წლიან მონაკვეთს, ემთხვევა იგი რუსეთის მონარქიული ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს „დამოუკიდებლობის აღდგენას“ მენშევიკური ხელისუფლების მმართველობით, რა დროშიც, გარდა უმნიშვნელო ძვრებისა საგანმანათლებლო-სასკოლო აღმშენებლობის თვალსაზრისით „ვანის სივრცეში“, როგორც პერიფერიაში, მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა.

გ – შემდეგი პერიოდი ემთხვევა სოციალისტურ ეპოქას, რომელშიდაც გარკვეულ დრომდე ვანის სოფლები კვლავ რჩებიან ჯერ ქუთაისის მაზრის, შემდეგ ქუთაისის ოლქის შემადგენლობაში, თუმცა ამ დროშიც შეძლებისდაგვარად, ხოლო მას შემდეგ, რაც 1930 წელს შეიქმნა ვანის რაიონი, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, საგანმანათლებლო საკითხმა შეიძინა ახალი განზომილება. ეს მოგვწონს თუ არ მოგვწონს რეალობაა, ფაქტებია ასეთი. ამასთან არ განვიხილავთ XXI საუკუნის ათწლეულს, იგი ცალკე გამოწვევების, რეალობების წინაშე დგას და, ალბათ, გარკვეული დროის შემდეგ იქცევა განხილვის საგნად.

ტერმინი „ვანის“ კი ნახმარია ზოგად ფორმაში, რადგანაც მითითებულ პირველ-ორ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენდა რაიონულ (ან სხვა სახის) ადმინისტრაციულ ერთეულს, ხოლო 1930 წლიდან „ვანმა“ მიიღო ადმინისტრაციული, რაიონული ერთეულის სტატუსი ყველა იმ უფლებამოსილებით, რომლითაც სარგებლობდნენ მსგავსი დანაყოფები საქართველოშიც და მაშინდელ საბჭოთა სივრცეში. მის დაქვემდებარებაში შევიდა ყველა ის სოფელი და დასახლებანი, რომლებითაც იგი დღესაა წარმოდგენილი. წინამდებარე კვლევაც რაიონულ ჭრილში ამ უმნიშველოვანესი სფეროს შესწავლის პირველი მცდელობაა.

ამდენად, როდესაც განათლების საკითხთა სრულყოფით ინტერესდები, ოფიციალურ ლიტერეტურასა და დოკუმენტურ მასალებს ეცნობი, იბადება კითხვა – სამწუხაროდ, ხომ არ გახდა ქართველთა მიდრეკილება იმდაგვარად ინდიფერენტული, რომ ვერ გააცნობიერა საერთო განათლების ყადრი, ძალა და მადლი, ან რა მოხდა ისეთი, რომ ქართველობა, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერი, ზოგადკაცობრიულ საგანმანათლებლო დინებას ისეთნაირად ჩამორჩა, რომ გვიანი შუასაუკუნეები მისთვის საგანმანათლებლო სივრცეში უმნიშვნელო შედეგებით აისახა და თანამიმდევრულად აღმოჩნდა სიტუაციაში, რომელსაც ვერაფრით დაარქმევ განათლების მოწესრიგებულ დონეს, ეს ემთხვევა XIX საუკუნის იმ პერიოდებსაც, როდესაც ევროპა თავისი საგანმანათლებლო კერებითა და პოტენციალით პრაქტიკულად აღზევდა. საქართველოს ამ ჩამორჩენილობაზე საუბრობენ უცხოელი მოგზაურებიც, რომლებმაც შეისწავლეს ქართული გარემო და გვაწვდიან ინფორმაციას განათლებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ მაგალითად, გერმანელი მოგზაური, დოქტორი იოჰან გიულდენშტედტი პირდაპირ მიუთითებს: – **„საერთოდ ქვეყანაში არსადაა სკოლები... ყველას მინდობილი აქვს, რომ თავის ბავშვს თვითონ ასწავლონ, ამიტომ ხნიერთა საკუთარი უცოდინარო-**

ბისა და შემთხვევისა და შესაძლებლობების ნაკლებობის გამო ეს საქმე სავალალო მდგომარეობაშია და იგივე სწავლა უბრალო ხალხთან სრულიად გამორიცხულია... რომ ეს სახელმწიფო ვერ უწყობს ხელს სკოლების, კულტურის, ხელოვნების საერთო განვითარებას" ამაზე შეშფოთებას არ მალავდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პროგრესული მოღვაწენი, განსაკუთრებულად, „თერგდალეულები;" რომ ქართველთა მეფის ერეკლე II მიერ ამ საკითხთა მოწესრიგებისათვის გადადგმული მოკრძალებული ნაბიჯებიც ზღვაში წვეთი აღმოჩნდა და განათლების დონე და მიმართულება, მასიურობის თვალსაზრისით, თითქმის უცვლელი დარჩა ერეკლე II მეფობიდან ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგაც.

ძალიან ბევრი ფაქტორია ამის განმაპირობებელი. დაწყებული მტერთა შემოსევებიდან, უპირატესად ქვეყნის შიგა, თითქმის, ტრადიციული აშლილობებითა და ნგრევებით, რომელთა აქტიური ხელშემწყობნიც არაიშვიათად თავადაზნაურული სამყაროს წარმომადგენლებიც გამხდარან. როგორადაც არ უნდა მოგვეჩვენოს კონკრეტულ მიზეზთა შორისაა კლასობრივ-დისკრიმინაციულ ურთიერთობათა შედეგად ჩამოყალიბებული შევიწროებანიც. მასების დიდი ნაწილის შატერიალური სიღატაკე, მათზე შეხედულებათა და იმ ფსიქოლოგიის გავლენაც, რომლის საფუძველზეც ეს ეროვნული უმრავლესობა უუნარო, მდაბიოთა კატეგორიად იყო მიჩნეული. ამის მაგალითები არაერთია და დეკლარირებულად იგი პრინციპულად გამოჩნდა გლეხთა განთავისუფლების პროცესებში, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მსჯელობისას. ერთი მაგალითი: „...გლეხს თავისუფლება არ უნდა მიენიჭოს, რა, რომ გლეხებს გათავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან. ჩვენ კარით-კარამდე უნდა ვიაროთ და მოწყალება ვითხოვოთ, აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახისა და მიწის დამმუშავებელი, აღარც საქონლის მწყემსი, აღარც შვილების გამზრდელი ძიძა..." მეორე მაგალითი: „გლეხთა განთავისუფლება არ უნდა იქნას დაშვებული... ეს იქნება უკანონობა და უსვინდისობა. უკეთუ სვინდისით განვსჯით ჩვენ გვმართებს მომადლიერება ჩვენის ცოლისა და შვილისა, რომელთაც არ შეგვიძლია არც გუთანზე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა, არც სხვაგან მოჯამაგირედ დადგომა, რომელთაგანაც უცხონი ვართ და უცოდინარნი, ხოლო გლეხი მარად მზად არის ყოველთა ამა საგანთა ტვირთად და არც არავისაგან დაიზრახება, რადგან შობილია ა მ გ ვ ა რ ი მ დ ა ბ ი ო ცხოვრებისათვის და სიყრმიდანვე გაზრდილია ამისთანა ცხოვრებაში..."

„დიდებული შეხედულებაა!" იგი ასევე ძირფესვიანად ანგრევს, დღესაც მოარულ პოსტულატებს გლეხსა და მებატონეს შორის კეთილ, პატრონყმურ დამოკიდებულებაზე. რომ ამ საკითხზე სხვა კუთხით არ გავაგრძელოთ საუბარი. პირველ მაგალითს ხელს აწერს 74-თავადაზნაური, მეორე კერძო პირის მოსაზრებაა, მაგრამ იდენტური შინაარსით.

ამდაგვარი შეხედულებიდან გამომდინარე, თავადაზნაურობა, როგორც პოლიტიკური კლასი, რომელსაც ევალებოდა ქვეშევრდომებზე ზრუნვა, სერიოზულად იფიქრებდა თუ არა ამ „მდაბიოთა"განათლება-განსწავლულობაზე, კომენტარისაგან თავი შევიკავოთ, სამწუხაროდ, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებით სჩანს ამ არისტოკრატიული ელიტის რიგმა წარმომადგენლებმა „ვანის" სინამდვილეში ვერც საკუთარი საგანმანათლებლო დიაპაზონის გაფართოებაზე იზრუნეს, თუმცა საამისო საშუალებანი უდაოდ გააჩნდათ.

როდესაც უცხოელთა შეხედულებებს ვიმოწმებთ, მაგალითად გიულდენშტედტისას, უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს ადამიანი, რომელიც თავისი მოგზაურობის პროცესში უზრუნველყოფილი იყო და დახმარებას იღებდა უშუალოდ ქართველი მეფეების – ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველისაგან, მათ კარზე აუცილებლად შეხვდებოდა ჯეროვანი განათლებისა და წიგნიერ ადამიანებს. მაგრამ მისი შენიშვნები ისევე, როგორც რეინიგსისა[1] და სხვებისა, ცხადია ვრცელდება არა სამეფო კარის გარემოცვისა და დაახლოებული პირების, არამედ იმ უბრალო მასების მისამართით, რომლებიც ერის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ.

---

[1] იაკობ რეინიგსი — მეცნიერი და მოგზაური, დოქტორი, აბსოლიტურად რადიკალურია მისი შეხედულება ქართულ სახელმწიფოებრივ წყობაზე „სახელმწიფო წყობილების უეარგისობის გამო ხალხი ეერ შედის ნარმატებაში და მტკიცე სახელმწიფო კანონების უქონლობა ერთს მეორის ყურმოჭრილ მონად ხდის"(გამოაქეეყნა „იეერიამ" N4-1879 ნელი)

იმავე კრიტერიუმებით შეიძლება აიხსნას ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა შეშფოთებაც, რადგანაც განათლების მიღების საკითხებთან დაკავშირებით ერის ხელმისაწვდომობა იყო გამორიცხული და აქ ნათქვამი არ მინდა ისე იქნას გაგებული, რომ ქართველ გლეხობაში (არისტოკრატთა აზრით ე. წ. „მდაბიოებში") თუგინდ წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანებშიც, ბრძენი, ჭკვიანი და კაცური კაცობის მატარებელი ცოტა იყო. პირიქით, ეს ადამიანები ცხოვრების პრაქტიკით გამდიდრებულნი, გლეხური მოქნილი ჭკუიდან გამომდინარე აზროვნებითა და მსჯელობით, სინდისით, პატიოსნებითა და ერისადმი ერთგულებით – რაც მათავარია საქმიანობით, რომელზედაც დგას ერის ღირსებაც და მატერიალური ყოფაც, იმ დროსაც და დღესაც ბევრად აღემატებიან ერის ინტერესების იგნორირებით ხელის მოთბობაზე გადასულ და ერთმანეთის შუღლში ჩამარხულ იმ ინტელექტუალებს, რომლებსაც დიპლომის მიხედვით აქვთ „კლასიკური განათლება."

აქედან:

– ქართველი ერის დიდ უმრავლესობას ყოველთვის ჰქონდათ მიდრეკილება სწავლისადმი და ამისათვის თანდაყოლილი ნიჭიც მოსდგამდა.

– ქართველი ერის დიდ უმრავლესობას, ეპოქათა მანძილზე, პირდაპირ ვაღიაროთ, XX საუკუნის 10-იან წლებამდე, არასდროს ჰქონია რეალური და მასიური საშუალება უწყვეტი სწავლისა და განათლების მისაღებად. ხოლო, როდესაც ეს პირობები კარდინალურად შეიცვალა, სწავლება გახდა სავალდებულო, ხოლო შემდეგ უფასო, როდესაც წოდებრივი ბარიერები მოიხსნა, სიტუაცია ასევე კარდინალურად შეიცვალა ერისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს განაპირობა სახელმწიფოებრივმა ხელშეწყობამ.

დასამალი არაფერია – ქართულ გვიანფეოდალურ სახელმწიფოს და მის მესვეურებს მთელ რიგ მიზეზთა გამო არ გადაუდგამს ნაბიჯი ერის ხელშესახები განათლებულობის მიღწევის საქმეში. რუსეთის იმპერიაც, რომლის ერთ-ერთ განაპირა მხარესაც მიერთების შემდეგ საქართველო წარმოადგენდა, ამ ძალისხმევას იჩენდა იმ დოზით, რა დოზითაც მას სჭირდებოდა. ერთეული ფაქტები ამ მხრივ მნიშვნელოვანი მონაცემების თვალსაზრისით არაფრისმთქმელია. მიუხედავად ამისა, ობიექტურობა ითხოვს თქვას, რუსეთის იმპერიამ საქართველოს მიერთების შემდეგ ეს ნაბიჯი მოკრძალებულ დონეზე მაინც გადადგა. სანყის ეტაპზე, მხოლოდ გამორჩეულთათვის, იმპერიის საყრდენი თავადაზნაურობისათვის. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, დეკლარირებულად თითქმის ყველასათვის, მაგრამ პრაქტიკულად იგი მაინც ნაკლებად შეეხო ქვედა ფენებს, ხოლო აქამდე თავიანთ მიკროსამეფოებში ჩაკეტილი ფეოდალური საზოგადოება საჭიროდ არ თვლიდა მასებისთვის განათლების აუცილებლობას. ამის ფაქტები უამრავია, რადგან სურათი საერთოა, მხოლოდ ზოგიერთ ფაქტზე შევჩერდეთ და შემდეგ გავაანალიზოთ „ვანის „ მაშინდელ სივრცეში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა:

ა – ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან საქართველოს სამაზრო ქალაქებში, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაშიც, კონკრეტულად ქუთაისში, უკვე რუსული ხელისუფლება ხსნის ორკლასიან სასწავლებლებს. სასულიერო სასწავლებლებში გლეხებსაც მიეცათ სწავლის მიღების უფლება, სწავლება ყველგან მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, სასულიერო დაწესებულებანი ამ დროიდან დიდხანს რჩებიან თითქმის ერთადერთ საგანმანათლებლო კერებადაც. როგორც ჩანს, დაბალმა ფენებმა, ვანის მოსახლეობის ამ ნაწილმა, მიზეზთა გამო, ამ შეთავაზებით მნიშვნელოვნად ვერ ისარგებლა.

ბ – ბატონყმობის გაუქმების შემდეგ,[1] როდესაც გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს სურვილისა და მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით, მაღალი წოდების ახალგაზრდობასთან ერთად დაუშვეს გლეხთა შვილების სკოლებში მიღებაც, სასკოლო ქსელისა და კონტინგენტის გაფართოების მაჩვენებელიც თითქმის უმჯობესდება და ქუთაისის გუბერნიაში „1875 წლისათვის ფუნქციონირებდა 97 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი 6467 მოსწავლით." იმავე გუბერნიის ქუთაისის მაზრის „ვანის" სოფლებში ამ მხრივ ძვრები თითქმის საერთოდ

[1] ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლიდან.

არაა. მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის რეფორმიდან დაახლოებით 15 წლის შემდეგ იკვეთება პირველი კონტურები და ისიც ალაგ-ალაგ ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლების გახსნით. ასევე, გუბერნიაში გატარებული რეფორმების შემდეგაც, რომელმაც უფლება მისცა კერძო პირებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს მთავრობის ნებართვით დაწყებითი სკოლების გახსნის თაობაზე „ვანის" სოფლებში, როგორც ითქვა, მთელი 15 წლის მანძილზე პროცესი ასევე დაუძვრელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას ეკონომიკასთან ერთად მოუნდომებლობაც განაპირობებდა მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ საერთო ჩამოყალიბებულ შეხედულებასაც, რომელიც პროცესზე საფუძვლიან გავლენას ახდენდა და კრიტიკული ხედვით არაერთხელ იქნა გაშუქებული მაშინდელ პროგრესულ პრესაშიც. **„წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებელს არას მოუტანს, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი უნდა ვასწავლოთ."** ცხადია ყოფიერება ადამიანთა ქცევაში ბევრ რაიმეს განსაზღვრავს, მაგრამ განათლების პროცესების ამ დონეზე დაყვანა რბილად რომ ვთქვათ უხერხულია.

გ – უფრო მოგვიანებით, სახალხო განათლებაზე ყურადღების გადატანა განაპირობა ბურჟუაზიული გარდაქმნებიდან გამომდინარე საჭიროებამ და ცხოვრებაში გატარებამ, რომლის წინაშე საქართველოც რეალური პირობების კარნახით დადგა. განათლებული, ან შედარებით განათლებული საზოგადოება შეესაბამება ბურჟუაზიის ინტერესებს, რადგან საწარმოო ეკონომიკური პროგრესი ითხოვს ამ საქმის მოწესრიგებას და დღის წესრიგში დგება მოთხოვნა ეროვნულ კადრებზეც. სამწუხაროდ, საქართველოში, მით უმეტეს, პერიფერიებში, ეს ასე არ იყო, რადგან ეროვნული ბურჟუაზია სუსტი და მათი სამოქმედო სივრცე ნაკლებ მოცულობითი იყო, იგი ჩაანაცვლა და გვერდზე მისწია კიდევაც სომხურმა და რუსულმა, ოდნავ მოგვიანებით სხვა ქვეყნების ბურჟუაზიამ. მიზეზთა გამო ქართულ ეროვნულ კადრებზე ზრუნვა მათ ინტერესებში ვერ მოხვდა. საქმის დაძვრაზე არანაკლებ გავლენას ახდენდა ადგილობრივ მესვეურთა ჩამოყალიბებული, ინდიფერენტული დამოკიდებულებაც. თავის სტატიაში – „თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში," ილია ჭავჭავაძე როდესაც პროცესებს და სტატისტიკურ მონაცემებს ეხება, აღნიშნავს: – **„შორს რომ არ წავიდეთ ავიღოთ მაგალითად სწავლა-განათლების საქმე... რას ვხედავთ აქ? არცერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, რგორც თავადაზნაურობა... იგი აქაც როგორც ბევრში სხვაშიც დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას და გაძღოლას... იმას ვხედავთ, რომ ან არსებულ სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან."** შემდეგ აანალიზებს თბილისის რეალურ სასწავლებელში არსებულ მდგომარეობას და მოჰყავს ფაქტები: – „გასულ წელს რეალურ სასწავლებელში ყოფილა 358 შეგირდი, მათ შორის ქართველი მხოლოდ 27, რუსი 138, სომეხი 136, გერმანელი 24 – ხოლო, როდესაც მცხოვრებთა რაოდენობისა და ეროვნებათა მიხედვით წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს გვთავაზობს – აქაც ქართველობა ბოლო ადგილზეა.[1] ცხადია, რეალური სასწავლებელი თავისი საგანმანათლებლო სტრუქტურით რადიკალურად განსხვავებულია ერთ-ორ კლასიან სამრევლო სკოლებისაგან, მაგრამ აქ აქცენტის დასმაა საინტერესო. დიდი პიროვნება საერთო გულგრილობაზე მიუთითებს და, როგორც ჩანს ბევრი რამ მოუნდომებლობისა და პროცესის შეუფასებლობის შედეგია. ის, რომ პერიფერიაში, „ვანშიც," პროგრესირება განათლების საკითხებში ასე მტკივნეულად იძვრის თავადაზნაურთა, როგორც პოლიტიკური კლასის გულგრილობაზეც საფუძვლიან წარმოდგენას გვაძლევს. ცხადია, ვანი, თავისი სოფლებით არ წარმოადგენდა ცალკე განყენებულ სამყაროს, მას ცხოვრებას კარნახობდა ის ტენდენციები, რომლებიც იმპერიასა და საქართველოში წარმოადგენდა მოქმედების ძარღვს, მაგრამ ამ ჩიხური დასახლებისათვის XIX-საუკუნის II ნახევრის შემდეგაც ჩამორჩენილობა მეტისმეტად იგრძნობა.

დ – მითითებული დროის ინტერვალში, მთელი სასწავლო-საგანმანათლებლო საქმე ძირითადში დაეყრდნო მხოლოდ გლეხთა პიროვნულ გადასახდელებს, ეს ფაქტები დადასტურებულია. მასალების ანალიზით ცხადი ხდება, რომ პროცესი ვერ დაიძრა, რის გამოც არსე-

[1] ილია ჭავჭავაძე ტომი IV –„წერილები სახალხო განათლებაზე, თავადაზნაურთა გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში"გვ. 356

ბული დონე და მდგომარეობა შენარჩუნებულია XX საუკუნის დასაწყისშიც კი, მიუხედავად იმისა, როგორც ითქვა, მხოლოდ ამ დროიდან აქა-იქ ჩანს ერთეულ ენთუზიასტთა ნახმარების მაგალითები, თუმცა ამ ფაქტების მოშველიებითაც ძნელია ვიმსჯელოთ ხელშესახებ შედეგებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ მოკრძალებულ ძვრებზე, რომელზედაც ვსაუბრობთ, რიგ მომენტებთან ერთად გავლენას მოახდენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლოკალური საქმიანობაც, რომელიც რამდენადმე შეეხო პროვინციებსაც. ამის მაგალითი ჩანს ვანშიც საკვირაო სკოლის გახსნით.

1880-იანი წლებიდან სოფლის საზოგადოებების გამსხვილებამ, მათ საქმიანობაში ცვლილებების შეტანამ, საერთო-საზოგადოებრივ ურთიერთობათა რამდენადმე ახალ დონეზე წამოწევამ, გავლენა მოახდინა მასების ცნობიერების თანამიმდევრულ ცვლაზეც და პარალელურად გამსხვილებული სოფლების საზოგადოებათა ადმინისტრაციებში დადგა საკითხი წერა-კითხვის ნორმალურად მცოდნე კადრებით დაკომპლექტების თაობაზე. იმავე მოთხოვნებს აყენებდა ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ეკონომიკურ წყობაზე გარდამავალი პერიოდიც და რადგანაც „ვანის" სოფლებიც უდაოდ, მეტნაკლები ფორმით, ჩართულნი აღმოჩნდნენ ახალ სიტუაციებსა და მათგან გამომდინარე ურთიერთობებშიც, პროცესთა ერთობლიობა შედარებით აქაც აძლიერებდა მოთხოვნასა და მოქმედებას სოფლის საზოგადოებათა ცენტრებში მაინც 1-2 კლასიანი სამრევლო სკოლების დაარსება-ამოქმედებისათვის. ეს იყო გამოწვეული მოსახლეობის დაინტერესებითაც, ამის მაგალითებზე უკვე შეიძლება მსჯელობა, რადგანაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, უფრო ინტენსიურად 80-იანი წლების შუახანებიდან, არანახტომისებურად, მაგრამ მდგომარეობა მაინც იცვლება ანალოგიური პროცესები შეინიშნება ვანის სოფლებშიც და ეს დასტურდება ფაქტებით. საერთოდ, იმ პერიოდის საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული სირთულეებიდან საინტერესოა „ივერიის"მოსაზრებაც, რომელიც 1879 წლის მეორე ნომერში აღნიშნავდა: „ამ უკანასკნელ ხანს შკოლები ჩვენს სოფლებში კანტი-კუნტად იხსნებიან. ეს უფრო იმისთანა სოფლებში ხდება, რომლებშიაც 300-400 მცხოვრებზე მეტია... ამოდენა სოფლებში გლეხ კაცებს არ უჭირდებათ წელინადში 3-4 მანეთის გამოღება მასწავლებლების შესანახავად. მაგრამ ცხადია, თუ ამ სოფლებშიც მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამმა-ოთხმა სოფელმაც, რომ ერთად მოიყაროს თავი, მაინც შკოლის გაკეთება და მასწავლებლების შენახვა გაუძნელდებათ." დავამატებთ ერთს: იმპერიამ და კავკასიის ხელმძღვანელობამაც რეფორმებს სკოლებისა და განათლების შესახებ, სხვა მარეგულირებელი აქტებიც მოაყოლეს, მაგრამ საკითხთა მატერიალური დანესრიგებისაგან მაქსიმალურად დაიბანეს ხელი. ამიტომაც იყო, რომ პროცესი მტკივნეულად, უკიდურესად ნელა მიიწევდა წინ. თქმა არ შეიძლება იმისა, რომ საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული საზოგადოება ამას არ გრძნობდა, იბრძოდა კიდევაც. მაგრამ ასევე სუსტი იყო მხარდაჭერაც. ამაზე მეტყველებს გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ საკითხის ინიცირება თავადაზნაურთა ყრილობაზე – „ყოველმა თავადმა თუ აზნაურმა უნდა იკისროს წლითი-წლობით ხარჯი, რომ მისი შემოსავლით დაარსებული იქნას საკუთარი გიმნაზია"... და რადგან სხვა გამოსავალი არ ჩანდა, გენერალმა ამით, ამ პოლიტიკურ კლასს, შეახსენა მოვალეობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ამ წინადადებამ ყრილობის მონაწილეთა შორის, ცხადია, მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ეს გასაკვირი არცაა, თუ ამ ყრილობის მონაწილეთა შორისაც ისეთივე დამოკიდებულება იყო, როგორც ეს პოლიციისა და ჟანდარმერიის ქუთაისის განყოფილების შეფის 1905 წლის 24 ივნისიის ზემდგომთათვის მიწოდებულ მოხსენებით ბარათშია აღწერილი, რომ „რას აკეთებენ თავადაზნაურთა წინამძღოლები და მომრიგებელი შუამავლები? ესენი უფრო ნაკლებად არიან დაკავებულნი სამსახურეობრივი საქმიანობით ვიდრე სხვა უწყებები, ისინი თავისუფლად ცხოვრობენ საგუბერნიო ქალაქებში, ერთობიან სმითა და კარტის თამაშით." იმავე ბარათში არც მთლად სასიამოვნოდაა შემკობილი მღვდელთმსახურთა საქმიანობაც.[1] ცხადია, ასეთ სიტუაციაში განათლების საკითხ-

[1] Революция 1905-1907 гг. Сборник документов. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მასალები.

თა დანუსრიგებაც არა თუ ოპერატიულად, საერთოდაც შეუძლებელია. თუმცა ამ სტატიის ავტორი ასეთი შეურაცხმყოფელი შეფასების პათოსს მთლიანობაში ვერ გაიზიარებს, მაგრამ მსგავსი ელემენტების არსებობას არ გამორიცხავს.

მიუხედავად ყველაფრისა, დრომ აჩვენა, რომ XIX საუკუნის მიწურულს ქართველობამ რამდენადმე მოინდომა და შესაძლებლობათა ფარგლებში საკუთარ მხრებზე აიღო საკითხის გადაწყვეტა. არამასიურად მაგრამ „ვანის" რიგ სოფლებშიც იწყება ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლების დაფუძნებაც, ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ 1884 წელს გამოცემული ახალი დებულება, რომლითაც სამრევლო საეკლესიო სკოლები გადაყვანილნი იქნენ ადგილობრივი მრევლის მღვდლის უშუალო მეთვალყურეობაში, კონტროლი დაევალათ ეპარქიულ მღვდელმთავრებსა და საქართველოს ეგზარქოსს. ამდაგვარი სკოლების მასწავლებლობაც განსაზღვრათ მღვდელმსახურებს, ამდენად ის აქტიურობა, რომელიც აშკარაა ვანის რიგ სოფლებში ერთ-ორკლასიანი სკოლების გახსნით, მოგვნონს თუ არა, შეესაბამებოდა მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივ დავალებებს.[1] მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ადგილობრივ (ვანელ) მღვდელმსახურთა აქტიურობა საკითხის შეძლებისდაგვარად გადაჭრისათვის დასაფასებელია და გამოკვეთილად ჩანს ადგილობრივ წარჩინებულთა გვარისა და სოფლის საზოგადოებათა მამასახლისების აქტიურობისაგან. პროცესმა ღიად დატოვა პროფესიონალური საკადრო პოლიტიკისა და სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი და ა. შ. რაც შეეხება ადგილობრივ სასწავლებელთა შენახვის ფინანსურ ხარჯებს კონკრეტულ შემთხვევაში იგი დაეკისრა „ვანის"გლეხობას,[2] პროცესისაგან სახელმწიფო დისტანცირებული გახდა. ამას ადასტურებს კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ცირკულარული წერილი (20 ოქტომბერი 1889 წელი), რომელიც ეხება „სოფლების საზოგადოებებიდან სოფლის სკოლების შენახვისათვის აკრეფილი თანხების ხარჯვისა და დაცვა-გამოყენებაში განსაკუთრებული წესრიგის დამყარების საკითხსს." გაძლიერებულია მოთხოვნა მოსახლეობისაგან შესატყვისი თანხების ამოღებაზე, მაგრამ სიტყვაც არაა დაძრული სახელმწიფოსგან სოფლის სკოლებისათვის ფინანსურ-მატერიალური წახმარების შესახებ.[3] მსგავსი პოზიცია თითქმის უცვლელად დარჩა XX საუკუნის 10-იან წლებამდე. ეს აისახა მოსწავლეთა კონტინგენტზეც რომელიც, საერთოდ, ქვეყანაში უალრესად მცირეა, „ყოველ 1000 სულზე სწავლაში ჩაბმული იყო მხოლოდ 9 ბავშვი."[4] ეს პროცესი პრაქტიკულად კონკრეტული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებადაა ქცეული, ისე, როგორც სკოლებში მშობლიური ენის სწავლების გაუქმება.

– „ვანშიც" არსებულ და მის მსგავს სამრევლო სკოლებშიც ქართული ენა სასწავლო საგნად იყო მიჩნეული. როგორც ითქვა, დანარჩენი საგანები ისწავლებოდა მხოლოდ რუსულად, თუმცა 1885 წლიდან ქართული ენის სწავლებაც გააუქმეს. მშობლებს განუმარტეს, რომ ბავშვებს საკუთარ ოჯახებში უნდა შეესწავლათ ქართული ენა.

ჩვენთვის ცნობილია ქართველ თერგდალეულთა ბრძოლა ქართული ენის პრიმატისა და სიწმინდის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ეტყობა ქართველ არისტოკრატთა ნაწილი ამ ბრძოლას ვერ, ან არ შეუერთდა. 1877 წელს გაზეთი ივერია (№2) აღნიშნავდა, რომ „ზოგნი კეთილშობილნი თხოვნით მიმართავდნენ სასწავლებელთა უფროსებს ჩვენს შვილებს ქართულ ენას ნუ ასწავლითო, ამავე დროს ეს თავადაზნაურობა ნადიმებისა და შექეიფების დროს სიტყვას ისე არ მოაბრუნებდა, რომ სამშობლო და ქართველი არ ეხსენებია..." ცხოვრების პრაქტიკულმა მოთხოვნებმა დააყენა ბევრი ქართველი ამ გზაზე „ყველა ხედავდა, რომ მისი შვილი არა თუ წარჩინებული, ლუკმა პურსაც ვერ იშოვიდა თუ რუსულში კარგად განაფული არ იქნებოდა..." პროცესმა არისტოკრატთა ოჯახებიდანაც განდევნა ქართული," რითაც ჩანს, რომ ქართული ენა გზადაგზა კარგავდა პრიორიტეტს, როგორც საკომუნიკაციო საშუალება. სამწუხაროდ,

---

[1] ეს იყო სინოდის ობერპროკურორის პობედონოსცევის პროექტის ნანილობრივ განხორციელებაც რომელიც ითხოვდა ყველა არსებული სასნავლებლების, სნავლა-განათლების საქმე მთლიანად გადასცემოდა სამღვდელოებას. ამ დებულების პუნქტების შესრულება ატარებდა სავალდებულო ხასიათს.

[2] ამაზე მასალები დაცულია ვანის მხარედმცოდნეობის მუზეუმში.

[3] ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები ფონდი 176 ამონაწერი №1, საქმე 451.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევი ტ-V–გვ- 813

ეს პროცესი გააქტიურებულია დღესაც, რადგანაც თუ ქართველ საზოგადოებას საკუთარ სამშობლოში არ გამოეძებნება დასაქმებისა და თვითგადარჩენის ადგილი, ორიენტირებული იქნება, „ლუკმაპურის საშოვნელად," ასევე, შემდეგი წინსვლისათვის, ქვეყნიდან გაიხიზნოს და ამისათვის მოემზადოს, ამ შემთხვევაშიც მშობლიური ენა ნელ-ნელა დაკარგავს პრიორიტეტს. აქედან ცხოვრების კარნახით მას ჩაანაცვლებს ის ენა, რომელიც პრაგმატულ-ცხოვრებისეული მოთხოვნებით იქნება ნაკარნახევი. ამის მაგალითები უკვე ჩანს.

„ვანში" არსებული სამრევლო სკოლების მატერიალური ბაზა იყო უაღრესად არაშესაფერისი. ამას ჩვენ რამდენიმე პრაქტიკული მაგალითის ჩვენებით თხრობისას შევეხებით, მაგრამ ამ დროის განმავლობაში „ვანის „ ყველა სოფელში ფუნქციონირებდა 34 სასულიერო დაწესებულება. ზოგიც ხით, ზოგიც ქვით-კირით ნაგები, შესაბამისად, კეთილმოწყობილიც. ყველა მათგანი აგებული ან განახლებულია XVIII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის მიჯნამდე, რაც მისასალმებელია, მაგრამ ამავე პერიოდში, XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, „ვანის" სოფლებში არ არსებობდა და არც ფუნქციონირებდა, თითქმის, არცერთი ტიპის სასწავლო დაწესებულება, რაც განათლების შეუფასებლობაზეც ახდენს ხაზგასმას. თუმცა 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდეც ერთ-ორ კლასიანი სასწავლებლებითაც არ იყო უზრუნველყოფილი „ვანის" სოფლების დიდი უმრავლესობა.

დავუბრუნდეთ საკითხს:

ისტორიკოსი ივ. ხურციძე მის მიერვე შედგენილ მშობლიურ სოფლის, უხუთის, ისტორიაში, რომელიც თავის დროზე წარმოადგენდა სოფლის საზოგადოების ცენტრს (მასში შედიოდა უხუთი, საპრასია, რომანეთი) აღწერს – „სოფელი მთლიანად უწიგნური იყო, ხანდაზმულთა გადმოცემით მხოლოდ მამუკა ჩუბუნიძემ და პორფილე ხურციძემ იცოდნენ კითხვა, წერის გარეშე. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე სოფელში არ იყო არცერთი სკოლა, კულტურული და სამედიცინო დაწესებულება. სწავლა-განათლების საქმეს აქ საფუძველი ჩაუყარა სოფელ ლაილაშიდან გადმოსახლებული მღვდლის, საბა თვარაძის, შვილმა ივანე თვარაძემ – სემინარია ქონდა დამთავრებული. უხუთის წმინდა გიორგის ეკლესიასთან გახსნა სამრევლო სკოლა 1886 წლის 8 იანვარს. მეცადინეობა ტარდებოდა ჯერ ეკლესიის შენობაში, შემდეგ ივანე თვარაძის სახლში (ეს ივანე თვარაძე, როგორც ჩანს არის პროფესორ რეზო თვარაძის წინაპარი), სწავლა წარმოებდა უფასოდ, ქველმოქმედებით. პირველი მასწავლებელი და ზედამხედველი იყო თვით ივანე თვარაძე, 1899 წლიდან დაინიშნა მასწავლებელი უხუთელი ელისე ქარჩხაძე. 1909 წელს ხალხის საშუალებით შეძენილი იქნა შენობა სკოლისათვის: მერხი 20 ცალი, მაგიდა 2 ცალი და სკამი 6 ცალი დაამზადა და სკოლას უსასყიდლოდ გადასცა ხელოსანმა თეიმურაზ ენუქიძემ."

ალექსანდრე მაღლაკელიძე – (სოფელ დიხაშხოდან, შემდეგში მეცნიერ მუშაკი, „ვანში" 1924 წლის აჯანყების მომსწრე, თვითმხილველი და კარგად მცოდნე) თავის მოგონებებში „კვალდაკვალ" აღნიშნავს – „მე მეჩვენეობდა, რომ ჩემი სოფელი კულტურული იყო ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რომ აქ განათლებული ადამიანები ცოტა იყო, ჩვენ სოფელს, ისე როგორც მრავალ სხვა მომიჯნავე სოფლებს ემსახურებოდა ჩვენი მეზობელი სოფლის – სალხინოს ორკლასიანი სამრევლო სკოლა ქვითკირის საყრდენებზე აგებული. ეს ოროთახიანი შენობა გარედან თეთრად იყო შეღებილი. ხშირად მესმოდა, რომ აქ ბავშვებს სცემენო. ამიტომ გული არ მიშვებოდა სწავლის დაწყებას." სწავლება იყო რუსულ ენაზე, საღვთო სჯულიც რუსულად ისწავლებოდა, გალობაც და დილის ლოცვაც რუსულად სრულდებოდა. დასჯის მეთოდი: ბავშვების უსადილოდ დატოვება და გაობასტში ჩასმა. (ვანის სინამდვილეში დასჯის ასეთი ფაქტები დასტურდება რიგ სხვა სკოლებიდანაც), შემდეგ ეს კაცი სწავლას აგრძელებს სოფელ „ვანის" სკოლაში უფრო მაღალ საფეხურზე (ამ დროისათვის აქ ფუნქციონირებდა ოთხკლასიანი სასწავლებელი)[1] და აღნიშნავს, სკოლა კეთილმოუწყობელი იყოო, ოღონდ სოფელ „ვანის" სკოლის ზედა საფეხურები მასიურ რელიგიურ გავლენას აღარ განიცდიდაო.[2]

---

[1] **პრაქტიკულად, იმ დროისათვის საშუალო სკოლა რომელშიდაც მისაღები კონტინგენტის ასაკი 14 წელზე დაბალი არ უნდა ყოფილიყო და დამთავრებული ჰქონდა სამრევლო სკოლა.**

[2] **ეს ეხება 1918 წლის შემდეგ პერიოდს, როდესაც მენშევიკურმა ხელისუფლებამ განახორციელა სკოლებში რელიგიური პოსტულატების შევიწროება.**

ასიმილაციური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ქართული ენის სწავლების შეზღუდვა და ჩანაცვლება რუსულით, რაზეც ჩვენ ცოტა ზემოთ მივუთითეთ, ეს გავლენა საფუძვლიანად იგრძნობა იმდროინდელ „ვანშიც", რის გამოც ქართულ ცნობიერებაზე რუსულის გავლენა იყო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულად წერით მეტყველებაზე. ამას ამტკიცებს „ვანის" მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების უმრავლესობა, რუსულ ენაზე შედგენილი ან თარგმნილი სასულიერო ლიტერატურა და საქმიანი საბუთები. ასეთ მასალათა დიდი ნაწილი (დაახლოებით 2000) აღრეულია რუსულ მეტყველებასთან. განიცდის რუსულ-ქართულ ნინადადებათა და სიტყვების ურთიერთჩანაცვლებას, ტერმინოლოგიათა და რუსული გამოთქმების ქართულთან შეზავებას, რაც მიუნიშნებს რომ ან ამ საბუთთა, საქმიან ქაღალდთა შემდგენელი პირები მოსწყდნენ ქართულ სასაუბრო ენას, ან ქართული წერითი მეტყველება მოქცეულია ჩიხში, ხოლო უფრო მაღალ ინსტანციებში შედგენილი საქმეები, ნოტარიალურიდან დაწყებული სამომრიგებლო სასამართლოებითა და საიჯარო ხელწერილებით დამთავრებული, მთლიანად რუსულადაა ნაწარმოები და განსაკუთრებულად იმ ფენებისათვის, რომლებიც ე.ნ. ნარჩინებულთა კასტას მიეკუთვნებიან, რაც შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

იმდროინდელ „ვანის" სოფლებში განათლების ქსელის დაბალ დონეზე, არასაკმარისობასა და იმაზეც, რომ სკოლები ჯერ კიდევ სოფელთა დიდ ნაწილში არ იყო, რომ მოსწავლეთა კონტინგენტიც შეუდარებლად მცირეა, მიუნიშნებს ის ფაქტებიც, რომ ცალკეული სამრევლო სკოლების დამამთავრებელ კლასებს ამთავრებს 7-8-12 მოსწავლე მაშინ, როცა სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა შედარებით სოლიდურ ციფრებს აღწევს.[1] ზემოთ მოყვანილი ფაქტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ერთ სამრევლო სკოლაში სწავლობდა არა უმეტეს 15-20 ბავშვისა, ისინი, რომელთა მშობლებსაც სწავლის საფასურის გადახდის საშუალება ჰქონდათ. მაგრამ გასაოცარია ჩამოყალიბებული პრაქტიკა იმ გამორჩეულ ფენაშიც, რომელთაც რეალურ-მატერიალურ საშუალებათა შედეგად ხელეწიფებოდათ სწავლა-განათლების მიღება.

თავადი ნესტორ ერისთავი[2] თავის მოგონებებში კონკრეტულ მითითებებს აკეთებს ამ საკითხზე და აღნიშნავს: – „რადგან მამაჩემი უსტავლელი კაცი იყო, არც შვილების სტავლისათვის მიუქცევია ყურადღება. ორი მათგანი იყო ხუთ კლასიანები, დანარჩენი ორი, ორ კლასიანები." აქვე ამატებს, რომ მისი ძმა გიორგი ორკლასიან სასწავლებელში შეუყვანიათ, სადაც „რა განათლება უნდა მიეღო, ბევრს რას ისტავლიდაო." მითუმეტეს, მხედველობაშია მისაღები, რომ ორკლასიან განათლებას ზევით კონკრეტულ პერიოდამდე „ვანის" სოფლებში განათლების მიღება თითქმის შეუძლებელი ჩანს. ამისათვის მაზრის ცენტრში გადანაცვლება იყო საჭირო, რაც არაერთგანზომილებიან პრობლემასთან იყო დაკავშირებული და ამის გაკეთება მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისებს თუ შეეძლოთ.

უფრო რთული დამოკიდებულება იყო ქალთა კონტინგენტთან დაკავშირებით – „ქალს უნდა სცოდნოდა ჭრა-კერვა და ეს საქმე გადადიოდა თაობიდან თაობაზე, უკრავდა ჩანგსა და ლარზე..." ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე ვანის სკოლაში, რომელშიც 68-მდე მოსწავლე სწავლობდა, არც ერთი მათგანი არ ეკუთვნოდა მდედრობით სქესს, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარობის შედეგი ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც: მხოლოდ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ასეულობით ხელწერილის, შეთანხმების, შინაურული გარიგების, ნოტარიალური და ა. შ. ფაქტების ანალიზით ცხადი ხდება, რომ დიდ უმრავლესობაზე 60% მეტზე ხელმოწერები უშუალოდ საქმეში ჩართული პირების მაგივრად შესრულებულია სხვა, წერა-კითხვის რამ-

---

[1] ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო არქივის მასალები, ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორთა ყოველწლიური ანგარიშები.

[2] ბარის ერისთავთა წარმომადგენელი, რომლის მიერაც დაწერილი მოგონებები (მიძღვნილი რძლისადმი) არაერთ მნიშვნელოვან მომენტზე იძლევა საფუძვლიან წარმოდგენას. ჩვენ გვქონდა საშუალება შეგვესწავლა ის და ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში მუშაობის პროცესში შეგვედარებინა რიგ მნიშვნელოვან ფაქტებთან, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მოგონება შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც წყარო. ამჟამად იგი დაცულია გიორგი ერისთავის კერძო კოლექციაში.

დენადმე მცოდნე პირთა მიერ გრიფით: „რადგან მან (მითითებულია პიროვნება) წერა-კითხვა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ“ – მითითებულია კონკრეტული ხელმომწერი პიროვნება და დამოწმებულია ოფიციალურად. ამ საქმეში დაბალი ფენების ბედს იზიარებს „ვანელ“ თავადაზნაურთა არაერთი წარმომადგენელიც. ეს დადასტურებული ფაქტია და იძლევა შეფასების საშუალებას არაერთგანზომილებიანი პრობლემატიკის მიხედვითაც.“[1]

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამრევლო სკოლების ქსელის შესაძლებლობათა, მაგრამ მიზერულ ფარგლებში გაშლამ საშუალება მისცა ქართველ და მათ შორის „ვანის“ მოსახლეობის ნაწილს 1880-იანი და განსაკუთრებულად 1900-იანი წლებიდან ადგილებზე მიეღოთ ერთ-ორ კლასიანი სამრევლო განათლება. პირველ რიგში დაუფლებოდნენ წერა-კითხვას.

ამდენად, XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის საწყის ეტაპზე „ვანის“ სოფლების, კონკრეტულად სოფლის საზოგადოებათა ნაწილში სამრევლო ერთ-ორკლასიან სკოლათა მშენებლობა და მასში დაწყებით დონეზე განათლების მიღების მოგვარება დაძრულ პროცესად უნდა ჩაითვალოს და ითქვას ისიც, რომ სადაც მშენებლობის საშუალებები ვერ გამოიძებნა, სოფლების ეკლესიების ნაწილი და პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირებიც იღებენ ამ გამოწვევას. მართალია, უმცირესი კონტინგენტით, ისიც მატერიალურად შემძლე ოჯახების შვილებისათვის, მაგრამ იმ დროისა და სიტუაციიდან გამომდინარე ესეც დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროიდან აღინიშნება „მაღალი წოდების“ ერთეულ პირთაგან საქმით დაინტერესება და ასევე გამონაკლის შემთხვევაში მათგან მოკრძალებული წახმარებაც. ამის მაგალითები გვაქვს.

XX საუკინის მიჯნიდან „ვანისათვის“ საგანმანათლებლო საკითხთა მოგვარება – მოწესრიგების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს გორას საზოგადოების სოფელი ამაღლება, შემდეგში, 1909 წლიდან „ამაღლების სოფლის საზოგადოება.“

ჟურნალისტი მერაბ კვაჩიძე, მის მიერ გამოკვლეულ და გამოქვეყნებულ სტატიაში („გაზეთი საჩინო 18 ივლისი, 1991 წელი“) გვამცნობს: „1897 წელს მოწვეული იქნა ქუთაისის მაზრის ამაღლების სოფლის ყრილობა, სადაც გადაწყდა რომ მოსახლეობის შემოწირულობების ხარჯზე შეიძენდნენ ბინას და მასში განათავსებდნენ სკოლას. გამოყოფილი იქნა მიწის ნაკვეთი და გაიხსნა ამაღლების ორკლასიანი სასწავლებელი,“ წამოწყების ინიციატორები ყოფილან ბზვანელი იოსებ სანებლიძე, მღვდელი გიორგი ტყეშელაშვილი, გიგო ივანეს ძე ერისთავი, ვიქტორ მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.“ (როგორც ჩანს ეს უკანასკნელი იმ მანუჩარ ჩიჯავაძის შვილია, რომელიც მონაწილეობას იღებდა 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში რეფორმის[2] მომამზადებელ კომისიაში) სკოლა საწყის ეტაპზე განუთავსებიათ იოსებ და გიგო ერისთავების ბინაში. განსაკუთრებულობა ამ სასწავლებლისა ისაა, რომ იგი ამზადებდა პედაგოგებს სამრევლო სკოლებისათვის. სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. „ქართული ისწავლებოდა კვირაში ერთი დღე.“ დაახლოებით ცნობილია, როგორი პროგრამით ასწავლიდნენ ამაღლების ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სკოლის პედაგოგიური პერსონალიც შერჩეული იქნებოდა, დანარჩენი სკოლებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიხედვით. ამასთან, ამ სკოლის პედკოლექტივი უფლებამოსილი იყო, შეემოწმებინა რიგ სამრევლო სკოლებში სწავლების ხარისხიც ამას ადასტურებს თანამედროვეთა მოგონებები, ხოლო კურსდამთავრებულთა ატესტატში იწერებოდა: „ეძლევა მასწავლებლის უფლება, ე. ი. „ეძლევა ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს განათლების უწყების სავაჟო გიმნაზიაში ოთხი კლასის კურსდამთავრებულს.“

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელშიც აქტიურად აღმოჩნდა ჩართული „ვანის“ რაიონის სოფელთა ნაწილი, მთავრობის განკარგულების საფუძველზე ეს სკოლა დაუხურავთ და ამაში როლს ითამაშებდა, როგორც ზოგიერთ პედაგოგთა, ასევე მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ხელისუფლებისათვის ნაკლებ სანდოობაც, რევოლუციისადმი ლიბერალური დამოკ-

---

[1] ომარ კაპანაძე - ვანი ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან

[2] მხედველობაშია ბატონყმობის გაუქმების შედეგად მიწის სარგებლობისა და მიწის მფლობელობის საკითხებზე გასატარებელი რეფორმები.

იდებულება.[1] ერთ წელიწადში სკოლა კვლავ აღუდგენიათ, ოღონდ მალე ერთ-ერთი კომისიის შემოწმების მასალების საფუძველზე, მატერიალური ბაზის არადამაკმაყოფილებლად მიჩნევის გამო 1907 წელს იგი კვლავ დაუხურავთ. საზოგადოების ჩარევის შედეგად სკოლა აღუდგენიათ და მიუციათ საქმიანობის გაგრძელების საშუალება.

- რაც შეეხება „ვანის" სოფლის საზოგადოების ცენტრს კონკრეტულად ვანს, (დღეს ქალაქი ვანი) მართებული იქნება აღინიშნოს, რომ ეს მაშინდელი, სოფლის საზოგადოების ადმინისტრაციული ცენტრი, კომუნიკაციათა გაშლისა და სოციალურ-კულტურული დატვირთვის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იჭერს „ვანის თემსაზოგადოებათა დანარჩენი სოფლებისაგან. შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ერთ ან ორკლასიანი სამრევლო სკოლა აქ 1874 წლიდან არსებობდა. თუმცა, ამ საკითხზე დაცული ჯერჯერობით ერთადერთი მასალა მასწავლებელ ლევარს ძაგნიძეზე (კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიში) გარკვეულ წარმოდგენას ქმნის მითითებულ დროში აქ სკოლის არსებობაზე, მაგრამ არ იძლევა საკითხის დაკონკრეტებისა და გაშლის საშუალებას. 1900-იანი წლების მიჯნიდან კი პოზიციები შედარებით ნათლად ჩანს, ფუნქციონირებს ოთხკლასიანი სამონასტრო სკოლა. 1914 წლისათვის საქმიანობას აგრძელებს ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც, როგორც ჩანს იძლეოდა სამრევლო სკოლებში პედაგოგად მუშაობის უფლებასაც. სკოლაში მოსწავლეების ჩარიცხვა ხდებოდა კენჭისყრით, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ მისაღები კონტინგენტი იყო საკმაოდ შეზღუდული. სკოლა განთავსებული ყოფილა 1930-იან წლებში აგებული საშუალო, ასევე დღევანდელი №1 საჯარო სკოლის აღმოსავლეთით. სავარაუდოდ, დღევანდელი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე ან მახლობლად. ამ სკოლის ბიუჯეტი ყოფილა 349 მანეთი და ძირითადად ივსებოდა გლეხთა საგადასახადო შემონატანებიდან. 1887 წელს აქ სწავლობდა 68 – მოსწავლე, მხოლოდ ვაჟები. სკოლის მფლობელობაში იყო ორი ოთახი. მაგრამ იმაზე, რომ აქ სკოლა აქტიურად ფუნქციონირებდა, ამ საკითხზე დასტურს იძლევა სხვა დოკუმენტური მასალაც. „ვანის" საზოგადოების დეპუტატთა ერთი ჯგუფის მიერ კავკასიის მთავარმართებლის თავად გოლიცინის სახელზე გაგზავნილი სარჩელის ტექსტიც,[2] რომელშიც საჩივრის ერთ-ერთ გამამაგრებელ ფაქტორად მიჩნეულია, რომ სოფელი „ვანი" არის მჭიდროდ დასახლებული. აქ ფუნქციონირებდა ბაზარი, არაერთი სავაჭრო ფარდული, აფთიაქი, სკოლა და ქალთა სასულიერო პანსიონატიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან „ვანის" სკოლას აქვს ზედა საფეხურებიც (ოთხწლიანი) – „რომ მისი ზედა საფეხურები იყო საერო ხასიათის და როგორც ითქვა რელიგიურ გავლენას ნაკლებად განიცდიდა."[3] XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ამ სკოლის ზედა საფეხურების მოსწავლეთა შორის აქტიურად შლიან მუშაობას „ვანში" „მოქმედი მენშევიკური და ზოგიერთ სხვა პარტიათა წარმომადგენლები," რომლებიც ცდილობდნენ აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებზე და მათ მშობლებზეც გავლენის გავრცელებას. ეს სასწავლებელი წარმოადგენდა საბაზისო დაწესებულებას ვანის საზოგადოებაში შემავალი ზედავანის, ტყელვანის, ონჯოხეთის, დიხაშხოს, სალხინოს და მიმდებარე რიგ სხვა სოფლებისათვისაც.

XX საუკუნის დასაწყისში სოფელ „ვანში" მოქმედებდა საკვირაო სკოლაც. ასეთი სკოლები იხსნებოდა სპეციფიური დანიშნულებით, ატარებდნენ სკოლის გარეშე დაწესებულებათა შინაარსობრივ დატვირთვას, ემსახურებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კეთილშობილურ საქმეს, რომელშიდაც სწავლება მიმდინარეობდა სამრევლო სკოლების პროგრამით. მოსწავლეთა კონტინგენტს ძირითადად წარმოადგენდნენ ხელვიწრო, ღარიბ ოჯახთა შვილები. ასეთი ტიპის სასწავლებლები მოქცეული იყო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყურადღების ქვეშ. სწავლება იყო უფასო, ქართულ ენაზე და ამიერკავკასიის მაშინდელ ხელისუფალთა მცდელობას, რომ საკვირაო სკოლებშიც პრიორიტეტული გაეხადათ რუსული ენა, შედეგი არ მოჰყოლია.

---

[1] ეს ფაქტები დაფიქსირებულია. მასალა დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში.

[2] ასლი დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

[3] ალ. მაღლაკელიძე - მოგონებები „კვალდაკვალ"

დროის გარკვეულ ინტერვალში ვანის თემსაზოგადოების სოფლებში ზედავანსა და სალხინოში იხსნება ერთ-ორკლასიანი სამრევლო სკოლებიც, ხოლო კონკრეტულად სალხინოში, სოფლების – დიხაშხოსა და სალხინოს მცხოვრებთა მოთხოვნით, ზემდგომთა ნებართვით 1899 წელს მღვდლის სერაპიონ დადუნაშვილის[1] ინიციატივით გაიხსნა ორკლასიანი სამრევლი სასწავლებელი (ამ სკოლის ფუნქციონირების ზოგიერთ საკითხებს შევეხეთ ცოტა ზემოთ). დაგეგმილი იყო, რომ სკოლა უნდა მომსახურებოდა დიხაშხო-სალხინოს ბავშვთა კონტინგენტს. სწავლობდა 13 ბავშვი. 1900-იანი წლებიდან სამრევლო სკოლის სასწავლო პროგრამით, სოფელ დიხაშხოშიც ბავშვთათვის გაუხსნიათ წერა-კითხვის შემსწავლელი 6-თვიანი კურსები, სადაც, კონკრეტული დროის მანძილზე, მოღვაწეობდა (ძირითადად ენთუზიაზმით) გალაკტიონ ტაბიძის მამა, ვასილ ტაბიძე, რომლის გასამრჯელოდ თვითეული ბავშვისგან თვიურად ყოფილა 40-კაპიკი. საინტერესოა ვასილ ტაბიძის მიერ აღნიშნული სკოლის მოცულობითი აღწერილობა: „სკოლის შენობა იყო ისლით დახურული, უპოლო, უბუხრო და პატარა, სიგრძით ოთხ არშინ ნახევარი და სიგანით ორი არშინი და ჩარექი" (დაახლოებით 3-მეტრი და 20-სმ, 2-მეტრზე), ამ სკოლის ფუნქციონირებას ადასტურებს გერმანიის ვერმახტის დიხაშხოელი გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიც.

„XX საუკუნის დასაწყისში ბაქოს ნავთობ-სარეწების ყოფილი აქციონერები ძმები გიორგი და მიხა თვალავაძეები, საკუთარი სახსრებით, სოფელ ციხესულორში (მშობლიურ სოფელში) ხსნიან სკოლას, რომლისთვისაც შეუძენიათ ოთხოთახიანი შენობა, რომელიც XX საუკუნის მიწურულამდეც ასრულებდა დაწყებითი სკოლის ფუნქციას. შენობა დაძველებულია, მაგრამ დღესაც დგას. „ვანის" რაიონის საგანმანათლებლო და სკოლათმშენებლობის ისტორიაში ეს იყო თითქმის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ამავე მოცულობის სასწავლებელი აგებული იქნა მეცენატთა უშუალო ძალისხმევითა და პიროვნული ხარჯებით, იგი დღესაც მოიხსენიება თვალავაძის სკოლის სახელით."[2]

„სოფელ მუქედში (ტობანიერის სოფლის საზოგადოება) აქაური ღარიბი გლეხის შვილის ივანე კორძაძის ძალისხმევით მოეწყო სკოლა, რომელიც განათავსეს ალექსანდრე, ალისტრახო კორძაძეებისა და გერმანე გოგოძის ოჯახებში, ხოლო სასკოლო ოთახების შესაძენად ივანე კორძაძეს საკუთარი საყანე მიწებიც დაუგირავებია."[3] იგივე პიროვნება უფასოდ ასწავლიდა წერასა და კითხვას მუქედელ და მეზობელი სოფლის ბავშვებს.

როგორც ირკვევა, ნორმალური საფუძველი ჰქონდა სკოლას ჭყვიშშიც (ციცხვები ან ნიქვაძის ფონი ო.კ.) ტობანიერის თემსაზოგადოება). თანამედროვეთა გადმოცემით სხვებთან ერთად გამოკვეთილია გალაკტიონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის წინაპართა მოღვაწეობაც. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება გალაკტიონისა და ტიციანის ბაბუას სტეფანე ტაბიძეს: „სტეფანე სოფლის თავკაცი იყო და არაერთ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ამაზე მეტყველებს შემდეგი უცნობი „განაჩენიც:" „ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერელნი ქუთაისის მაზრის, ტობანიერის საზოგადოების და სოფელსა ჭყვიშის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლი მოწოდებულ ვიქმნენით ადგილობითი მღვდლის სტეფანე ტაბიძის მიერ, რომლისგან გამოგვეცხადა საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსებაზედ ჩუენს ეკლესიაზედ თანახმად გამოცემულის წესდებისა, უწმინდესის სინოდის უმაღლესად დამტკიცებულის. შემდეგ წესდების გამოცხადებისა და მწყემსობრივი შთაგონებისა ჩუენ მრევლთა მოვახდინეთ რჩევა შესახებ სამრევლო სკოლის დაარსებისა და შენახვისა და დავადგინეთ ამნაირათ, რომ სამრევლო სკოლის სახლის აშენება თვითონ ადგილობრივმა მღვდელმა სტეფანე ტაბიძემ იტვირთოს თავის ხარჯით და თუ ვინმე თავის სინდისით შეუეწევით, ეს მოიხმაროს მღვდელმა სკოლის მებელის მოსაწყობად, ხოლო რაიც შეეხება სკოლის შენახვას, ვტვირთულობთ ჩუენ

[1] გადმოცემით სერაპიონ დადუნაშვილმა, შემდგომში თავი გაანება მღვდლობას, შვეიცარიაში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი და როგორც ექიმმა მოღვაწეობა გააგრძელა საქართველოში (მასალა დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში).

[2] ომარ კაპანაძე – ვანი ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.

[3] შიო გიორგაძე – ვანი და ვანელები. გვ. 129-130

მრევლი ამ რიგათ, რომ ვისაც ბოვში კი გვეყოლება სკოლაში, მასწავლებელს ვაძლიოთ თვიურად ექს-ექვსი შაური[1] სწავლის გასამრჯელოთ და როცა დავათხოვოთ ბოვში სწავლას, არავითარი ხარჯი არ მოგვეთხოვოს მშობლებს და თავისუფალი გავხდეთ, გარდა იმისა, თუ ვისმეზედ რაც ანგარიში დარჩება მასწავლებელთან გასასწორებელი და არც მასწავლებლის ნეზადაუკითხველათაც ბოვში გამოვიყვანოთ სკოლიდან. ეს არის ჩუენი პირობა და სრულს თანხმობას ვაცხადებთ ყუელა პირნი ამ პირობით სკოლის გახსნაზედ, რასა ზედა ხელს ვაწერთ."

როგორც ჩანს, ჭყვიშის სკოლის მესვეურთათვის მთავარია არა შემოსავალი, არამედ ბავშვების მიზიდვა-აღზრდა.[2]

ზემოთ მითითებულ თარიღებში უკვე ფუნქციონირებას იწყებენ ორკლასიანი სკოლები. ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში: შუამთაში, გადიდსა და, როგორც ითქვა, ზედავანშიც, ამ უკანასკნელში ეს ხდება მღვდლის კირილე ნამიჭეიშვილის თაოსნობით, სოფელ ბზვანში ბართლომე ტყეშელაშვილისა და ქრისტეფორე ნაცვლიშვილის ინიციატივით. ტობანიერში 1876 წელს აქაური ახალგაზრდა მასწავლებლის მათე გეგიძის თაოსნობით დაუარსებიათ ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა, რომელიც თავისი ხარჯით ააშენა ტობანიერის სოფლის საზოგადოებამ. ეს სასწავლებელი 1897 წელს გადაკეთდა ორკლასიან სამონასტრო სკოლად. ამ დროისათვის ზედა ტობანიერშიც იხსნება ერთკლასიანი სამრევლო სკოლა და დაინიშნა ერთი მასწავლებელი, ადგილობრივი მკვიდრი ლავრენტი გეგუჩაძე. სკოლას არ ჰქონდა საკუთარი შენობა და ის მოთავსებული იყო ლუკა სანიკიძის სახლში. 1912 წელს ორკლასიანი სამრევლო სკოლა იხსნება მთისძირშიც. ჩვენ შევეხეთ სასწავლებლის მატერიალური აღჭურვილობის უკმარისობას, მაგრამ როდესაც ფაქტებს ეცნობი, იგი უფრო რადიკალური ფორმითაა წარმოდგენილი სამრევლო სკოლების დიდ ნაწილში სალხინოს, ზედაგორას, ტობანიერის, ბზვანის და ა. შ. მოსწავლეთა დასაჯდომებს წარმოადგენდა არა მერხი, არამედ გადებული ფიცარი, არ გააჩნდათ, სასკოლო დაფებიც, ზედმეტია საუბარი სხვა დამხმარე სამოსწავლო ინვენტარსა და თვალსაჩინოებაზე. მდგომარეობა პრაქტიკულად იდენტურია „ვანის" ყველა სამრევლო სკოლისათვის.[3]

სამრევლო სკოლების გახსნისა და მატერიალური ბაზის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საინტერესო მაძრაობა შეინიშნება დვალიშვილების თემსაზოგადოებაში 1884 წელს სოფელ დვალიშვილების „წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან აქაური მღვდლის მიხეილ საბაშვილის თაოსნობით დაუარსებიათ საეკლესიო-სამრევლო სკოლა, შეუძენიათ ამ სასწავლებლისათვის საჭირო შენობა, რისთვისაც მოძღვარს შეუკრებია 400 მანეთი, მათ შორის საკუთარი – 40 მანეთი.

„1890 წელს ამ სკოლაში სწავლობდა 19 მოსწავლე, ხოლო 1892 წელს 28 მოსწავლე. გაზეთ „ცნობის ფურცელის" მიხედვით სოფელ დვალიშვილებში 1897 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სკოლაც, სადაც მასწავლებელი იყო ილარიონ დვალიშვილი. 1899 წელს ჟურნალი „მწყემსი" იუწყებოდა რომ კონსტანტინე ხურციძემ 250 მანეთად ღირებული საკუთარი სახლი შესწირა სამრევლო სკოლას, რომელშიც განთავსდა ზემოთ ხსენებული სკოლა."

„1905 წელს სკოლის შენობა ვიღაცას დაუწვავს" (გაზეთი „კოლხიდა" 1912 წელი).

1910 წელს სასოფლო ყრილობაზე მიიღეს დადგენილება, რომ დვალიშვილების თემის მცხოვრებლებს თავიანთი ხარჯით აეგოთ ახალი შენობა.

1910 წლის ცნობით დვალიშვილებში ორი საეკლესიო სამრევლო სკოლაა, ორივეში მასწავლებელი კვლავ ილარიონ დვალიშვილია. ხსენებულ სკოლისათვის შენობის აგებამდე სწავლა ნაქირავებ ბინაში მიმდინარეობდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ბერის, პაფონტი დვალიშვილის ინიციატივით და შემოწირულობით აიგო სახნავას[4] სკოლა. მისი ზედამხედველი იყო

---

[1] ერთი შაური - 5 კაპიკი.

[2] ნოდარ ტაბიძე — გალაკტიონი, გვ 36-37 2000 წელი.

[3] მასალები დაცულია ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში.

[4] უბანია სოფელ სულორში.

კონსტანტინე ხურციძე. შემდეგ სკოლის შენობა ააგეს სოფლის ცენტრში და მისი ზედამხედველობაც კონსტანტინე ხურციძეს დაავალეს.[1]

1885 წელს ევგენი გამრეკლიძეს ზედაგორაში, თავის სახლში, გაუხსნია ერთწლიანი სამრევლო სკოლა მცირე კონტინგენტით, სწავლის ქირა ოთხი მანეთი. სკოლა ემსახურებოდა უხუთისა და ბარიტის (დღს ფერეთა) ბავშვებსაც. 1900 -იან წლებში სკოლისათვის აუშენებიათ ოროთახიანი შენობა.

უფრო რთული სურათია „ვანში" მცხოვრებ, ძირითადად, ქართველი ებრაელების მისამართით, რომლებიც არამრავალრიცხოვან, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისათვის კომპაქტური დასახლება იყო. (მათ შორის სომხებიც) ისინი „უფლებებით ქართველებს უსწორდებიან – „რომ მმართველობა და სამღვდელოება ამყღავნებენ სრულ რჯულშემწყნარეობას."[2] მიუხედავად ამისა. განათლების მიღების თვალსაზრისით მდგომარეობა მათ შორის უფრო კრიტიკულ დონეზეა ვიდრე მათ მეზობელ ქართველებში. თავის წიგნშიც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: – „ჩვენდა სამწუხაროდ დღემდე ქართველ ებრაელთა შორის ერთი ნასწავლი კაციც არავინ გამოსულა, ასეთ ნაკლს არც თვითონ გრძნობენ, არ ცდილობენ დღეს თუ არა შემდეგი თაობა მაინც დაიხსნან უმეცრებისა და უბედურებისაგან, ბავშვები ქართველ ებრაელებში იზრდებიან ღვთის ანაბარად მოუვლელნი, უპატრონონი."

„ვანთან" დაკავშირებით საქმე იმაშიცაა, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სოფელ „ვანსა და რიგ სოფლებში გახსნილ სამრევლო სკოლებში ებრაელთათვის სწავლა სარწმუნოებიდანაც გამომდინარე იქნებოდა მიუღებელი, რადგანაც ამდაგვარ სასწავლებლებში სწავლება მიესადაგებოდა მართლმადიდებლურ დოგმებს, ხოლო ებრაელთათვის სპეციფიური სკოლის გახსნა „ვანში", მათი ცხოვრების მატერიალური პირობებიდან გამომდინარე და მათივე ინდიფერენტული დამოკიდებულების შედეგად, რომელზედაც ზაქარია ჭიჭინაძე აკეთებს ხაზგასმას შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც – „ქართველთ ებრაელნი ახალ სწავლა-განათლებას არ ელტვიან, არც ახალი სკოლების გახსნას, სადაც კი ცხოვრობენ ურიები, მათ ყველგან აქვთ თორასთან პატარა სასწავლებლებიც, სადაც ხახამი ან რაბინი ასწავლის ებრაელებს."[3] თუმცა, ზაქარია ჭიჭინაძე თვლის, რომ ესეც არაა სასწავლებელი, რადგან აქ ლოცვების მეტი არაფერი ისწავლებაო. ეს ბოლო სურათი საერთოა ვანისათვისაც.

დაახლოებით ამ ტენდენციებით მოვიდა „ვანი," თითქმის მთელი 37 წლის მანძილზე 1917 წლის რევოლუციამდე, ვერ ვიტყვით, რომ „ვანში" მდგომარეობა საგანმანათლებლო სფეროს მონესრიგებისა და სრულყოფისათვის რადიკალურად შეიცვალა 1917 წელიდან, მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგაც, რომლის შედეგადაც საქართველო, როგორც ცალკე სახელმწიფო, დისტანცირებული გახდა იმპერიისაგან და მართვის სადავეები ხელში აიღეს ქართული პოლიტიკური და ძირითადად მენშევიკური პარტიის წარმომადგენლებმა. მათი ხელმძღვანელობის პერიოდი, ოთხი წელი სახელმწიფო მშენებლობის საკითხებში არაა დიდი დრო და ხელისუფლებაც შეეცადა პრობლემათა მოწესრიგებას. ამაზე მეტყველებს კონკრეტული რეფორმების გატარების მცდელობა, მიღებული დადგენილებებიც, რასაც გარკვეული პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა, უპირველესად ეს ეხებოდა ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს გაეროვნულებას, სასწავლო-საალმზრდელო დარგის მატერიალურ შესაძლებლობათა ფარგლებში სრულყოფას, გადასაჭრელ საკითხთა ფინანსურ უზრუნველყოფას და ა.შ. ამ მხრივ, როგორც პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი თავის მონოგრაფიაში – „განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში" (1918 წლის მაისი – 1921 წლის თებერვალი) დაასკვნის, „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა განათლების სფეროში მოკლედ ასე შეიძლება განისაზღვროს: მისი ამოცანა იყო მოეხდინა სკოლისა და საერთოდ განათლების გაეროვნულება, განათლების

---

[1] სოფელ სულორის ისტორიის საკითხები - შედგენილი ავტორთა კოლექტივის მიერ. საჯარო სკოლის დირექტორის დოდო ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით. დაცულია ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში. გამოქვეყნებულია ამავე ცენტრის კრებულ „მატიანეში".

[2] გიულდენშტედტი – „მოგზაურობა საქართველოში." გვ 28

[3] ზაქარია ჭიჭინაძე – „ქართველი ებრაელები საქართველოში."

არსებული სისტემის ძირეული რეორგანიზაცია და დაემკვიდრებინა იგი ეროვნულ ნიადაგზე"... მალე 18 -ივლისს, რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყო რა განათლების რუსული სისტემის მსხვრევა, გამოსცა №18 ბრძანება რომლითაც გააუქმა კავკასიის სასწავლო ოლქი... პარალელურად დაიწყო ახლადშექმნილი სისტემის სტრუქტურების შემუშავება და დაკომპლექტება და უკვე 1918 წლის 6 საქტემბერს გამოქვეყნდა რესპუბლიკის კანონი და დებულება განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების შესახებ."[1]

როგორც ვნახეთ ბატონი პროფესორი გამოჰყოფს იმ დროისათვის განსახორციელებელ ორ კარდინალურ მიმართულებას: პირველი – გაეროვნულება, მეორე – სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. უდაოდ ეს იყო მთელი წყება ურთულესი გადასაჭრელი საკითხებისა, რადგანაც: ა – ამ დრომდე საქართველოში არსებული ყველა სკოლა და სასწავლებელი სახელმწიფო და კერძოც, იდეურ-საალმზრდელო-საგანმანათლებლო დატვირთვით ანტინაციონალური, რუსიფიკატორული იყო და ამდენად იმპერიის პოლიტიკურ მოთხოვნათა შესაბამისობაში მოქმედებდა. ბ – პროგრამები და სახლმძღვანელოები, რომელთა საშუალებითაც მიმდინარეობდა სწავლება და მოსწავლეთა კონტინგენტის შემეცნებითი ფორმირება, შეესაბამებოდა არა ქართულ, ნაციონალურ, არამედ იმპერიის მიერ შემუშავებულ შეხედულებებსა და მოთხოვნებს. გ – პედაგოგიური კადრების აშკარად დიდი ნაწილი, რომლებზეც დაფუძნებული იყო სწავლების ხერხემალი, წარმოადგენდნენ ან რუს, ან სხვა ეროვნებათა, იშვიათად, ქართველთა წარმომადგენლებს, დაშორებულნი იყვნენ ქართულ ეროვნულ ღირებულებებს, სულსა და ფსიქიკას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს შეიძლება გააჩნდა მყარი და უმაღლესი კატეგორიის აკადემიური მომზადება. დ – სუსტი იყო ეროვნული საკადრო ბაზა. ე – სრულიად არასაკმარისი იყო ეროვნულ, ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამები, საგნობრივი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა და ასევე მთავარი, სასწავლო მატერიალური ბაზა, რომლის ძირითადი ნაწილი აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებდა წაყენებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებულად ისეთ პერიფერიულ დასახლებაში, როგორიც იყო ვანი თავისი სოფლებით.

ყოველივე აქედან... „ახლად შექმნილმა განათლების სამინისტრომ ძალზე მძიმე მეკვიდრეობა მიიღო. განათლების ისედაც არასრულყოფილი სტრუქტურები სულ მოშალა მსოფლიო ომმა, მერე კი გაუთავებელმა რევოლუციებმა და სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა, რომელიც საქართველოში 1917-1918 წლებში მიმდინარეობდა და ბევრგან სწავლა საერთოდ აღარ მიმდინარეობდა, ეს განსაკუთრებით პერიფერიებზე ითქმის."[2] ასეთი რთული სიტუაციის მიუხედავად ხელისუფლებას უნდა მოეხერხებინა შესაფერისი ნაბიჯების გადადგმა, ამიტომაც 1920 წელს მიღებული იქნა დადგენილება: „საყოველთაო სავალდებულო უფასო განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც უფასო და სავალდებულო ხდებოდა რვაწლიანი (პირველ ეტაპზე დაწყებითი) განათლება, მომზადდა პროგრამები „რომელშიც წამყვანი ადგილი ქართულმა ენამ და მშობლიურმა ისტორიამ დაიკავა". 1920 წლიდან დღის წესრიგში დგება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, პროფესიული სასწავლებლების გახსნის საკითხიც. ყურადღება დაეთმო დიდ ქალაქებში საბავშვო ბაღების (თუმცა არა მასიურად) გახსნის საკითხსაც. 1919 წლიდან ოთხ კლასამდე სასწავლებლები გადაეცათ ადგილობრივ თვითმმართველობებს. ქვეყანაში იგრძნობოდა რა „ქართული ენის მასწავლებელების კატასტროფული უკმარისობა." დაისახა ღონისძიებები პედაგოგთა გადასამზადებელი და მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსების ორგანიზებისათვის, თუმცა სიტუაციიდან გამომდინარე სკოლების ძირითადი ხარჯები კვლავ ხალხის მეშვეობით უნდა დაფარულიყო.

ურთულესი მდგომარეობა იყო მატერიალური ბაზის თვალსაზრისით, ჩვენ ამ საკითხს თხრობისას შევეხეთ, მემკვიდრეობა იყო კატასტროფული, განსაკუთრებით პერიფერიებში უნდა მოძებნილიყო გზები და საშუალებანი პრობლემის მოწესრიგებისათვის, რის გამოც ფორსირებულ ქმედებას მნიშვნელოვანი გადახრებიც გაჰყვა. ამის შედეგი იყო 1919 წლის 3 მაისის მენშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლითაც „ყოფილ სასულიერო სასწავლე-

[1] პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი – მითითებული მონოგრაფია გვ. 3-4

[2] ამირან ნიკოლეიშვილი – ზემოთ მითითებული მონოგრაფია გვ. 5

ბელთა და სემინარიათა შენობები სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა... დაიწყო სასულიერო სასწავლებლების გაუქმება, ეკლესიების დახურვა, მათზე ქონების ჩამორთმევა. 1920 წლის 16 ოქტომბიდან გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება"[1] მაშინდელი საპარლამენტო კომისიის დაგენილებით ეკლესიისგან გამოიყო სკოლაც.

საინტერესოა მენშევიკური მმართველობის პირობებში სასკოლო მშენებლობის ტენდენციებიც: 1914–17 წლებში (მეფის ხელისუფლების დროს) საქართველოში ფუნქციონირებდა 1484 სკოლა (ძირითადად სამრევლო ხასიათის) 1917–21 წლებში მენშევიკების ხელისუფლებისას – 1663, რაოდენობა გაზრდილია 179 ერთეულით. მოღვაწე პედაგოგები: 1914–17 წლებში – 4261; 1917-21 წლებში – 5681, – 1420-ით მეტი. იმავე პერიოდებში მოსწავლეთა რიცხვი იყო 94 ათასი და 156 ათასი.[2] ასე, რომ შედარებით ძვრები არის და ცხადია, პროცესს გაჰყვა პერიფერიულ დასახლებებშიც მდგომარეობის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გაუმჯობესება. პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი მითითებულ მონოგრაფიაში აღნიშნავს (გვ. 50), რომ ამ წლებში დაარსდა ბაღდათის რაიონში[3] – დიხაშხოს, იმერუხუთის, ზედაგორას, სამტრედიის რაიონში, მიქელეფონის, ტყელვანის, კუშუბოურის დაბალი სკოლები."[4] რაც შეეხება საგანმანათლებლო დარგის მოწესრიგებისათვის გაღებულ სახსრებს: 1919-1920 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯულია 4-%, ქალაქთა კავშირთან 10-%. ცხადია, არც ისე მნიშვნელოვანი ციფრია, მაგრამ დამოკიდებული იყო ქვეყანაში შექმნილ ფინანსურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ამ ხელისუფლების არსებობის პერიოდში უაღრესად დაეცა საქართველოს აგრარული და ისედაც მცირე სამრეწველო პოტენციალი, აისახა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, აქედან განურჩევლად ცხოვრების ყველა სფეროზე. ახლა ამის ერთი მაგალითი: „1919 წელს საქართველოში ბონების რაოდენობა ავიდა 3 მილიარდ მანეთამდე, 1920 წელს 12 მილიარდ მანეთამდე, 1921 წლის თებერვლამდე საქართველოში გამოიცა 17 მილიარდზე მეტი ბონი."[5]

... „1918 წლის 26 მაისითვის 1 მანეთი ღირდა 10 შაური ოქროთი, წლის დასასრულს კაპიკნახევარი, 1920 წელს 1/20 კაპიკამდე დავიდა, ამავე დროისათვის საქართველოში ინგლისური გირვანქა სტერლინგი ღირდა 1913 წელს 10 მანეთი, 1918 წლის დეკემბერში 40 მანეთი, 1919 წლის ივნისში 300 მანეთი, 1919 წლის დეკემბერში 662 მანეთი, 1920 წლის აპრილში 1042 მანეთი, 1920 წლის ივნისში 1524 მანეთი, 1920 წლის ივლისში 1934 მანეთი, 1920 წლის აგვისტოში 5000 მანეთი"[6] მოყვანილი მონაცემებით ჩანს, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობა მოშლილია, სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტური. ფული ინფლაციური გახდა და დაკარგული აქვს ყველა ნიშანი. ასეთ სიტუაციაში ვერც ერთი სახლემწიფო პრიორიტეტს ვერ მიანიჭებს სახალხო განათლებასა და მისი ბაზების მოწესრიგებას, ამის გამოც, ამ მხრივ მიღებულ დადგენილებათა და პროექტთა ძირითადი ნაწილი ჩავარდა, ამან გავლენა მოახდინა ვანის სოფლებზეც ზოგიერთი გამონაკლისის გარდა და ეს გამონაკლისი იყო 1918 წელს გახსნილი გიმნაზია, რომელიც ვანის უმაღლესი ოთხწლიანი სკოლის ბაზაზე აღმოცენდა, თუმცა დაცული მასალები მიუთითეთებენ, რომ გარდა ნებართვისა, სახელმწიფოს ამ კუთხით არავითარი ძალისხმევა არ გაუღია. გიმნაზია დაფუძნდა ვანელთა მაშინდელი „ინტელიგენციის" ნვრილი მეწარმეებისა და ხალხისაგან კერძო შემოწირულობებით. სწავლება იყო ფასიანი, სწავლის საფასურს ადგენდა პედსაბჭო, ხოლო ზემოთ მითითებული რამდენიმე სოფლის სკოლა დარჩა იმ ბაზებით, როგორიც გააჩნდათ და ერთწლიანები გადაკეთდა ორწლიანებად.

ყურადღბას იმსახურებს ერთი ფაქტიც, რომელიც აგრარული წარმოების სფეროში, რამდენადმე, განათლებული კადრების დეფიციტის აღმოფხვრას უკავშირდება და თავს იჩენდა სექტორის კოორდინირებული გაძღოლისას. ამის თაობაზე 1920 წლის 16 აგვისტოს მიღებული

---

[1] ამირან ნიკოლეიშვილი – ზემოთ მითითებული მონოგრაფია გვ. 88-89

[2] საქართველოს სსრ მშომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები 1921-1937 წწ. გვ. 141

[3-4] მითითებული სოფლები 1930 წლამდე, ვიდრე ვანის რაიონი შეიქმნებოდა შედიოდნენ შესაბამისად ბაღდათისა და სამტრედიის რაიონების შემადგენლობაში.

[5] საქართველოს მცნიერებათა აკადემიის მაცნე – რობერტ კოჭლამაზაშვილი „საქართველოს სოფელში სასაქონლო ურთიერთობათა ისტორიიდან."

[6] გაზეთი „ერობა" 1920 წლის ოქტომბერი.

კანონი „სასოფლო სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციის შესახებ,"[1] ფაქტორთა გამო ვანის არეალში განხორციელებული არ ჩანს და უნდა ითქვას ერთიც, ოფიციალური მასალები, 1917-21 წლებში მენშევიკური ხელისუფლებისას, ვანში საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის თაობაზე ძალზედ მწირია. თანამედროვეთა მოგონებებშიც იგი უკიდურესად მკრთალადაა ასახული, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით ვერ გადაიდგა.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან (საბჭოთა ხელისუფლების პერიოდიდან) ვანის სოფლების საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის მდგომარეობა თითქმის რადიკალურად იცვალება და იგი გაჰყვა რესპუბლიკაში განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელიც გადაიზარდა საკითხთა პრაქტიკული რეალიზაციის სივრცეში, ამაზე მეტყველებს დარგის სუბსიდირებიდან დაწყებული-დამთავრებული მატერიალური უზრუნველყოფის პროექტებით,[2] რომ განათლების სფეროზე ყოველწლიურად მიემართებოდა ბიუჯეტის 35 %-ზე მეტი და დეკლარირებულად, კანონშესაბამისად იქნა აღიარებული:

– „საქართველოს სსრ თავის მთავარ მიზნად ისახავს მიანიჭოს ყველა მშრომელს სრული და ყოველმხრივი უფასო განათლება." აქედან გამომდინარე, გაჩნდა მიმართულებანი, სკოლის ასაკამდე აღზრდა, შრომის სკოლის ორგანიზაცია, უმწეო ბავშვთა აღზრდა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები" – ეს პროექტები აისახა რესპუბლიკაში სახალხო განათლების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო 1925 წლის 9 აპრილს მიღებულ რეზოლუციაში და მიეცა მოქმედების მიმართულება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ საწყის ძვრებზე და, ცხადია, „ვანშიც" ამ დროში დარგის სრულ გამართულობაზე საუბარი ზედმეტია, ამას განაპირობებდა ასევე უმძიმესი მემკვიდრეობა, მაგრამ თუ დავაკვირდებით ქრონოლოგიას, საკითხის მონესრიგების პერმანენტულობა აშკარად შესამჩნევია და ამ საკითხს ცოტა ქვემოთ შევეხებით, ასე რომ, დროის იმავე ინტერვალში (მხედველობაშია 1917-1921 წლები), 1926 წლის დასაწყისისთვის „ვანში" უკვე ფუნქციონირებდა 26 სასწავლო დაწესებულება, მართალია, საშუალო სასწავლებლების გარეშე, მაგრამ შვიდწლიანი სკოლები რეალობაში საქმიანობდნენ, მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტით – 3700 მოსწავლით. მოხსნილი იყო წოდებრივი უპირატესობა, დაკომპლექტებული იყო 110-ზე მეტი სასწავლო ჯგუფი პედაგოგთა 100-კაციანი შემადგენლობით, დაწყებითი განათლების სავალდებულო მიღებით თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ფუნქციონირებას შეუდგა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებიც, ძვრები ამ მიმართულებით აშკარაა, ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს უნდა ვისაუბროთ სკოლების გაეროვნულებაზე აღებული კურსის გაგრძელების შესახებაც, რომ მშობლიურ ენაზე ყველა საგნის მიხედვით ცოდნის მიღება, ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის პრიმატის მიცემა, სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ქართულ ენაზე გამოცემა, დამხმარე კლასგარეშე ლიტერატურის ქართულ ენაზე არსებობის სიჭარბე ამაზე დასტურის მომცემია. იგი ფაქტებს შეესაბამება. უნდა ითქვას იმ გადახრებზეც, რომლებიც საწყის ეტაპზე გაჰყვა ვანის სოფლების მიხედვით საგანმანათლებლო დარგის მოწესრიგებას, საქმე ეხება ეკლესიებთან დამოკიდებულებას და რომელმაც სათავე აიღო მენშევიკური ხელისუფლებისგან. როგორც პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი მიუთითებს „ორივე ეს ხელისუფლება მარქსისტული მიმართულების იყო" მიგვაჩნია, რომ ათეიზმის პრინციპებიდან გამომდინარე დამოკიდებულებაც ხისტი იყო. 1922 წლიდან კონსტიტუციის საფუძველზე ეკლესია გამოჰყვეს სახელმწიფოსგან, სკოლა კი ეკლესიისგან. სახელმწიფო მშენებლობის საკითხებში პროცესს მიეცა კონკრეტული დატვირთვა. იგი აისახა „ვანის" საგანმანათლებლო სივრცეშიც, ხოლო 1923 წლის №21 დეკრეტით აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლებაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ და იმ კერძო სასწავლებლებშიც, სადაც საერო განათლების საგნებს ასწავლიდნენ.[3]

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული გვ. 431-441, თბილისი 1990 წელი.
[2] საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები. 1921-37 წლები. გვ. 141.
[3] ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები. ფურცელი 296, საქმე 251.

უნდა ითქვას ერთიც, ქუთაისის მაზრის ხელმძღვანელ რგოლში 1920-იანი წლებიდან სისტემატური სახე აქვს მიცემული საკითხებით ადგილზე დაინტერესება-შესწავლას, ამის საფუძველზე ინფორმაციების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იყო. ასეთი მასალები დაცულია ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში და ვიყენებთ მას როგორც დოკუმენტს, რომ მდგომარეობა შედარებით ნათლად იქნას აღქმული.[1] ახლა კი ინფორმაციების შესახებ, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს 1920-იანი წლებიდან ვანის სოფლებში საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის საკითხებზე.

ა – ყ უ მ უ რ ი „დღიდან არჩევისა თემ-აღმასკომს და საბჭოს უწარმოებია შემდეგი ნაკაზით[2] გათვალსაწინებული სამუშაოები დაწყებული აგურის სკოლის შენობის პირველი სართულის შვიდი ოთახის დასამთავრებლად.“ წელს ყოფილა გახსნილი წერა-კითხვის უცოდინარობის ლ ი კ ვ ი დ შ კ ო ლ ა,[3] რომელშიდაც იყო 150 მსმენელი დაამთავრა 120 მსმენელმა.“

ბ – „ტ ო ბ ა ნ ი ე რ ი ს თემის შვიდწლედი მოთავსებულია სოფელ შუამთაში აღმასკომის შენობის წინ ორი ხის შენობაში. შენობებია თითო სართულიანი, შედგება ექვსი ოთახისგან, დახურულია კრამიტით, წარმოებს ორმაგი მეცადინეობა“[4] ეს შენობა დაუზიანებია წყალდიდობას, რის გამოცო „ახალი დაწყებული სკოლის შენება მიმდინარეობს საჩქარო ტემპით. შვიდწლედს ემსახურება 10 მასწავლებელი, მასწავლებლის უმრავლესობა ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, განწყობილება გამგესა და ურთიერთშორის დამაკმაყოფილებელია...

გ – თემში (ე. ი. ტობანიერის) არსებობს ოთხი ოთხ-წლედი, 1. სოფელ ჭყვიშის, 2. სოფელ ჭყუშურის, 3. სოფელ მიქელეფონის, 4. მუხქედის.[5] 5. ენერ-ტობანიერის. საკუთარი შენობებია (სოფელ ჭყვიშში, მუხქედში და მიქელეფონში). ორი ოთხწლედი მოთავსებულია დაქირავებულ ხის შენობაში, ყველა სკოლას ემსახურება 9-მასწავლებელი „შკოლებში მოსწავლეთა მიღბაზე უარი ეთქვა უადგილობის გამო (რიცხვი არ იკითხება) მასწავლებლების განწყობილება ურთიერთშორის დამაკმაყოფილებელია.“

დ – „ს ა პ ა ი ჭ ა ო ს თემის 7 წლედი მოთავსებულია სოფლის შუაში, აღმასკომის წინ. შენობა არის ორსართულიანი, ხის, ყავრით დახურული, შედგება 12- ოთახისგან, სკოლასთან არსებობს 9-ჯგუფი, პირველ ჯგუფში იყო მიღბული 40-მონაფე. უადგილობის გამო უარი ეყო 54 ბოვშს... მონაფეთა რიცხვი შკოლაში უდრის 321-ს. შკოლას ემსახურება 11-მასწავლებელი – აკლია 30-მდე პარტა“...[6]

ე – „ს უ ლ ო რ ი (დვალიშვილების თემი) შეკეთბულია სკოლების შენობები. თემში არის 4-წლედის სასწავლებელი 4-ი. 1. გადიდში -1, 2. დვალიშვილებში – ორი (2) და 1 – (ერთი) ძულუხში. შენობები არის ყველა სათემო (ე. ი. თემის საკუთრება) თითო სართულიანი, ხის, ყველა ყავრით დახურული ყველა სასწავლებლები შეადგენდნენ ორ-ორ თვალს. აკლიათ პარტები. აღმასკომმა ნაწილობრივ შეაკეთა ყველა სასწავლებელი... მასწავლებელთა განწყობილება ერთი მეორეში დამაკმაყოფილებელია და ა. შ. უხუთს 7-წლედზე, რომანეთის 4-წლედზე, უხუთის ოთხწლედზე, ბზვანის 3-ოთხწლიან სკოლებზე, ინაშაურის, ზეინდრის 4 -წლედზე, ზედა გორასა და ქვედა გორას 4-წლედზე და ა. შ. შემოწმების მასალებს ხელს აწერს სამაზრო აღმასკომის ინსტრუქტორი სერგო აბდალაძე.“

საინტერსოა, რომ აღწერილობათა ყველა დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია პედაგოგთა საზოგადოებრივ დატვირთვაზე და პარალელურად მიჰყვება პედაგოგთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება, რომლითაც, როგორც ჩანს, დგინდებოდა მათი

---

[1] ქუთაისი ცენტრალური არქივის მასალები. ფონდი 296, საქმე 959.

[2] ნაკაზით - განკარგულებით, დავალებით.

[3] საუბარია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებზე, რომლის დეტალებზეც ჩვენ საუბრისას არ შევჩერდებით, რადგანაც ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქრისტინე მეძველიას სტატია: „წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების დაარსება ვანის რაიონში,“ რომელშიდაც საფუძვლიანადაა განხილული საკითხის არსი და ცხადია მკითხველი მას გულდასმით გაეცნობა.

[4] მეცადინეობა ორ ჯერზე, ორ ცვლაში.

[5] დღევანდელი მუქედი.

[6] მერხი.

ზნეობრივი კრიტერიუმებიც და შესაფერისობა სკოლებთან დამოკიდებულებაში. ამ მომენტში არ ვუთითებ, მაგრამ არის ერთი სკოლის მაგალითი, სადაც ორ პედაგოგზეა საუბარი, ერთი როგორც ალკოჰოლისადმი მიდრეკილებით, მეორე როგორც ინტრიგებისადმი (ასეა მითითებული). სკოლების აღწერილობებს აუცილებლად ახლავს სკოლების ბიბლიოთეკებისა და სოფლად ქოხსამკითხველოების დაარსება, მათი საქმიანობის აღწერა, წიგნადი ფონდის მოცულობა და მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნების რაოდენობა, რომელიც საგრძნობლად აღემატება სხვა ენაზე შქმნილ ლიტერატურას. აქ ყურადსაღებია ის, რომ ამ დაწესებულებებს სწორად აქვთ მიცემული საგანმანათლებლო დატვირთვა და სამკითხველოს გამგის ხელფასიც გაუთანაბრეს პედაგოგისას და კიდევ ერთიც: მითითებულია სკოლების არსებული ფართის უკმარისობა, რის გამოც ზოგიერთ მათგანში უარი ეთქვა პირველ კლასში ჩასარიცხ კონტინგენტს, თუმცა აშკარად ჩანს ბაზების ახალმშენებლობის ტენდენციებიც. ამრიგად, ირკვევა, რომ საგანმანათლებლო ბაზის მშენებლობის საკითხებში პრობლემის გადაჭრას რამდენადმე მიღბული აქვს ფორსისებული სახე და ეს ითქმის დაწყებითი 4-წლიანი სკოლების შესახებ 1921-26 წლებზე, ხოლო შემდეგში, გადასვლა ხდება შედარებით გეგმაზომიერ მოქმედებაზე და იგი გრძელდება 40-იანი წლების დასაწყისამდე. ამ პროცესშივე იცვლება სკოლების სახელწოდებნიც და ცხოვრებისეული მოთხოვნებისა და დატვირთვის კვალობაზე ფუნქციონირებენ ე. წ. „შრომის," „კოლემურნე ახალგაზრდობის," „მუშა ახალგაზრდობის" და ა. შ. სკოლები. ვნახოთ ამის რამდენიმე მაგალითი: ამაღლების ცნობილი სკოლა გადაკეთდა II -საფეხურის პირველი კონცერნის 7-წლიან შრომის სკოლად, 1933 წელს არასრულ, 1934 წელს საშუალო სკოლად. პედკოლექტივიც და ზედა საფეხურის გამორჩეული მოსწავლეები ჩართეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმიანობაშიც. აქვე იხსნება მოზრდილთა (ასაკგადაცილებულთა) საშუალო სკოლაც რომელიც ემსახურებოდა ამაღლების, ბზვანის, გორას, საპრასიის თემების არასასკოლო ასაკის ახალგაზრდობას. ბაძგშიც (სოფელი ამაღლება) 1930 წელს იხსნება დაწყებითი სკოლა, სალხინოში – 1921 წლიდან 4-წლიანი სამრევლო სასწავლებელი 1933 წელს გადაკეთდა კოლმეურნე ახალგაზრდობის,[1] 1937-1938 წელს 7-წლიან, ხოლო 1941-1942 სასწავლო წელს საშუალო სკოლად, ზედავანში 1932 წელს იხსნება კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა, ზეინდარში 1924 წელს გაიხსნა დაწყებითი 4-წლიანი, 1936 წელს 7-წლიანი სკოლა, ტობანიერში 1923-24 წლებში სკოლა ლუკა სანიკიძის სახლიდან გადაიტანეს უფრო შესაფერის, ბუჭაჭია შარაშენიძის სახლში (ბინა სპეციალურად იქნა დაქირავებული), ამ პერიოდში ტობანიერის თემში არსებულ ყველა სკოლას ხელმძღვანელობდა გალაკტიონის ძმა, პროკლე ტაბიძე. 1932 წლიდან, ამავე სოფელში ფუნქციონირებდა მცირე კომპლექტიანი საბავშვო ბაღიც (თემში არსებულ დანარჩენ სკოლებს ჩვენ ზემოთ შევეხეთ). 1940 წელს მატერიალური ბაზის მოწესრიგების შემდეგ აქვე იხსნება საშუალო სკოლა. საშუალო სკოლა გაიხსნა შუამთაშიც. **სულორი** – 1931 წელს აქ ფუნქციონირებს 7-წლიანი სკოლა, 1938 წელს არასრული, ხოლო 1938-39 წლებიდან სულორის საშუალო სკოლა, რომელიც წლების მანძილზე წარმოადგენდა საბაზოს ბზვანის, ძულუხისა და გადიდის ზედა საფეხურების მოსწავლეებისთვისაც. **გორაში** 4-კლასიანი სკოლა 1934 წლიდან გადაკეთდა არსრულ საშუალოდ, 1958 წლიდან საშუალო სკოლად. **მუქედში** 1942 წელს გიორგი არაბიძის სახლში გაიხსნა საბავშვო ბაღიც. 1931 წლიდან ფუნქციონირებდა შვიდწლედი, 1946 წლიდან 8-წლიანი, **საპრასია** – მენშევიკური ხელისუფლებისას 1919 წელს დაარსებული დაწყებითი სკოლა გადაკეთდა და ეწოდა ერთიანი შრომის სკოლა, 1924 წელს უკვე ფუნქციონირებს 7-წლიანი სკოლა, 1926 წლიდან სოფლის ახალგაზრდობის სკოლა. 1938 წელს დაარსდა საპრასიის საშუალო სკოლა და ემსახურებოდა საპრასია-რომანეთს, უხუთს და ნაწილობრივ გადაღმა ძულუხის ზედა საფეხურის მოსწავლეთა სწავლებას და ა. შ. 1940 წლამდე ვანის (უკვე რაიონის) ყველა სოფელში

[1] ამაში გარკვეული როლი შაესრულა, შემდეგში აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ, რომელიც ამ დროისათვის ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა.

მოქმედებდა ან საშუალო, ან შვიდწლიანი არასრული საშუალო სასწავლებელებიც, სრულყოფილი პედაგოგიური და მრავალათასიანი მოსწავლეთა კონტინგენტით.

აღნიშვნას საჭიროებს საგანმანათლებლო მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი 1930 წლის შემდეგ, იმ დროიდან, როდესაც, „ვანი" ჩამოყალიბდა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად, რაიონად. თხრობაში უკვე აღარ ვეხებით სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით, შესაბამისი პროგრამებით, პედაგოგთა გადასამზადებელი კურსებით უზრუნველყოფის საკითხებს და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებაზე ვანის, როგორც ცალკე, რაიონის მაშინდელი (და შემდეგი) ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც პერმანენტულად მიჰყვება მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მშობლიური ისტორიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხები,[1] უფრო მოგვაინებით პროფესიონალ პედაგოგიური კადრების მომზადების კვალობაზე „ვანს" ჰქონდა საშუალება ადგილობრივი კადრები მიეწოდებინა აჭარის მაღალმთიანი რაიონებისათვსი და ჩაერთო იქ არსებული სკოლების სასწავლო სააღმზრდელო პროცესებში, შეევსოთ პროფესიონალი კადრების კვალობაზე წარმოქმნილი დეფიციტი.

ცალკე უნდა შევეხოთ ვანს, როგორც რაიონის ცენტრს: 1922 წელს აქ უკვე ფუნქციონირებს ვანის შრომის სკოლა დირექტორი იოსებ ნადირაძე, ამ სკოლას „ევალებოდათ ვანის თემში" (სოფლები დიხაშხი, სალხინო, ზედავანი, ტყელვანი, ონჯოხეთი) არსებული სკოლების კოორდინირება. 1926-27 წლებში არსებული გიმნაზიის ბაზაზე იხსნება ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც, როგორც აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე აღნიშნავს, იმავდროულად იყო ერთადერთი საშუალო ტიპის სასწავლებელიც, ხოლო 1932 წელს ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გადაიტანეს სოფელ შუამთაში, გამოეყო 10 ha მიწა საცდელი სამუშაოებისათვის. ტექნიკუმში ფუნქციონირებდა 4 განყოფილება: აგრო-ტექნიკური, მეფუტკრეობა, მეხილეობა, ბოსტნეულის შენახვა-გადამუშავება. ეს სასწავლებელი კურსდამთავრებულებს ანაწილებდა დასავლეთ საქართველოსა და უპირატესად აჭარის რეგიონში.

რაც შეეხება ვანის საშუალო სკოლას, მისი შექმნის საფუძველთან დგას ვანის რაიონში, თბილისიდან განათლების განყოფილების გამგედ გადმოყვანილი სოფელ სალხინოს მკვიდრი, შემდეგში ცნობილი აკადემიკოსი, კომენსკის პრემიის ლაურეატი დავით ლორთქიფანიძე. „მიზნად დავისახე ვანში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გახსნაო – იგონებს იგი, რომ რესპუბლიკის განათლების სახკომიდან ნებართვის საფუძველზე საზოგადოების სახსრებით, სასკოლო ერთთვიურის გზით აგებული იქნებოდა კაპიტალური სასკოლო შენობა." ამ პროცესზე დაცულია ქვედა ვანის სასოფლო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებაც, სადაც გაწერილია განრიგი ვანის სარაიონო სანიმუშო ათწლედის მშენებლობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ:[2] ხე-ტყის მასალის მოსაზიდად 50 კაცი, ცალფა მუშახელის დახმარებით 400-კაცდღე, ინვენტარის შევსების დარგში დახმარება ყოველდღიურად 5-კაცი ერთი კვირის განმავლობაში და ა. შ. მშენებლობაში ჩართული იყო და დახმარებას უწევდა რაიონს ყველა სოფელი და კოლმეურნეობა: ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა: გამწევი ძალა, ხარი და ურემი. მშენებლობა პირად კონტროლზე ჰყავდა აყვანილი მაშინდელი რაიკომის პირველ მდივანს ხარიტონ ჯინჭარაძეს და უშუალოდ დავით ლორთქიფანიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე გრიშა ნაფეტვარიძე. მშენებლობის პირობა იყო მკაცრი, სასკოლო მშენებლობის ერთთვიურის ფარგლებში 1933 წლის პირველი სექტემბრისათვის უნდა მოესწროთ მშენებლობის დასრულება და იმავდროულად უნდა გახსნილიყო საშუალო სკოლის მერვე კლასიც 30 მოსწავლით, პირობა შესრულებული იქნა, სკოლა გაიხსნა.

---

[1] აღსანიშნავია, რომ საქართველოს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება წამყვან პოზიციას იჭერდა და იგი ამით განსხვავდებოდა სსრ კავშირის დანარჩენი რესპუბლიკებიდან, თანაც ეს კურსი გარკვეული დროით ისწავლებოდა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ შედგენილი უნიკალური „ქართველი ერის ისტორიის" სახელმძღვანელოთი. არ იქნებოდა ცუდი დღეს „დამოუკიდებელ საქართველოშიც ამ საკითხებს ეთმობოდეს მეტი ყურადღება.

[2] ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები, ფონდი 938

იმის გამო, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ვერ ახერხებდნენ სკოლების პედაგოგიური კადრებით, უზრუნველყოფას, მოკლევადიანი, 2-3 კვირიანი გადამზადების შემდეგ რაიონის საშუალო სკოლების ზედა საფეხურების ნარმატებული მოსწავლეებიც აქტიურად აღმოჩდნენ ჩართულნი პედაგოგიურ საქმიანობაში. ამ მხრივ ამაღლებისა და ვანის საშუალო სკოლებს განსაკუთრებული დატვირთვა მიეცათ.[1] როგორც ჩანს ამ პროცესმა განაპირობა 1930-იან წლებში, ვანში პედაგოგიური ტექნიკუმის დაარსებაც, რომელმაც საფუძვლიანი კვალი გაავლო რაიონის სკოლებისათვის ამ ტიპის კადრების მომზადების საქმეში.

სკოლების მშენებლობის ტემპი შეფერხდა 1941-45 წლების მსოფლიო და საბჭოთა სივრცისათვის სამამულო ომის გამო. რაიონის პედაგოგიური ინტელიგენციის ნაწილი, 111 კაცი[2] გაწვეული იქნა ფრონტზე, თუმცა სკოლების დახურვას ადგილი არ ქონია. შეიძლება პარადოქსადაც ეღერდეს, მაგრამ რიგ სოფლებში (ამაზე ითქვა ზემოთ) ომის წინა პერიოდსა და მსვლელობისას გაიხსნა რამდენიმე საშუალო სკოლაც. ასე, რომ ასეთ ურთულეს სიტუაციაშიც კი რაიონის სოფლების სასწავლებელთა დატვირთვით ფუნქციონირების შენარჩუნებაც და მათზე ზრუნვაც ფაქტობრივად დადასტურებულია. ცხადია, ომის კვალი სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს გაჰყვა ომის დამთავრებიდან ათწლეულის მანძილზე, მაგრამ ამ დროში რაიონის სკოლებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების პარალელურად იგრძნობა რაიონული ბიუჯეტიდან, ადგილობრივი კოლმეურნეობებისა და რიგ შემთხვევაში რაიონის ზოგიერთი მსხვილი ორგანიზაციების უწყვეტი დახმარებებიც. პროცესი მოქცეული იყო რაიონული ხელისუფლების (რაიკომი, აღმასკომი) კოორდინაციის ქვეშ და კონტროლდებოდა უმკაცრესად. სკოლათმშენებლობის სრულყოფის პროცესები ასევე რამდენადმე შეაფერხა (1962 წლის ბოლოდან) ვანის რაიონის გაუქმებამ და მაიაკოვსკის (ბაღდათის) რაიონზე მიერთებამ, თუმცა ეს არ შეხებია აკადემიურ საგანმანათლებლოპროცესებს, ხოლო რაიონის აღდგენიდან, კონკრეტულად 1965 წლიდან რაიონის საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის საკითხმა შეიძინა ახალი, მძლავრი მიმართულება და იგი კონკრეტულად შეეხო ყველა სოფელს. აქ ბევრი რამ განაპირობა სახელმწიფოდან დაფინანსებამ და პრაქტიკულად რაიონის ბიუჯეტის მომეტებული ნაწილის გადართვამ საგანმანათლებლო სფეროს სრულყოფისათვის.

რაიონში საგანმანათლებლო და სკოლადმშენებლობის სრულყოფიდან XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განხორციელებული საქმიანობა საჭიროებს ჯეროვან შეფასებასა და დაფასებასაც. 1965-1969 წლებში რაიონში დამთავრდა 11 ახალი კაპიტალური, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მშენებლობა, სამუშაოები მიმდინარეობდა 5 – ახალ სკოლაზე, კაპიტალურად შეკეთდა 28 სასკოლო შენობა, მიშენდა და დაშენდა 38 საკლასო ოთახი, ამ დროისათვის რაიონში ფუნქციონირებდა 15 საშუალო, 17 – რვა წლიანი, 7 დაწყებითი სკოლა. ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული რამდენიმე საბავშვო ბაღი, რომლის ქსელიც ფართოდ გაშალეს სოფლებშიც. ამ მხრივ გაკეთდა იმდენი, რამდენიც რაიონში არ გაკეთებულა აქამდე ბოლო 20-ზე მეტი წლის მანძილზე, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტი აღწევდა 9000-ს. 1965-1968 წლებში სასკოლო ინვენტარი შეიცვალა 3400 მოსწავლეზე, ათეულ ათასობით მანეთი გაიხარჯა სასკოლო თვალსაჩინოებათა შეძენეზე. იმის გამო, რომ სოფლების სკოლები და განსაკუთრებულად მაღალმთიან ზონებში, განიცდიდნენ ადგილობრივი კადრების ნაკლებობას, რაიონში იწყება არაადგილობრივ მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესების მიზნით, სამუშაო ადგილების მიხედვით, მასწავლებელთა სახლების მშენებლობები.

1969 წელს ვანში იხსნება ბავშვთა სახვითი ხელოვნების სკოლაც (ინტერნატი) ეს იყო არა მარტო სიახლე, არამედ მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი რაიონში მცხოვრებ განსაკუთრებული ნი-

[1] მასალები დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში"

[2] მონაცემები მოგვაწოდა ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო განყოფილების თანამშრომელმა ბატონმა ამირან ნამიჭეიშვილმა.

ჭით დაჯილდოებულ მოზარდთა გამოსავლინებლად, და გზის მისაცემად. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამით, ასევე ამავე პერიოდში საფუძველჩაყრილი გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმით, საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოებით, კულტურის ახალი კერების გახსნა-ამოქმედებითა და „ახვლედიანების გორაზე" მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ღირებულებებით, უნდა შეკრულიყო და შეიკრა კიდევაც წრედი, რომელსაც უნდა სრულეყო და ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი რაიონის მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

1971 წლის მაისში მითითებული სკოლა-ინტერნატი გადაკეთდა პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლად, გაფართოვდა პროფილი და იგი დაფუძნდა როგორც სამხატვრო (სახელოვნებო) და სააღმშენელო პროფილის მიმართულების სასწავლებელი. მისი ანალოგი რესპუბლიკაში იყო ერთი, ქალაქ თბილისის ი. თოიძის სახელობის №11 სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო ამ ორს, მაშინდელი „კავშირის" მასშტაბით ანალოგი არ ჰქონდა. სასწავლებლის კონტინგენტი კომპლექტდებოდა დასავლეთ საქართველოს რაიონების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ბაზაზე. დიდი იყო ლტოლვა სამხატვრო სახელოვნებო ჯგუფებში. სასწავლებელში სწავლობდნენ ახალგაზრდები ბელორუსიიდან, მოლდოვადან. წარმოჩინდა ნიჭიერ მოსწავლეთა პლეადა, თავიანთი, გახმაურებული ნაშრომებით, რომლებიც არაერთხელ აღნიშნულა დიპლომებითა და მედლებით. ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული რაიონის შემოქმედებით ცხოვრებაში და რაიონმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა მათ დაბის ცენტრში ნამუშევართა დემონსტრირებაში.

1972 წელს დაიწყო ამ სასწავლებლისათვის გრანდიოზული სასწავლო კორპუსების მშენებლობა. სულორის მარცხენა სანაპიროსთან, სახელოსნოებით, საერთო საცხოვრებლებით, სპორტული დარბაზით და ღია მოედნებით, უფრო მოგვიანებით სპეციალური საცურაო აუზით (დღეს ამ კორპუსებში აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები ცხოვრობენ) და 1975 წლისათვის გაუშვეს ექსპლუატაციაში. ვანის №68 სამხატვრო, საშუალო პროფესიულ სასწავლებელს გაუხსნეს ფილიალი თერჯოლის რაიონში. სასწავლებელი სიტუაციათა გამო უკვე აღარ ფუნქციონირებს.

ახლა სხვა მაგალითი: იმ დროს, როდესაც ვანი მიუერთეს მაიაკოვსკის რაიონს, თითქმის 3-წლიან ციკლში, ვანის სოფლების სასკოლო მშენებლობაზე დაიხარჯა 98000-მანეთი, მაიაკოვსკიდან გამოყოფის შემდეგ 1966-68 წლებში უკვე ვანის რაიონის განათლების სფეროზე გაიხარჯა 990000; 1969 წელს კი მხოლოდ ვანის რაიონის ბიუჯეტიდან მილიონ 918-ათასი მანეთი, ბიუჯეტის 65 % მაშინდელი ფულის მაღალი კურსით. 1971 წელს კი 3- მილიონ 224-ათასი მანეთი. ასეთი მასშტაბური ძვრები მითითებულ სფეროში რაიონის ისტორიას არ ახსოვს XX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ პერიოდს ემთხვევა რაიონში ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულება და განხორციელებული მასშტაბური ღონისძიება, როგორიც იყო მასწავლებელთა ატესტაცია, რომელსაც მთლიანად დაექვემდებარა რაიონის პედაგოგიური ინტელიგენცია. იგი მთელი მტკივნეული და ნათელი მხარეებით რაიონს განათლების ისტორიაში დარჩება მნიშვნელოვან მომენტად.

ჩანს, რომ რაიონისათვის განათლება ყველა განზომილებაში იყო პრიორიტეტული და ესაა ფაქტი. პრაქტიკულ ფუნდამენტზე იდგა ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. მარტო რაიონის სკოლების მუშაკთა ხელფასებზე 1970-80 წლებში (ხელფასების ზრდის პირობებში) რაიონის ბიუჯეტიდან გადიოდა 3,5 მილიონი მანეთი. თუ ამას დავუმატებთ ასევე ბიუჯეტიდან გაღებულ თანხებს, სკოლების კაპიტალურ რემონტებზე ზამთარში საწვავით, კომუნალურ და ა.შ. უზრუნველყოფაზე რაიონის ბიუჯეტიდან მხოლოდ სკოლებსა და ბაღებზე გაიცემოდა 4 მილიონ მანეთზე მეტი.

XX საუკუნის 80-იანი წლები უნდა იქნეს მიჩნეული რაიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების მთლიანი სტრუქტურის და უპირველესად მატერიალური ბაზის სრულყოფის, განახლებისა და სამშენებლო პროცესების ახალ პერიოდად. განათლება ყველაზე დიდი სფეროდ რჩებოდა რაიონში. 80-იან წლებში მოქმედი პროფსასწავლებლების ჩათვლით მასში დასაქმე-

ბული იყო 1700-მდე პედაგოგი და სკოლის მუშაკი. აღსაზრდელებთან ერთად ეს უწყება 9000-ზე მეტ სუბიექტს მოითვლიდა, მათ განკარგულებაში იყი 72 ობიექტი, რაიონის უმაღლესი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი უკავშირდება და დეტალებში სწავლობდა, იხილავდა მიმდინარე პროცესებს, ქმნიდა სტრატეგიულ მიმართულებათა პროგრამებს და მაქსიმალურად აკონტროლებდა მის შესრულებას. (ამაზე მასალები არსებობს და დაცულია შესაბამის დაწესებულებებში).

დროისა და პროგრესირების მოთხოვნათა საფუძველზე არაერთი ობიექტი, რომელიც ადრეულ წლებში ააგეს, საჭიროებდა ახლით შეცვლას, გაფართოებას, კლასკაბინეტების სრულყოფასა და აღჭურვას, კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას და ა. შ. უნდა ითქვას მაშინდელი განათლების სამინისტროზეც, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის დახმარებას არ იშურებდა. 1982-1990 წლებში ამ საქმიანობაზე მათგან გამოიყო დაახლოებით 10 მილიონ მანეთზე მეტი. შედეგი ის იყო, რომ 8 წლიან მონაკვეთში, რაიონში აშენდა, ან მშენებლობაში იყო 33 ახალი სასწავლო ობიექტი. აიგო ისრითის საშუალო სკოლა 280 მოსწავლეზე, შუამთის 480-ზე, მიქელეფონის 9-წლიანი 160-ზე, დუცხუნის 9-წლიანი 110-ზე, ქალაქის №1 საშუალო სკოლის კორპუსები (პრაქტიკულად დაინგრა ძველი და აშენდა ახალი სკოლა) 480 მოსწავლეზე, №2 საშუალო სკოლა 480 მოსწავლეზე, სულორის საშუალო სკოლა 320-ზე, ძულუხის საშუალო სკოლა 280-ზე, შუაგორას საშუალო 480-ზე, ფერეთას საშუალო 280-ზე. ამავე წლებშია აგებული მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ყუმურის, ციხესულორის, ქალაქის №3, სალხინოს, დიხაშხოს, სულორის, ბზვანის, ამაღლების, შუაგორას, სალომინაოს, რომანეთის, მიქელეფონის, ზედავანის საბავშვო ბაღები, ისინი აღიჭურვა შესაბამისი კლას-კაბინეტებით, თვალსაჩინო მასალებით, სრულიად ახალი ინვენტარით. გატარებული ღონისძიებათა შედეგად სწავლების პირობები გაიუმჯობესა 4000 მოსწავლემ და 1500-ზე მეტმა სკოლამდელმა აღსაზრდელმა.

1979 წელს შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გადაკეთდა პროფტექნიკურ სასწავლებლად, შეინარჩუნა ძველი და დაემატა ახალი პროფესიებიც. მითითებულ დროში იქნა აგებული შუამთის №118 პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის კორპუსები, სახელოსნოები, სააქტო და სპორტული დარბაზები. მშენებლობა მიმდინარეობდა ზედავანის საშუალო, ზედაბზვანის 8-წლიანი სკოლებისა, ინაშაურისა და მუქედის საბავშვო ბაღებზე. ყველა ჩამოთვლილ სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ახლადაგებული სპორტული და სააქტო დარბაზები, ღია ტიპის სპორტული მოედნები. ამავე დროში, განახლდა მასწავლებელთა კონტინგენტი. სკოლებმა 7-8 წლიან მონაკვეთში მიიღეს 300-ზე მეტი ახლი კურსდამთავრებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. შედეგი იყო საკმაოდ მაღალი, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა რაოდენობა — შესაბამებოდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა თითქმის ყოველ მესამე-მეოთხეს.

1990 წლის დასაწყისისთვის დასრულდა და მოსწავლე ახალგაზრდობას გადაეცა, ახალი, უნიკალური შენობა (დღეს აქ ეპარქიაა), რომელშიც უწყვეტად გაგრძელდა საგნობრივი, საწრეო, მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობა. არაფერს ვლაპარაკობთ სპეციალურად აგებულ საწვრთნელ სპორტულ ბაზებსა და საფეხბურთო სკოლაზე (იმ დროს იმერეთში ერთადერთზე), ასევე, არ მიგვაჩნია საჭიროდ დაწვრილებით საუბარი სასკოლო შემოქმედებით საქმიანობაზე, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობაზე, მხატვრულ შემოქმედებით აღზრდაზე. მთლიანი სასწავლო სააღმზრდელო კომპლექსი, როგორც წესი, ემსახურებოდა არა მარტო საგნობრივი ცოდნის მიღებას, არამედ ეროვნულ პატრიოტულ ჩამოყალიბებას. ეს რეალობაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე განათლებისა და მისი ბაზების მოწესრიგების თვალსაზრისით რაიონი მივიდა წელგამართული, მასში განივთებულია თაობათა გარჯა. აქ დასაფასებელია რაიონის ცალკეული ორგანიზაციების მიერ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მიმართ გაწეული საშეფო დახმარებებიც, რომელიც მძლავრად გაჰყვა XX საუკუნის 70-80-იან წლებს, ასე, რომ, დღეს არსებული ინფრასტრუქ-

ტურა პერიოდების მანძილზე მნიშვნელოვან ცვლას არ დაისაჭიროებს, მაგრამ თუ საუბარი წავა თანამედროვე პირობებიდან სასწავლო სააღმზრდელო პროცესთა მოდერნიზაციაზე, აქედან შესაფერის გადაიარაღებაზე არსებული ბაზები ამდაგვარ დატვირთვასაც გაუძლებენ.

XX საუკუნის 90-იანი წლები უაღრესად რთული პერიოდი იყო რაიონის საგანმანათლებლო სისტემისათვის. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, ქვეყნის მართვაში დაშვებულმა უკიდურესმა შეცდომებმა, რომელსაც სახალხო მეურნეობის სრული პარალიზება მოჰყვა, უმძიმესი დარტმა მიაყენა სფეროს, მინიმუმამდე დავიდა, შემოსავლები რაიონულ ბიუჯეტშიც და აისახა კიდევაც სააღმშენებლო პროცესების შეჩერებიდან დარგში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურებათა წყვეტილობამდე. ამ პროცესს ემთხვევა პედაგოგთა გარკვეული ნაწილის გადინებაც საზღვარგარეთულ ქვეყნებში, რომელიც იძულებითი ხასიათის მატარებელი გახდა. ასეთი მდგომარეობა მაქსიმალური ფორმით გაგრძელდა თითქმის 15 წლის მანძილზე, 2005 წლამდე. როგორც ითქვა, იმის გამო, რომ სტატიაში არ ვეხებით XXI საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებულ მოვლენებს, მოკლედ შეიძლება ითქვას.

მუნიციპალიტეტის (რაიონის) საგანმანათლებლო სფეროს დღეისათვის უდგას სხვა უკიდურესი პრობლემა. ესაა მოსწავლეთა კონტინგენტი, რომელიც, როგორც ითქვა, უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულებში განვითარებულ მოვლენებს – სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მოშლას. ამის საფუძველზე ასეულ-ათასობით ადამიანის საზღვარგარეთულ ქვეყნებში უწყვეტ გადინებას. ამ პროცესების მკაცრი გავლენა ასახულია ვანზეც და განსაკუთრებულად, სასკოლო ასაკის ბავშვთა კატასტროფულ შემცირებაზე. მუნიციპალიტეტის ისეთ სკოლებში, რომლებშიდაც XXI საუკუნის მიჯნამდე 350-400 მოსწავლეზე მეტი ირიცხებოდა, დღეისათვის კონტინგენტი დასულია 60-80 უკეთეს შემთხვევაში 100 -ზე ცოტა მეტ აღსაზრდელზე. საგანგაშოდაა შემცირებული პირველკლასებში მისაღები კონტინგენტიც. საერთოდ, კვლევის ცენტრში არსებული მონაცემებით მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით შემცირებულია მინიმუმ 3-ჯერ, რომელიც სასულიერო გიმნაზიის გამოკლებით (154 მოსწავლე) დავიდა 2541 მოსწავლემდე, ამის გამოც პედაგოგთა რაოდენობაც შემცირდა 663-მდე. რაიონი მიეძართება დემოგრაფიული დაბერების გზით.

რაც შეეხება საერთო სურათს, პირდაპირ უნდა ითქვას: რაიონის დღევანდელმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო არასახარბიელო მდგომარეობა, პრობლემათა წყება დაგროვილი ბოლო ათწლეულებში დროში ერთბაშად ვერ გასწორდება, მაგრამ გადადგმული ნაბიჯები განსაკუთრებულად აღნიშნულ სფეროსთან მიმართებით იძლევა იმედის საფუძველს. დღეისათვის უკვე ინტენსიური სახე აქვა მიღებული სასწავლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მოწესრიგების პროცესებს. ამის ფაქტები აშკარაა, დაწყებული საბავშვო ბაღების, რიგი სკოლების კაპიტალური შეკეთებიდან, ინვენტარის განახლებითა და ზედავანის ახალი საშუალო სკოლის გახნით. უნდა ვიფიქროთ დრო და მოქმედება საბოლოოდ მოხსნის პრობლემათა წყებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი – მოგზაურობა საქართველოში.
2. ივერია №4 – 1874 წელი.
3. ილია ჭავჭავაძე ტ. 4 „წერილები სახალხო განათლებაზე – თავადაზნაურთა გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში.
4. Революция 1906-1907 ГГ Сборник документов – საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს მასალები.
5. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზუმში დაცული მასალები.

6. ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალები (შესაბამისი ფონდები, საქმეები, რომლებიც მითითებულია თხრობისას).

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. V-VI

8. პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი – განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918 წლის მაისი -1921 წლის თებერვალი).

9. ომარ კაპანაძე – ვანი – ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.

10. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში დაცული მასალები.

11. რაიონის სოფლების ისტორიები – ნაშრომები შესრულებულია ვანის რაიონის, ისტორიის კვლევის ცენტრის თხოვნის საფუძველზე, შესაბამისი სოფლების საჯარო სკოლების, ინდივიდების, დირექტორებისა და პედპერსონალის მიერ (დაცულია მითითებულ კვლევის ცენტრში).

12. ალექსანდრე მაღლაკელიძე – მოგონებები „კვალდაკვალ".

13. შიო გიორგაძე – ვანი და ვანელები.

14. ნოდარ ტაბიძე – გალაკტიონი, გამოცემული 2000 წელს.

15. ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველი ებრაელები საქართველოში.

16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1919-21 წლები.

17. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები, 1921-1937 წლები.

18. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე — შესაბამისი ნომერი.

რედაქციისაგან

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანის" სარედაქციო კოლეგია მიესალმება ქალბატონ ქრისტინე მეძველიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქუთაისის ცენტრალური არქივის თანამშრომელს, რომელმაც გამოხატა სურვილი და მზადყოფნა ითანამშრომლოს მითითებული კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანესთან", რასაც სიამოვნებით ვიღებთ და დიდ მადლობას ვუხდით მას თანადგომისათვის. ჩვენ მადლობელი ვართ ქალბატონ ქრისტინესი იმის გამოც, რომ ქუთაისის ცენტრალურ არქივში მასალებზე მუშაობისას, ის პირადად, ცენტრალური არქივის დირექტორ, პროფესორ მერაბ კეზევაძესთან ერთად არამარტო გვეხმარება და გვამხნევებს, გვაძლევს მნიშვნელოვან რჩევებსაც, რაც კვლევებისა და მასალათა შეჯერება-ანალიზის პროცესში ფასდაუდებელია.

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ ქრისტინე მეძველიას ერთ კვლევას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ვანს.

ქრისტინე მეძველია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების დაარსება ვანის რაიონში

მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში, დიდი ყურადღება ექცეოდა განათლების დონის ამაღლებას. განსაკუთრებით კი უცოდინრობის წინააღმდეგ ბრძოლას. 1921 წლის აპრილში საქართველოს რევკომის დადგენილებით შეიქმნა განათლების სახალხო კომისარიატი. პირველი რიგის ამოცანად იქცა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა და სახალხო განათლების მთელი საქმის ძირეული გარდაქმნა სოციალურ საფუძველზე. 1921 წელს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაამუშავა რესპუბლიკის „მთლიანი შრომის სკოლის დებულება," რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ორივე სქესის ბავშვებისთვის უფასო, საყოველთაო პოლიტექნიკური განათლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა, სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ახალი საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს შეადგენდა.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში განათლების სისტემაზე არაერთი საინტერესო ფონდია დაცული, მათ შორის აღსანიშნავია: ფონდი №296, ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მასალები. ამჯერად, გვინდა გაგაცნოთ საქმე №664, რომელიც წარმოადგენს წერილების ნაერთს ვანის რაიონში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ და დათარიღებულია – 26 იანვარი – 29 მარტი 1924 წელი.

წერილი, რომლითაც გვინდა მიმოხილვა დავიწყოთ უფრო ინსტრუქციაა, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს წერა-კითხვის უცოდინრობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმას. წერილის ტექსტს გთავაზობთ უცვლელად:

„წ.კ. უც.[1] სალიკვიდაციო სკოლების დაარსების მიზანი

1. წერა-კითხვის უცოდინრობა უბოროტესი მტერია ხალხისა, საჭიროა დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა. ხალხის სიბნელე-სიბრიყვე იყო ის საძირკველი, რომელზედაც ემყარებოდა მეფის ძალაუფლება. დღეს ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სასტიკი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ.

[1] იგულისხმება წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია. (რედ.)

2. იქ, სადაც მასა არის წერა-კითხვის უცოდინარი და სადაც, მაშასადამე, შეუძლებელია ლაპარაკი პოლიტიკურ განათლებაზე რევოლუციის მონაპოვარი საფრთხეშია.

3. საბჭოთა ხელისუფლება დგას მძიმე ამოცანების წინაშე: სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინება, განვითარება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კულტურის, ყველაფერი ეს მოითხოვს საბჭოთა აღმშენებლობაში ფართო მასების ჩართვას.

4. საჭიროა ფართოდ დავაყენოთ პროპაგანდა სასოფლო მურნეობის ცოდნისა, საჭიროა შევაიარაღოდ მასა ტექნიკური ცოდნით, საჭიროა აღვზარდოთ მასა პოლიტიკურად, ყოველივე ამის საძირკველია ნ.კ. უც. ლიკვიდაცია.

5. წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, საბჭოთა საქართველოში-სახელმწიფო საჭიროებაა. წარმოუდგენელია ხალხმა ძალაუფლება შეინარჩუნოს, თუ ეს ხალხი გაუნათლებელია და წერა-კითხვის უცოდინარია.

6. ნ.კ. მასიური უცოდინარობა უნდა მოისპოს. ნ. კ. ცოდნა სჭირია, წითელარმიელს – ფრონტზე, მუშას – დაზგასთან, სჭირია გლეხს, რომელსაც გუთანი უჭირავს.

7. სოფელმა უფრო განვითარებული წესით უნდა დაამუშაოს მიწა, უნდა შეითვისოს ტექნიკური გაუმჯობესება, უნდა ხელი აიღოს ადამის დროინდელ იარაღზე, რომლის საშუალებით მიწა ამის მეათედსაც არ იძლევა, რის მიცემაც შეუძლია.

8. ეს კი შესაძლებელი იქნება, მაშინ, როდესაც ომს გამოუცხადებთ სოფლის სიძნელეს, როცა გლეხობა წერა-კითხვას ისწავლის. ნ. კ .უც. ლიკვიდაციის ფრონტი საძირკველია ქვეყნის დაცვის წითელი და შრომის ფრონტისა.

ნ. კ. სალიკ. სკოლები ქუთაისის მაზრაში

1. თანახმად პოლიტგანათლების მთავარმართველობის ცირკულიარისა, ქუთაისის მაზრაში 1924 წლის სექტემბრამდის ლიკვიდაცია უნდა ქმნილ იქნეს 2700 ნ. კ. უც. ამ მიზნით უნდა გაიხსნეს 90 ლიკ. სკოლა.

2. სალიკვიდაციო სკოლებში სწავლების დრო განსაზღვრულია 4 თვით, რის გამოც სასწავლო წელი გაყოფილია ორ პერიოდად.

3. პირველი პერიოდის მეცადინეობა ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა დამთავრდეს საგაზაფხულო მუშაობის დაწყებამდის.

4. მეცადინეობა ლიკვიდირებულ სკოლებში წარმოებს საღამოობით, რაც შესაძლებლად ხდის, როგორც ადგილობრივი შრომის სკოლის შენობის, ისე პედაგოგიური პერსონალის გამოყენებას. ამ მიზნით მასწავლებლად დანიშნულია ადგილობრივი სკოლების მასწავლებლები.

5. სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებელი აწარმოებს მეცადინეობას კვირაში 12 საათს, თვეში 48 საათს.

6. თვითეულ ფაქტიურად მიცემული გაკვეთილისათვის მასწავლებელს ეძლევა 30 კ. ჩერვონცის[1] ე. ი. ნორმალური მეცადინეობის დროს მასწავლებლის თვიური ხელფასი იქნება 30 კ. ხ 48 =14 მ.40 კ. რაც მიეცემა ყოველთვიურად პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს თანხებიდან.

სახელმძღვანელო ცნობები

1. სალიკვიდაციო სკოლებში მსმენელთა მიღება-ჩარიცხვისათვის დაწესებულია შემდეგი რიგი:

ა. რიგ გარეშე დაბადებული 1900 -1-2 და 1903 წწ.

ბ. პირველ რიგში კომპარტიის და კომკავშირის წევრებისათვის.

გ. მეორე რიგში მილიციის და პროფესიულ კავშირის წევრებისათვის.

---

[1] რუს. Червонец საბჭოთა კავშირში ათმანეთიანი საკრედიტო ბილეთი, რომელიც ბრუნვაში იყო 1922 წლიდან 1947 წლამდე. (რედ.)

დ. მესამე რიგში გლეხობისათვის.

პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა სთხოვს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ სალიკვიდაციო სკოლების გახსნას და შესაფერისად მოწყობას.

პოლიტგანათლების მთავარმართველობის ინსტრუქტორი: აკ. ცინცაძე

ქუთაისის მაზრის პოლიტგანათლების განყოფილების გამგე: ვ. ლეჟავა

მდივანი: ი. ბაქრაძე."

(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 13)

როგორც შემდგომში, აღნიშნულ საქმეში დაცული ბრძანებებიდან და მიმოწერიდან ირკვევა, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში მართლაც დაარსდა. გვინდა წარმოგიდგინოთ მიმოწერა ვანის რაიონის ერთ-ერთი თემის თავმჯდომარესა და ვანის რაიაღმასკომს შორის, რომელიც თემატურად აგრძელებს ზემოთ მოყვანილ დოკუმენტს:

„ამაღლების თემის საბჭოს თავმჯდომარეს

სარაიონო აღმასკომი ამით გაცნობებთ, რომ ვანის რაიონის შემავალ თემებში არსდება წერა-კითხვის უცოდინარობის შკოლა, რისთვისაც გევალებათ სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინოთ აღმასკომს შემდეგზე: დაუყონებლივ მოახდინოთ წერა-კითხვის უცოდინართა აღნუსხვა, განსაკუთრბით, 1900, 1901, 1902 და 1903 წლების და აგრეთვე სხვა წლებისაც, სურვილისამებრ თუ ვისაც სურს და ნაჩვენები წლებისათვის კი სწავლდებულის და სიპ შემდგარი ამ წლების. სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინეთ აღმასკომს, რის შემდეგ გამოგეგზავნებათ მასწავლებელი და საჰანადო ინსტრუქციები. შეუსრულებლობისათვის იქნებით სასტიკად დასჯილი.

26 იანვარი 1924 წელი

(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 1)

ვანის რაიაღმასკომს

მოვახსენე, რომ ასეთი მიწერილობა მიღებული მაქვს ქუთაისის განათლების განყოფილებიდან 25 იანვრიდან №346 და მასწავლებლად უკვე დანიშნულია ადგილობრივი მცხოვრები ალექსანდრე კანდელაკი. რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინართა აღნუსხვისას საჭირო არის მეტრიკული ამოწერილობა, რასაც გთხოვთ გადმომიგზავნოთ."

თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება)

27 იანვარი 1924 წელი

(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 1ა).

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მიზნით პედაგოგთა დანიშვნას ვანის რაიონის სხვადასხვა თემებსა და სოფლებში ადასტურებს ამავე საქმეში დაცული დოკუმენტები, სადაც გვხვდება ამ პერიოდში მოღვაწე პედაგოგების გვარები, მაგალითად: ტობანიერში პედაგოგად ვლადიმერ გიორგაძე დაინიშნა (იქვე, ფურცელი 2), უხუთის თემის სოფელ ძულუხში, პედაგოგი ამბერკი დიასამიძე გახლდათ (იქვე, ფურცელი 3), დვალიშვილების თემის სოფელ გადიდში პედაგოგად გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარაშენიძე მოღვაწეობდა (იქვე, ფურცელი 4), ვანის თემში პედაგოგად დაინიშნა სევერიანე დიასანიძე (ასეა დოკუმენტში, იქვე, ფურცელი 7), საპაიჭაოს თემის სოფელი მუქედი, პედაგოგად მინა დიასამიძე (იქვე, ფურცელი 6) და მეთოდე ბიბილეიშვილი დაინიშნა (იქვე, ფურცელი 8).

როგორც წერილებიდან ირკვევა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და ყველა უწყებას ავალებდნენ დახმარება აღმოეჩინათ მათი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

„ვანის რაიონის აღმასკომს

თანახმად მთავრობის განკარგულებისა 1900-1903 წლებში დაბადებულთათვის სავალდებულოა იაარონ წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებში. მიუხედავად იმისა, როგორც შეკრებილი ცნობებიდან ჩანს ამ წლებში დაბადებულთა რიცხვი სკოლებში ძალიან ცოტაა, მაგალითად: სოფელ დიხაშხოდან მხოლოდ 2 დადის, ვთხოვ აღმასკომს გასცეს განკარგულება, რომ 1900-1903 წელს დაბადებულნი, წერა-კითხვის უცოდინარნი აუცილებლად დადიოდნენ სკოლებში (ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 5).

ყველა სარაიონო აღმასკომს და ქალაქ ქუთაისის მილიციის უფროსს

სამაზრო აღმასკომი ამით გაცნობებთ სათანადო განკარგულებისათვის, რომ წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო პოლიტგაერთიანების ქვეგანყოფილება აწარმოებს რა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას გავალებთ, რათა აღმოუჩინოთ განათლების განყოფილების მიერ დანიშნულ ლიკ. პუნქტების მასწავლებლებს ფართო დახმარება და აგრეთვე უცოდინართა პირთა საღამოობით პუნქტებზე მიყვანა.

მმართველობის განყოფილების გამგის და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

საინსტრ. საინფ. ქვე განყ. გამგე"

(ფონდი №296, საქმე №664, ფურც. 9-9 ა)

მონიტორინგი სკოლების მუშაობასა და შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე სისტემატიურად ხორციელდებოდა. ამ ფაქტს ადასტურებს ვანის რაიონული აღმასკომის წერილები, სადაც ჩანს, რომ პოლიტ. გაერთიანების ქვეგანყოფილება ითხოვდა დრო და დრო მიეწოდებინათ ინფორმაცია სკოლების მუშაობაზე და იმ პირთა სიები, რომლებიც დადიოდნენ წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში.

წერილი, რომელიც გვინდა შემოგთავაზოთ ვანის რაიაღმასკომისადმია მიწერილი პოლიტ-განათლების ქვეგანყოფილების გამგის მიერ და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სალიკვიდაციო სკოლების ფუნქციონირება და მისი მუშაობის ხელშეწყობა პრიორიტეტული იყო.

„ვანის რაიონულ აღმასკომს

პოლიტგანათლების ქვეგანყოფილება გაცნობებთ, რომ 1900 წლიდან 1903 წლამდე დაბადებულთათვის სავალდებულოა გაიარონ ნ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო კურსი და აგრეთვე სავალდებულოა შემდეგთათვის: კომპარტიის ნევრთათვის, კომკავშირის და პოლიტწრის, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დაწყებულია მინდვრის მუშაობები და რომ ამ მუშაობაში არ შეეშალოთ ხელი ზემოაღნიშნულებს საჭიროა შემდეგი ღონისძიებანი: მსმენელთ ექმნეთ კვირაში ორი დღე თავისუფალი, რომელ დღეებსაც მსმენელები ამოირჩევენ და მეცადინეობამ უნდა იწარმოვოს ღამღამობით, მაგრამ, რადგან მოსწავლეებმა უნდა იმეცადინონ თვეში 48 საათი და დღეში კი ორი საათი, ამისთვის მათ იმეცადინონ 24 დღე თვის განმავლობაში და რომ შეასრულონ 24 დღე თვეში უნდა გამოიყენონ კვირა უქმე დღეები.

პოლიტგანათლების ქვეგანყოფილების გამგე: ვ. ლეჟავა

29 მარტი, 1924 წელი"

(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 14)

სალიკვიდაციო სკოლების მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებოდა წიგნები და სწავლისთვის საჭირო სხვა სახელმძღვანელოები. პოლიტგანათლების ქვეგანყოფილების წერილებიდან ჩანს, რომ მიუხედავად მაქსიმალური ხელშეწყობისა, სკოლებში ყოველთვის აღინიშნებოდა მოსწავლეთა სიმცირე. წერილებში ვხვდებით ადმინისტრაციული ზომების მიღების, მოთხოვნას ურჩი მოსწავლეების მიმართ (იქვე, გვ. 15), პოლიტგაერთიანების ქვეგანყოფილება თხოვდა რაიონის ხელმძღვანელობას თავად დასწრებოდნენ მეცადინეობებს და ყველა ღონე ეხმარათ რათა დაინტერესება სკოლის არსებობისადმი უფრო მეტი ყოფილიყო. უკიდურეს

შემთხვევაში კი მსმენელებს აენაზღაურებინათ წაღებული ნივთების ღირებულება (იქვე, გვ. 5ა).

საქმეში ვხვდებით მიმოწერას, რომლებიც გვამცნობს, რომ მიუხედავად წინააღმდეგობისა ზოგიერთი მოსწავლის მხრიდან, ზოგადად იდეამ გაამართლა და წამოწყებამ სასურველი შედეგი გამოიღო, წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლებში ფინალური გამოცდები ჩატარდა.

„ვანის რაიაღმასკომს

გაცნობებთ, რომ კვირას, 22 ივნისს დილით 9 საათზე დანიშნულია რწმ. ჩემდამი თემის წ/კ უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის მსმენელთა გამოცდა. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი, რადგანაც უკანასკნელად, თანახმად განათლების განყოფილების განკარგულებისა არ შედგება საგამომცდელო კომისია.

ღვალიშვილების თემის შკოლის გამგე

ლიკვიდირებული პუნქტის მასწავლებელი"

(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 16-16 ა).

ასეთივე შინაარსისაა წერილი უხუთის თემის სოფელ საპრასიის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის გამგის წერილი ვანის რაიაღმასკომისადმი (იქვე გვ. 17).

რამდენი წელი ფუნქციონირებდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში, აღნიშნულ საარქივო საქმეში მითითებული არ არის. ინტერნეტ სივრცეში განთავსებული მასალების მიხედვით წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები 1934 წლამდე ჩანს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი საგაზეთო სტატიაა გამოქვეყნებული: გაზეთი „კომუნისტი" – 1925 წ. 27 თებერვალი №47 გვ. 6; 1925 წ. 18-19 ნოემბერი №265-266 გვ. 4; 1925 წ. 22 ნოემბერი №269 გვ. 6; 1925 წ. 28 ნოემბერი №274 გვ. 4; 1925 წ. 2 დეკემბერი №277 გვ. 4; 1925 წ. 10-12 დეკემბერი №284-286 გვ. 4-5-6; 1925 წ. 22 დეკემბერი №294 გვ. 6. დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ განათლების დონის ამაღლებას მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა, რისი დასტურიცაა აღნიშნული ტიპის სკოლების დაარსების იდეა, არა მხოლოდ ვანის რაიონში, არამედ მთელს საქართველოში.

უჩა დვალიშვილი
პროფესორი

ექსპედიცია თურქეთში

2015 წლის 16-22 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა განახორციელა მასშტაბური პროექტი – „ხალხური სიმღერების, საკრავიერი და ქორეოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება – საარქივო მასალების შექმნა" რის გამოც კომპლექსური ექსპედიცია განახორციელა თურქეთის ტერიტორიაზე (ბურსას ვილაიეთი, ქალაქი ინეგოლი და მიმდებარე სოფლები)".

ექსპედიციის შემადგენლობა: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი უჩა დვალიშვილი,[1] ვიდეოოპერატორი ნიკოლოზ გოგაშვილი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა მოწვეული სპეციალისტი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი, მომღერალი და ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი.

პროექტის მიზანი იყო ქართული ფოლკლორული ტრადიციების – მუსიკალური და ქორეოგრაფიული მასალის აღწერა – ფიქსაცია და შემდგომი კვლევა. პროექტი მოიცავს კომპლექსურ ექსპედიციას ბურსას ვილაიეთის ქალაქ ინეგოლის მიმდებარე სოფლებში – მუსიკალურ, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული მასალების შეგროვებას, ჩაწერილი მასალის დახარისხებას და შემდგომ კვლევას.

საექსპედიციო ჯგუფი იმყოფებოდა როგორც ბურსას ვილაიეთის, ასევე იზმირის ვილაიეთის სოფლებსა და ქალაქებში: ქალაქ გოლჯუკის მხარის რამდენიმე სოფელში (მუზჰეთიე, ჰამიდიე, ბეილული, თუფექჩი ქონაკ, ელმალე) და იზნიქისა და ჰენდეკის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისაგან – ჩვენებურებისაგან, ჩაიწერა და დააფიქსირა მრავალი უნიკალური ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუში – სიმღერები, ცეკვები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ექსპედიციის მიმდინარეობის პერიოდში მოხდა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნიმუშების ვიდეო და ფოტო ფიქსაცია, საოჯახო და საგვარეულო ტრადიციების შესახებ ინფორმაციის აუდიო ჩაწერა. როგორც ითქვა, მომავალში განხორციელდება მასალის მეცნიერული შესწავლა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მონაცემთა ბაზის შევსება.

... თურქეთში მცხოვრები „გურჯების" ათეულობით სოფელია, რომელიც ქართულ მონოეთნიკურ ხასიათს ინარჩუნებს, სამეურნეო ნაგებობები,ყოფა-ცხოვრების წესი, ტრადიციები ქართულია. თვითონ ქართულ სოფლებსა და ტოპონიმებს შეცვლილი აქვთ სახელი ან მათი დასახელება თურქულად არის ნათარგმნი. (ოლთისი – „ოღთუ" იზნიკში „ვაშლოვანი" – „ელმალი," მაჭახელი – „ჯამილი" და სხვა.) რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული ენა – სოფლებში კვლავ გაისმის და მეტიც, ახალგაზრდა თაობის საქართველოთი დაინტერესება მზარდ ხასიათს იძენს, უყურებენ თანამგზავრულ ტელეარხებს, ყურადღებით თვალს ადევნებენ და ეხმაურებიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

განსაკუთრებით, ქალაქებში უჭირთ ქართული ენის შენარჩუნება. თურქეთის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ფორმატი, რომელშიც თურქეთის სკოლაში ქართული ენის სწავლება

---

[1] ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცენტრის კრებულ „მატიანის" სარედაქციო კოლეგიის წევრი,

იქნება შემოღებული. ფაქტია, რომ უკვე თურქეთის ხუთ უნივერსიტეტში სწავლობენ ქართულ ენას. თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში ყალიბდება ქართული საზოგადოებები, ფოლკლორული ანსამბლები, ფონდები. თურქეთის ქართველობის თვითშეგნების გაღვივების მიზნით გრძელდება მუშაობა. თურქეთის ქართველების შვილების საკმაოდ დიდი პროცენტი განათლებას იღებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენს მიერ ექსპედიციაში მოპოვებული მასალები სამომავლოდ უფრო სრულყოფს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის, თეორიისა და მეთოდიკის საკითხებს. სწორედ შეკრებილი და ჩაწერილი საცეკვაო ფოლკლორი უმდიდრეს მასალას იძლევა ახალი ცეკვების შესაქმნელად. პროფესიული ქორეოგრაფიული ხელოვნება გადმოიღებს ხალხური ცეკვიდან გამომსახველ და კომპოზიციურ საშუალებებს.

ყოველ ერს აქვს თავისი - მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცეკვები. მის მელოდიებში, პლასტიკურ სახეებში, ფერებში აისახება მთელი სიბრძნე, შემოქმედების მთელი ფანტაზია, თვითმყოფადი ხალხური ხელოვნების სიმშვენიერე და თავისებურება.

* * *

კრებულ „მატიანის“ რედაქცია ელოდება ზემომითითებულ ღირსეული პროფესიონალებისგან შეკრებილი მასალების დამუშავებას, რის შემდეგაც, ვფიქრობთ, გვექნება საშუალება „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ მატიანის“ საშუალებით, გასაცნობად მივაწოდოთ ფართო საზოგადოებასა და „მატიანის“ მკითხველს, რის გამოც, კრებულ „მატიანის“ რედაქცია წინასწარ უხდის მადლობას ხსენებული ექსპედიციის ყველა მონაწილესა და პირადად, პროფესორ უჩა დვალიშვილს „კვლევის ცენტრისადმი“ თანადგომისთვის.

ახალგაზრდების ტრიბუნა

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ

ისტორიის მაგისტრი

ᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ

მსოფლიოს ისტორიაში ებრაელი ერი უდაოდ გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს თავისი წარსულითა და სპეციფიკური თავისებურებებით.

უნიკალური ხასიათისაა ქართველთა და ებრაელთა ორი ათას ექვსასწლოვანი ურთიერთობა და თანაცხოვრება ქართულ მიწაზე. არც ერთ ერს არ დაუფასებია ქართული სახელმწიფოს ტოლერანტული მიდგომა ისე, როგორც ეს დააფასა ებრაელობამ და შესაბამისად აღიქვა, რასაც მოწმობს ტერმინი „ქართველი ებრაელი." მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა ებრაელებს სხვა ერებისაგან განსხვავებით, არასდროს გამოუხატავთ ქართულ საცხოვრისზე პრეტენზიული შეხედულებანი.

ებრაელთა ღვთის რჩეულობაზე მიუთითებს აბრაამზე ღმერთის გამოცხადების ფაქტი, როდესაც მან აბრაამს უთხრა: „მე ვარ ღმერთი შენი ყოვლისა შემძლებელი... და იყავ შენ მამა მრავალთა ხალხთა, მოგცემ შენ და შენ ჩამომავლობას მთელი ქანაანის ქვეყანას... შენი ცომიდან განხორციელდება მხსნელი სოფლისა – მაცხოვარი" და აღსრულდა ნება ღვთისა!"

ნიშანდობლივია ისიც, რომ უბრალო ებრაელის ქალწულის – მარიამის წიაღში, სულიწმინდისაგან ჩაისახა მაცხოვარი, იესო ქრისტე... ხოლო ღვთისმშობელმა მარიამმა საქართველო თავის წილხვედრ ქვეყანად აირჩია. ასე რომ, ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობას ღვთით კურთხეული საფუძვლები გააჩნია. ამასთანავე ქართველ ებრაელებს ქრისტეს წამებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ჯვარცმის შემდეგ იესოს კვართი ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან საქართველოში, კერძოდ, მცხეთაში ჩამოიტანეს.

ჩვენ – ქართველებსა და ებრაელებს, თანაზიარი გვაქვს ღვთითკურთხეულობა, სამშობლოს უზომო სიყვარული და მტრებთან ბრძოლის რწმენით ნაწრთობი უიშვიათესი უნარი.

ქართული ისტორიული წყაროს, „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ქართლისა და ეგრისის მფლობელ მეფე ადერკის გამეფების პირველსავე წელს (ახ.წ.I ს) „იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა და მოვიდეს მისსა მოგუნი ძღუნისა შეწირვად და მათ მოგუთა შესვლასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ „სპარსთა იერუსალემი წარტყუენესო" და ურიანი რომელნი მცხეთას იყვნეს, იქმნა მათ შორის გლოვა და ტირილი და შემდგომად მეორესა წელსა სხუა მოვიდა ამბავი, ვითარმედ „სპარსნი იგი არა წარტყუენვად მოვიდეს იერუსალიმს, არამედ აქუნდა ძღუენი ყრმისა ვისმე შობილისათვის" და განიხარეს ურიათა მცხეთელთა."

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე ადერკის დროს ურიათა მცხეთელთა მოხსენიება მათ მცხეთაში მნიშვნელოვან დასახლებაზე მიუთითებს, რასაც, რასაკვირველია, წინ უსწრებდა ებრაელთა საქართველოში მოსვლის ისტორიული პროცესი.

ლეონტი მროველის ცნობით, ებრაელები საქართველოში პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ჩამოსახლებულან იერუსალიმიდან. ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მიერ ებრაელთა სამეფოს – იუდეასა და მისი დედაქალაქის – იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ. „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცნა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი."[1] ამავე ფაქტს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც „ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ჰურიანი აქა დასხნა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მოხარკედ.[2] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან – „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან... და დასხნა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს, არაგვის ჩრდილოდ კერძოდ."[3] კერძოდ შემდგომად კუალად და დასხნა

[1] „ქართლის ცხოვრება", ტ - I. გვ.15. 1955 წ.
[2] „ქართლის ცხოვრება" ტ - IV. გვ.523-524. 1973 წ.
[3] „ქართლის ცხოვრება" ტ - IV. გვ.53.

იგინიცა." შინაარსობრივი ქვეტექსტი მიუთითებს იმაზედ, რომ ებრაელები აღნიშნულ პერიოდამდეც შემოსულან საქართველოში და ანალოგიური მოვლენა მანამდეც ყოფილა. მკვლევარ მამისთვალიშვილის აზრით ებრაელთა პირველი შემოსვლა საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.[1] ქართლში ქრისტიანობის რელიგიად გამოცხადების დროს ორმოცდაათმა ებრაელმა ქრისტიანობა მიიღო ქართველ ებრაელთა მღვდელმოძღვარ „ფილოსოფობითა შემკულ" აბიათართან ერთად. ამ პერიოდიდან მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, ებრაელები, რომლებმაც ქრისტიანული მრწამსი არ მიიღეს, განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

„ნინოს ცხოვრების" ცნობით, ქრისტიანად მონათლულ აბიათარსა და „ყოველსა ნათესავსა მისსა"მირიან მეფემ „მისცა დაბა, რომელსა ეწოდების ციხედიდი და იყო საყვარელ წინაშე მისსა, ხოლო სხვანი ჰურიანი, რომელთა არა ნათელიღეს, გაიძნივეს მცხეთით და წარვიდეს."[2]

საკუთრივ ვანის რაიონის ტერიტორიაზე ებრაელები XIX საუკუნის შუა ხანებიდან დასახლდნენ, მდინარეების ჭიშურას მარჯვენა და სულორის მარცხენა სანაპიროებს შორის (დღევანდელი თავისუფლების, ჭანტურიას, ჭავჭავაძისა და ოცდაექვსი მაისის, ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩებზე). ძირითადად, ტყაჩირიდან, საყულიიდან, სამტრედიიდან; განმაპირობებელი ფაქტორი, ომარ კაპანაძის აზრით გახლდათ „ვანში" ინდივიდუალური ვაჭრობის სივრცის აქტიურად აუთვისებლობა. სავაჭრო საქმეს აქ, ამ დროისათვის თითო-ოროლა სომეხთა და ებრაელთა ოჯახები აწარმოებდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძისეული შეფასებაც – „იმ დროისათვის ებრაელებს არც მაინცდამაინც დიდი ვაჭრობა უჭირავთ ხელში... XIX საუკუნის ნახევრამდე ქართველი ურიები საქართველოში ყრმებად ირიცხებოდნენ... ის კი ჩანს, რომ საქართველოში არ ყოფილა სადმე ტაძარი და თავადიშვილი, რომ მას ურია ყრმად არ ჰყოლოდა. „...ქართველ მებატონეთა ძღიერ ხშირად იცოდნენ თავიანთი ყრმათა ქალების მზვითევში გატანება. ამ მზვითებში ატანდნენ არაერთ და ორ პირს, არამედ მთელს ოჯახებით ხუთს, ათს, ორმოცი ოჯახიც კი გაუტანებიათ... ყოველი მებატონე ეტრფოდა და ელტვოდა ურიათა ყრმობას... ებრაელს საცა კი გაატნევდნენ მზითევში, იქ, ის უეჭველად ვაჭრობას დაიწყებდა."[3]

ფეოდალურ ეპოქაში ებრაელები ზემოთ განხილული ფაქტებიდან გამომდინარე გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებენ აღებ-მიცემობით საქმიანობაში. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ მხრივ გამონაკლისი არც საკუთრივ „ვანი" ყოფილა კავკასიის მთავარმართებლის გრიგორი გოლიცინის სახელზე გაგზავნილი ვანის თემის დეპუტატთა ერთი ჯგუფის საჩივრით დასტურდება, რომ აქ ბაზარი „უხსოვარი დროიდან" ფუნქციონირებდა. მას ეკონომიკური დატვირთვა არც XIX საუკუნისათვის დაუკარგავს, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ, როდესაც 1896 წელს ბაზარი[4] დაიწვა, დაიწყო ბრძოლა სავაჭრო-საღებ-მიცემო სფეროს დაუფლებისათვის, ერთი მხრივ, თავადთა და, მეორეს მხრივ „ვანის" სოფლის საზოგადოების დეპუტატთა სახით.[5] ეს ბრძოლა კანონზომიერი და ნიშანდობლივია ფორმაციათა ცვლილების გარდამავალი პერიოდისათვის, რასაც ისტორიული კანონზომიერება განაპირობებს. (ხაზი ჩემია – შალვა შარაშენიძე.)

ებრაელთა სავაჭრო საქმეში ჩართულობის შესახებ მნიშვნელოვან ობიექტურ წარმოდგენას გვიქმნის 1924 წელს ვანის ებრაელთა საზოგადოების რელიგიური კულტის დაარსების მსურველთა სია, რომელშიც 206 ადამიანიდან 89 ფეხზე ვაჭრად,[6] ხოლო 12 ვაჭრად მოიხსენიება. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზედ, რომ „ვანში" არსებულ ებრაელთა კომპაქტურ დასახლებაში ისინი მნიშვნელოვან სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ, რაშიც მათ ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუქციიდან (მიდგომიდან) გამომდინარე ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ზღუდავდა.

ვაჭრობის მკვეთრ განვითარებას ფეოდალურ ეპოქაში ხელს უშლიდა ცალკეულ ფეოდალ-

---

[1] ე. მამისთვალიშვილი - ქართველ ებრაელთა ისტორია. გვ.16-22. 1995 წ.

[2] ქართული პროზა – წიგნი I. 1981 წ. გვ 209.

[3] ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველი ებრაელები საქართველოში. გვ 35-26.

[4] იგი ცნობილია „ურიების უბანში" არსებული ბაზრის სახელწოდებით.

[5] ომარ კაპანაძე – ვანი-ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან. გვ 138.

[6] აქ იგულისხმება დატარებითი ვაჭრობა, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობდა რაიონის სოფლებში.

თა ვიწრო, კონკრეტულ მიზნებზედ აგებული კომერციული საქმიანობა, რომელსაც შედარებით თავისუფალი ასპარეზი მისცა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა.

ისტორიულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა ობიექტურად განვიხილოთ ვანის თემში არსებულ ებრაელთა სალოცავის დაარსების ისტორია, რაც ნარმოდგენას გვიქმნის „ვანში" მცხოვრებ ებრაელთა ცხოვრებაზე.

1923 წლის 2 დეკემბერს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მმართველობის განყოფილება წერილს უგზავნის ვანის რაიონულ აღმასკომს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ებრაელთა სალოცავის დაარსების მიზნით საჭიროა შემდეგი სახის დოკუმენტაციის წარმოდგენა: ვანის ებრაელების რწმუნებულების განცხადება,[1] საზოგადოების დამფუძნებელი კრების ოქმი, საზოგადოების წესდება და დამფუძნებელთა სია.[2] აქედან თვალნათლივ ჩანს იმ დოკუმენტაციის ნუსხა, რომლებიც სჭირდებოდა ებრაელთა რელიგიური ორგანიზაციის დაარსებას, მაგრამ საქმის მსვლელობა უმნიშვნელოდ, მცირე ხნით შეაფერხა ამ პერიოდის თანხვდენილად სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ გამოცემულმა დეკრეტმა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესდებამ, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა 1923 წლის გაზეთ „კომუნისტში."[3] აღნიშნულ ცნობას ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს უგზავნის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატი,[4] კერძოდ, შსს კომისრის მოადგილე ტალახაძე (საინტერესოა ისიც, რომ, როგორც ცენტრალური, ასევე სამაზრო და რაიონული აღმასკომის დოკუმენტაცია საოცრად პუნქტუალური და მოწესრიგებულია, რაც ქმნის საკვლევი თემის ობიექტურად განხილვის შესაძლებლობას).

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ვანის ებრაელთა რელიგიური ორგანიზაციის რწმუნებულები ყოფილან: მორდეხ შალომის-ძე ჩიკვაშვილი, ელო იაკობის ძე პაპიაშვილი და არონ დანიელის ძე პაპიაშვილი, მათ მიერ ქუთაისის მაზრის აღმასკომისადმი წარდგენილ პატაკში[5] დაცულია ებრაელთა რელიგიური ორგანიზაციის დაარსებისათვის საჭირო საბუთები: 1. სოფელ ვანის ებრაელების საზოგადო კრების ოქმი; 2. რელიგიური კულტის წესდება; 3. მსახურთა სია; 4. იმ პირთა სია, რომლებმაც დააარსეს ვანის ებრაელთა რელიგიური კულტი; 5. იმავე საზოგადოების პირადი ხელწერილი.

საჭიროდ მივიჩნევთ „ვანელ ებრაელთა" საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით განვიხილოთ ებრაელთა რელიგიური საზოგადოების ტიპური წესდება და საკუთრივ, ვანის ებრაელთა კულტის საბუთებში დაცული სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე მონაცემები.

წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანი იყო ებრაელთა სჯულის თანახმად თავიანთი სარწმუნოებრივი მოთხოვნებისა და გრძნობების დაკმაყოფილება. ამ მიზნით იგი ჩაატარებდა ლოცვებს, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღმზრდელობითი ხასიათის ქადაგებებს. სალოცავში, აგრეთვე სათანადო მოსამსახურე პირთა საშუალებით თავის წევრებს უსრულებდა სარწმუნოებრივ მოთხოვნებსა და ადათ-წესებს, როგორიცაა: წინადაცვეთა, ქორწინებისა და განქორწინების აქტის შესრულება ებრაული წესით, ამავე წესით დაკლული ხორცის მიწოდება საზოგადოებისათვის, „მაცის" დამზადება, დამმარხველი ძმობის მოწყობა და სხვა.

რელიგიური საზოგადოება თავისი პრეზიდიუმის შემადგენლობიდან აგზავნიდა წარმომადგენელს საქართველოს ებრაელთა საერთო კრებაზე.

წესდებას ჰქონდა პოლიტიკური შინაარსის მქონე ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოება პოლიტიკურ სფეროში არ ერევა, არ იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში და ემორჩილება არსებულ კანონებსა და ხელისუფლებას. საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა 14 წლის, ორივე სქესის მქონე ყველა ებრაელი.

რელიგიური საზოგადოების ადმინისტრაცია ირჩეოდა წევრთა ხმების უმრავლესობით ღია

---

[1] აქ საუბარია ვანის ებრაელთა საზოგადოების ხელმძღვანელ სამეულზე ე.წ. რწმუნებულებზე.

[2] ქუთაისის სამაზ. აღმასრ. კომ. საქმე, ფონდი 296. აღნ.1

[3] გაზეთი „კომუნისტი" №294-295. 1923 წ.

[4] 1924 წლის 6 თებერვალი.

[5] საქართველოს შ.ს. კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად პატაკი შედგენილია 1923 წლის 5 დეკემბერს

კენჭისყრით, არანაკლებ ხუთ და არა უმეტეს შვიდკაციანი პრეზიდიუმით ორი წლის ვადიდან: თავმჯდომარე, მოადგილე, მისი ამხანაგი მდივანი, მოლარე და ერთი წევრი. პრეზიდიუმი ზრუნავდა შინაურ საქმეებზედ, განაგებდა ადგილობრივი მთავრობის მიერ ხელშეკრულებით გადმოცემულ ქონებას. დებდა კერძო ხასიათის ხელშეკრულებებს კულტის საგნების წარმოებასთან დაკავშირებით, ზრუნავდა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნიშნავდა საზოგადოებრივ და რელიგიურ შრომასთან დაკავშირებულ პირებს, განსაზღვრავდა მათ სარგოებს. ფინანსური მხარე განისაზღვრებოდა საზოგადოების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.

საზოგადოებას გააჩნდა შემდეგი სახის მოსამსახურეები: რაბინი მლოცველი, ხახამი – პირუტყვის დამკვლელი, მქადაგებელი, ქონების შემნახველი, მეეზოვე, დარაჯი და სხვა. პრეზიდიუმს ჰქონდა შესაბამისი ბეჭედი.

საზოგადოების ლიკვიდაცია ხდებოდა განსაკუთრებულად არჩეული საალიკვიდაციო კომისიის გადაწყვეტილებით. აქედან გამომდინარე ვანში, ებრაელთა რელიგიური საზოგადოება მნიშვნელოვნად მონესრიგებულ რელიგიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც საფუძვლიან მიზეზ-შედეგობრივ კავშირ-ურთიერთობებს ქმნიდა ებრაელთა და ქართველთა ჰარმონიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების პროცესში. (ხაზი ჩემი შალვა შარაშენიძე).

1923 წლის 26 ნოემბერს მთავრობის ნებართვით შეკრებილმა ებრაელებმა კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ისაკის ძე ჩიკვაშვილი, მდივნად იუდა შალომის ძე ჩიკვაშვილი, ასევე სალოცავის „ყოველი საჭიროების" მომწესრიგებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ელიკო იაკობის ძე პაპიაშვილი, მორდეხა შალომის ძე ჩიკვაშვილი და არონ დანიელის ძე პაპიაშვილი, რომელთაც ევალებოდათ ...„ყოველი საჭიროებისათვის" ყველგან და ყოველთვის საშუალება აღმოუჩინონ სალოცავს და მთელი ებრაელობის მოთხოვნილებებს. ყველა ეს სწორია და შესრულდა ჩემი თავმჯდომარეობით" – აღნიშნავს ხსენებულ ოქმში ილია ჩიკვაშვილი, აქვე ხელს აწერს მაზრის კომისარი თეთრუაშვილი.

საბოლოოდ 1924 წლის 27 თებერვალს ქუთაისის აღმასკომის მმართველობის განყოფილებამ 1923 წლის 5 დეკემბრის, ვანის ებრაელების რელიგიური საზოგადოების განცხადების განხილვის საფუძველზე, რაიმე დამაბრკოლებელ მიზეზთა არარსებობის გამო, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე დაამტკიცა ვანის ებრაელების რელიგიური საზოგადოება. მათ გადაეცათ სალოცავი საეკლესიო ნივთები ხელშეკრულებით. დადგენილებას ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მაქავარიანი.[1]

„ვანის" ებრაელების 1924 წლის სალოცავი სია შემდეგი სახისაა: თეთროაშვილი ისხაკ მორდეხის ძე – ხახამ მლოცველი, ჩიკვაშვილი მენაშე იოსების ძე – სალოცავის დარაჯი, ხუბელაშვილი შიმეონ აბეშას ძე – საქონლის დამკვლელი.

ვანის ებრაელების სალოცავის რელიგიური კულტის რწმუნებულთაგან შესაბამის სიაში სამივე რწმუნებული ელიკო პაპიაშვილი, მორდეხ ჩიკვაშვილი და არონ პაპიაშვილი სოციალური მდგომარეობით ვაჭრად მოიხსენიება, რაც მნიშვნელოვნად საინტერესო ფაქტია, რადგან ებრაელთა რელიგიური მრწამსი არ ზღუდავს კულტმსახურის აღებ-მიცემობის ინსტიტუტიდან გამომდინარე საქმიანობას, რაც ებრაელთა სპეციფიკურ სავაჭრო საქმის კლასიკურ სტილთან მიახლოებული უნარ-ჩვევის უიშვიათეს ფენომენს წარმოადგენს.

აღნიშნული რელიგიური საზოგადოების საარქივო მასალა, კერძოდ რელიგიური კულტის დაარსების მსურველთა სია შეიცავს ებრაელთა სოციალ-ეკონომიკური ხასიათის მონაცემებსაც, რომელშიც 206 კაციანი სიიდან 122 ადამიანი უცოდინრად მოიხსენიება. აქ გასათვალისწინებელია ებრაელთა რელიგიური მიდგომა სწავლა-აღზრდის საკითხთან დაკავშირებით. გვიან ფეოდალურ ეპოქაში და XX საუკუნის საქართველოში განათლებას ძირითადად, მართლმადიდებლური საეკლესიო სასწავლებლები ანხორციელებდნენ. ცხადია, ებრაელ ბავშვებს რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე მართლმადიდებლურ სასწავლებელში მშობლები

[1] ფონდი 296. გვ68.

არ შეიყვანდნენ, ისინი განათლებას სინაგოგაში არსებულ სკოლებში იღებდნენ. (საკუთრივ ვანის მაგალითზე სინაგოგის წინ აშენებული იყო ერთ სართულიანი, ოთხ ოთახიანი სასკოლო შენობა, სადაც ებრაელ ბავშვებს ასწავლიდნენ ივრითის ენას, თორას კითხვას, ებრაულ ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს. მოსწავლეს წვრთნიდა რაბინი ან ხახამი. რაბინი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გახლდათ აბეშა ჯანაშვილი, ხახმები – შამუელ ჩლაქიშვილი, შიმყონ თეთრუაშვილი.)

განათლების საკითხის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა შემდგომ საბჭოთა ეპოქის პერიოდში, როდესაც შესაბამისი კანონმდებლობით მოხდა ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფა, რომელშიც ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს მიეცა სწავლა-განათლების შესაძლებლობა.

ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში დაბრუნებამდე ვანის რაიონში (ძირითადად ქალაქ ვანში) ცხოვრობდა 290-მდე ებრაელი. მათი გვარეულობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: პაპიაშვილები, თეთროქალაშვილები, თეთრუაშვილები, ხუნდიაშვილები, ჩიკვაშვილები, მოშიაშვილები, ჩლაქიშვილები, ჯანაშვილები, ბათაშვილები, მირილაშვილები, ცოციაშვილები, ბოთერაშვილები, სეფიაშვილები, დავარაშვილები, რუსი ებრაელები – დუბროვები და სხვა.[1] ისინი ვანში აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათ ძირითად საქმიანობას ეკონომიკური თვალსაზრისით ვაჭრობა, კერძოდ, მეწვრილმანეობა წარმოადგენდა, რასაც შესაბამისი საარქივო დოკუმენტში დაცული ტერმინი „ფეხზედ ვაჭარი" ადასტურებს. სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოჰქონდათ და სოფლებში დაატარებდნენ გასაყიდად ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საოჯახო ნივთებს, სამეურნეო ინვენტარს, ნავთის ჩათვლით, იყენებდნენ ბარტერის ფორმას, რაც სოფლების მყიდველთა მდგომარეობას მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა. თითოეულს განსაზღვრული ჰქონდათ თავიანთი სფერო და მოქმედების ადგილი, რომელიც ასევე გამორიცხავდა კონკურენციასაც და დუბლირებასაც.

რიგი მათგანი ვაჭრობდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ცნობილია, რომ ვაჭარი მიხაკო ხუნდიაშვილი და მისი ვაჟი მიხეილი პურის ფქვილით და გარჩეული თხილით ვაჭრობდნენ. თხილი გაჰქონდათ ოდესაში, იქედან შემოტანილი პურის ფქვილით ამარაგებდნენ ვანელ, პურის მცხობელებს – გიგო, გედეონ კალანდაძეებს, კალისტრატე გოგაძეს, კოლია მოსავლიძეს და სხვებს. ოდესაში გარჩეული თხილი გაჰქონდა ისხაკ ჯანაშვილსაც, შემოჰქონდა ქსოვილი. ასე, რომ ებრაელები წვრილ ვაჭრობასთან ერთად მნიშვნელოვან სავაჭრო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს ზემოთ ხსენებულ დოკუმენტში 12 კაცის „ვაჭრად" მოხსენიება.

წვრილმან ვაჭრობას ებრაელი ქალბატონებიც და ბავშვებიც ეწეოდნენ. ვანელ ებრაელთა ერთი ნაწილი სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული, ფლობდნენ სათანადო პატენტს და მუშაობდნენ თერძებად (მკერავებად), ფოტოგრაფებად, პარიკმახერებად.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვანის რაიონის შექმნიდან, ვანელ ებრაელთა რაიონულ აქტივში ჩართულობასა და საქმიანობაზე მიუთითებს შესაბამისი საარქივო დოკუმენტური მასალა, სახელდობრ, ვანის რაიონული აღმასკომის მიერ 1935 წლის 8 ივნისს შედგენილ №16 ოქმში, ვანის ებრაელთა უბანში კონტრაგენტები არიან სიმონ პაპიაშვილი და არონ თეთრუაშვილი, დამხმარე არტელში ეფრემ ჩიკვაშვილი, აბრამ პაპიაშვილი, ცილი დუბროვა და შამათა მიხელაშვილი.

1935 წლის ოქტომბერში, ვანის თემის საბჭოს პლენუმის წევრად რამდენჯერმე მოიხსენიება აბრამ ჩიკვაშვილი.

1943 წლის 5 თებერვალს ქვედა ვანის საბჭოს აღმასკომის სესიის დეპუტატებსა და აქტივის კრების №1 ოქმში „ბაზრის უბანში" სურსათ-სანოვაგისა და ფულადი სახსრების შემგროვებელთა ამხანაგობის სიის ხელმძღვანელ პირად მოიხსენიება თეთროქალაშვილი აბრამი და ეს საქმიანობა ემთხვევა ურთულეს, სამამულო ომის პერიოდს, რომელიც ამ პიროვნებისადმი მაღალ ნდობაზეც მიუთითებს.

[1] შიო გიორგაძე ვანი და ვანელები.

1944 წლის 30 ივლისს ვანის აღმასკომის სესიას თავმჯდომარეობდა აბრამ თეთროქალაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს წარმოადგენდა რაიონული საბჭოს დეპუტატს.

1949 წელს ცენტრის უბანში სახელმწიფო სესხის გავრცელების რწმუნებულები იყვნენ იოსებ თეთროქალაშვილი, შალიკო ხუნდიაშვილი, ბენიამინ სეფიაშვილი, იოსებ შოშიაშვილი და სიმონ ჩიკვაშვილი.

1951 წელს სახელმწიფო სესხის გავრცელების რწმუნებულები არიან პაპიაშვილი რუბენ, ხუნდიაშვილი შალიკო, ჩიკვაშვილი დანიელი, მოშიაშვილი იოსებ და სეფიაშვილი ბესარიონ. 1952 წელს კი თეთროქალაშვილი ელიავო, დუბროვა ნინა, ჩიკვაშვილი შალვა, პაპიაშვილი რუბენ, თეთროქალაშვილი არონ, ხუნდიაშვილი შალვა, შოშიაშვილი იოსებ, ჩიკვაშვილი ხაიმო.

ზემოთ განხილული საარქივო მასალა ნათელ წარმოდგენას ქმნის ებრაელთა სახელმწიფო სტრუქტურებში საქმიანობით დატვირთვაზე და აქ მითითებული არაერთი პიროვნება ასპარეზზე ჩანს XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდეც, ისინი ჩართულნი იყვნენ რაიონის აღმშენებლობით პროცესებში.

ებრაელთა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე მიუთითებს 1938 წლის 23 ივლისს ვანში ქალთა ახალგაზრდობის პირველ რაიონულ კონფერენციაში ებრაელი ქალიშვილის მარო ჩიკვაშვილის მონაწილეობაც.[1] ამ ფაქტებიდან ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს „ვანელ" ებრაელთა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

მაშინდელი ხელისუფლების მიერ ებრაელთა მიმართ სპეციფიკურ მიდგომებზე მეტყველებს ებრაელთა ცალკე კოლმეურნეობის „პირველი ნაბიჯის" ჩამოყალიბება 1930 წელს, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ენერგიული და სამეურნეო საქმით დაინტერესებული იოსებ ჩიკვაშვილი. კოლმეურნეობაში მოჰყავდათ ტექნიკური კულტურებიც – რამი, პერილა. გარდა მიწათმოქმედებისა, ებრაელი კოლმეურნეები სამეწარმეო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ჰქონდათ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის სამკერვალოები, საპარიკმახეროები, ფოტოატელიები, საოჯახო ინვენტარის შესაკეთებელი საამქროები, საიდანაც დამატებითი სახსრები შედიოდა კოლმეურნეობაში.

ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად უმჯობესდება ვანელ ებრაელთა ეკონომიკურ-სოციალური პირობები, რაც აისახა კიდევაც ბინათმშენებლობის საკითხთა მოწესრიგებით. ამ დროისათვის ისინი გვერდით დაუდგნენ რაიონულ ხელისუფლებას და ვიდრე სათანადო პირობები შეექმნებოდათ ექვსმა პიროვნებამ – ხაიმო ჩიკვაშვილმა, მორდეხ პაპიაშვილმა, აბრამ თეთროქალაშვილმა, ბესიკ, ეფრემ და ბუხუ ჩიკვაშვილებმა საკუთარ საცხოვრისში, სახელმწიფოსგან ქირის გადახდით, დროებით განათავსეს რაიაღმასკომი, საფინანსო განყოფილება, შინავაჭრობა, რაიაბრეშუმი, ცხოველთა დამზადება, საგზაო სამშენებლო უბანი, რაიმილიციის განყოფილება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვანის რაიონის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ვანელ ებრაელთა აქტიური მონაწილეობა საგრძნობლადაა გამოხატული ვანში მათი დასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებამდე. რამდენიმე მათგანი სამამულო ომის მონაწილეა, დასაფასებელია ებრაელ ინტელიგენტთა როლი და განსაკუთრებულად მათი მოღვაწეობა ვანის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისა და განვითარების საქმეში. მოსახლეობა იცნობდა და პატივს სცემდა მაღალპროფესიონალ ექიმებს, უსათნოეს ქალბატონებს, დებს – ნინა და როზა დუბროვებს, შალვა, იოსებ (იოსკა) მაგული თეთროქალაშვილებს; ლიანა, შამუელ პაპიაშვილებს. ვანის სანეპიდსადგურის ხელმძღვანელს ბუთხუზ ჩიკვაშვილს (ისრაელში წასვლის შემდეგ „ბუთხუზ ვანელს"), ეს ადამიანები სუფთა გულის პატრიოტები იყვნენ ვანისა და საქართველოს მიმართ, ვანის მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდნენ – გულო, მარო, მორდეხ ჩიკვაშვილები. მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი თანამდებობები ეჭირათ: შამუელ მიხელაშვილს (მუშაობდა საფინანსო განყოფილებ-

[1] კოლმეურნეობის მნათობი 1938 წ. №37. (274)

ის, შემდეგ ხანგრძლივად რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ), არონ ჩიკვაშვილი – ეს პიროვნება გახლდათ ფენომენალური ნიჭის პატრონი და აღიარებული ერუდიტი, მასზე არაერთი სტატია გამოაქვეყნა საზღვარგარეთულმა პრესამაც, საქმიანობდა მაშინდელ კომ-კავშირის რაიკომში, ვაჭრობის განყოფილების გამგედ, ვანის რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად, სხვადასხვა პოსტები ეჭირათ ბესიკ თეთროქალაშვილს, იოსებ ჩიკვაშვილს, შალვა ჩიკვაშვილს, გამოსაყოფია რუბენ პაპიაშვილი – ბრძენი ებრაელი კაცი, მრავალგამოცდილი და საქმიანი, მისი ხელმძღვანელობით ვანის ადგილობრივი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, ცეკავშირის ვანის სამკერვალო კომბინატი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ქვეყანაში წარმატებულ ორგანიზაციათა რიგებში იდგა, იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაიაღმასკომის საგეგმო განყოფილებას და ა. შ. ვანელმა ებრაელებმა მისცა ვანს ცნობილი კულტურის მუშაკები – მიხეილ (მიშა) თეთროქალაშვილი, ბუჭუნა (ანზორ) მოშიაშვილი, მარგალიტა ბათაშვილი, დული, ჩახიე მოშიაშვილები. ეს ადამიანები იყვნენ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „საჩინოს" წევრები, მიხეილ თეთროქალაშვილი იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, (ხოლო ისრაელში აშქელონის მუსკომედიის თეტრის სამხატვრო ხელმძღვანელი). ანსამბლს წარმატებით აქვს მოვლილი არა მარტო საქართველოს რაიონები და ქალაქები, არამედ მაშინდელი კავშირის ბევრი ქალაქი და მათი საკონცერტო დარბაზები.

ვანში დაბადებულია, აქ დაამთავრა №1 საშუალო სკოლა შოთა ციციაშვილმა „შაბთაი ცური", შემდეგში ისრაელში ქალაქ აშქელონის მერი და ისრაელის ელჩი საქართველოში, დღეს კიდევ ქალაქ აშქელონის მერის მოადგილე. ცნობილია, რომ წარმოშობით არაერთი ვანელი ებრაელი საფუძვლიანადაა ჩართული ისრაელის აქტიურ ცხოვრებაში და ზრუნავს საქართველო-ისრაელის მეგობრობის განმტკიცებაზე.

უნდა ითქვას ერთ არცთუ უმნიშვნელო სენსიტიურ საკითხზე: ეპოქამ და ცხოვრების ცვლილებებმა თავისი გაიტანა, ვანის №1 – №2 საჯარო სკოლებში ქართველთა და ებრაელთა ერთ მერხზე ჯდომამ გაალრმავა მათ შორის მეგობრობის პათოსი და გადაიტანა ოჯახურ და ოჯახს გარეშე ურთიერთობებზე. გასცდა ერთეულ კარჩაკეტილობათა ფარგლებს და დამშვენდა ოჯახურ წვეულებებზე, რიტუალებზე ურთიერთმიწვევით, ამიტომაც იყო, რომ როგორც ვანელმა ებრაელებმა, ასევე ქართველებმა გულით განიცადეს განშორების მომენტები, რომელიც ვანელ ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას ახლდა.

ებრაელთა მიგრაციის პროცესი დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან. ამ პროცესში წამყვანი როლი ომარ კაპანაძის სავსებით სამართლიანი შეხედულებით, შეასრულა ვანში არსებულმა სინაგოგამ, როგორც „აღქმულ ქვეყანაში" ებრაელთა დაბრუნების მთავარმა იდეოლოგიურმა ცენტრმა.

1991 წელს საქართველოში განვითარებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციით შექმნილი მდგომარეობის შედეგად ებრაელობამ საბოლოოდ დატოვა ვანი. სამშობლოდან სამშობლოში დაბრუნებული ებრაელები მარადიულად ფიქრობენ საქართველოზე.

„ვანელთა" და ებრაელთა მეგობრული ურთიერთობების უკვდავსაყოფად 2002 წლის 17 ნოენბერს ვანის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით საპატიო მოქალაქეებად არჩეული იქნენ: შაფთაი ცური (შოთა ციციაშვილი) ქალაქ აშკელონის მერი; რუბენ პაპიაშვილი, არონ ჩიკვაშვილი, მიხეილ თეთროქალაშვილი ქალაქ აშკელონის მუსიკალური კომედიის ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

2014 წლის მაისში ანსამბლ „საჩინოს" 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მურად ახვლედიანის მიერ მოწვეულ იქნა ებრაელთა დელეგაცია. ამავე წლის ოქტომბრის თვეში ისრაელში მიწვეულ ქუთაისის მერიის დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდნენ ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ზაზა ხურციძე. დელეგაციას ოფიციალური შეხვედრები ჰქონდათ ისრაელის მთავრობასა და კნესეთის წარმომადგენლობასთან, რომელსაც თაოსნობდა ვანში გაზრდილი, ამჟამად ისრაელში მცხოვრები შაბთაი ცური, რომელიც 4 ნოემბერს თავისი დელეგაციით ეწვია ვანს, დელეგაციაში იყვნენ ისრაელის

ელჩი საქართველოში იუმალ ფუქსი, ქალაქ აშკელონის მერი იტამან შიმონი, ებრაელთა პატივისცემის ნიშნად სანაპიროზე არსებულ ქუჩას შაფთაი ცურის სახელი ეწოდა.

„ვანელ ებრაელთა" კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით, ბიძინა ივანიშვილის ფონდის ძალისხმევით, თავისი ინფრასტრუქტურით კაპიტალურად შეკეთდა ვანში არსებული ებრაელთა სალოცავი.

მარადიულია ქართველთა და „ქართველ ებრაელთა" მრავალსაუკუნოვანი ისტორიულად ნაწრთობი მეგობრობა. ვანელმა ებრაელებმა ამ პროცესში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართლის ცხოვრება" ტ. I. 1955 წ.
2. „ქართლის ცხოვრება" ტ. II
3. „ქართლის ცხოვრება" ტ.IV 1973 წ.
4. ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის აღწერა.
5. ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივის მასალები.
6. ფონდი 296, საქმე №196. ფონდი 938 საქმე 60, ფონდი 938 საქმე 78.
7. ფონდი938 საქმე 99, ფონდი 938 საქმე 100, ფონდი 938 საქმე 104.
8. ფონდი938 საქმე 119, ფონდი 938 საქმე 9, ფონდი938 საქმე 10.
9. ფონდი 296 საქმე 196,ფონდი296 საქმე 1401, ფონდი 296 საქმე 1404.
10. ფონდი 296 საქმე 251.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I-III.
12. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ებრაული თემა ქართულ მწერლობაში. ქუთაისი 2008 წ.
13. ომარ კაპანაძე – ვანი-ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.
14. ივანე პურადაშვილი – მოგონებები. გამომცემელი გოდერძი ვაჭრიძე. ქუთაისი 2009 წ.
15. შიო გიორგაძე – ვანი და ვანელები.
16. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ I-II-III.
17. ზაქარია ჭიჭინაძე – ქართველი ებრაელები საქართველოში. 1990 წ.
18. 1932-1950 წლებში გამომავალი ვანის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის მნათობი," „ალია" და ა.შ.

ასოცირებული პროფესორები: **რამაზ კილაძე, მზია კვირკველია, ეთერ ბენიძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლიმატის გლობალური ცვლილებების ნიშნები იმერეთის რეგიონში

რეზიუმე: პლანეტაზე მიმდინარე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ, რა თქმა უნდა, გამოვლინება ჰპოვა იმერეთის რეგიონშიც. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ, გაძლიერდა გვალვები და გრუნტის წყლები დაშორდა ნიადაგის ზედაპირს. ადგილზე ამ მოვლენას ხელი შეუწყო ქარსაფარი ზოლების განადგურებამ, ქალაქებში გამწვანებული ფართობების შემცირებამ, სოფლებში მრავალწლიანი ნარგაობების და ერთწლიანი კულტურების ფართობების დაკავებამ სასათბურე მეურნეობებით. გამოსავალი არის მწვანე მშენებლობის არსებული ნორმატივებით გამწვანების სამუშაოების ჩატარება, რაშიც იგულისხმება რაც შეიძლება მეტი მრავალწლიანი ნარგავების დარგვა და ქარსაფარი ზოლების გაშენება.

ბოლო რამდენიმე ათეული წელია საგანგაშო მასალები ქვეყნდება პლანეტაზე კლიმატის გლობალური ცვლილებების შესახებ. ჰიდრომეტეოროლოგები მიიჩნევენ, რომ კლიმატური ცვლილებებისა და გლობალური დათბობის მიზეზი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გოლფსტრიმის თბილი დინების 8 მილით გადაადგილება გახდა. ნასას ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ანომალია უშუალოდ უკავშირდება ტემპერატურის გლობალურ მომატებას, რაც გამოწვეულია სითბური აირების (ნახშირორჟანგი, სუბოქსიდები, მეთანი, ქლორი, ფრეონები, ფტორი, კარბონები) ატმოსფეროში დაგროვებით. შედეგად მოსალოდნელია ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1-6,40 C-ით, რაც წინასწარი გათვლებით 1000 წელს გაგრძელდება, შემდგომ წონასწორობა დამყარდება, საშუალო ტემპერატურებიც დასტაბილურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ოცი თვის განმავლობაში დედამიწაზე ტემპერატურა უფრო მაღალი იყო, ვიდრე გასული 130 წლის განმავლობაში.

გლობალური დათბობა – ეს დედამიწის მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის პროცესია, რის შედეგადაც ხდება მყინვარების დადნობა, ზღვის დონის აწევა, მტკნარი წყლის ჩადინება და ოკეანის წყლის დონის მომატება, რის შედეგადაც წყლის დონე 9-10 სმ-ით მოიმატებს. ყოველივე ამის შედეგად შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება, რაც საბოლოო ჯამში იმოქმედებს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობაზე, საფრთხის წინაშე დადგება ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი კულტურული სახეობები, გაიზრდება მავნებელ დაავადებათა რაოდენობა. გლობალური დათბობა, რომლის წინაშეც რეალურად დგას თანამედროვე მსოფლიო, გამოიწვევს ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური სისტემის შეცვლას, რასაც მოჰყვება ბიოსამყაროს ტრანსფორმაცია. ეკოლოგების წინაშე დგება სერიოზული პრობლემა, რაც ბიომრავალფეროვნების შემცირებას ეხება. ვარაუდობენ, რომ კლიმატური გადახრები ახლო მომავალში 1 კმ/წმ-ის სიჩქარით გავრცელდება. ასეთ შემთხვევაში მრავალი სახეობა, განსაკუთრებით მცენარეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამჟამად მსოფლიოში გლობალური დათბობის (გვალვა, წყალდიდობა და ა.შ) გამო დაახლოებით 300 000 ადამიანი იღუპება. საერთაშორისო ორგანიზაცია „GLOBAL humanitarian forum"-ის გათვლებით 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 000- მდე გაიზრდება.

რამდენადაც პროცესი მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბით რა თქმა უნდა, მისი გამოვლინება ხდება საქართველოს რეგიონებშიც, მათ შორის იმერეთშიც. ბოლო პერიოდის დაკვირვებით, განსაკუთრებით ეს ნიშნები ვლინდება მაღალ ტემპერატურებში, ძლიერ გვალვებსა და გრუნტის წყლების ნიადაგის ზედაპირიდან დაშორებაში. თითოეული მათგანი კი უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს მცენარეულ საფარზე, იქნება ისინი ველური, თუ კულტურული სამყაროდან. ამ მოვლენებს იმერეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი ქუთაისის მიმდებარე სოფლებში აძლიერებს აქ არსებულ კლიმატურ პირობებთან ერთად, ქარსაფარი ზოლების სრული განადგურება, სასათბურე მეურნეობებით იმერეთის მოსახლეობის დაინტერესება და არსებუ-

ლი ბუნებრივი სარწყავი წყლების (ჭები, არხები) დაუნდობელი ექსპლუატაცია. და ვფიქრობთ, ამ მოვლენებმა და პროცესებმა მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა იმერეთის მიკროკლიმატზე.ფაქტიურად, გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებულმა განუკითხაობამ, სახელმწიფოებრიობის მოშლამ, შიდა ომებმა და მოსახლეობის გაჭირვებამ გამოიწვია არსებული მწვანე ნარგაობის უსისტემო ჭრები და საწვავად გამოყენება, სოლო სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ჩინოვნიკების მიერ ტყეებში არსებული უძვირფასესი ჯიშების მერქნის საზღვარგარეთ რეალიზაცია.

რაც შეეხება ქალაქ ქუთაისის მიმდებარე სოფლის მოსახლეობის სასათბურე მეურნეობით დაინტერესებამ, ასევე მთლიანად შეცვალა იმერეთის ლანდშაფტი, მთელი მცენარეული საფარი და საკარმიდამო ნაკვეთებში აპრობირებული კულტურები. კერძოდ, თუ გასული საუკუნის 70-80-იან წლებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთები, როგორც წესი, დაკავებული იყო მრავალწლიანი ნარგავებით – ვენახით, ხეხილოვანი კულტურებით, ტყეებით და ერთწლიანი მცენარეებით (სიმინდი, სოია, კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, საზამთრო, ნესვი, გოგრა და ა.შ) დღეს ეს ფართობები თითქმის აუთვისებელია, ან ძირითადად სარეველებით და სათბურებითაა დაკავებული. იგივე კულტურები იყო დანერგილი მოსახლეობაშიც, თუმცა ხეხილოვანი კულტურები უფრო მრავალწლიანი და მრავალფეროვანი ნარგავების ასორტიმენტით იყო წარმოდგენილი. დასახელებული მცენარეები ქმნიდა შედარებით უკეთეს მიკროკლიმატს თითოეულ ჰა ფართობზე, თუ თითოეული სოფლის მასშტაბით. ამას ემატებოდა ქარსაფარი ზოლები, სოფლის ირღობეებში ბროწეულის თუ ტრიფოლიატის ცოცხალი ღობეები.

სწორედ აღნიშნული ლანდშაფტი იყო იმერეთის რეგიონისათვის დამახასიათებელი. დღეს კი ფაქტიურად ყველა მოსახლეს თავის საკარმიდამო ნაკვეთის ტერიტორიაზე აქვს 3-5-8 სათბური ზომით 12x50 მეტრზე, რომელშიც აკუმულირდება დიდი რაოდენობით სითბო და ზაფხულის ცხელ დღეებში შეუძლებელია იქ ყოფნა, სუნთქვა და შრომა, რომ არა გვერდითი სავენტილაციო ფანჯრები. ზემოთ დასახელებული ცოცხალი ღობეები შეცვლილია რკინის თუ ბეტონის ღობეებით. ფაქტიურად, მრავალწლოვანი მწვანე ნარგაობა, რომელსაც შეუძლია მიკროკლიმატის შექმნა, არ არსებობს ან მინიმუმამდეა შემცირებული.

რაც შეეხება სარწყავ სისტემებს, იგი დაკავშირებულია იმერეთში არსებულ მდინარეებთან ძირითადად მდინარე რიონთან. უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავი მელიორაციული არხები 3-4 ათეული წლის წინ ყოველთვის წესრიგში და მოქმედებაში იყო, მოსახლეობაც გარკვეული რიგითობით სარგებლობდა. ამას ემატებოდა საკარმიდამო ნაკვეთზე არსებული ჭები. ჭებში წყლის დონე დამოკიდებული იყო მიწისქვეშეთში არსებულ ძირითად ქანებზე და წყალგაუმტარ ფენებზე. იგი მერყეობდა სამიდან (სოფელი ბაში) შვიდამდე (სოფელი ფარცხანაყანევი). გარკვეული წლების წინ, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა თავის საკარმიდამო ნაკვეთებს რწყავდა მდინარე რიონიდან სპეციალური არხებით, ასევე იყენებდა არტეზიული ჭების ძლიერ ტუმბოებს. თუმცა ჭებში წყლის დაწევის არაფერი ეტყობოდა, ბოლო წლებში კი წყლის დონე ჭებში დაწეულია ზემოთ დასახელებული სოფლების შესაბამისად 5 და 11,5 მეტრზე. ასევე აღსანიშნავია, რომ სოფელ ფარცხანაყანევში 20-25 წლის წინ საძოვრების მიმდებარე ტერიტორიებზე იქ, სადაც ამჟამად თბილისი-სამტრედიის ავტომაგისტრალი გადის, იყო ორი ტყე, ე.წ ლოლომაძეების და პეტრიაშვილების სახელწოდებით. დღეს მათგან ბუჩქიც არ არის დარჩენილი. ასევე, სოფელში იყო ორი დამეწყრილ-დაჭაობებული ადგილი, ლაქაშებით და ისლით დაფარული, ეგრეთწოდებული „წყალთაშუა“ და „ნაჯაო“, მათგან დღეს წყლის პატარა გუბურაც არ არის დარჩენილი. ეს ფაქტებიც ერთ-ერთი მაჩვენებელია კლიმატის ცვლილებებისა.

ყოველივე ამას ემატება უკანასკნელ პერიოდში დიდი რაოდენობით დაგებული ასფალტისა და ბეტონის გზებისაგან, ასევე მრავალსართულიანი საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებისაგან, საყოფაცხოვრებო გაზის მოხმარებისას თუ ავტომობილების საწვავის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო.

კლიმატის ცვლილებების ნიშნების განსაკუთრებული გამოვლინება ხდება ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, როცა გვალვები გაგრძელდა რამდენიმე თვის განმავლობაში და რეგიონში სადაც ხშირად ყურძნის და ერთწლიანი კულტურების (სიმინდი, სოია) მოსავლის აღება სექტემბერ-ოქტომბერში ხშირი წვიმების გამო ძლიერ ფერხდებოდა, დღეს უსაშველო გვალვების

გამო ასალებიც არაფერი დარჩა. ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ყურძნის მოსავალი იქნა მიღებული, ერთწლიანი კულტურების მოსავალი კი ძალზე მცირე იყო. კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგების ანალიზისას მხედველობაშია მისაღები (ან გასათვალისწინებელი), რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. სახნავი ერთ სულ მოსახლეზე 0,17 ჰა-ს შეადგენს, რაც მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი დღეისათვის მაინც კრიზისულ მდგომარეობაშია, ვერ გაუძლებს ეკოლოგიურ შემოტევებს და მასთან დაკავშირებული მოვლენები უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის განვითარების სრულყოფილი სტრატეგიული გეგმა. არ არის დადგენილი რა სახის პროდუქციის წარმოება იქნება ეკონომიკურად მომგებიანი და რომელი კულტურების დანერგვაა აუცილებელი და ა. შ. მხედველობაშია ასევე მისაღები ფაქტი, რომ იმ პერიოდში, როდესაც შედარებით კარგად იყო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურა, მოსავალი მაინც დამოკიდებული იყო ბუნებრივ ფაქტორებზე. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ეკოლოგიური სისტემების გარდაუვალი ცვლილებები ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ქვეყანას. სასოფლო-სამეურნეო წარმოება კავკასიის ქვეყნებში შეიძლება ძალზე დაბალ ზღვრამდე დავიდეს, რაც ეროვნული კატასტროფის ტოლფასი იქნება. ცხადია, ეკოლოგიური ცვლილებები მარტო კავკასიის ქვეყნებს არ დაემუქრება, ისინი გლობალური ხასიათის მატარებლები არიან, რაც კიდევ უარესია – შეზღუდავს პროდუქციის გარედან შემოტანის შესაძლებლობებსაც.

რით შეიძლება გლობალური დათბობის შეჩერება. არის მოსაზრება, რომ პირველი გზა არის ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება და მეორე, ტყეების და საერთოდ, მწვანე საფარის შექმნა. რა თქმა უნდა ამაში ლოგიკა არის. თუმცა ისმება კითხვა რა უფრო რაციონალურია გლობალური დათბობის შეჩერება თუ მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტირება.

ვითარებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სტატიას არა აქვს პრეტენზია ასე ცალკე რეგიონის მასშტაბით დასახოს გლობალური დათბობის შეჩერება და პრობლემის გადაწყვეტა. ავტორებისათვის ცნობილია კონცეფცია, რომ გლობალურ დათბობას გლობალური გამყინვარება მოჰყვება. მაგრამ გულზე ხელების დაკრეფაც არ შეიძლება და ვისაც რა შეგვიძლია, მცირეოდენი წვლილი მაინც უნდა შევიტანოთ ცოდნიდან და პროფესიიდან გამომდინარე პრობლემის გადასაწყვეტად. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ქოლგა ჩვენ ერამდე მეათე საუკუნეში გამოიგონეს ჩინელებმა, პირველ რიგში მზისაგან თავის დაცვის მიზნით იყო შექმნილი. აქაც დიდი გამოგონება საჭირო არ არის, ყველაზე გენიალური გამოგონება ყოველთვის მის სიმარტივეშია. თუ მრავალწლიანი ხეები დიდი რაოდენობით დაირგვება, ისინი დედამიწისათვის ქოლგის მოვალეობას შეასრულებენ. კერძოდ, თუ კი რეგიონში აღდგება ქარსაფარი ზოლები, დაემატება ახლები, მოხდება მაგისტრალური გზების გამწვანება საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით, ქალაქებისა და დასახლებულ პუნქტებში აღდგება საერთო და შეზღუდული სარგებლობის და სპეციალური დანიშნულების ობიექტების გამწვანება, ინდივიდუალური საკარმიდამო ნაკვეთები დამშვენდება მრავალწლიანი ნარგავებით, რეგიონის მოსახლეობა ცოტაოდენ შვებას ნამდვილად იგრძნობს.

Signs of global climate change in the region of Imereti

KILADZE R., KURDGELIA M., E. BENIDZE
Akaki Tsereteli State Universitu

Summary

Occurring on the planet, and global change manifests itself the region of Imereti, too. In partikular, in recent years, increased air temperature, increased drought and ground and ground water drawn away from the surface of the soil. On the site of to these phenomena contributed to the destruction of windbreakers in the cities of the reduction of green areas, in the villages – the area of perennial and annual crops have replaced the greenhouses. Out of this situation there are greening by existing regulations, this implies a planting of perennial of seedlings and windbreakers.

აკაკი თევზაძე
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

ვანის ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზია

საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილი ნაწარმოებებით ძალზედ მდიდარია ჩვენი ზეპირსიტყვიერება. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ის ფაქტიც, რომ VII-VIII-IX ტომები ქართული ხალხური შემოქმედების თორმეტტომეულისა მხოლოდ ამ სფეროს დაეთმო. აღნიშნული სფერო მეტად საინტერესო, მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

ჟურნალ „მატიანეს" პირველ ნომერში (2014 წ.) ზოგადი რაკურსით მიმოვიხილეთ ადგილობრივი საყოფაცხოვრებო პოეზიის უკეთესი ნიმუშები. ამჯერადაც ჩვენი კვლევის მიზანი თემის უფრო ვრცლად გაშუქება გახლავთ, ამ თემატიკურ რკალში მოქცეული ნაწარმოებების საფუძვლიანი გაანალიზება.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ ორი თუ სამი ათეული წლის წინათ, რაიონის თითქმის ყველა სოფელში გახსნილი იყო ხილის დამამზადებელი პუნქტები. ზოგერთი გაქსუებული, ქონების ხვეჭით გატაცებული, გულხარბი ხილის დამამზადებელი ნამეტან გაუმაძღრობას იჩენდა. ხალხის გამჭრიახ თვალს არც მათი საძრახი საქმიანობა დარჩენია შეუმჩნეველი. სწორედ ამ თემაზეა შექმნილი ავტორმთქმელ მინაგო ორმოცაძის (ონჯოხეთი) ნაწარმოები „დამამზადებლის ლექსი", რომელშიც ზედმიწევნით კარგადაა დახატული ასეთი თავგასული პუნქტის გამგის პორტრეტი:

ჩვენი სოფლის პუნქტის გამგე ტყემალს ყლაპავს კურკიანად,
ასი კილოც არ გამოჰყავს ჩემი ცხენი კურტნიანად.
დრო იცვალა, მაგრამ ნიშანს ველარ ვხედავ დარისაო...
ათი კილო „სიტკა" მიაქვს, ექვსჯერ მეტი ტარისაო.
მარიფათი არ აკლია, აღარ უნდა ბევრი ქება,
„კლიენტების" მოტყუება გვარიანად ეხერხება.
... და ტყემლები იკრიფება, ყველა მუშას ნახავ ხეზე –
რადგან დამამზადებელი ფულსაც გვიხდის ნაღდად ხელზე;
ყველა ხეხილს ეს სჯობია – დააყენა კაცი ფეხზე.

მშობლის უმადური მცონარა შვილისა და უსაქმურობით გაზულუქებული რძლის ოჯახური ყოფის ამბავს მშვენივრად აღგვიწერს ავტორმთქმელი კარლო მეფარიშვილი (ტობანიერი) მეტად საინტერესო საყოფაცხოვრებო რეკრეატიულ ლექსში: „ღმერთო, მტრისას გაამრავლე!"

რაგინდ გულით ვემსახურო – არ მიმადლის არვინ შინაც,
კაპიკ-კაპიკ დანაზოგით შვილს ვუყიდე ქალაქს ბინა.
შრომა არის წყალის ნაყვა, თუნდ დაუგო ფეხქვეშ ნოხი,
რძალი ამბობს: „დედამთილსო ზურგში უნდა „პოლის" ჯოხი.
ეზოს ბარვა, თოხნა, მარგვლა... ახალგაზრდას არ შვენია,
ხნეში შესულს ეხერხება, ის უხდება – რაც ჩვევია."
ბაღ-ვენახში ჩასასვლელი ვერ იქნა და ვერ ვასწავლე...
ამისთანა ზარმაცები, ღმერთო, მტრისას გაამრავლე!..

ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება მუდამ თან ახლავს ცხოვრების ურთულეს დიალექტიკურ პროცესს. ძველებს ხშირად არ მოსწონთ ახლების საქმიანობა, ქცევისა და მიმართვის, აზროვნების, ძველგაზრდებთან დამოკიდებულების ფორმები, მათი რადიკალურად განსხვავებული შეხედულებანი და სხვა... მაგრამ, ეს გახლავთ სწორედ პროგრესის, განახლების მასტიმულირებელი ძალა.

მამათა და შვილთა შორის ბრძოლა სხვადასხვა ნიუანსებით დღესაც მიმდინარეობს. შვილები ცდილობენ არსებობის, თავის გატანის უფრო სარფიანი, იოლი გზები და საშუალებები გამოძებნონ, რაღა მაინცადამაინც მიწაში უნდა „ჩაძვრნენ," თუმცა ფაქტია — მიზანმიმართული, ნორმალური ფიზიკური შრომა ადამიანს არ ჰკლავს, პირიქით, აჯანსაღებს, აწრთობს მის ხასიათს, აჩვევს დაბრკოლებათა გადალახვას.

მშობლის ამაგის არდანახვას, მისი ოჯახისათვის ნაშრომ-ნამოღვაწარის დაუფასებლობას ხშირად ცდილობს მავანი და მავანი, რაც უცილოდ თავის დროზე ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან. ტყუილად არ არის ნათქვამი ანდაზა: „რასაც დასთეს — იმას მოიმკიო." ობიექტურ სინამდვილეს ვერსად გაექცევა კაცი. ეს საჭირბოროტო საკითხი მეტად მუქ-ნათელ ფერებში, მკაცრი ტონალობით აქვს გადმოცემული ავტორმთქმელ ლევან ადეიშვილს (შუამთა) ლექსში „სამდურავი შვილისადმი".

შენი დედა იყო, შენი მამა იყო
სული რომ გაგიყო, გული რომ გაგიყო,
ლუკმა რომ გაგიყო, მისთვის რომ არ იყო.
შენი დედა იყო, შენი მამა იყო,
მიწა რომ გიბარა, შეშა ხერხა, გიპო,
ლეიბი არ ეგო, მაგრამ შენ დაგიგო.
წყალი რომ გიზიდა, კერა არ ჩაგიქრო –
შენი დედა იყო, შენი მამა იყო.
კარგად დაიხსომე: ჩვენო ოქრო, ხვითო,
განაზარდო ფერებით, წვითა და დგვითო.
ხომ არა ხარ, მართლა, დაწყევლილი ღვთითო,
წასულხარ და გევლოს ისევ შენი გზითო.
ჩემ კნეინა ბატონს სიტყვა ჰკადრეთ ვითო,
რაც მოგივდეს დავით – ისევ შენ თავითო.

ლექსის მეორე ნაწილში შვილისადმი სამდურავი ერთგვარ კულმინაციას აღწევს. ავტორმთქმელი სწუხს, რომ თავის: წინაპრებს, ბებიას, ბაბუას, დედ-მამას, დას, ძმას, არაფრით დაემსგავსა. სმა-ჭამას, ქეიფსა და დროსტარებას გადაყოლილი ვერ გრძნობს, რომ ოჯახში თითქმის ყველაფერი შემოილია, რომ ოჯახი სიღატაკის პირზეა მისული, რაც მას ოდნავადაც არ ადარდებს და აფიქრებს. ლექსის არქიტექტონიკა ძალზედ ორიგინალურია. თითოეულ სტროფს ბოლოში რეფრენივით გასდევს საყვედურის გამომხატველი სიტყვები. მართალია – ნაწარმოებში დაგმობილია შვილის უგვანი საქციელი, მაგრამ რდგანაც საბოლოოდ მისი პატრონი და დამმარხველი მაინც შვილია, ამიტომაც მიდის ავტორმთქმელი ერთგვარ კომპრომისზე. მკითხველი რომ ბოლომდე ჩაწვდეს ხალხური მელექსის ჩანაფიქრს, ლექსის კვინტესენციურ გააზრებას, ამიტომაც გვინდა მთლიანი სახით მივიტანოთ იგი:

კარგი ბაბუ გყავდა, კარგი ბებო გყავდა,
კარგი მამა გყავდა, კარგი დედა გყავდა,
კარგი ძმაი გყავდა, კარგი დაი გყავდა,
შენ ვის დაემსგავსე – მეხი გაგივარდა!
ბარი არ გიყვარდა, თოხი არ გიყვარდა,
წიგნი არ გიყვარდა, ვაზი არ გიყვარდა,
– თვალი დაგიბრმავდა!
შეშა გაგკითავდა, არაყი გაგვითავდა,
მჭადი გაგვითავდა,პური გაგვითავდა,
– აღარ დაგილამდა!
ბურთი შეგიყვარდა, კარტი შეგიყვარდა,
ნარდი შეგიყვარდა, ლოტო შეგიყვარდა,
შაში შეგიყვარდა... ენა ჩაგივარდა!
საძმო ხომ გიყვარდა, ქეიფი ხომ გიყვარდა,

პლანიც ხომ გიყვარდა – წნევა აგივარდა!
მე შენს შემხედვარეს ტვინი გამილაყდა,
მაინც ვინ დამმარხავს საწყალს მე შენს გარდა.
მეხი გამივარდა, თვალი დამიბრმავდა,
დღეი დამიღამდა, წნევა ამივარდა, ენა ჩამივარდა.
აწი რას გიშველი, კარგი ვირი ხარ და,
მიდი, იმოქმედე, როგორც შენ გიყვარდა!

ლექსში „შვილზე გამწარებული მამა" ავტორმთქმელი ჟორა კელენჯერიძე (ფერეთა) მთელი სიმძაფრით აღგვიწერს თავისი ოჯახის ტრაგედიას. მას სამოცდაცხრა წელში მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო ოთხმოცდაცხრაში ულმობელმა სიკვდილმა შვილიც გამოაცალა ხელიდან, შვილი, რომლის კაცობის მადლი, როგორც თავად წერს, სიცოცხლეში სათანადოდ ვერ დააფასა. უსაზღვრო ადამიანური მწუხარებითა და ტკივილითაა გაჟღენთილი ეს ლექსი, საკმაოდ მაღალია მისი მხატვრული დონეც.

რაც გავჩენილვარ ამ ქვეყანაზე მუდამ თან დამდევს ჭირი,
ვერ დავემალე უბედურებას – ვერსად ვუქციე პირი.
უკან დავტოვე ავბედითობის სამოცდაოთხი წელი,
ჩემი სიცოცხლეც ამიერიდან არის შხამი და ბნელი.
სამოცდაცხრა წელს ცოლი მომიკვდა, ოთხმოცდაცხრა წელს შვილი,
სულ ამერია მთელი ცხოვრება, დავდივარ – ვით შეშლილი.
ცოცხალი მყავდა – მე არ ვიცოდი მისი კაცობის ფასი,
მზე დამიბნელდა, მთვარე ჩამიქრა, რა მეშველება აწი?!
უიმედოდ ვარ ამ ქვეყანაზე, ლამის გამისკდეს გული,
სხვებიც ბევრია ამ ცხოვრებაში ჩემსავით დაჩაგრული.
საიქიოში ცოლ-შვილს რომ ვნახავ – ეს აზრი მომდის თავში, –
ასე რომ იყოს – მეც ამ წუთშივე ავფრინდებოდი ცაში.
ვაი, აქ ყოფნას და ამ სიცოცხლეს ... ასჯერ სიკვდილი მიჯობს,
სიზმარშიაც რომ ვეღარ გნახულობ სად მემალები, ბიჭო?!

ჩვენი რაიონის ფოლკლორი საყოფაცხოვრებო მოტივებზე შექმნილ ზღვა მასალას მოიცავს. მისი ცალკეული მხარეების გამომზეურებით თვალნათლივ მინდა დაგანახოთ, რა მარგალიტებს ინახავს ადგილობრივი ხალხური შემოქმედების საუნჯე.

ამჯერად ჩვენი თემის გაგრძელება, კვლევის საგანი: კაფია, შაირი, გალექსება, იმპროვიზაცია... იქნება. გამიზნული მაქვს შემდეგი წერილი, ნარკვევი კვლავ ამ საკითხის საფუძვლიან შესწავლას დავუთმო.

სიტყვა კაფია (არაბ. ყაფია) – რითმას ნიშნავს. ეს სახელწოდება მიუთითებს, რომ რითმის იმპროვიზაციულ დაძებნაშია მთელი მისი ესთეტიკური ეფექტი. იგი უძველესი ჟანრია ზეპირსიტყვიერების, ძირითადად, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ნაწარმოებია. კაფია სახელდახელოდ იქმნება ლექსით შეჯიბრში. კითხვა-პასუხის მიგება ხდება, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ლექსებითაც. არსებობს ცალფა და ორფა კაფია, ფშავ-ხევსურეთში მას თავისპირის ლექსაც უწოდებენ.

1985 წელს საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების ვანის კულტურის სახლში (დირექტორი ლ. ცხვარაძე) დიდი ანშლაგით ჩატარდა ფოლკლორის საღამო ადგილობრივი ძალების მონაწილეობით. სწორედ ამ საღამოზე გაიმართა ჩემი და ბადრი მეფარიშვილის ურთიერთგაპაექრება კაფიებით. ბადრი იმჟამად რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროში მუშაობდა და ამასთანავე ანსამბლ „საჩინოში" მღეროდა, ზოგჯერ მსახიობობდა კიდეც. ის საოცრად ნიჭიერი, შავგვრემანი, ეშხიანი კაცი იყო, ოღონდ ცოტათი დაბალი ტანის. ამის გამო მისი გაქილიკება მოვიწადინე, საღამოზე კაფია „ვსტყორცნე:"

თუმც კარგი მომღერალი ხარ,
ვერ გამოდექი პოეტად,

შეგირცხვეს მამა – რომ ასე
პატარა დაგაპროექტა!

რახან ყველამ იცოდა, რომ პატივცემული ბადრი საპროექტოში მსახურობდა – მის „დაპროექტებაზე" ყურადღების გამახვილებამ მსმენელთა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, დარბაზი ლამის დაინგრა აპლოდისმენტებით. გულახდილად უნდა ვაღიარო, არანაკლები ინტერესი და მოწონება დიმსახურა ბ. მეფარიშვილის უეცარმა პასუხმა, მანაც ექსპრომტად „მომახალა:"

მე რომ პატარა კაცი ვარ განა ეს საძრახისია?!
მილეთის ხალხში გალანძღვის ნება ვინ მოგცა, ბიძია?!
მგოსან აკაკის სეხნიავ, რადგან გვარზე ხტის კვიცია –
ვერასდროს ვერ დაეწევი გალაკტიონს და ტიციანს!

ბატონი დავით ჯანელიძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარად ტკბილად მოსაგონარი პროფესორი, დიდებული მეცნიერი, ექსპრომტების უბადლო ოსტატი, უაღრესად თავმდაბალი და უბრალო ადამიანი, თავის სტუდენტებს თავისუფალ დროს ქუთაისთან ახლოს, ერთ ეგზოტიკურ ადგილზე მიუწვევიათ. მათ მოპირდაპირე მხარეს მსხდარან თურმე და ნუნუას შეექცეოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც პოეზიაში ცდიდნენ თავის ბედსა და კალამს. ბოლოს გალაკტიონ ტაბიძესაც შეხებიან და მის სახელთან მიმართებაში ცოტა დაუკრეფავშიც გადასულან. ბატონმა დავითმა ეს ვეღარ მოითმინა და ახალგაზრდებს ექსპრომტით შეეხმიანა. აი, ეს ცალფა, ცალმხრივი კაფიის ბრწყინვალე ნიმუშიც:

პარნასის მთას რომ შესტყორცნეთ: შუბი, მახვილი, რაპირი,
გალაკტიონს რომ ედრებით, რა ნამუსი გაქვთ, რა პირი?!

ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველს ვანელი ავტორმთქმელის თამაზ იოსებიძის (მთისძირი) ცალმხრივი კაფიები გავაცნოთ:

შენც პოეტი ხარ! – რარიგად ვიცი ცას ელტვი ლილიანს...
არ შეეწირო ტარიგად ოპონენტობას, ილია!
(„მრისხანე ოპონენტს")

* * *

ზურგზე რომ ტყავი ამაძვრე, ლამის თვალებში დაღამდეს,
ქალო, გვერდების დაზელვა, გგონია — მაკლდა აქამდე?!
(„მკურნალ მასაჟისტს ეთერ გოგოლაძეს")

* * *

ძმებო, ღვინის სმას თუ მკითხავთ, მესმის ღვინის სმა პეტროსა,
სახლში მივა და დაუშვებს – ავსებს ფუთიან ვედროსა.
(„ფეხბურთელ პეტრე ჩომახიძეს")

* * *

ფხიზელი ენას არ იღებ, მუნჯი მგონიხარ ფხიზელი,
ხარ ისე თავდაჭერილი და თანაც დარბაისელი,
ღვინო რომ დაგლევს, ძამია, და ტვინიც რომ აგერევა
შენი ჩხუბი და ყაყანი თავს გადაუვლის ერევანს.
(„თანაკლასელ რ. ჩომახიძეს")

* * *

შეგყვარებია მწერლუკას მწერლობა სიტყვაკაზმული,
თავწაღმა როგორ გაივლი – მთლად თავუკუღმა დასმული.
(„მწერლუკას")

გამოჩენილი პარტიული მუშაკი, ან განსვენებული ვახტანგ ლორთქიფანიძე, წლების მანძილზე იმყოფებოდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა სახალხო კონტროლს, ბოლოს გახლდათ სალხინოს საჯარო სკოლის დირექტორი, უწესიერესი პიროვნება და ბრწყინვალე სამეგობრის პატრონი. ის არამარტო ვანის რაიონში, რაიონის ფარგლებს გარეთაც ცნობილია თავისი სატირულ-იუმორისტული ექსპრომტებით, ბრწყინვალე კაფიებით, რაც მის გონებამახვილობაზე, განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

რაიკომის მდივანი, პატივცემული შიო გიორგაძე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და საქმისადმი ერთგული, ერთ დროს ურთულეს სფეროებს – მილიციას და რაიკავშირს კურირებდა. მეგობრულ ლხინის სუფრასთან, რომელსაც თავად თამადობდა, მისი სადღეგრძელო რომ შესვეს, ნეტარხსენებულმა ვახტანგმა სახელდახელოდ დაწერილი ასეთი ექსპრომტი წაუკითხა:

„ტოლუმბაშობას გილოცავ, დაესწარ ათას მაჭრობას,
რა მოგკლავს! – თუ გადაურჩი მილიციას და ვაჭრობას“

ბატონი შიო საკუთარ ჯანმრთელობაზე დიდად ზრუნავდა და შვებულებას ისე არ გაუშვებდა – (თუ ასეთით ისარგებლებდა) სადმე, რომელიმე კურორტზე დასასვენებლად არ ნასულიყო, სშირად ირჩევდა ესენდუკს. მისდამი მიძღვნილი არც მეორე კაფია უღერს ურიგოდ:

„შიო განახე ესენდუკში, გოგმანობდი ქალებშიო,
ცოდვა გქონდა ჩადენილი – გეტყობოდა თვალებშიო.“

ან ქვემოთ მოტანილი ეს მშვენიერი კალამბური რად ღირს, იგი ამასთანავე ანაფორის დიდებული ნიმუშია (ანაფორა გამეორების ერთ-ერთი სახე, ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების, სიტყვების, ფრაზების, სინტაქსურ რიტმული წყობის განმეორებაა სტრიქონის დასაწყისში ან სტრიქონ ჩაგდებით... სტილისტიკური ხერხია, რომელსაც უპირატესად ლექსით მეტყველებაში იყენებენ (ა. ჭილაია, რ. ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები,“ თსუ გამოც. 1984 წ. გვ. 22-23).

ზოგს თქმა ჰკლავს, ზოგს – უთქმელობა
ზოგს – ჭამა, ზოგს – უჭმელობა,
ზოგს – შიში სკამის გამოცლის,
ზოგს – ფიქრი ცოლის გამოცვლის,
ზოგს – დარდი მკლავის მოკვეთის,
ზოგს – შური ძმის და მოკეთის,
შიოს კი – ხიბლი თვალისა
ერთი ლამაზი ქალისა.

1979 წელს მთელმა საქართველომ აღნიშნა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 100 წლისთავი, და, ცხადია, მისი მშობლიური ვანის რაიონი ამ სამზადისს საფუძვლიანად შეუდგა. სოფელ ტობანიერში ბატონი კორნელის საცხოვრებელ ადგილზე სასწრაფოდ იქნა აგებული სახლ-მუზეუმი საგამოფენო დარბაზით. მშენებლობა დროში უნდა ჩატეულიყო და რადგანაც იდეა მოგვიანებით გაჩნდა – სამუშაოც ფორსირებულად მიმდინარეობდა, მასში ტობანიერის აქტივთან ერთად უშუალოდ აღმოჩნდა ჩართული რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მათ შორის ბატონი შიო გიორგაძეც – რაიკომის მდივანი. ღონისძიება წარმომადგენლობითი იყო. საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდნენ: მოსკოვიდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დელეგაციები, რომელშიდაც შედიოდნენ კორნელი კეკელიძის ყოფილი ასპირანტებიც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლობას აკადემიკოსი შოთა ძიძიგური ხელმძღვანელობდა. ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ბანკეტზე, რომელსაც რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ანდრიაძე უძღვებოდა, ვახტანგ ლორთქიფანიძემ მართლაც ძარღვიანი ექსპრომტი მიუძღვნა შიო გიორგაძეს. ეს ექსპრომტი თამადამ აკადემიკოს შოთა ძიძიგურს გააცნო, ხოლო ამ უკანასკნელმა ავტორს სთხოვა მისი ხმამაღლა წაკითხვა;

კორნელი კეკელიძის სამადლობელი ბატონ შიოს!

ცრემლად მქონდა ზღვა და მოთმინებად ლოდი,
ამას არ ვფიქრობდი, ამას არ ველოდი, –
თუ დანგრეულ კერას ისევ აღმიდგენდი,
ბუხარს დამინთებდი, ღამეს გამითევდი.
აღვავლინე ხოტბა შენდა სათაყვანოდ,
და, თუ მოვახერხე – უნდა წაგიყვანო.

როცა ხელისუფლების სათავეში, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" წამომადგენლები მოვიდნენ, ბუნებრივია, ძველი კადრები ახლით ჩანაცვლდა. რაიკომის მეორე მდივნის კონსტანტინე გურგენიძის კაბინეტი საკრებულოს თავმჯდომარემ ნიკო ლორთქიფანიძემ დაიკავა.

ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე და მე (აკაკი თევზაძე) წლების მანძილზე ერთად ვმოღვაწეობდით გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. ქართულ პოეზიაზე, მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო, ფრიად ნიჭიერი, ისე შთამბეჭდავად, ემოციურად საუბრობდა გალაკტიონისა და ტიციანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ხშირად უმაღლესი განათლების მქონე ფილოლოგებსაც გვჯაბნიდა. გარდა ამისა მშვენიერი ფოტოხელოვანიც იყო, წლების მანძილზე მსახურობდა რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტად. სულმნათმა ვ. ლორთქიფანიძემ (იმჟამად სალხინოს საჯარო სკოლის დირექტორი გახლდათ) არაჩვეულებრივი ექსპრომტი – კაფია მისწერა ბატონ კონსტანტინე გურგენიძეს:

„რა კაბინეტი დაკარგე, ავეჯი გქონდა ნიგოზის,
იმ სკამზე – შენ რომ იჯექი, დღეს ფოტოგრაფი ნიკო ზის."

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვანს საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე ეწვია. ის და რაიონის განათლების განყოფილების გამგე ავთანდილ ენუქიძე, დიდი ინტელექტუალი, შესანიშნავი ფილოსოფოსი, უკეთილშობილესი ადამიანი, თანაკურსელები იყვნენ. საქმიანი ვიზიტის დასრულების შემდეგ გულთბილად მიიპატიჟა ოჯახში საპატიო სტუმარი და თავისი სამეგობრო. მათ შორის ექსპრომტების დიდოსტატი ვახტანგ ლორთქიფანიძეც იმყოფებოდა. გაიშალა სუფრა, მარა რა სუფრა, რომ იტყვიან – ჩიტის რძეც არ აკლდა. ლხინი ძალაში შედიოდა, როცა მასპინძელი ადღეგრძელეს. ადგა ცხონებული ვახტანგი და დალოცვას ახალი მშვენიერი კაფიაც მიაყოლა:

ღმერთების საკადრისს მოველით პურ-მარილს
და კბილთა კრაჭუნი ჰგავს ხმალთა კვეთებას,
ავთანდილ! – შეეშვი, შეეშვი, შეეშვი
ლექისგან, ჭაჭისგან ნუნუას კეთებას.

კაფიამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ავტორმთქმელი იური კორძაძე (მუქედი), ცნობილი მუსიკოსი, არამარტო გვარიანად მღერის, მშვენიერ ექსპრომტებს, კაფიებს წერს. არის ფრიად ენაკვიმატი და შესანიშნავი იმპროვიზატორი. ჩემდამი არაერთი ლექსი-ექსპრომტი აქვს მოძღვნილი. მახსოვს ჩემი პირველი წიგნი „სინათლის ტოტი" რომ გამოვიდა, თხელტანიანი, მომცრო ზომის, იური ასე გამომეხმაურა:

არც დანყობილი კაცი ხარ, არც სულ მთლად გზააბნეული,
შენი წიგნი თუ წიგნია, მაშინ რას ჰქვია რვეული?

– ვითომ დანაღვლიანებულმა გაიმეორა ხუმარა მეგობრის სიტყვები: „აკაკი, შენ რომ წიგნი გამოეცი – იმხელა სამძიმრის დეპეშა მივიღე მამაჩემის დაკრძალვაზეო." ცარიელი 48 გვერდიანი საერთო რვეული უნდა ღირდეს 45 კაპიკი და შენი „შედეევრებით" სავსე წიგნი 15 კაპიკიო. მეც ვალში არ დავრჩენილვარ – საკადრისი პასუხი მივაგე:

ეშმაკის ფეხის მკვნეტელო, გაქვს გამოხედვა ციგნური,
დიდად ნაკითხი თუ არ ხარ, არ გქვია მთლად უწიგნური.
ბრიყვო და ტაკიმასხარავ, ხარობ – მუზები გწვევია,

დღემდე წიგნისგან რვეული რატომ ვერ გაგირჩევია?!

იური კორძაძე:

სამი ლექსი დაგიწერე, ვიფიქრე –
მომიძღვნიდი შენც უმძლავრეს კაფიას...
ენა ხომ არ ჩაგივარდა მუცელში,
ან ეგ თავი, ნეტავ, რისთვის გაბია?
აკაკი თევზაძე: თუ სადმე ხელში ჩაგიგდე გაგაუთოებ უდავოდ...
მე თავი მაინც მაბია, შენ კი დადიხარ უთავოდ.

როცა ეს სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები, კაფიები იქმნებოდა მე (აკაკი თევზაძე) გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმში ვმუშაობდი. კარგად მაგონდება – რაც ერთხელ ერთ-ერთმა ექსკურსანტმა სწორუპოვარი გალაკტიონის ეზოში სიამაყით განაცხადა: „აქ, ამ ბუნების წიაღში რომ დავბადებულიყავ და ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი მევლო, მეც კი დავწერდი ბრწყინვალე ლექსებსო." ამ სიტყვებს ყური მოჰკრა მუზეუმის გუშაგმა ამირან წიქვაძემ, არც კი დაფიქრებულა – პირდაპირ მიახალა: 50 წელზე მეტია, ბიძიკო, აქ ვცხოვრობ, არც ცვრიან ბალახზე სიარული დამკლებია, მაგრამ ერთი სტრიქონიც არ შემიქმნია, ზეგარდმო პოეტური ნიჭით თუ არ ხარ მირონცხებული, ვერაფერი გიშველისო, ბუმბერაზი გალაკტიონიც ამას არ გვიკიჟინებს?.. „ნიჭი, ძამიკო ნიჭიო!.." მარტო მონდომება და სურვილი არ კმარა." ჩემი მოპაექრეც თითქმის იმავე აზრს ავითარებს, ნიშნის მოგებით რომ წერს: „მანდ, სად „ცა, მიწა სავსეა მარადი ლირიკით", სადაც ქვაც კი მღერის, ბუჩქიც და ხეც არ რჩება ულექსოდ, „მეფის ჭალის" ყანჩა ცალ ფეხზე მდგარი ჭაღარა კავკასიონს ლაღად ყელს ულერებს, სადაც მოლზე ნებისად დანავარდობს სიო და ფაზისს ჩუმად ჩაჰკოცნიან ხეთა ჩრდილები, მინდანაც ამოგვძახის სიმღერას ზიარი ჭა ღვიძლი ბიძაშვილების, სირცხვილი კია კაცმა „მაჭახელა" ლექსი ვერ დაწეროსო. აქვე მოგვყავს მისი უაღრესად დამცინავი, გამკენწლავი ექსპრომტი:

იური კორძაძე:

მაღლა ფრენენ ტაბიძეთა მუზები,
შენ, ბეჩავო, ველარ შვრები ვერაფერს...
ინდაურიც ფრინველთ მოდგმას ეკუთვნის,
საცივშია კარგი თორემ – ვერა ფრენს!..

ჩემს სასმენელს, რა თქმა უნდა, მწარედ მოხვდა ეს ლექსი – კაკაფონია და მოპაექრეს ისარივით „დავახალე" ასეთი კალამბური:

შენნაირ ვაი – პოეტებს, შენნაირ მიეთმოეთებს,
ზოგს თავი ვაჟა ჰგონია, ბეთჰოვენი ან გოეთე.
თუ ოდნავ შეგრჩა გონება, უნდა გირჩიო ძმურად ეს –
ლექსების ჩხიბვას შეეშვი, ცოლ-შვილი დააპურადე!..

გალაკტიონისა და ტიციანის უბადლო პოეზიით გაამაყებული იური კორძაძე არ ცხრება და ჩემი სახელის შესაბღალავად მაინც თავისას „მიერეკება:"–

ყოველდღე რომ მათ სიმღერებს უსმინოს
კაცმა, ალბათ, ლექსად გადაიქცევა...
სად ჩანს – შენი ზეციური სიმაღლე,
სად ჩანს – შენი პოეტური მიღწევა?

მეც საკადრისი, გვარიანი წკიპურტი ვუთავაზე მოპაექრეს:

ეშმაკმაც ველარ გაიგოს – რა გახარებს და გაკვნესებს,
ერთიც წყალწყალა შენს ლექსებს არ ამღერებდნენ აკვნებზე.
ფხიზელი უფრო მქუხარებ, თუ დათვრები და მერე წერ?!
შენ(ი) გაჩენისთვის მდუღარე დავასხი მიტროს ყვ.....ზე.

გაწიწმატებული იურის პასუხიც მოსწრებული, სხარტი და ლაკონიურია. მამაჩემი მჭედელი იყო და ეს კოზირი მან მშვენივრად გამოიყენა ჩანაფიქრის აფიშირებისთვის:

ჩემზე ამბობ, რომ მთვრალი ვწერ ექსპრომტებს, შაირს, კაფიას...
შენზე თქვეს – „როცა დათვრება ყველა ხის ძირში აბია."

ამ ბოლო დროს ხომ ლექსებში მამების ლანძღვა დაგჩემდა,
რა უნდა გითხრა – კაცად რომ მჭედელმაც ველარ „გაგჭედა“?!

ფრიად საგულისხმოა ჩემი შესიტყვებაც:

„ნეტავ, რად გამინაწყენდი? – გაქვს თვისებები მანასეს,
სულ სხვის დაკრულზე ბუქნაობ, ხან ისე ცეკვავ, ხან ასე.
კაცობა მე არ მაკლია, მრავალი მიქებს კაცობას –
შენ ის კაცი ხარ – ყველა ბოთლს რომ მოერგება საცობად.“

1985 წელს ვანის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანება „საჩინოს“ კრებული „საჩინო“ დაბეჭდა გამომცემლობა „მერანმა“. კრებულში ჩემი რამდენიმე ლექსიც არის შესული. რადგანაც თავად მე ვიყავი წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი, ჩემს ნაწარმოებებს სხვებზე მცირე ადგილი დავუთმე ამ გამოცემაში. ახალგამოსული კრებული ავტოგრაფით ვუსახსოვრე მძღოლს, რომელმაც წიგნები ჩამომატანინა სტამბიდან. იქვე იდგა იური კორძაძეც და მთხოვა ერთი ეგზემპლარი ავტოგრაფით მეჩუქებინა მისთვის, მაგრამ მეტად უბრალო მოტივით ეთქვა უარი – წიგნების გაცემა მკაცრ კონტროლზეა აყვანილი-თქო. ამით განაწყენებულმა ჩემზე ჯავრი იყარა –დიდებული კაფია „გამომიცხო:“

უკვდავების და მარადისობის შენ არ ხარ ბინადარი,
არ გაქვს დიდების სასუფეველზე ჯერ მსხვერპლი მინატანი.
წიგნი გამოსცა გალაკტიონმა, აკაკიმ, ვაჟამ, გოგლამ...
სამი ლექსი გაქვს საერთო წიგნში და გაგიხურდა „გოგრა.“
ახლობლებით და ძმაკაც-მეგობრით, ვიცი რომ გათოვს, გაწვიმს...
კარგად მეყოლე, აკაკი, შენ და... მე კი ვიშოვი მაგ წიგნს.

აკაკი:

„ნეტავ, რას გადამეკიდე – ასე მლანძღავდი წინადაც,
შენ მე დიდ პოეტს ვერ გამხდი, ვერც უკვდავების ბინადარს,
„გოგრა“ თუ მიხურს, კარგია, ტვინი მქონია „გოგრაში,“
წიგნს მაინც ველარ დამცინცლავს მე შენისთანა ოღრაში.

იური:

უკვდავგყო ერთმა წიგნმა და ზოგ-ზოგიც წამოაჩოქე,
შოთა რუსთაველს თუ არა, გ. ონჩხიკიძეს აჯობე.
თავი რომ მოგაქვს მესიად, აღარ გწყალობენ მუზები,
უფრთხილდი შენს პოეზიას არ დაესიოს ბუზები.

ცნობილმა იუმორისტმა ვანო ცინცაძემ ჩემს მაგივრად დიდებული პასუხი გასცა, ძალზედ კარგად გადმოსცა ჩემი გუნება-განწყობილება:

„პოეზიაში, იური, მე არ მიმაჩნდი ბუზად,
მადლობა უთხარ აკაკის, რომ მოგაფრქვია მუზა.“

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ, ყოველწლიურად 2 მაისს, ქ. ქუთაისში ტარდება სახალხო ზეიმი „ქუთაისობა“, დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების მოწინავე, სახელოვანი ადამიანების, მომღერალთა გუნდების, პოეტების, მწერლების, ფოლკლორული ანსამბლების, ხალხური მთქმელების... მონაწილეობით. ვანის რაიონიც, რასაკვირველია, რიგიანად მოემზადა ღონისძიებისთვის. ხელმძღვანელობამ მთხოვა გალაკტიონი განმესახიერებინა ამ ზეიმზე, მისი ხმის მიბაძვით წამეკითხა ლირიკული პოეზიის შედევრი „მთაწმინდის მთავრე“. მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ საკმაოდ კარგად ვბაძავდი სასიქადულო პოეტს.

ქვას თავი შევუშვირე, სასტიკი უარი განვაცხადე მათ თხოვნაზე: ჩემი მსახიობობა სად გსმენიათ? ან სად გინახავთ-მეთქი?.. მაგრამ იმათ დაჟინებულ წადილს ბოლომდე მაინც ვერ შევეწინააღმდეგე. სასწრაფოდ გამგზავნეს ქუთაისში ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის ცნობილ გრიმიორ მაია სვანიძესთან, უსათნოესმა ქალბატონმა მაიამ დიდის გულმ-

ოდგინებით დამაწება სახეზე წვერ-ულვაში, გადამილება თმა და წარბები, თავზე ცნობილი მხატვრის და პოეტის ჯემალ ტაბიძისაგან ნანათხოვრები შავი ფერის ლენტშემოვლებული ცილინდრი დამხურა, მოკლედ რომ ვთქვა, ვიზუალურად მიმამსგავსა შეუდარებელ გალაკტიონს.

„ქუთაისობაზე" მართლაც გვარიანად წარვსდექი. ლექსი „მთაწმინდის მთვარეც" პოეტისეული ხმის ტემბრით წავიკითხე, თითქოსდა მეც ნაკვერჩხლებზე ვიდექი ფეხშიშველი.

ჩასაფრებულ მოპაექრეს იური კორძაძეს მეტი რა უნდოდა, საბაბი მიეცა და ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ შემთხვევას. მეორე დილით „აფრინა" ჩემთან ექსპრომტი – კაფია:

იური:

„უფლის ხელდასხმა გაკლია, მადლი ჯვრისა და სიონის...
„მკვდარი" პოეტი ასრულებ როლს დიდი გალაკტიონის.

აკაკი:

შე, ყიამყრალო ყაძახო, ლანძღვა-გინებით ვერ ძღები,
ჩემს განქიქებას შეეშვი, თორემ დაგკიდებ კვერცხებით.

მინდა ეს ნარკვევი მეგობარ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ჩემი ექსპრომტით დავასრულო, (მაშინ ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა), რომელშიც მკაცრად მყავს გაკრიტიკებული ჩემი მოყვარე „მტერი" და ხელოვანი:

თავის მოჭრა არის ჩვენი, სხვიტორელის, ჰერეთელის...
კორძაძე რომ შაირობდეს, ლექსს ვერ წერდეს წერეთელი.

(გაგრძელება იქნება)

რედაქციისგან

სულ ახლახან დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელს, კრებულ „მატიანის" პასუხისმგებელ მდივანს, პოეტს, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, ვანის საპატიო მოქალაქეს ბატონ აკაკი თევზაძეს. ბატონი აკაკი ცნობილია თავისი ლამაზი პოეზიით, დახვეწილი რობაიებით, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. გულწრფელად ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. ღვთის მადლი არ მოკლებოდეს მის კალამს თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. აქვე კრებულ „მატიანის" მკითხველს ვთავაზობთ მის რობაიებს:

* * *

მზე იწვერება და ბინდბუნდში
ცა გადმოქანდა, –
ეჰ, შთაგონებაც გამიბერწდა,
სიტყვა მოყანდა...
ნეტავი როსმე მეც დამადგეს
თავზე ისეთი
შარავანდედი – მყინვარისას
ადგას რო ქანდაკს.

* * *

უფლის სიყვარულს ვინც უგონოდ
დაემონება, –
სულის ღონებას შვებად უქცევს,
სულის ცხონებად,

მარადის მზეობს – ვინაც მწირთა
და უპოვართა
გულმოწყალებით უწილადებს
თავის ქონებადს.

* * *

თუ ვეფერები მშობელ მიწას,
ვარდებს, ბალახებს,
ცას საოცნებოს და ოცნების
ამ იალაღებს, –
ქედუდრეკელი გმირი ხალხის
ერთგულ მერჯულეს,
ქრისტეს – ჩემს უფალს, ვერავინ ვერ
გამიალაჰებს.

* * *

მუცელს არ ვალხენ – ზეციერზე
ვფიქრობ მამაზე
და რწმენით ვივსებ იდუმალი
სულის თამასებს...
გულგამოჭმული დარდებისგან
ვერ გავხალისდი
და ვერც ტანჯული ეს ცხოვრება
გავილამაზე.

* * *

მზე თვალებს იფშვნეტს, ჩვილ ბავშვივით
მოჰყვა ზმორებას,
ქალწულ სხივებით სპეტაკ მწვერვალთ
ეამბორება,
რა სიწმინდეა... მე ამდენი
ცოდვის მტვირთველი,
შევიძლებ როსმე ზენაარის
თვალის სნორებას?!

* * *

დგანან მტირალა ტირიფები
და თავს იხრიან
ობოლ საფლავთან, საფლავს რუხი
მტვერი მიჰყრია...
ბედნიერია და ათასგზის
უფრო ნეტარი –
წარმავლობაზე ვისაც წუთით
არ უფიქრია.

* * *

ცას ნაოჭები რომ გიფარავს
ნიგვზის კაკლისებრ, –
ნუ სწუხარ, დარდის ჭიაღუა
ფეხქვეშ გაგლისე, –
გულში ცხოველი უფლის რწმენა
აიყვავილე
და მის სიყვარულს არასოდეს
მოისაკლისებ.

* * *

დამბადებელო, სიცოცხლისა
მომეც დღე დიდი!
ცაზე წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით,
როგორც პეტიტით,
დაწერილია ბედი ჩემი
განაჩენივით,
რად, რად შემყარე სიყვარულის
ბნედა ბედითი?!

* * *

ვცხოვრობ ზღაპარში და მიმაფრენს
ღრუბლის ხალიჩა,
ახლო, სულ ახლო, ნათლიერში
უფლის კვალი ჩანს,
შევენუკეები უზესთაეს –
რისი ღმერთია,
თუ სამოთხეში ადგილი ვერ
გამიჩალიჩა.

* * *

მოედინება სიხარული შვების
დღეთანი,
სულს ეფინება ციურ მადლით
შუქი მზეთანი,
მხნედ, თავო ჩემო, გარეშემო
კვლავ სისინებენ:
გულნამცეცები და ნაშობნი
იქედნეთანი.

* * *

გორაკებს ყვითლად მოენთება
რო ბაიები,
ბაიებივით თეთრ ველებზე
რობაიები

აყვავდებიან... შესიზმრება
შენი ალერსი, –
თრობა ვარდების სურნელებით,
თრობა იებით.

* * *

რად განმიკითხავს – თუკი ენა
არ ექავება?
ამაოდ ლამობს ინტრიგების
ხლართში გავება...
ღმერთო, შემინდე! – ვისაც მე არ
ვეპიტნავები,
არც მე მეხატვის გულზე, არც მე
მეპიტნავება.

* * *

ვნებათა ღელვამ სულის დვრიტა
ველარ წალეკა,
მღვრიე ტალღები ცხოვრებისა
მცემენ წალიკად...
ჟამმა დარეკა – შევისახლო
ქრისტე ჩემში და
ვიშვა ქრისტეში, ვით შემფერის
უფლის ალიკვალს.

ქეთევან ძაგნიძე
ფილოლოგი

ფიქრები კვლევის შემდეგ...

საქართველოში PARLS-ის ნიგნიერების საერთაშორისო კვლევების შედეგების გაცნობის შემდეგ დავფიქრდი იმაზე, თუ, როგორ წარმოაჩენდნენ თავს ჩემი მოსწავლეები, კვლევაში რომ მიეღოთ მონაწილეობა; დააკმაყოფილებდნენ თუ არა ისინი საერთაშორისო მოთხოვნებს და სად იქნებოდა მათი შედეგების ნიშნული... როგორ გაიაზრებდნენ ისინი წაკითხულ ტექსტს; ან შეიძლებოდა კი მხატვრული ნაწარმოების ასე წაკითხვა; რას ნიშნავს ზოგადად წაკითხულის გააზრება ლიტერატურაში; რამდენად ვახერხებდი მე, როგორც პედაგოგი, ამეცილებინა მათთვის აზროვნების სტანდარტიზაცია... რა როლი ეკისრებოდა აქ ჩემს საგანს...

იმაზეც დავფიქრდი, თუ რამდენად შეიძლებოდა საერთაშორისო კვლევის ცენტრის მიერ შემუშავებული ინდიკატორები, რეკომენდაციები და სტანდარტები მორგებოდა არა მხოლოდ არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებას, არამედ ხელოვნებას-ლიტერატურას, სადაც ორთოდოქსული კონტენტის ნაწარმოებიც კი არ შეიძლება ერთგვარად გავიგოთ, რადგანაც ლიტერატურა სახეობითი აზროვნებაა, ერთ კითხვას შეიძლება რამდენიმე პასუხი ჰქონდეს და ყველა სწორი იყოს.

ისიც მაწუხებდა, რომ დღეს, ტექნოციზმის გაბატონების დროში, ნუთუ კაცობრიობა იმასაც დაუშვებს, რომ მხატვრული ტექსტი უბრალოდ არც იყოს და ლიტერატურად ჩაითვალოს ე. წ. ტვიტერატურა, რომელშიც მთავარია მხოლოდ უმოკლესი ფაბულა და არა მხატვრული აზროვნება. საუბარია იმ თამაშზე, რომელიც სოციალურმა ქსელმა „Twitter" – წამოიწყო: მომხმარებლებს ლიმიტი დაუწესა და აუკრძალა 144-ზე მეტი სიტყვის შემცველი ტექსტის გამოქვეყნება. ამის მიზეზად ცხოვრების სწრაფი ტემპი დასახელდა. (ნეტავ სად ეჩქარებათ ადამიანებს ასე?). ამას მოჰყვა ცნობილი ნაწარმოებების მინიმალისტურ პროზად გადაკეთება. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ტვიტერატურას, „ლიტერატურის დევალვაცია" და „ხელოვნების დესტრუქცია" უწოდეს, მაგრამ ეს სულაც არაა დამამშვიდებელი. ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები ირონიის საგანი გახდა. ახალგაზრდები, ისედაც კითხვას გადაჩვეულნი, სიამოვნებით აჰყვნენ ამ თამაშს. ტვიტერატურას დამცველები გამოუჩდნენ: ჯერჯერობით ეს მხოლოდ „ფორმატია და მეტი არაფერი;" „როგორ ფიქრობთ, ადვილია მოკლედ წერა? რა თქმა უნდა, არა... ეს არის გაცილებით გააზრებულად და გაცნობიერებულად წერა.. მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ფიქრი... შესაბამისად, ნაკლებად არაფრისმთქმელი სიტყვები..." (ცირა ბარბაქაძე – **ლიტერატურიდან Twitterატურამდე ანუ Fiction -იდან Twiction-ამდე**).

აქ თითქოს ყველაფერი სწორია, მაგრამ ჩვენ პუბლიცისტურ წერილზე არ ვლაპარაკობთ... მაშ, სად არის მხატვრული ლიტერატურის ადგილი, თუ ჩვენ მას ჩვეულებრივ საინფორმაციო ტექსტად გადავაქცევთ, ტროპული მეტყველებისაგან დავცლით, თუნდაც წარმატებით. მაგალითად: ასე –

„სამი ჭიანჭველა გადავარჩინე დახრჩობას სამგზის რწყილი ვარ." (ლია ლიქოკელი)

ან

„она его не любила, он её не любил тоже, они тщательно скрывали это друг от друга, жили долго и счастливо и умерли в один день".

ასეთი ნიმუშების შექმნა თავისთავად ტრაგედია არ არის მანამ, სანამ ეს ჯერ კიდევ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის პროდუქტია, ან, შესაძლოა, თამაში. ბოლოს და ბოლოს, მინიმალური პროზა ახალი არაა. ვგულისხმობ ჰემინგუეის არაჩვეულებრივ მოთხრობას: „For sale: baby shoes, never worn."

აქ სხვა რამ არის საშიში: უკანასკნელ ხანებში არაერთხელ გამოიკვეთა ხელოვნებისადმი

მომხმარებლური დამოკიდებულება, მისი შინაგანი ესთეტიზმისა და სულიერ მისწრაფებათა („სურვილთა დიადრბანი"), ღირებულებების, ლიტერატურული აზროვნებისა და ტროპული მეტყველების დაკნინების ტენდენცია. მომრავლდა ბილწსიტყვაობა და ჟარგონიზმი, არაფრისმთქმელი პასაჟები, მხოლოდ წამიერ ეფექტზე გათვლილი ფრაზები, მწირი ლექსიკა, ყალბი ორიგინალიზმი...

ამის ბევრი მაგალითია. შარშან ლიტერატურულ კონკურსში „წერო" გაიმარჯვა ნაწარმოებმა, რომელიც ერთხელ წაკითხვასაც კი არ იმსახურებდა, და რომელიც გათვლილი იყო მხოლოდ ე. ნ. მოდურ თემატიკაზე.

ჯერ კიდევ საუკუნეების წინ კი არისტოტელეს მიაჩნდა, რომ „მახვილგონივრულ მეტაფორათა და შედარებათა შეთხზვა და დროული გამოყენება პოეტური ნაწარმოების მხატვრულ მხარეს განუზომლად ამაღლებს. მხატვრულ ხერხთა სწორად გამოყენება აბსოლუტურად ცვლის შთაბეჭდილებას, რომელსაც ნაწარმოები ახდენს მკითხველზე."

ლიტერატურა ცოცხალი ორგანიზმია და იგი სუნთქავს, თავის სამყაროში გითრევს. რაღაც ისე უნდა დარჩეს, რომ არ დავაბინძუროთ, არ შეურაცხვყოთ, არ გავაუხეშოთ, არ ვაქციოთ ტექნიკური აზროვნების საგნად. ამას კი მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ვაღიარებთ მის აბსულუტურ უფლებას – იყოს მოულოდნელი, მხატვრულად მრავალფეროვანი, ზეციურ და ზოგჯერ მიწიერ იდეათა საუკეთესო პრეზენტატორი.

აქედან გამომდინარე, ლიტერატურას ვერ განსაზღვრავ, ვერ დაადგენ, საზღვრებში ვერ მოაქცევ და ვერავითარ სტანდარტს ვერ დაუწესებ, ვერავითარ კრიტერიუმს ვერ მოარგებ, ვერ განიხილავ, ვერ ამოსხნი. რასაც ახსნი-აქცევ მატერიად...

მაშ, როგორ უნდა შოერგოს ლიტერეტურას რაღაც ერთი კლიშე... ან რა აუცილებელია ეს უხეში ნატურალიზმი?

„პოეზიაში არის რაღაც, რომელიც აუხსნელი რჩება, რაგინდ ყოვლისმომცველი იყოს ჩვენი ცოდნა," – წერს თომას ელიოტი ესეში „კრიტიკის საზღვრები."

თუ ეს ასეა, მაშინ ადამიანებს აქვთ უფლება და ნებელობა იმისა, რომ შემოგვთავაზონ ლიტერატურის მათებური ინტერპრეტაცია.

იგივე ელიოტი წერს:

„ზოგჯერ პოეზია განმარტებების გარეშეც გასაგებია ჩემთვის." მისი აზრით, ახსნა-განმარტება ხანდახან მკითხველს მთლიანად სწყვეტს ლექსს, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს მისი მნიშვნელობის გაგებაში.

ასეთ შემთხვევაში იქნებ აზრს კარგავს ნებისმიერი კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ ესმით ახალგაზრდებს წაკითხული ტექსტი, თუ ეს მხატვრული ლიტერატურაა.

ყველა მკითხველს თავისი სიმართლე აქვს...

მართალია არჩილ ჯორჯაძე, რომლის აზრით... პოეზიის სამყარო ამოუცნობია. პოეზიაზე მსჯელობა შეიძლება, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი და როცა ამ ზღვარს მივადგებით, აღმოვაჩენთ, რომ „კრიტერიუმები" ამოგვეწურა" და რიუნოსკე აკუტაგავას „უსიერ ტევრში" აღმოვჩნდებით... ვერ გავარკვევთ სინამდვილეში რა ვირწმუნოთ... ყველა აზრი სწორად მოგვეჩვენება და ყველა მათგანში შეგვეპარება ეჭვი: ათასი ფიქრი ჩაგვეჭიდება უმალ, ოცნებით დავიქანცებით დ ტკივილს ვიგრძნობთ, უსახელო ტკივილს... ესაა ნამდვილი ლიტერატურა: ის, რასაც ვგრძნობთ ისევე, როგორც ცვარს გრძნობს შიშველი ფეხი: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, – რაა მამული?" ის ჩვენში უნდა იყოს და გვანადგურებდეს.

ბოლო კი ერთია – კათარზისი...

მე „დონ-კიხოტი" ასე მესმის: ის ილუზორიაშია, როგორც ფუფალა, როგორც მარიანა, როგორც სიდონია – „თეთრი კურდღლის" პერსონაჟი... მან საკუთარი არსებობა წარმოსახვას ანაცვალა, გარსი შემოავლო. ის როსინანტზე კი არა, ბუცეფალზე ზის, ან იქნებ პეგასზე, შესაძლოა მერანზე... საფიქრებელია – ეროზირზეც... სამყაროს ბოროტებას ებრძვის, იმ ბოროტებას, რომელმაც ასეთი ბედით დააჯილდოვა, ასეთი დულსინეა გაუჩინა! რას მიაღწევდა მხოლოდ ხელებში სახის ჩარგვით! ფუჭი ოცნებები? განა მეოცნებეებმა არ შექმნეს სახელგანთქმული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრული ტილოები...

ვინ მეტყვის, რომ ეს ასე არაა, და თუ მეტყვის, თავს დავუხრი და ჩემს ფიქრს განვაგრძობ!

ვიქტორ შკლოვსკის მიაჩნია, რომ სხვადასხვა თაობა ამა თუ იმ ნაწარმოებს სხვადასხვაგვარად კითხულობს და მასში განსხვავებულ ღირებულებებს პოულობს.

მართლაც, მკითხველი ევოლუციას განიცდის.

განა ისე კითხულობენ დღეს „ვეფხისტყაოსანს", როგორც ადრე?

ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ პოემაში ტროპული მეტყველების სიმრავლე, უბრალოდ, სასაცილოა, დრომოჭმულია, რომ შესაძლოა, თავის დროზე მას სხვა მნიშვნელოვან ფუნქციასთან ერთად „ ზღვაში გადაგდებული ბოთლის ფუნქციაც" ჰქონდა, მაგრამ დღეისათვის ეს ზედმეტია. ისინი ფიქრობენ, რომ მოსაწყენია მისი სიუჟეტი და გულუბრყვილოა მისი მორალი, თუმცა საუკუნეების შემდეგ ამ პოემით მოწოდებული ღირებულებები უცვლელია. მათ არც რუსთველის ენა არ მოსწონთ. რუსთველის ცოცხალი, არასასურველი მინარევებისაგან თავისუფალი ენა, რომელიც აგრძელებს ქართული ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზს და რომელიც სანიმუშო უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის...

მხოლოდ პედაგოგს შეუძლია გაიგოს, თუ რა კოლოსალური შრომა უნდა ჩავდოთ, როცა „ვეფხისტყაოსანს" ვასწავლით. რა სირთულეებს ვაწყდებით და რა გვიჯდება ყოველი გაკვეთილი. ასეთ დროს არც ერთი მასწავლებელი არაა დაცული საკუთარი მოღვაწეობის დაბალი რეფლექსიისაგან, რადგან მან ის ვერ შეძლო, რომ მის მოსწავლეს ეს პოემა მოძველებულად არ ჩაეთვალა. არადა, რა ხშირად ხდება ასე. ამის შესახებ მრავალი მასწავლებელი საუბრობს, საუკეთესო მასწავლებლებიც კი.

„ვეფხისტყაოსანს" ობის სუნი ასდის", – წავიკითხე ერთ-ერთ ფორუმზე. ეს სიტყვები მე-11 კლასის მოსწავლემ თქვა. შემზარავი იყო ამ წინადადების წაკითხვა, რადგან აშკარად დავინახე „ვეფხისტყაოსნის" ვერგადარჩენის რეალური საფრთხე.

სწორედ ეს გახდა ჩემი საგანმანათლებლო პროექტის დაგეგმვის კატალიზატორი. გეგმის პირველი აქტივობა სოციალური კვლევა იყო. მხოლოდ ერთი კითხვა დავსვით: რატომ არ გვიყვარს „ვეფხისტყაოსანი?" ოთხი სავარაუდო პასუხი: 1. დრომოჭმული და მოძველებულია; 2. ვრცელია; 3. ცუდად ასწავლიან; 4. სხვა მიზეზები.

გამოიკითხა 350 მოსწავლე და 150 უფროსი ასაკის რესპოდენტი. შედეგები შემაძრწუნებელი იყო: გამოკითხულთაგან ყველაზე დიდი პროცენტი მიიღო პასუხმა – დრომოჭმული და მოძველებულია. ეს მაშინ, როცა პოემის ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, ღირსება, პატრიოტიზმი, სამართლიანობა, ერთგულება, თანასწორობა, ტოლერანტობა... დღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია...

რუსთველის ქება აქ საჭირო არ არის. ეს ზედმეტია. მხოლოდ ერთს ვიტყვი:

ეს ითქვა პოემაზე, რომლის ავტორმა მე-12 საუკუნის კულტურულ კაცობრიობას გააცნო ანტიკური ფილოსოფიის ნააზრევი, მან იძულებული გახადა მსოფლიო ქართული აზროვნების სარკმლიდან გლობალური მარადიული პრობლემები დაენახა. შექმნა მომხიბლავი პოეტური სამყარო, კაცობრიობას გააცნო დიონისე არეოპაგელის, ეზრას შრომები და მარადიული ფასეულობები დანერგა.

800 წლის შემდეგ ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიამ თავმომწონე და ამპარტავან ბერძნებს თითი დაუქნია: დიონისე არეოპაგელი, მე-5 საუკუნის მოღვაწე, იგივე მაიუმის ეპისკოპოსი, ეროვნებით ქართველი, პეტრე იბერია, და არა ბერძენიო... მან ამ საკითხის კვლევას მიუძღვნა არეოპაგიტიკის კორპუსის წიგნები, ხოლო დიონისე არეოპაგელს „ფსევდო დიონისე არეოპაგელად მოიხსენიებენ.

მართლაც, უნდა დავეთანხმოთ ვიქტორ შკლოვსკის: სხვადასხვა თაობა სხვადასხვაგვარად კითხულობს და ხშირად სხვაგვარი წაკითხვა შემზარავია...

ყველას თავისი „ვეფხისტყაოსანი" აქვს. ჩემთვის „ვეფხისტყაოსანი" ლიტერატურის კათაკმეველია, რუსთველის საყვედურია თამარის მიმართ უპასუხო სიყვარულისათვის, იმაზე მინიშნებაა, რომ თინათინიც და ნესტანიც ცოლად თავიანთ ვასლებს გაჰყვნენ, რაც თამარმა არ მოისურვა...

შესაძლოა, ეს ცოტა ღიმილისმომგვრელიცაა მკითხველისათვის, მაგრამ ლიტერატურა ჩემთვის ფიქრის, აზროვნების თავისუფლებაა და მისი ესთეტიკური მაქსიმალიზმი ფიქრის მაქსიმალიზმის ნებასაც მრთავს...

მით უფრო ვრწმუნდები, რომ მხატვრული სამყარო ამოუწურავია და არ არსებობს სისტემა, რომელიც მას ჩარჩოში მოაქცევს.

მაშ, რა? რა არის მთავარი ლექსში, ზოგადად ლიტერატურაში:

მხატვრული ტექსტის ანალიზი, თუ ესთეტიკური სიამოვნების მიღება?

თავის დროზე ილია პოეზიას, ზოგადად ხელოვნებას, ერის გადარჩენის, ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდა, ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა მწერლობა-ხელოვნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს მაშინ დროის აქტიური მოთხოვნა იყო და ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხმიანებოდა. თუმცა ამის მიუხედავად, მოგვიანებით მას ქართული პოეზიის ათეული ნლებით უკანდახევა დააბრალეს. ისინი მას სწორედ ლექსის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების უგულებელყოფასა და შინაარსის, ანუ იდეის ჰეგემონიას უწუნებდნენ... სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზიის ორი საწყისის-ზეციერისა და მიწიერის განცალკავებას საყვედურობდნენ...

თუმცა ახლა ჩვენი მიზანი ამ საკითხზე მსჯელობა არ არის...

პედაგოგები ხშირად ავალებენ მოსწავლეებს, დაწერონ ლექსის ე. წ. განხილვა-ანალიზი. და რისთვის? იმ მიზნით, რომ გაიგონ, რას ფიქრობენ ისინი ლექსის შესახებ, თუ რას განიცდიან ლექსის წაკითხვის დროს? ან, იქნებ იმისთვის, რომ მათ გარკვეული წერითი უნარები ჩამოუყალიბდეთ? ზოგჯერ ეს, ალბათ, ასეცაა, მაგრამ როგორც უნდა გავალამაზოთ ეს მიზანი, ხშირად ისეა, რომ მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეთა შეხედულებები უმეტესად დაემთხვეს საზოგადოდ აღიარებულ თვალსაზრისს. ისეც ხდება, რომ მოსწავლეებს მზა ინტერპრეტაციებს აძლევენ, რაც ჩემი აზრით, დაუშვებელია. არადა, ლიტერატურა აზროვნების თავისუფლებაა და ეს ყველამ ვიცით, თუმც არსებობს ე. წ. სპეციფიკური ტექსტები, რომელთა შექმნის მიზანი საყოველთაოდ ცნობილია...

ადამიანები ხშირად კამათობენ იმიტომ, რომ ერთსა და იმავე მოვლენებს განსხვავებულად აღიქვამენ, ისინი ვერ უგებენ ერთმანეთს იმის გამო, რომ განსხვავებული აღქმის ენით საუბრობენ... ლექსის წაკითხვა არ ნიშნავს ლექსის კითხვას... ლექსის წაკითხვა არ ნიშნავს მის გაგებას, ლექსის გაგება არ ნიშნავს მის შეგრძნებას... ლექსი – საერთოდ არ „იკითხება"... ნამდვილი ლექსი – ეს არის ამოუწურავი ემოციების განახლების წყარო... მისი წაკითხვა ინდივიდუალურია და ყველა წაკითხვა „სწორია"...

ნამდვილ ხელოვნებას აქვს ენერგეტიკა, ის იწვევს ინდივიდუალურ შეგრძნებებს...

ცირა ბარბაქაძის აზრით „საბოლოოდ, პოეზია (ლექსი) გარკვეული სიხშირეა, გრკვეული ენერგია და მისი შეცნობა ნიშნავს მასთან რეზონანსში მოსვლას და ეს რეზონანსი შეიძლება გამოიწვიოს ლექსის მუსიკალობამ, ვიზუალურობამ, კინესთეტიკურმა შეგრძნებებმა... ან თითოეულმა, ან – სამივემ"...

ლექსის ანალიზისას თომას ელიოტი საუბრობს რამდენიმე საფრთხეზე. მისი აზრით:

1. პირველი საფრთხე ისაა, „თუკი მივიჩნევთ, რომ უნდა იყოს ლექსის, როგორც ერთი მთლიანობის, ერთადერთი სწორი ინტერპრეტაცია.

2. მეორე საფრთხედ, რომელიც მკითხველს ემუქრება, ელიოტი მიიჩნევს „იმის გააზრებას, თუ რის გაკეთებას ცდილობდა ავტორი, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად. იმდენადაა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული აზრი, თითქოს ლექსის გაგება მისი პირველწყაროს გაგებისა და პოეტის სამუშაო პროცესის შედეგია, რომ პირუკუ ქმედებასაც ადვილად ვიჯერებთ.

3. მესამე საფრთხედ კი ელიოტი მიიჩნევს გაანალიზებული ლექსის მიმართ გაჩენილ გულგრილობას. ამას ის ამდაგვარად აყალიბებს: „მინდა ვნახო, ლექსის ანალიზის გულდასმით წაკითხვის შემდეგ ოდნავ მაინც თუ შევძლებ დავტკბე მისით." როცა ადრე წაკითხული ლექსების შესახებ ანალიზი წაიკითხა და მერე ისევ ლექსს მიუბრუნდა, მიხვდა, რომ გაუჭირდა უწინდებურად შეეგრძნო ისინი: „თითქოს ვიღაცამ რაღაცა მანქანა ნაწილ-ნაწილ დაშალა და მე დამაკისრა მისი ხელახლა აწყობა."

ელიოტის აზრით – „ზოგჯერ პოეზია განმარტებების გარეშეც გასაგებია ჩემთვის." ახსნა-განმარტება ხანდახან მკითხველს მთლიანად წყვეტს ლექსს, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს მნიშვნელობის გაგებაში.

სწორედ, ამიტომ დგას საკითხი ასე: რა ვასწავლოთ მოსწავლეებს – რისი თქმა უნდოდა კონკრეტული ნაწარმოებით ავტორს, თუ რას ვხედავთ მასში ჩვენ, მკითხველები?

კარგად მახსოვს, ერთხელ ჩემმა მოსწავლემ მითხრა – „შუშანიკის წამების" დაწერის მიზანდასახულობა გასაგებია, მაგრამ ჩემთვის მისი ისტორია უფრო შეურაცხყოფილი, ქმარზე შეყვარებული ქალის ისტორიაა, რომელშიც შუშანიკი, ეჭვიანობით გათანგული, სასახლეში მეტოქის შესაძლო გამოჩენის მომლოდინე, ჯიბრში უდგას მეუღლესო. მე მას ნაწარმოების ჟანრი შევახსენე და ვუთხარი – ასეც შიძლება იყოს-მეთქი. სწორედ ის „ც" ნაწილაკმა გააღიზიანა ის... მან პრიორიტეტი თავის ვერსიას მიანიჭა. მეტიც, მას არ მოეწონა, რომ შუშანიკმა, რომელიც წმინდანობისთვის ემზადებოდა, ასე მარტივად გაწირა შვილები და არც კი ეცადა, მათზე გავლენა მოეხდინა; ამით არ დამთავრებულა: ისიც დაამატა, რომ ქრისტიანობა „რაღაცით ეგოისტური რელიგიაა, ქრისტიანი მხოლოდ თავის სულზე ფიქრობს და სხვას იმიტომ ეხმარება, რომ სასუფეველში მოხვდეს. მოძღვრება მას სასუფეველს რომ არ ჰპირდებოდეს, შესაძლოა, მხოლოდ საკუთარ თავზე ეფიქრაო," და ამის მაგალითად შუშანიკი მოიყვანა.

გულწრფელი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩემთვის როგორც მასწავლებლისთვის, ასეთი პასუხის მოსმენა ძნელი არ იყო, მითუმეტეს მაშინ, როცა ახალგაზრდა ვიყავი... როცა სხვაგვარად ვაზროვნებდი და სხვა პრიორიტეტები მქონდა ცხოვრებაში, ვიდრე – დღეს. თუმცა ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქართული ლიტერატურა უფრო მეტი იყო, ვიდრე საგანი: ცხოვრების ყაიდი, აზროვნების წესი, მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, პიროვნული თავისუფლება, გემოვნების ესთეტიკა, კათარზისი და, ზოგადად, ცხოვრება...

ცხოვრება კი ბევრ მოულოდნელობას გვთავაზობს...

ესეც ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო: მოსწავლეს ესმოდა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" მიზანდასახულობა, ის ერკვეოდა კონკრეტული ეპოსის მოთხოვნებში, ის აზროვნებდა ლოგიკურად, ახერხებდა ცოდნის ტრანსფერსა და სინთეზს, აანალიზებდა ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივ თავისებურებებს, აფასებდა პერსონაჟის ქცევასა და იდეების გენერირებითაც გამოირჩეოდა! მე, როგორც პედაგოგმა, ყველაფერი მივიღე მისგან, რაც მსურდა დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ფორსმაჟორულ სიტუაციაშიც კი შეძლებდა ამ პერიოდის ლეტერატურაში აზროვნულ ვარირებას... მაშ, რა უფლება მქონდა მე, მასწავლებელს, მომეთხოვა მისგან ტრადიციული აზრის ერთგულება, უკვე მრავალგზის დეკლარირებული შეხედულების გაზიარება! მას, როგორც პიროვნებას, სრული უფლება ჰქონდა, დაეწერა ის, რასაც გრძნობდა აზრით, სმენით, განცდით დ კინესტიკურადაც კი. ის ასე იღებდა ნაწარმოებისაგან ესთეტიკურ ტკბობას, რაც ჩემი აზრით, ხელოვნების უპირველესი ფუნქციაა და სწორედ აქ არის: ერთ კითხვას მართლაც აქვს რამდენიმე პასუხი და ყველა სწორი შეიძლება იყოს!

„პოეზიას აქვს სიღრმეები და მასწავლებელი არსებობს იმისათვის, რომ ამ სიღრმეში შეიყვანოს მოსწავლე და არასდროს არ უკარნახოს, რა არის სწორი და არასწორი, არამედ მისცეს საშუალება, გამოავლინოს მოსწავლემ ის აზრი, ის ემოცია, რასაც მასში ლექსი იწვევს..."

მე მგონი, გასაგებია, რომ აქ ელიოტი ზოგადად ლიტერატურას გულისხმობს.

ლექსის სიცოცხლე სწორედ ესაა: ის იწვევს რეფლექსიას, ქმნის ახალ და განუმეორებელ შეგრძნებებს, ბადებს ახალ მეტაფორებს... ის ყოველი მოსმენისას თავიდან იწერება იმისათვის, ვინც კითხულობს (ისმენს)... შეგრძნება, რომელიც გაუჩნდება... და მერე დააკვირდეს ამ მოვლენებს, რაც ხდება მასში, რატომ და როგორ ხდება? (ცირა ბარბაქაძე).

რა ფუნქცია აქვს ლიტერატურას თანამედროვე ეპოქაში...

ამაზე დღეს ბევრს მსჯელობენ. უთუოდ შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ დღევანდელ თაობას არ სჭირდება იმდენი კითხვა, რამდენიც ძველს ... დღეს უკვე ყველა მიხვდა, ლიტერატურას ვერასოდეს ვერ შეცვლის სოციალური ქსელი, თუმცა დღემდე ეს ბევრს ეგონა... ლიტერატურა ისევ რჩება ადამიანთა საუკეთესო სურვილთა და მისწრაფებათა ასპარეზად, კაცობრიობის შეგრძნებათა მარადიულ მეხსიერებად, მსოფლმხედველობად, ბედნიერებად,

„ყველაზე მშვენიერ ოცნებად, რაც კი ადამიანთა მოდგმას შეუთხზავს", პარალელურ რეალობად...

თუმცა ვერასოდეს სრულყოფილად ვერ ვიტყვით, რა არის ლიტერატურა...

„ღამე მთაში" უფრო მეტს გვეუბნება სამყაროს მთლიანობაზე, ვიდრე ყველა გეო და ასტროფიზიკოსის ერთობლივი ნაშრომი, ან ამავე სამყაროს ადამიანისეულ შეგრძნებაზე, ვიდრე სახელოვანი ფსიქოლოგების დასკვნები.

„რა უკეთ აღებს სამყაროს კარს – გალაკტიონის „ლურჯა ცხენები", თუ აინშტაინის ფარდობითობის თეორია; ვინ უფრო მეტი იცის მთვარეზე – ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელმა, თუ გალაკტიონმა, რომელმაც „მთაწმინდის მთვარე" დაწერა? ან რომელი ფსიქოლოგი ახსნის უკეთ, თუ რა ხდებოდა ადამიანის სულში სატრფოს დაღუპვის შემდეგ, როგორც გალაკტიონმა „მესაფლავეში" ახსნა... ან მინდია, რომელიც ბუნების ცოდნით ამაღლდა ფილისტერულ კმაყოფილებაზე და კიდეც დაიღუპა..."

რა უფრო აგრძნობინებს ადამიანს თავისუფლების სიყვარულს, – ათასნაირი ქარტია, კონვენცია თუ სწორედ მონობაში შექმნილი ლიტერატურა, შექმნილი თავისუფალი ადამიანისათვის, როგორც ამას კიტა ბუაჩიძე წერს... ასეთი ლიტერატურა აძლებინებდა ეროვნულ სულიერებას „მონობის" საუკუნეებში...

... ადამიანები მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ქმნიან წარმოსახვით, პარალელურ, მხატვრულ რეალობებს და, ვფიქრობ, ასევე გაგრძელდება, სანამ კაცობრიობა იარსებებს...

ჭეშმარიტ მკითხველს ყოველთვის ახსოვს მისი პირველი შეხვედრა საყვარელ ავტორთან. ახსოვ ის, თუ რა იყო ეს შეხვედრა – გაოცება თუ სიყვარული; ფიქრი თუ განსჯა; სიმშვიდე თუ ბედნიერება...

ოტია პაჭკორია წერს: „ინდიელთა ერთ ტომს ჩვეულება ჰქონია, წყაროში ერთიანად ჩაყოფენ ხოლმე თავს, რათა მთლიანად გამოეთიშონ სამყაროს, არაფერი დაინახონ და ისე მოიკლანწყურვილი, რის გამოც, თურმე, მტაცებლის ლუკმაც ხშირად ხდებიან"

გალაკტიონი პირველად სწორედ ასე ნავიკითხე (არა, ახალგაზრდა არ ვიყავ)...

ასე ნავიკითხე „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია," მარკესის „მარტოობის 100 წელიწადი," აიტმატოვის „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე."

... და მრავალი ნავიკითხე ასე.

გალაკტიონის ნაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ყველა ადამიანი ქმნის თავის ლიტერატურულ ქვეყანას, რომელშიც არის მორალური და სოციალური კანონები, დროებითი და გრძელვადიანი მიზნები, ახლობლები და ნაცნობები, შური და სინანული... ჩვენ იქ გვიზიდავს „რა" და არა „ვინ". ჩვენ ვქმნით ლიტერატურულ წესრიგს და სამყაროს მოდელს. გარკვეული თვალსაზრისით ლიტერატურა სამყაროს მოდელია თავისი სამართალ უსამართლობით, თავისი აბსტრაქტული წესრიგით, ტრანსცენდენტული ხედვით, ახალი პარალელური რეალობით (ე. წ. პუპლის ეფექტით). აქ ჩვენი მეხსიერება ზოგჯერ შემაძრწუნებელ სასჯელად იქცევა და ისიც კი ახსოვს, რაც არ უნდა ახსოვდეს, ალბათ, იმისთვის რომ ტკივილი მუდმივად გვახლდეს, თავს გვახსენებდეს და გვანადგურებდეს...

აი, ასე მუდმივად და დაუსრულებლად ვგრძნობთ ჩვენში ახალი ადამიანის ხდომილებას, რათა იმით ვინუგეშოთ თავი, რომ ლიტერატურაში მაინც ვართ სამყაროს ცენტრი, თორემ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენ დედამიწაზე ვცხოვრობთ და მზის გარშემო ვბრუნავთ, რომ მაიმუნი ჩვენი წინაპარი იყო, რომ ჩვენ „ჰომოსაპიენსებს", ვნება გვმართავს. ჯერ კიდევ გვტკივა კოპერნიკის, დარვინისა და ფროიდის მიერ გაწნული სილა, თუმცა არიან ადამიანები, რომელთაგან შეურაცხყოფაც კი ამაყს გხდის.

მე გალაკტიონის ქვეყანა ვნახე, მის ლამაზ ქვეყანაში ვიყავი...

ვილაცამ თქვა: ადამიანები ერთმანეთს ასწავლიან, მთავარი ის კი არ არის ვინ ვისგან სწავლობს, მთავარია, ვისგან რისი სწავლება შეიძლება...

ვერავინ ჩამოთვლის იმას, თუ რა ვისწავლეთ ჩვენ მისგან. ჩვენ ვერ განვიხილავთ მის პოეზიას, ვერ მოვარგებთ ვერავითარ ჩარჩოს, ვერ ავხსნით, ვერ გავბედავთ ვაქციოთ ის მატერიად.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია იმაზე ვისაუბროთ რას ვგრძნობთ, როცა მას ვკითხულობთ.

პედაგოგისათვის არსებობს რეალობა: გააცნოს მე-12 კლასის მოსწავლეებს გალაკტიონი, როგორც შემოქმედი. მე ეს ყოველთვის მიჭირდა და ვინც იტყვის, რომ ეს ასე არაა – ის, უბრალოდ ტყუის.

აქ ვერ დაგეხმარება ვერც ლიტერატურის თეორია, ვერც განსწავლულობა, ვერც სხვათა ნააზრები. აქ გული უნდა გახსნა და მოემზადო იმ მრავალფეროვანი განცდისა და ემოციისათვის, რომელიც ნაგლეკავს. ეს თვითმკვლელობაა, რომელსაც ღმერთკაცი ჩაგადენინებს.

ჩემს ლიტერატურულ სალონში გალაკტიონის მხოლოდ ერთ ლექსზე ვისაუბრეთ. მოსწავლეებს დავალება მივეცი, მათ უნდა დაეწერათ მათი შეხედულებით, რას ამბობდა „მესაფლავე“.

დათო – აქ ადამიანი ქრება.

მარი – აქ სიკვდილია გაიდეალებული, რადგან ზოგჯერ სიკვდილი გამოსავალია. წარმოიდგინეთ რომ არ იყოს.

ანი – შენ გენაცვალე სიკვდილო.

შეთე – აქ სიკვდილი სჯობს სიცოცხლეს, რადგან სიკვდილი ადამიანში განახლებას იწვევს. ადამიანი ახალ ცხოვრებას იწყებს.

ბადო – ესაა ლექსი იმაზე, თუ როგორ ნადგურდება ადამიანის ოცნებები ყოველდღიურად.

მარიკა – ეს არის გაფრთხილება-გახსოვდეს სიცოცხლე!

თათული – სიკვდილი აქვეა, ახლოს, იგი სასჯელი არაა, იგი კანონია. იოანე მინჩხიც ხომ ამას ამბობს...

მეკო – გალაკტიონმა თქვა, რომ სიცოცხლე გრძელდება, ის დაუპირისპირდა შექსპირს...

თორნიკე – „მესაფლავეს“ არ სჭირდება დიდსულოვანი მკითხველის პროტექცია...

არა, ნამდვილად არ შემეძლო მეთქვა, რომ რომელიმე მათგანი მართალი არაა.

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ;

იმაზე, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, „მესაფლავემ“ „მთელი მსოფლიოს სევდის კონსისტენცია მოახდინა,“ რომ „მესაფლავე“ მხატვრული სევდიანი ფეირვერკია, რომელიც ერთბაშად გვიპყრობს, მისი ტანჯული სულიერება არ დაგვავიწყდება.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელმაც სისხლხორცეულად განიცადა სიყვარული და დაკარგა?

ჩვენ ვიცით რამდენიმე წყვილი, რომლებიც სიყვარულს შეეწირნენ: რომეო და ჯულიეტა, მოდილიანი და ჟანა ებიუტერნი...მათ ის აკავშირებთ, რომ გარდაცვლილი გულისწორების გარეშე სიცოცხლე არ ისურვეს... პირველმა წყვილმა საწამლავი დალია. მოდილიანის სიკვდილის შემდეგ ჟანამ თავი მოიკლა – გადმოხტა. სიკვდილამდე წერილი დატოვა, ითხოვდა, რომ მის საფლავზე ასე დაეწერათ: „აქ განისვენებს ჟანა ებიუტერნი, რომელმაც მოდილიანის გარეშე სიცოცხლე არ ისურვა.“ისინი ამ ქვეყნიდან თავიანთი გრძნობის მარადიულობის დასამტკიცებლად წავიდნენ და წინ აღუდგნენ სამყაროს კანონზომიერებას. მათი სიკვდილი პროტესტია, ზოგადად ყოფიერებისა და ბუნებრივი კანონების წინააღმდეგ, პროტესტი იმაზე, რაც იყო და პროტესტი იმისა, რაც არ იყო. ამავე დროს, რწმენა იმისა, რომ ის, რაც აქ არ არის, იქ აუცილებლად იქნება...

ქართულ ლიტერატურაში ჩვენ ისეთ ქალებსაც ვიცნობთ, რომლებმაც სიყვარულს ყველაფერი შესწირეს და „ცოცხალ თვითმკვლელებად“ იქცნენ. მაგალითად, ოთარაანთ ქვრივი... თავსაფრიანი დედაკაცი, ეს ადამიანური ტრაგედიაა, ხოლო ლიტერატურა – ძირითადად ტრაგიკული კულტურა.

გალაკტიონმა „მესაფლავე“ 19 წლის ასაკში დაწერა. აქ მე წარმოსახვისა და ყოფიერების აღქმის არნახულ მასშტაბს ვხედავ. „აქ არის გადმოცემული პოეტის ჯერაც გულუბრყვილო შეხედულებები ადამიანის სიცოცხლის სასრულობის შესახებ, არა მხოლოდ ფიზიკური,არამედ სპირიტუალური თვალსაზრისით.“ სამყარო, ანუ ყველა სხვა არსებულის ერთობლიობა არსებობს იმდენად, რამდენადაც ვარსებობ მე. ყოფიერება შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომელიც ჩემს დაბადებასა და სიკვდილს შორის არსებობს. მანამდე და მერე არის მხოლოდ არარა. მე

მოვედი არარადან და ნავალ არარაში. აი, ასეთი პოზიცია იკვეთება „მესაფლავის“ დროინდელი ქაბუკის ცნობიერებაში.

ადამიანი ქრება ხორციოთაც და სულითაც და რაც ყველაზე მეტად სავალალოა, იგი ქრება ადამიანის მეხსიერებისგანაც, ანუ ის ქრება საერთოდ:

„მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...

სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.“

შესაძლოა, აქ ავტორის სულიერი კაპიტულაცია დავინახოთ. ავტორისა, რომელსაც 19 წლის ასაკში უნვია განუმეორებელი სევდა, სევდა „ადამიანად ყოფნისა“ და სევდა „ადამიანად არყოფნისა.“

„– რა არის სიცოცხლე? –

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“... /გოდერძი ჩოხელი/

გალაკტიონს, ალბათ ძალიან მოეწონებოდა ქართული ფენტეზის ეს არაჩვეულებრივი ნიმუში, რადგან იგი სწორედ რომ სევდით (სხვაგვარად ვერ ვიტყვი) განიცდიდა მთელი ორგანული და არაორგანულ სამყაროს შესაძლო კვდომას, მის სულს ხეთა ფოთლების ბედიც და ბალახთა ფერიც ანთრთოლებდა, იგი „მთელ კოსმოსს ატარებდა თავის შინაგან სამყაროში, თან არა მხოლოდ რეალურს, არამედ ირეალურს.“

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ლექსის გარემო ყოფითი და ჩვეულებრივია, მის სახეებში სულ სხვა, არამიწიერი ჩანაფიქრი ამოიკითხება.

მას ტანჯავს პესიმისტური შეგრძნება იმისა, რომ „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

გალაკტიონი სიკვდილით იგვემება და სიკვდილის ფასი უკვე იცის... სად არ კვდება: „მთაწმინდის მთვარეში“ („და მეც ვკვდები სიმღერებში ტბის სევდიან გედად“), რომელშიც „სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა! ლურჯა ცხენებსა თუ შერიგებაში“...

არსებობა იყო, მისი პირადი სიცოცხლეც და სამყაროს ყოფნაც. მას აბსოლიტურად ჰქონდა ნაგზნები ტკივილი, სამწუხარო ემპირიული რეალობა ყოფნა-არყოფნისა, ის შინაგანად ატარებდა ოპტიმიზმის დაუოკებელ სურვილს, ტკივილსა და იმის იმედს, რომ არ შეიძლება ყველაფერი ასე დამთავრდეს. ეს ფიქრები მას არასოდეს არ ტოვებენ და ამ სამყაროში აძებნინებენ პასუხს... სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მისი შემოქმედების „თემა“ არ ყოფილა. ის ამით ცხოვრობდა, მაშინაც კი, როცა „მესაფლავემ“ მოამზადა „ლურჯა ცხენები“. „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი „მესაფლავის“ მიერ გათხრილ სამარეში წევს“ /სანდრო ბარამიძე/.

მაგრამ მართალი ვიქნები მაშინაც, თუ ვიტყვი, რომ მესაფლავე ადამიანის მარადისობის, სიცოცხლის ზნეობის დაუცხრომელი რწმენა და მაღალი ჰიმნია.

მაშინაც, რაღაც მომენტში ნაშლილია ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის...

მაშინაც, აქ მესაფლავე თითქოს გაქვავებული კადრის წინაშე დგას, მან იცის „როგორც ხდება“.

მაშ რა? – რა თქვა გალაკტიონმა: თავი მოვიკლათ რომეო და ჯულიეტესავით, თუ შევეგუოთ. („შერიგება“), ვაღიაროთ მისი კანონები და ცხოვრება გავაგრძელოთ?

აქ გადაშლილია ადამიანის ფსიქოლოგიური პანორამა: ყოფნა-არყოფნა?

ჰამლეტის გმინვა შეცვლილია ყოფნით არსებობით: რომ ვიარსებოთ მარადიულში, მანამ კი დედამიწაზე ვიღვაწოთ, რომ გვტკიოდეს, გვიყვარდეს, გვესმოდეს გულითა და არა მხოლოდ ყურით, ვიტანჯებოდეთ, ვგრძნობდეთ...

ბოლოს და ბოლოს ვისწავლოთ სიამაყე და გარდავიცვალოთ ამაყად...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სანდრო ბარამიძე – ყოფიერება და დრო გალაკტიონის პოეზიაში.
2. ცირა ბარბაქაძე – როგორ ნავიკითხოთ ერთი ლექსი სამ სემიოტიკურ ენაზე.
3. მაია ჯალიაშვილი – გაგება თუ ტკბობა – პოეზიის ინტერპრეტაციის საიდუმლო.

ომარ ძაგნიძე

თსუ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიისთვის

საქართველოში საერო და საეკლესიო მწერლობის განვითარებისათვის აუცილებელ სატერმინოლოგიო მუშაობას წარმატებით ეწეოდნენ გიორგი მთაწმინდელი (1009-1065), ეფრემ მცირე (XI საუკუნის მეორე ნახევარი) და იოანე პეტრინი (XI-XII).

ასეთი წარმატებული მუშაობა საუკუნეებით დაამუხრუჭეს-შეაჩერეს ქართული ცნობიერების მტრებმა, რომელთა მიზანი იყო ქართული ტერიტორიების მიტაცება-გავერანება და ქართული სულიერების განადგურება.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის დროდადრო გამოჩნდებოდნენ მამულის და რწმენის შეუპოვარი დამცველნი. მათი დიდი მცდელობის შედეგად, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა წინსვლა კულტურის დარგში და კერძოდ განათლებაში, რასაც დიდ ყურადღებას აქცევდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798).

განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი და წარმმართავი იყო კათალიკოსი ანტონი I - ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788), რომლის ინიციატივით 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია. აქ ისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია.

1758 წელს კი თელავში, მეფის სასახლეში დაარსდა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი სკოლა, რაც 1782 წელს გადაკეთდა თელავის სემინარიად. იქ ისწავლებოდა: მათემატიკა, ფილოსოფია, ღვთის მეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებრივი განსხვავების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქ. ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად 1756 წელს დანიშნულმა ანტონ I-მა, იმავე წლის 26 დეკემბერს დაასრულა ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის, ქრისტიან ვოლფის შვიდნაწილიანი „ფილოსოფიის" მეშვიდე ნაწილისა „თეორიული ფიზიკა". ეს სახელმძღვანელო სავალდებულო იყო თბილისისა და თელავის სემინარიებში. თბილისში ამ სახელმძღვანელოთი თვითონ ანტონ I კითხულობდა და მის ლექციებს ესწრებოდა ერეკლე II. თარგმნისას ანტონ I სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით და არსენ იყალთოელის „ფისიკით" – XII საუკუნე.

თბილისის სემინარიამ იარსება 1795 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ირანის შაჰმა აღა-მაჰმადხანმა (1742-1797წწ) არ დაანგრია თბილისი. შაჰის ერთ-ერთი მიზანი იყო საბრძოლო იარაღების სახელოსნოების გაძარცვა-განადგურება. თელავის სემინარიამ კი იარსება საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე (1801წ), რის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

ტერმინოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი დუნეა და ოდნავ გამოცოცხლება შეიმჩნევა მეორე ნახევრიდან: საქართველოს საკუთარი არ ჰქონდა მეცნიერება, ტექნიკა, სკოლა და ამიტომ ტერმინოლოგიის საჭიროებაც არ იყო.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის მაინც არსებობდა ქართული ენის გულშემატკივარნი. მათგან უპირველესი იყო ქართული ენის დიდი ოსტატი და მოამაგე ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომლის შექმნილია ტერმინები: მიმართულება, თვალთახედვა, შინაარსი, აგებულება, სინამდვილე, შთაგონება, განყენებულობა და მრავალი სხვა.

1873 წელს „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უწყებაში" დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის (1824-1901) 100 გვერდიანი ორიგინალური ნაშრომი „შემოკლებული ლათინურ-ქართულ-რუსული ბოტანიკური ლექსიკონი."

ამ ნიგნში 400 მცენარის ქართული სახელი თარგმნილია რუსულად და ლათინურად, ხოლო ქართულად ჩამოთვლილია 700 სხვა მცენარის სახელი, რომელთა შესატყვისი რუსულად და ლათინურად ან არ არსებობდა, ანდა ავტორს ვერ მოუძებნია და სთავაზობს დაინტერესებულ პირთ, იქნებ მათ ფარგმნონ ეს სახელები.

ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა 1880 წლის შეკრებაზე გორის 1876 წელს დაარსებული საოსტატო რუსულენოვანი სემინარიის დირექტორმა ბ. სემიონოვმა განაცხადა: სახალხო (საერო) სასწავლებლებში სწავლა უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს წიგნები და არც ტერმინებიო.

ცოდნის სხვადასხვა დარგში ქართული ლექსიკონების შესაქმნელად მუშაობის დაწყებამ დიდად შეუწყო ხელი, ბ. სემიონოვის აღნიშნული გამოხდომის საპასუხოდ რაფიელ ერისთავის წერილმა „რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?" (გაზეთი „დროება" 1880 №212), რომელშიც ჩამონერილია ბუნების რვა სამეფო და მრავალი რუსული ტერმინის ქართული ვარიანტები. წერილის ბოლოს რ. ერისთავი მოუწოდებდა ბ. სემიონოვს, შეეწყვიტა ქართულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ ლაპარაკი.

მართლაც, 1882 წლის ნოემბერში მუშაობა დაიწყო ქართული მეცნიერული ტერმინების შემმუშავებელმა კომისიამ, რაფიელ ერისთავის (თავმჯდომარე), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის (1840-1915), იაკობ გოგებაშვილის (1840-1912), ზაქარია ჭიჭინაძის (1854-1931) და სხვათა მონაწილეობით. კომისიის პირველი სამი სხდომა მიეძღვნა ქართული ტერმინების შექმნას არითმეტიკასა და ფიზიკაში. კომისიის მუშაობის შედეგები იბეჭდებოდა გაზეთებში საერთო-სახალხო განხილვისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მთარგმნელისა და ლექსიკოგრაფის კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის მიერ შედგენილი მუტად საყურადღებო „რუსულ-ქართული ლექსიკონი ასტრონომიის, ზოოლოგიის, მინერალოგიის და სხვა ტერმინებისა და ტექნიკური სიტყვებისა," (ტფილისი 1896წ.)

1903 წელს ერთ-ერთ ფართო შეკრებაზე პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ენისთვის ზიანის მომტანია მისი ცალკე საგნად სწავლება და რომ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზეო. ი. როსტომაშვილის ამ გამოსვლას საკადრისი პასუხი გასცა იაკობ გოგებაშვილმა, რის შემდეგაც როსტომაშვილმა უკან ნაიღო თავისი სიტყვები.

რუსეთის ხელისუფლებამ 1914 წელს გიმნაზიებს ნება დართო პირველ სამ კლასში ყველა საგანი ესწავლებინათ ქართულად, შემდეგ კლასებში ეს მოვლენა გაგრძელდებოდა ნელ-ნელა.

და აი, 1915 წელს გაზეთში „სახალხო ფურცელი" (№305) დაიბეჭდა საყურადღებო წერილი „ქართული ლექსიკონის შესახებ", რასაც ხელს აწერდა იმ დროს უკვე კარგად ცნობილი 9 მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე: ივანე ჯავახიშვილი (1876-1940), კორნელი კეკელიძე (1879-19620), იუსტინე აბულაძე (1874-1962), იოსებ ყიფშიძე (1882-1919), სერგო გორგაძე (1876-1929), ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951), ვუკოლ ბერიძე (1883-1963), პავლე ინგოროყვა (1893-1983) და აკაკი შანიძე (1887-1987).

მოწოდებითი ხასიათის ამ წერილის მიზანი იყო, რომ ქართულ ენას დაებრუნებინა სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი ენის სტატუსი. მალე, 1916 წელს ქუთაისში დაიბეჭდა ვასილ წერეთლის (1862-1937) ნაშრომი „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია ივანე პეტრინის თარგმანის მიხედვით."

დიდად წარმატებული მუშაობა ჩაატარა მათემატიკოს-პედაგოგმა იოსებ ავალიშვილმა (1886-1979). მან, 1917 წელს თბილისში გამოსცა 62 გვერდიანი ლექსიკონი „მატემატიკური ტერმინები, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული." ამ ლექსიკონის საფუძველზე დამკვიდრდა ქართულ ენაში, მაგალითად ტერმინი „მოცულობა" ნაცვლად რუსული „ობიომი"-სა.

საქართველოს მძიმე ეკონომიკური პირობების გასაანალიზებლად ი. ავალიშვილმა შეისწავლა საფინანსო დარგი, შეიმუშავა სათანადო ქართული ტერმინები და გამოაქვეყნა პრაქტიკული მნიშვნელობის სახელმძღვანელოები „ბალანსის ანალიზი" (1927) და „ფინანსური გამოანგარიშების სახელმძღვანელო" (1928). მანამდე კი, 1920 წელს გამოსცა „არითმეტიკის სახელმძღვანელო," ნაწილი I.

მოგვიანებით, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი (1914-1998) მოუწოდებდა სათანადო დარგის სპეციალისტებს დაინტერესებულიყვნენ ამ წიგნებში გამოყენებული ტერმინებით.

მომდევნო წლებში გამოცემულ ლექსიკონებს „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი) საშეკარდენო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით" (1920წ, 1921წ), „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი" (1925) და „მათემატიკური ტერმინები" (1925) ბრალად ედებოდათ ტერმინების მოჭარბებული ქართულობა (განსაკუთრებით სიტყვარს).

ამის გამოსასწორებლად და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გაჩენილი მატემატიკური ახალი ტერმინების გასაქართულებლად ინტერნაციონალურად ელფერის შენარჩუნებით, 1944 წელს გამოიცა 117 გვერდიანი „მათემატიკური ტერმინოლოგიის" რუსულ-ქართული ნაწილი ვუკოლ ბერიძის რედაქციით.

ყოველი ზემოთქმულის გაანალიზება და მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უცხო ენებზე გაჩენილი უამრავი მათემატიკური ტერმინის თავმოყრა-გაქართულება დაევალა ანდრია რაზმაძის (1889-1919) სახელობის მატემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულ კომისიას, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით.

შესაბამისი დადგენილება მიღებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ: უნდა შექმნილიყო ტერმინოლოგიური ფართო კომისიები მათემატიკასა და ეკონომიკაში.

1973 წელს შეიქმნა მათემატიკური ტერმინოლოგიის დამდგენი ფართო კომისია 30-ზე მეტი წევრის შემადგენლობით. მაგრამ, ტერმინოლოგიურ კომისიაში მძიმე და მომქანცველ სამუშაოს ადრევე განერიდა კომისიის წევრთა უმრავლესობა და განმეორდა ადრინდელი სატერმინოლოგიო ყველა კომისიის „სენი". ტერმინოლოგიაზე მუშაობის დასრულების შემდეგ (1996 წ), მთელი მასალა განსახილველად გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიურ განყოფილებას. გარკვეული დროის შემდეგ კომისიის 4-5 წევრი მონაწილეობდა მიწოდებული მასალის რამდენიმე თვიან განხილვაში ქალბატონი როგნედა ღამბაშიძის (1922-1993) მეთაურობით და ეს განხილვა ყოველთვის არ იყო უკამათო.

ფინანსების უქონლობის გამო, მომზადებული მასალის დაბეჭდვა გადაიდო გაურკვევილი ვადით.

აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ავტორობით 1997 წელს ცალკე დაიბეჭდა მოკლე ექვსენოვანი „მათემატიკური ლექსიკონი" 2500 ტერმინით.

გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის კომისიაში დარჩა 6 წევრი: კომისიის ხელმძღვანელი გიორგი ჭოღოშვილი (1914- 1998) და წევრები გივი თევზაძე (1919-1985), გურამ სულხანიშვილი (1933-1986), რამაზ აბდულაევი (1936-2004), ომარ ძაგნიძე, ადა მიჩიტაშვილი.

ამ 6 წევრის ავტორობით 2010 წელს გამოიცა „რუსულ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი" 40000 ტერმინით, ისიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის შოთა მახარაძის (1959-2015) სპონსორობით. 459 გვერდიან ამ ლექსიკონში მრავალი ახალი ტერმინია და გარდა ამისა, დაზუსტებულია და ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამართული ბევრი ძველი ტერმინი.

ჩვენი ეს წერილი გვინდა დავასრულოთ თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846), დიდი ლექსიკოგრაფისა და პეტერბუგის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელის სიტყვებით: „დიდი ღვაწლი უნდა და დიდი ჯაფა აქვს ლექსიკონის კეთებას."

თამილა მუკანაძე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელი

სადღესასწაულო და ხალხური რიტუალები ვანის რაიონის ზოგიერთი სოფლის მიხედვით

ქართული კულტურის ისტორია საფუძველს საუკუნეთა სიღრმეში იღებს. სწორედ, ამ პერიოდიდან იწყება და თანდათანობით იკრებს ძალას უძველესი რელიგიური წარმოდგენები და მასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალები, რომელთა წიაღშიც ისახება სანახაობითი კულტურის პირველსაწყისები. მდიდარი კულტურის საწყისი ეტაპის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის უძველესი საკულტო დანიშნულების ნივთები, რომლებზეც გამოსახულია რიტუალური თუ მითოლოგიური სცენები. ასეთი ნივთები ნაპოვნია ვანის რაიონში არქეოლოგიური გათხრების დროსაც.

საწესჩვეულებო რიტუალები ფართო მნიშვნელობისაა. ზოგადი წარმოდგენით იგი ყოველგვარ წეს-ჩვეულებას გულისხმობს და არაა ინდივიდუალური მოვლენა, იგი არაა ერთი პირის შემოქმედების ნაყოფი, მას ისტორიულად ხალხი ქმნის და კოლექტიურად განასახიერებს წლის განსაზღვრულ დროს. არის კალენდარული ხასიათის დღეობანი, იგი განუმეორებელია, ერთხელ სრულდება გარკვეულ თვეში და შემდეგ, მომდევნო წლისთავს ელოდება. ასეა ახალი წელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთხელ აღინიშნება წლის დასაწყისში და მომდევნო იანვრის პირველ რიცხვამდე აღარ განმეორდება. ერთჯერადია და დედამიწის ყველა კუთხეშია გავრცელებული, მას წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ.

არსებობს ისეთი წეს-ჩვეულებები, რომელთა შესრულებისათვის არ არის აუცილებელი კალენდარული თანმიმდევრობა. ასეთებია: საოჯახო-საყოფიერო შინაარსის ჩვეულებები, ქორწილისა და ნიშნობის, გლოვისა და დატირების, სტუმრობისა და მასპინძლობის და ა. შ. მათ შესახებ წინასწარ არავინ იცის, კონკრეტულად რომელ დღესა და რომელ რიცხვში მოგვევლინება.

საწესჩვეულებო დღესასწაულები ორ ჯგუფად განიყოფება: რელიგიური და არარელიგიური. რელიგიურს თავისი საკუთარი რიტუალები, ცერემონიები ახასიათებს, ხოლო არარელიგიურს ასეთი რამ არ გააჩნია, იგი ისეთი საერთო და ადგილობრივი საყოფაცხოვრებო ხასიათის ღირსშესანიშნავი დღეები, თარიღებია, რომელთაც რელიგიასთან კავშირი არა აქვთ.

წეს-ჩვეულება საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე წარმოიქმნება, რომელიც თანდათან ყალიბდება, მკვიდრდება ცხოვრებაში და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ქართული სიტყვაც „დღესასწაული" ზედმიწევნით მიუთითებს მის შინაარსზე. სულხან-საბას განმარტებით: „დღესასწაული ესე არს დღე დიდებული და წმინდა, რომელსა შინა თანაგვაც სხვათა საქმეთა დატევება და მოცლა ვედრებად ღვთისა." მართლმადიდებლურ ქრიასტიანულ დღესასწაულებს თავისი საწყისები ეძებნება.

ყველაზე მეტად პატარებს უხარიათ ოქროსფერი შემოდგომის დასრულება იმედად იმისა, რომ კარზე ახალი წელი მოგვიკაკუნებს და კიდევ უფრო გაიხარებენ. ახალი წელი საქართველოში დიდ დღესასწაულად ითვლება. იგი თავდაპირველად, როგორც სხვა წარმართულ ქვეყნებში მზის ღვთაებასთან იყო დაკავშირებული, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წმინდა ბასილი დიდის ხსოვნას დაუკავშირდა. ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. VII საუკუნემდე – აგვისტოში აღნიშნავდნენ, VII-IX საუკუნის დამდეგამდე სექტემბერში, შემდეგ მარტში გადაიტანეს, ხოლო XIV საუკუნიდან საბოლოოდ დადგინდა იანვარში.

საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანია ერთი – მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა, წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა

დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთით. მრავალ ახალ წელს!"

ახალი წლის გასალამაზებელი მთავარი ატრიბუტია ლამაზად მორთული ნაძვის ხე და საახალწლო რიტუალში შემორჩენილი „ჩიჩილაკი", რომელიც თავისი მორთულობით და გობზე დალაგებული სანოვაგით სარიტუალო თვისებების მატარებელია. „ჩიჩილაკს" თხილის ჯოხისგან აკეთებენ და მისივე კურკიანი ტოტით ამკობენ, თავზე ჯვრის გამოსახულებით, თხილი წმინდა ხედ ითვლება. „ჩიჩილაკის" სარიტუალო მორთულობა დაკავშირებულია ოჯახში მამრობითი სქესის წამომადგენელთან, რაც უფრო ხშირი და გრძელია ჩიჩილაკის ბურბუშელები, მით უფრო სქელი და გრძელი წვერ-ულვაში ამოუვა ოჯახის მამრობითი სქესის წამომადგენელს. ჩიჩილაკი აუცილებლად ნათლისღების წინა დღეს ცეცხლზე უნდა დაიწვას.

ახალ წელთან დაკავშირებით მეკვლე პირველია, ვინც ოჯახს ეწვევა სხვაზე ადრე და ბედნიერებას უსურვებს. მეკვლის შერჩევა და მისი მოსვლა ოჯახს სადღესასწაულოდ განაწყობდა ხოლმე. არჩევდნენ „კარგი ფეხის, კარგი ბედის, ალალი გულის მქონე ადამიანს, რომელიც ოჯახისადმი კეთილად იყო განწყობილი და მისთვის არაფერი არ შეშურდებოდა. მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროს წევრსაც შეეძლო წარმოეთქვა ლოცვა, ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ შემოევლო სახლისათვის და უფლისთვის სიკეთე და ბედნიერი წლის დადგომა ეთხოვა. ხონჩაზე აუცილებლად ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური და ტკბილეული უნდა ყოფილიყო. სახლისთვის სამჯერ შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შევიდოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაჰკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკალს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: „ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი,ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი. დაე, ეს წელი ამ ნაპერწკალივით უხვი იყოსო."

თითოეულ სოფელს ქრისტიანული დღესასწაულების თავისებური ინტერპრეტაცია ახასიათებს, ამ მხრივ არც ვანის რაიონის ერთ-ერთი სოფელი „ინაშაურია" გამონაკლისი. ისე, როგორც ვანის ყველა სოფელში, აქ დიდ ყურადღებას აქცევენ ძველით ახალ წელს – 14 იანვარს, რადგან პირველ იანვარს საზოგადოების ნაწილი საშობაო მარხვაზეა, ამიტომ, მხოლოდ გარეგნული მშვენიერებით – ნაძვის ხის მორთვით, ფეიერვერკებით, შუშსუნებით და გემრიელი სამარხვო სუფრით ხვდებიან ამ ლამაზ დღესასწაულს.

ძველით ახალ წელს სოფელში სულ სხვა ხიბლი აქვს, ტრადიცია – რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს, თითქმის არ შეცვლილა.

„13 იანვარს, სოფლის ყველა ოჯახში ორ ქათამს, დედალსა და მამალს, ვენახის წალამზე დაკლავენ, სისხლს წალამზე გადაავლებენ – ყურძნის უხვი მოსავლის სიმბოლოდ. გასუფთავებული ქათმის ნარჩენებს გადაღვრიან სახლის მოშორებით, სადაც ქათმები საკენკად სწორედ ამ მხარეს ივლიან. შუაღამისას, ოჯახის უფროსი მოზრდილ ხის მორს შემოიტანს ბუხარში, კერიას დაუდებს, ამის შემდეგ ოჯახში სტუმრად აღარ მიდიან."

საახლაწლოდ, ლამაზად მორთულ ნაძვის ხესთან აუცილებლად დგას პატარა ჩიჩილაკი. დიასახლისი მეკვლისთვის ამზადებს ხონჩას, რომელზეც ალაგია ტკბილეული, ფული, ყველაფერი ძვირფასი და საუკეთესო რაც ოჯახშია, აგრეთვე 21 ცალი კაკალი (ნიგოზი) – სიმბოლოდ 21 ნიწილას კვერცხიდან გამოსაჩეკად და ღომის ან პურის მარცვალი. შუაღამემდე მაგიდასთან არავინ ჯდება. თორმეტს რომ წუთები დააკლდება, ოჯახის უფროსი ხონჩას აიღებს, რომელსაც გარშემო სანთლები აქვს ანთებული, სამჯერ შემოუვლის სახლს, კარზე დააკაკუნებს და დაიძახებს:

– კარი გამიღეთ!

– რა მოგაქვს? ისმის ოთახიდან. ის ოჯახს უამრავ სიმდიდრესა და სიკეთის მოტანას ჰპირდება, ასე განმეორდება სამჯერ, შემდეგ კარი გაიღება, ოჯახის უფროსი ისევ ლოცვით შემოდგამს მარჯვენა ფეხს, მარცვალს მოაბნევს და მთელ ოჯახს მიულოცავს ახალ წელს. ამის შემდეგ, სრულ 12 საათზე მიუსხდებიან სადღესასწაულო სუფრას.

დილით სოფლის მკვიდრნი შეძახილებით ულოცავს ერთმანეთს. ეს ტრადიციული დღესასწაული არ შეცვლილა, როგორც საუკუნეების წინათ ხვდებოდნენ ამ დღეს, ისე ხვდებიან დღესაც.

ძველით ახალი წლის ტრადიცია აღინიშნება სოფელ ძულუხშიც, მზადება მასიურად ყველა

ოჯახშია, იმისდა მიხედვით, ვის რა შესაძლებლობა გააჩნია. დღესასწაული, ანუ, როგორც მას უნოდებენ „შელოცვა ღამეს," ოჯახები რჩებიან მშვიდ გარემოებაში, მხოლოდ ოჯახის წევრებთან ერთად. განსაკუთრებულია მეორე დღე (ე. ი. 31 დეკემბრის ღამიდან პირველი იანვრის 10-11 საათამდე), ეს პერიოდი მიჩნეულია როგორც ფერხაობა ოჯახში, კეთილი ფეხით მოსვლა, რაც იმის დასტურადაც მიაჩნიათ, რომ მთელი წლის განმავლობაში ოჯახში სიკეთე დაისადგურებს, „მფერხავებიც" ოჯახის წევრები არიან, მათთან ერთად ბავშვებიც, თუ ოჯახში ასეთებიც ცხოვრობენ. მათი გაგებით ბავშვი სიმბოლოა სისუფთავის, სისპეტაკის, უბოროტობის და ა. შ. ერთი სიტყვით, ყოველგვარი სიკეთისა. პირველ იანვარს ოჯახში მისული სტუმარი, მეზობლიდან დაწყებული, ისე ვერ გავა სახლიდან, თუ ერთი სასმისი არ ასწია, ე. ი. თუ არ დაილოცა. სოფლის ზოგიერთ უბანში 31 დეკემბრის საღამოს რიტუალი აღინიშნება განსხვავებული ფორმით, როდესაც, როგორც იტყვიან შელოცვა ღამეს, სუფრა (ვახშამი) გამზადდება, ოჯახის მამაკაცი წევრები გადიან გარეთ, ქალბატონები კი რჩებიან ოთახში და ფუსფუსებენ მაგიდასთან. აანთებენ სანთლებს, ოჯახსა და მის წევრებს შეავედრებენ განგებას (ღმერთს). ამ მომენტში ქალბატონები ღვინით ჭიქებს შეავსებენ, მაგრამ თავად არ დალევენ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სუფრასთან მსხდომი ქალბატონები ღვინოს არ მიირთმევენ, მაგრამ განსაკუთრებული დოზით. დღევანდელობისაგან განსხვავებით ქალის სიმთვრალე სირცხვილად და ძიუღებლადაა მიჩნეული. ე. ი. სუფრის მორთვის ცერემონიალის შესრულების შემდეგ მამაკაცები შედიან სახლში, რომლის შემდეგაც მთელი ოჯახი მიუსხდება სუფრას. ვფიქრობთ, ამგვარი რიტუალი თავისებური სიღრმიდან მოდის და მას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე ოჯახის უფროსი და მამაკაცებიც ხშირად იმყოფებოდნენ დამატებით საშოვარზე და საკუთარ სამუშაოთა დასრულების, ან კონკრეტული სეზონის დროს ისინი მიემგზავრებოდნენ სახლიდან. განსაკუთრებით, ეს პერიოდი ხანგრძლივი გამოდგა დიდი სამამულო ომის დროს, როდესაც ფრონტზე გაწვეული იყო თითოეული ოჯახიდან ერთი მამაკაცი მაინც. ეს რიტუალიც, როგორც ჩანს, უკავშირდება ოჯახიდან გასული მამაკაცების უკან მშვიდობით დაბრუნების სურვილს და შემდეგში, ოჯახის კვლავ გამთლიანებას, რომელიც საახალწლო (ე.წ. შელოცვის ღამის) სუფრასთან ერთად ჯდომითა და ოჯახური იდილიით გამოიხატება.

საახალწლო ჩვეულებანი მრავალფეროვანია საქართველოს კუთხეების მიხედვით, როგორც ეს აღვნიშნეთ. ხალხში მეტი სიძველე და წარმართული ელემენტები იჩენს თავს. ჩვენი წინაპრები დიდი ზეიმით და თადარიგით ხვდებიან ახალი წლის დადგომას, სხვა ჩვეულებებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მხატვრულ სიტყვას. ამას ადასტურებს სოფელ სულორში აღნიშნული ახალი წლის რიტუალი, რომელშიც ჩართულნი არიან ახალგაზრდები, მოხუცები, რომლებსაც შემდგომ უერთდებიან პედაგოგებიც და ალამაზებენ ამ საღამოს. დღესასწაული აღინიშნება კურორტ სულორის დარბაზში, კაფე-საღამოს სტილში.

შობის დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება – ქრისტესშობის თვე მეტყველებს. 25 დეკემბერი, ქრისტესშობის დღე, ეკლესიამ IV საუკუნეში დააწესა.

შობა არის ჩვეულებრივი მოვლენა. ესაა სიკეთის, სათნოების, უფლის ძალაუფლების დამკვიდრება დედამიწაზე, კაცთა შორის მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის მქადაგებელთა სიტყვის ზეიმი. ღვთისმშობლის წილხვდომ საქართველოში, შობის დღესასწაული ქრისტეს კულტის ერთ-ერთი მთავრი ნიშანია და მისი სარიტუალო თვისება საერთოა ყველა ქრიასტიანი ხალხისთვის.

ვანის სოფლებისთვისაც შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლავს – კარდაკარ სიარული და „ალილოს" სიმღერა, რომელიც მივიწყებული ტრადიცია იყო და აღსდგა საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. ფიქრობენ, რომ მისამღერი სიტყვა და რიტუალის სახელი „ალილო" მომდინარეობს „ალილუიადან". ალილუია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „აქებდეთ უფალს". დღესასწაულის მისალოცად შობის წინა ღამეს მომღერლები თითოეულ ოჯახში მივიდოდნენ და ასრულებდნენ ამ სარიტუალო სიმღერას: „არიელი მარიელი, ნუ გამიშვებ ცარიელიო". ლექსში შექებულია პურადი და უხვი მასპინძელი, ძუნწი და ხელმოჭერილი კი გაკიცხული. ვინც ამ ღამეს ეკლესიაში ვერ მიდის, ის ფანჯარასთან ანთებს სანთელს, ეს იმას ნიშნავს, რომ უფალს ვეპატიჟებით ოჯახში სალოცავად.

ქართველი კაცის ოჯახში საკუთარი მარნის არსებობა ტრადიციაა. ეს უკავშირდება იმას, რომ „წმინდა ნინო“ ვაზის ჯვრით რომ არ შემოსულიყო საქართველოში, ქართველები ქრისტიანობას არ მიიღებდნენ. ამ ჭეშმარიტებაში ჩანს ქართველობის ვაზისადმი სიყვარული, სანთელ-სარკმეველთან ერთად, ღვთის სადიდებლად, ვაზიც და ღვინოც მიაჩნიათ. ღვინო ამშვენებს ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის სუფრას.

მართლმადიდებლური ეკლესია დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს (23 ნოემბერი და 6 მაისი). წმ. გიორგის სახელზე საქართველოში უამრავი ტაძარია აგებული, ის ქართველთა მფარველად ითვლება. უფლის განგებით ქართველი ერის მფარველობა მას დეკისრა. „წმ. გიორგი ქართველი ერის მეოხია, მისი შემწეობა და მადლი არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს.“

ამ ბრწყინვალე ქრისტიანულ დღესასწაულს, „გიორგობას“, სოფელი გადიდი აღნიშნავს, რომელიც თავისებური ინტერპრეტაციით გამოირჩევა. კერძოდ, კიკუტაძეების გვარი წმ. გიორგის დღესასწაულს აღნიშნავს 6 მაისს, როგორც გვარის მფარველ ანგელოზის დღეს. ამისათვის აქვთ ცალკე ჭური იზაბელას (ადესა) სუფთა წვენით და გიორგობის დღეს ხდიან, იღებენ ღვინოს, შემდეგ ოჯახის უფროსი სამჯერ ატრიალებს ხონჩას, რომელზეც აწყვია შემწვარი გოჭი, სამი ხაჭაპური, სამი მოხარშული კვერცხი და აუცილებლად ანთია სამი სანთელი, თან ჩუმად წარმოთქვამს ლოცვას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. შემდეგ ქვევრს ირგვლივ შეკრებილი კიკუტაძეები სვამენ სამ სადღეგრძელოს: 1– წმ. გიორგის სადიდებელს. 2 – უფლისა და ქრისტიანობის სადიდებელს. 3 – გვარისა და ყველა ქართველის სადღეგრძელოს. ამის შემდეგ ბრუნდებიან ძირითად ოჯახში და იწყება ტრადიციული ქართული სუფრა, სადაც ნებისმიერი გვარის ადამიანს დაუპატიჟებლად შეუძლია მისვლა.

აღდგომის დღესასწაულს მთელი საქრისტიანო განსაკუთრებული სიხარულით და მოწიწებით ხვდება. ეს საყოველთაო დღესასწაულია, რომელსაც მთელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს. აღდგომა, რომელიც მოძრავი დღესასწაულია, გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ (დღე-ღამის გათანაბრების, ძვ. სტილით) პირველ კვირას დგება, იგი ხან მარტის, ხან აპრილის და ზოგჯერ მაისის თვეში გვხვდება. აღდგომის დღესასწაული სწორედ გაზაფხულზეა, მაშინ როცა ბუნება იღვიძებს და საფუძველი ეყრება სამიწათმოქმედო სამუშაოებს, წლიურ სარჩოს.

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს სათავეები შორეულ წარსულში ეძებნება. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ სარიტუალო მიდგომები თითქმის იდენტურია, ჩვენში აუცილებლადაა მიჩნეული მიცვალებულთა საფლავების მონახულება, რიგ შემთხვევაშიც იქვე სუფრის გაშლა, საფლავზე შეღებილი (წითლად) კვერცხის გადაგორება, სააღდგომო კვერის (პასკა) დადება და სანთლის ანთება. შემდეგ ჩამოივლიან სხვა საფლავებს და მოიხსენიებენ მიცვალებულებს. ამის შემდეგ ოჯახებში გრძელდება სადღესასწაულო სუფრა.

ზოგადად, ახალი წელი კარგი საშუალებაა ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად, ამიტომ ყველა ცდილობს ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კარგზე ბევრი. ახალი წლის მთავარი ხიბლი ისაა, რომ ოჯახის წევრები უკლებლივ საკუთარ ჭერქვეშ ხვდებიან ამ დღესასწაულს, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება. ქართველი კაცი უცხო ოჯახში რომ შედის ამბობს – „კეთილი იყოს ჩემი ფეხიო.“ ღირსეულ ოჯახს სტუმრისათვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს.

ასეთი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო წეს-ჩვეულებანი, ძველად, ვანის რაიონის სოფლებში. დრო წრაფად მიქრის, თანდათანობით იცვლება ქართული ტრადიციები და მოგვევლინება ახალ ეტაპად, მაგრამ მაინც საყურადღებო და ქრისტიანულია შემორჩენილი წეს-ჩვეულებები.

იური კორძაძე
მუსიკოსი

მუსიკალური შეხვედრები ლენინგრადში

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ შესაძლოა გამოჩნდნენ ცნობიერებასთან (ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის), ახლო არმყოფნი ადამიანები და „რუსეთუმეობა" დამწამონ. ეს დღეს ძალიან იოლი საქმეა, რადგანაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში იარლიყების მიწებება მოდადაა ქცეული. ადრეც მწამდა და ახლაც მჯერა, რომ ხელოვნება, რომელსაც ადრეული ჭაბუკობის წლებიდან მეც ვემსახურები, იყო და რჩება ხალხთა შორის ურთიერთდაახლოების, სითბოს ჩანერგვის, დადებითი კონტაქტების გაბმისა და მეგობრობის სიდის მშენებლობის მთავარ ფაქტორად. თუ ვინმე ტრაბახში არ ჩამომართმევს, ამ „გზებით" გვიმოგზაურია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნამყვან ქვეყნებშიც და ქართული ხელოვნების, ფოლკლორის თანაზიარი გაგვიხდია იქაური მაყურებელი. შემიძლია გავიმეორო: „ხელოვნებას საზღვრები არა აქვს", ამ განცდით ვემსახურები დღესაც ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ვამაყობ, რომ „ჩემი შეგირდები" თავიანთ შემოქმედების გზაზე მრავალგზის ლაურეატები და გრანპრის" მფლობელები არიან. ვამაყობ იმითაც, რომ თავისი მასშტაბებით „პატარა" ოღონდ დახვეწილი ხელოვნებით განთქმული ვანის მუსიკალური სასწავლებელი, მიწვევით გახდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველაზე კულტურული ქალაქის ლენინგრადის (დღეს პეტერბურგის) სტუმარი, იმ შეთავაზებით, რომ ამ დიდებულ ქალაქში მოგვეხდინა ქართული სამუსიკო ხელოვნების დემონსტრირება, რაც, დაუფარავად რომ ითქვას, ოცნებად ჰქონდა ქცეული არაერთ დიდ შემოქმედებით კოლექტივსაც.

1976 წელს შეიქმნა ვანის სამუსიკო სკოლის პედაგოგ ქალთა ოქტეტი „იავნანა", რომლის ინიციატორი ამავე სკოლის პედაგოგი ვიოლა ნიკოლეიშვილი გახლდათ. სწორედ ქალბატონმა ვიოლამ „მომძებნა" და წარმადგინა სკოლის დირექტორთან ქ-ნ ალვინა გოგოძესთან და სასწასწავლო ნაწილის გამგე ლიანა ნიკურაძესთან. ჩვენი მოლაპარაკება შედგა იმ პირობით, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე (ხელფასის გარეშე) მეხელმძღვანელა ოქტეტისთვის. მუსიკოსები: ლუდა ბრეგვაძე, დარეჯან გიორგაძე, თინა ჩომახიძე, ნუნუკა ჩახუნაშვილი, მანანა ჩლაქიშვილი, მარგარიტა ბათაშვილი, ლელა მეფარიშვილი და მარიკა ნიკოლეიშვილი – ესენი წამოადგენდნენ ოქტეტ „იავნანას" ძირითად ბირთვს.

1976 წელს საკავშირო ფესტივალის ეგიდით საქართველოში ჩატარდა ანალოგიური ფესტივალი, ჯერ ადგილობრივი, შემდეგ ზონალური და ბოლოს ქ. თბილისში დასკვნითი ნაწილი... „იავნანამ" ორივე ეტაპი წარმატებით გაიარა და ქ. თბილისში წარსდგა ძალიან კომპეტენტური ჟიურის წინაშე, რომლის წევრები იყვნენ: სოლოვიოვ – სედოი (თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი), მიხეილ ჩირინაშვილი (კომპოზიტორი და ფესტივალის ორგანიზატორი), შოთა მილორავა (კომპოზიტორი), ოთარ თაქთაქიშვილი (საქართველოს კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი), სულხან ნასიძე (კომპოზიტორი).

თუ წარმოვიდგენთ, იმ ანსამბლების საშემსრულებლო დონეს, რომლებიც ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ, ეს იყო სახელოვნებო მწვერვალი და ამ ფესტივალზე „იავნანამ" მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ხოლო მეორე დღეს საქართველოს რადიოში სამი სიმღერა ჩაწერა... თბილისიდან ვანში დაბრუნებულ „იავნანას" წევრებს, რაონის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული მიღება გაგვიმართა...

ამ წარმატების შემდეგ კულტურის განყოფილებამ (განყოფილები გამგე ლუარა ცხვარაძე) მუსიკალური სკოლის დირექციასთან ერთად თხოვნით მიმართა რაიკომსა და აღმასკომს – ანსამბლი „იავნანა" მუდმივმოქმედი ყოფილიყო და ჩემთვის ხელმძღვანელის შტატი დაეშვათ. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ „იავნანამ" ინტენსიური მუშაობა გააგრძელა და წარმატებით მართავდა რაიონისა და მის ფარგლებს გარეთ კონცერტებს.

1979 წელს ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „საჩინოსთან" ერთად ოქტეტი „იავნანა"

კონცერტების ჩასატარებლად ვოლგოგრადის ოლქის კიკვიძის რაიონს ეწვია, სადაც ათამდე კონცერტი გამართა. ამ გასტროლს საფუძვლად ჩვენი ორი რაიონის მეგობრული ურთიერთობა დაედო.

საოცრად თბილი დახვედრა მოგვიწყო კიკვიძის რაიონის ხელმძღვანელობამ. მათ ორკვირიანი პროგრამა შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა თამაზ ახვლედიანმა დიდი თხოვნის შემდეგ, შეთავაზება ერთ კვირაზე დაიყვანა... ამ ხნის მანძილზე ჩვენს დელეგაციას არ მოკლებია მათი მხრიდან ყურადღება და სუფთა, ადამიანური სითბო. ყველა სოფელში თუ დაბაში, სადაც შევდიოდით ყვავილებითა და თაიგულებით გვხვდებოდა ადგილობრივი მაყურებელი. კონცერტები ანშლაგით მიდიოდა, (ყველაზე პატარა კულტურის სახლის შენობა ხუთას კაცს იტევდა, ხოლო ზოგიერთი სოფლის კულტურის სახლი, 800-ზე მეტ მაყურებელს).

მომავალში მრავალჯერ შეხვედრის იმედით გამოგვაცილეს მასპინძლებმა, რომლის საზეიმო ნაწილი კიკვიძის სახლ-მუზეუმის ეზოში შედგა. „ველის არწივს" ეძახდნენ ჩვენში თქვენს თანამემამულეს. მისი, უშიშარი მეომრისა და დივიზიის მეთაურის, სახელი უკვდავია ჩვენშიო – ასე დაამთავრა თავისი სიტყვა რაიონის პირველმა მდივანმა, გრიგორი მიშკინმა, ხოლო საღამოს რაიონის ულამაზეს კულტურის სახლში, სადაც ორი ათასამდე მაყურებელი და ქალაქის ელიტა ისხდა, ანსამბლი „საჩინო" და „იავნანა" ქართული სიმღერებით ატკბობდნენ მაყურებელს.

დაბრუნებისას, როცა ჩვენი ავტობუსი კიკვიძის რაიონის საზღვარს მიუახლოვდა მძღოლებმა კირილე (ბობოლია) დიასამიძემ და რომან შურაძემ გამოგვძახეს – შეხედეთ პლაკატსო, რომელზეც ქართულად ეწერა – „ჩვენ კიდევ გელოდებით, ვანელებო!"

შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდით ვანში. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ რაიონის ხელმძღვანელებიც.

– თქვენი შემოქმედებითი უნარის დემონსტრირებამ ვოლგოგრადის ოლქის კიკვიძის რაიონის მოსახლეობაში, ჩვენს რაიონს პატივისცემა და სახელი მოუპოვა, როგორც კიკვიძის რაიონის რაიკომის პირველმა მდივანმა, ჩემთან სატელეფონო საუბარში აღნიშნა: ჩვენს შორის ასეთი სახის ურთიერთობა უფრო უნდა გაღრმავდესო, – გვითხრა ბატონმა ნოდარ ანდრიაძემ შეხვედრისას.

გადიოდა წლები და ოქტეტი „იავნანა" ვანელებისათვის საყვარელ ანსამბლად იქცა. იცვლებოდა და იხვეწებოდა რეპერტუარი. თაობათა ცვლასთან ერთად იქმნებოდა ახალი სიმღერები...

1984 წელს ოქტეტი (8 მომღერალი) „იავნანა" გადაკეთდა ფოლკლორულ ანსამბლად – მას „სურიუმი" დაერქვა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელად მე დავინიშნე, ხოლო დირიჟორად აზა მაღლაკელიძე.

1985 წლის დასაწყისში, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს პედაგოგებმა გამოთქვეს აზრი საბჭოთა კავშირის რომელიმე ქალაქის მუსიკალურ სასწავლებელთან შემოქმედებითი ურთიერთობა დაგვემყარებინა. შევთანხმდით, ეს ქალაქი ლენინგრადი ყოფილიყო, რადგან ჩემი ბიძაშვილის, თამაზ კორძაძის მეუღლეს ლენინგრადის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და რამდენიმე წელი იქვე მესამე სამუსიკო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა...

შევადგინეთ წერილი და მეორე დღესვე რაიკომის პირველ მდივანს ვესტუმრე. მისაღებში ბლომად ხალხი დამხვდა და შესვლა რომ არ გამჭირვებოდა შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელის კაბინეტში შევედი და მდგომარეობა გავაცანი – ახლავე შევიდეთო თქვა და წინ გამიძღვა.

ბატონი ნოდარი ჩვეული ღიმილით შემომეგება და მკითხა, რაზე შეწუხებულხარ, „ვაუკაც?!"

ფურცელი გავუწოდე და თან დავამატე ლენინგრადის მესამე სასწავლებელთან ვაპირებთ დამეგობრებას-მეთქი.

წერილი წაიკითხა, მერე ხელი გამომიწოდა და მითხრა – ყოჩაღ! მომწონს თქვენი იდეა და ხვალვე გაემგზავრე, ოღონდ 9 საათზე ჩემთან მოდიო. საშეფო დახმარება მაშინდელმა რაიკოოპკავშირმა, ბატონი რუბენ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით აღმოგვიჩინა და ჩვენც გავემგზავრეთ.

მარტის სუსხითა და პოლარული ღამეებით შემოგვეგება 6 მილიონიანი ქალაქი. პირველად სასტუმროს მივაშურეთ მე და ჩემმა მეგობარმა დურმიშხან დიასამიძემ. (ის თავის საქმეზე იყო წამოსული) სასტუმრო „პრიბალტიისკაიაში" დავიდეთ ბინა.

მეორე დღეს „ნევსკი პროსპექტზე" მოფუსფუსე ლენინგრადელებს შევუერთდით და კითხვა-კითხვით კულტურის სამმართველოში მივედით. მისაღებში რამდენიმე ადამიანი იცდიდა, თუმცა ჩვენ მაშინვე შეგვამჩნია პირადმა მდივანმა და გვკითხა: რა მიზნით ვიყავით ჩასულები. ავუხსენით მიზეზი, ის მაშინვე შევიდა სამმართველოს უფროსთან, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ თავად გამოვიდა მისაღებში და შემობრძანდითო გვთხოვა.

მას ვანის რაიონის პირველი ხელმძღვანელის წერილი გადავეცი. „იგორ კირილიჩმა" სავარძლებისკენ მიგვიპატიჟა და წერილის კითხვას შეუდგა. ორჯერ თუ სამჯერ გადაიკითხა, მერე ფურცელს ნკიპურტი გაჰკრა და ხმამაღლა თქვა – Вот его дело! მერე მაგიდასთან მივიდა და „ჩვენი ნაცნობი" პირადი მდივანი გამოიძახა.

– სასწრაფოდ პირველი მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი მოვიდესო!

მე კუთხარი – არა, ჩვენ მესამე მუსიკალურთან...

– არა, თქვენ იქნებით სსრ კავშირში დაარსებულ ნომერ პირველი მუსიკალური სასწავლებლის სტუმრებიო.

სანამ მის მიერ გამოძახებული პირველი მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი ვიქტორ ალექსანდრეევიჩი მოვიდოდა, ჩვენ მოსასვენებელ ოთახში ნამცხვარსა და კონიაკს მივირთმევდით, იგორ კირილიოვიჩი ყურადღებით ათვალიერებდა აქედან წაღებულ ბროშურებს, რომლებშიც ასახული იყო ვანის ნაქალაქარის, გალაკტიონისა და ტიციანის მუზეუმების, თუ სხვა სახის ფოტო-ილუსტრაციები.

– გაიცანით, ესენი საქართველოდან არიან, თქვენს სასწავლებელთან მეგობრობა სურთ და აბა, თქვენ იცით, როგორ მასპინძლობას გაუწევთო – უთხრა სკოლის დირექტორს, მერე ხელი მაგრად ჩამოგვართვა და წარმატებები გვისურვა.

გამოვედით თუ არა სამმართველოს უფროსის კაბინეტიდან, მისაღებში ლენინგრადის ტელევიზიის და პრესის წარმომადგენლები შემოგვეგებენ.

დამაყარეს კითხვები, თუ საიდან, როგორ, რა სახის ვიზიტით ჩამობრძანდითო... და თუ არა თავად ჟურნალისტების დახმარება, ჩემი რუსულით კარგა ხანს ვიქნებოდით მისაღებში.

მივედით თუ არა მუსიკალურ სასწავლებელში, მოსწავლეები ყვავილებით, ხოლო პედაგოგები ტაშით შემოგვეგებნენ.

გადაწყდა: პირველად ისინი იქნებოდნენ მასპინძლები. „კი, მართალია, ქართველები ძალიან სტუმართმოყვარენი ხართ, მაგრამ არც „პიტერია" ნაკლებიო. (პიტერს ეძახდნენ ლენინგრადელები თავიანთ ქალაქს მოფერებით).

მეორე დღეს ლენინგრადის მუშათა დასახლების (პიტერის) რაიკომის დარგის მდივანთან, ქალბატონ ლარისა ემელიანოვნას კაბინეტში ვისხედით მე და ვიქტორ ალექსეევიჩი – სწორედ ამ რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა „ჩვენი" მასპინძელი მუსიკალური სასწავლებელი.

– ქალაქის ხელმძღვანელობამ იცის თქვენი ჩამოსვლის მიზანი, რომელსაც მიესალმება ყველა, ამიტომ თქვენ საქართველოში გამოგყვებათ „ლენ-რეკლამის" დირექტორი, რომელიც გადაიღებს ფოტოებს, ხოლო მერე ამ ფოტოებს სლაიდების სახით გამოვფენთ მთელს ქალაქში ტურისტების მოსაზიდათო...

მოვედით თუ არა სასტუმროში ტელევიზორი ჩავრთეთ და ვხედავთ სიუჟეტს ჩვენი ვიზიტის შესახებ...

– რას მოესწარი მიტუშიეს ბიჭო, მთელი ქალაქი შენზე ლაპარაკობსო. „დამგესლა" ჩემმა მეგობარმა...

აღფრთოვანებით შეხვდა ლენინგრადელ სტუმარს ბატონი ნოდარი. გაიცვალა წინადადებები, დაისახა მიზნები. მერე კი სათანადო სამსახურებს დაავალა სტუმრისათვის ყველა პირობა შეექმნათ მუშაობისათვის.

ერთი კვირა იმუშავა ვალერი ვალენტინოვიჩმა ვანში. არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე არც ერთი საინტერესო ადგილი, მდებარეობა და საკმაოდ კმაყოფილი გავაცილეთ ვანიდან.

* * *

პირველ ივნისს ჩვენი თვითმფრინავი სოხუმიდან დღის პირველ საათზე ჩაფრინდა ლენინგრადის ბორისოვის აეროპორტში. ყვავილებით, „პურითა და მარილით." არაჩვეულებრივი სითბოთი შეხვდნენ ჩვენს ანსამბლ „სურიუმს" მასპინძლები, ხოლო სასწავლებელში საოცარი შეხვედრა მოგვიწყვეს პედკოლექტივის წევრებმა, მოსწავლეებმა. სკოლის დერეფანში კი აქედან გაგზავნილმა აფიშებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომელიც რამდენიმე დღით ადრე კოპიტნარიდან მფრინავებს გაატანა ვანის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ბ-მა თამაზ გაბუნიამ, (დღეს მამა თადეოზი). ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალაქ ვანის საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ვახტანგ ხურციძე, რომელსაც სხვა შეთავზებაც ჰქონდა, რამდენიმე სიმღერას მღეროდა ტრიოსთან ერთად.

მეორე დღეს ვახტანგ ხურციძე და მე, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს ვეწვიეთ და მასთან საქმიანი საუბარი გავმართეთ.

– ჩვენ ოლქის ხელმძღვანელ მუშაკებთან შევთანხმდით, რომ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში გამოვყოფთ 3000 მ.კვ ფართს, რომელსაც ერქმევა „ვანის მოედანი", სადაც თქვენს რაიონში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის საშუალება გექნებათ, ხოლო ჩვენ, თქვენს რაიონში და რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და კომბინირებულ საკვებს შემოვიტანთო. თუ ეს წინადადება მისაღები იქნება თქვენთვის, მოვამზადოთ სათანადო დოკუმენტაცია და საქმეს შევუდგეთო, გვითხრა აღმასკომის თავმჯდომარემ.

– ეს დიდი საქმეა, ძალიან ხელსაყრელი, მითხრა ბ-ნმა ვახტანგმა, როცა კაბინეტიდან გამოვედით

* * *

სამი კონცერტი ჩავატარეთ და წამოსვლისას მაღალი დონის ბანკეტითაც გაგვიმასპინძლდნენ მასპინძლები. დაინტერესება იმდენად დიდი იყო ქართული ფოლკლორის მიმართ, რომ მათი აზრით უნდა შექმნილიყო პროექტი ადგილობრივ კამერულ ორკესტრთან ერთად, რომელსაც ხშირად უწევდა გასტროლები: ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში, ქართული ფოლკლორული ნიმუშები შეეთავსებინა კლასიკურ მუსიკასთან ერთად...

დამშვიდობების დროს, სასწავლებლის დირექტორმა, ჩვენს შეთავაზებულ წინადადებაზე – მათი სტუმრობის შესახებ, დაგვპირდა – სექტემბერში ვანს ვეწვევითო.

* * *

კოპიტნარის აეროპორტში დავხვდით სტუმრების 32-კაციან დელეგაციას. დადგა ლენინგრადელთა შემოქმედების დემონსტრირების დროც. კამერულმა ორკესტრმა დაიპყრო რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა ვანის კულტურის სახლის სცენაც და მაყურებელიც, კონცერტი განმეორებით აჩვენეს ახლა უკვე შერეული ძალებით ანსამბლ „სურიუმთან" ერთად და ესწრებოდნენ მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებიც ქალაქ ქუთაისიდან, სამტრედიიდან. არქეოლოგიური გათხრების, მუზეუმების, თუ სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების ნახვის შემდეგ, გაოცებულები აღნიშნავდნენ – „გვეშინია არ გაგვეღვიძოს, რადგან თავი სიზმარში გვგონია"... „ეს ასრულებული ზღაპარია"... „საოცარი სილამაზე და განუმეორებელი ფერებია თქვენს ქვეყანაში"...

– „სიტყვებით ვერ შევძლებთ გადმოგცეთ ის შთაბეჭდილებები და კმაყოფილება, რაც თქვენს კოპწია ქალაქში განვიცადეთ. აქ ყველაფერი ზღაპრული სილამაზითაა წარმოდგენილი. ასეთი მაყურებელი ბევრ დიდ ქალაქს შეშურდება, ასეთი დახვედრა კი წარმოუდგენელია ჩვენთვის," თქვა სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგემ ქალბატონმა ინა მიხაილოვნამ.

– „მე ვიცი ქართველი ხალხის ბუნება, თქვენი კულტურა, ისტორია. ასე მგონია დაბადებამდე გიცნობდით და სიტყვა მადლობა უსუსურად ჩანს იმ შთაბეჭდილებებიდან, რაც ჩვენ გვაქვს თქვენს მიმართ. გვიყვარხართ ვანელებო, აქ ჩემი სახლია, ისე, როგორც თქვენი ლენინგრადში. ეს სიტყვები ეკუთვნის სასწავლებლის დირექტორს – ვიქტორ ალექსეევიჩ ეკიმოვს.

1987 წლის დეკემბერში ლენინგრადში ჩატარდა გრანდიოზული ღონისძიება. იმავე სასწავ-

ლებელს 70 წლის იუბილეს უხდიდა ქალაქის მუსიკალური ელიტა, რომელშიც მიწვეული იყო დელეგაცია ვანის რაიონიდან, ბატონ ნოდარ ანდრიაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ პირველი მდივნის მოუცლელობის გამო დელეგაცია ასე დაკომპლექტდა: ვახტანგ ხურციძე, ბადრი მეფარიშვილი, სოსო ფერაძე და თქვენი მონა-მორჩილი. სამაგიეროდ, ბატონმა ნოდარმა განსაკუთრებული საჩუქარი გაგვატანა, ასი ლიტრი ღვინო ბანკეტისათვის. ამის შესახებ ვაცნობეთ სკოლის დირექტორს, რომელმაც, ეს უდიდეს პატივისცემად მიიღო ჩვენგან...

ფილარმონიის მცირე დარბაზში, სადაც ღონისძიება ტარდებოდა, ოფიციალური სტუმრები იყვნენ მოწვეულნი, როდესაც ვანის რაიონის ხელმძღვანელობის წერილი წაიკითხა წამყვანმა, ჩვენთვის მოულოდნელად, სცენაზე გვიხმო ვანელები და გამოაცხადა:

– მადლობა, ასეთი თბილი წერილისათვის და ახლა ვთხოვთ ვანელებს, ასევე თბილი და მრავალხმიანი სიმღერით მოგვილოცონონ... მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ვახტანგი სიტყვისათვის მზად იყო, მხოლოდ ჩვენ მივულოცეთ სიმღერით. სცენიდან დაბრუნებულებს დარბაზში რამდენიმე ადამიანი შემოგვეგება და ასეთი ფრაზებით მოგვმართეს: „ქართული პოლიფონია მსოფლიოს მონაპოვარია“... ჩვენ ვაცნობთ რევაზ ლაღიძის, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის შემოქმედებას, ასევე გვიყვარს ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, „ივერია“, „ორერა“, „ისინი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრებია“ და ა. შ.

* * *

ორას კაციან საბანკეტო დარბაზში ჩვენთვის განსაკუთრებული ადგილი შეერჩიათ, ცოტათი ვიუხერხულეთ კიდეც, როცა მაგიდა შემოგვთავაზეს...

სუფრა კი, სასწავლებლის დირექტორმა ვიტორ ალექსეევიჩ ეკიმოვმა გახსნა და თქვა:

„ბატონებო და ქალბატონებო! ქ. ლენინგრადის მუსიკალურ სამყაროსათვის დღეს ორმაგი ბედნიერი დღეა. სკოლას 70 წელი შეუსრულდა და ჩვენთან სტუმრად იმყოფებიან უძველესი ქართული ქალაქის წარმომადგენლები. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ სასმელი, რომელიც თქვენს წინ დგას, ვანიდან ჩამოგვიტანეს ჩვენმა მეგობრებმა და ის, საკმარისზე მეტია. მე კი მინდა საზოგადოებას შემოგთავაზოთ დღევანდელი სუფრის მიმდინარეობის განრიგი – სუფრის თამადა ვიქნები მე, და წარიმართება ქართული სადღეგრძელოების წესებით...

ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა სითბო და მეგობრობა ვიგრძენით მასპინძლებისგან... ყოველ წამს ყურადღების ცენტრში ყოფნა, ათასი მადლობები... როცა სიმღერას გვთხოვდნენ დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით.

... და „ნევსკის პროსპექტის“ ერთ-ერთი რესტორნის საბანკეტო დარბაზიდან ისმოდა ქართული წყობის სადღეგრძელოები და ქართული სიმღერები...

* * *

ასე დასრულდა ვანის სამუსიკო სკოლისა და ქ. ლენინგრადის (სანკ-პეტერბურგის) №1 სამუსიკო სასწავლებლის მეგობრობის ისტორია.

/იური კორძაძე/

P.S. რახან მუსიკაზე, სიმღერაზე და საეროდ ხელოვნებაზე ვსაუბრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ქართული სიმღერის უდიდესი აღიარება ქ. მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც ვანის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო ანსამბლმა, „ვანი“, სოლო კონცერტი გამართა. ეს იყო 1985 წლის მაისი. დარბაზში სულ სამას კაცამდე მაყურებელი იჯდა, მაგრამ ესენი იყვნენ: დიდი თეატრის, მოსკოვის სახ. კონსერვატორიის, სახლმწიფო ხალხური ანსამბლის ხელმძღვანელები და წევრები.

კონცერტის დამთავრების შემდეგ გაზეთ „პრავდის“ კორესპოდენტმა გვთხოვა – ფორმებს ნუ გაიხდით და ქუჩაში გამობრძანდი... სურათი უნდა გადაგიღოთო.

13 მაისის „პრავდის“ ერთ-ერთ გვერზე სურათთან ერთად დაიბეჭდა სტატია სათაურით – „სიმღერა, რომელმაც ტროლეიბუსი გააჩერა“. წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით მშობლიურ რაიონში.

დღეს, წარსულის და საერთოდ, ღირებულებათა დევალვაციის პირობებში, პერსონებიც და მათ კეთილნამოქმედართა სიბლიც კარგავს მნიშვნელობას. პოლიტიკურ ასპარეზზე ყველა ახალშემოსული ძალა წელთაღრიცხვას იწყებს საკუთარი კალენდრით, თანაც უფრო სიტყვით ვიდრე საქმით, რის გამოც აღმშენებლობისა და სრულყოფის პრაქტიკული ხასიათი იცვლება ლაყბობით. ამის მაგალითები უხვადაა.

ჭკვიან საზოგადოებაში (საზოგადოებებში) მიაჩნიათ, რომ ისტორია არის წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის მყარი კავშირი. არ არსებობენ და ვერც იარსებებენ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციები, რომელთაც არ გააჩნდათ, (ან არ გააჩნიათ) დადებითი მხარე. იგივე ეხება ამ არეალში მოღვაწე ადამიანებსაც.

იდეალური საზოგადოებრივი წყობილებანი არც არსებობდნენ, არც არსებობენ და ვერც იარსებებენ. ამის ახსნა მრავალი ფაქტორით შეიძლება. ამ ფონზე პერსონათა დამსახურება საზოგადოების წინაშე მათი კეთილნამოქმედარით შეიძლება შეფასდეს. ამავე კრიტერიუმებით შეიძლება დადგინდეს ნამოქმედართა უარყოფითი მხარეც.

ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ: კრებულ „მატიანისათვის" მნიშვნელობა არა აქვს ვინ რა დროს, რომელ ისტორიულ ეპოქაში მოღვაწეობდა, რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებას, პარტიას, ორგანიზაციას მიეკუთვნებოდა. მთავარი პრინციპია, რა და როგორი დადებითი კვალი გაავლო მან ვანის რაიონის, აქედან ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული აღმშენებლობის პროცესში ახსოვთ თუ არა ისინი ხალხს და დროის ინტერვალის შემდეგაც გამოხატავენ თუ არა ამდაგვარ პერსონათა მიმართ პატივისცემას.

ვანს ჰყავს და ემსახურებოდა ათეულობით წარმოჩინებული პიროვნება, ადგილობრივიც და არაადგილობრივიც, რომელთათვისაც ჩვენი სამშობლოსათვის ფერხულში დგომა იწყებოდა ვანის რაიონიდან იმ მასებზე, მუხლმოუღლელ მშრომელებზე დაყრდნობით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიდნენ რაიონის ისტორიას.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის" კრებული „მატიანე" ცდილობს გზადაგზა წარმოაჩინოს ისინი, გაუფრთხილდეს მათ სახელებს და გადასცეს მომავალ თაობებს.

ომარ კაპანაძე

ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში

როგორც ჩანს, როცა განგება ადამიანს დედამიწაზე საცხოვრებლად მოავლენს, იმთავითვე განუსაზღვრავს ფუნქციასაც და სატარებელ ტვირთსაც. ზოგს მცირედს, ზოგს მომეტებულად. ერთეულთა ხვედრია ამ ტვირთის ვაჟკაცურად და ღირსეულად ტარება. ღვთის ნებითვე ადამიანის კეთილნაღვაწი მასების ცნობიერებაში აისახება, დროის დაწოლას უძლებს და იქედან იშვიათად თუ წაიშლება. ის, ვისზედაც ახლა უნდა ვისაუბრო ამ ბედნიერ გამონაკლისს განეკუთვნება.

...ბატონი **გივი ყიფიანი.**

– ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში და ვრცელდებოდა მიმდებარე რაიონებსა და ქალაქებში.

– ამ კაცზე შეთხზულ ლეგენდათა ციკლი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შეესაბამება.

– ამ ადამიანმა თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ ღირსი იყო დიფირამბებისა და მოფერებისაც.

– ამ კაცმა გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ხალხსა და აღმშენებლობაზე დაფიქრებული და ორიენტირებული ხელმძღვანელი.

– ამ კაცის სახელსა და ხსოვნას პატივს მიაგებს რაიონის მოსახლეობა და გადასცემს მომავალ თაობას.

– იგი გამორჩეული ადამიანი იყო და იყო გამორჩეული - მხოლოდ ღვთის ნებაა!

– ასევე ღვთის ნება იყო მისი მოვლინება გაპარტახების პირას მდგარ ვანის მიწაზე 1964 წლის ბოლოს, როცა „ბრძნული მოქმედებით" გაუქმებული რაიონი აღადგინეს და დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი დაუბრუნეს.

ბატონმა გივიმ ჩაიბარა ვანი ერთფეროვნებით დაღლილი, გაუქმებით შეურაცხყოფილი, ეკონომიკურად დასუსტებული, სოციალურად გაუმართავი, ტრამვა მიყენებული, ფსიქოლოგიურად მორყეული და დატოვა იგი ღრმა აღმშენებლობის პროცესში ჩაფლული, შემართებული, მრავალნახნაგოვან საკითხთა გადაჭრით დამშვენებული, დიდ საქვეყნო ფერხულში მდგარი, რომელიც ასევე, უწყვეტად გრძელდებოდა 90-იანი წლების დასაწყისამდე.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება პიროვნების ან პიროვნებათა სიდიდე და სიდიადე თავისთვის მისაღები კუთხით დაინახოს, ოღონდ ობიექტურად. ჩემთვის ამჯერად მისაღებია და შეუეცდები ბატონი გივი დავინახო, როგორც ხელმძღვანელი, როგორც ორგანიზატორი, როგორც კოორდინატორი, როგორც ფსიქოლოგი, ვანზე შეყვარებული კაცი, რომელსაც ვაუკაცური ძალისხმევით მიჰყავდა რაიონი აღმშენებლობის გზით და ამისთვის არ იშურებდა საკუთარ თავსაც კი, მაგრამ ვწუხვარ იმაზე, რომ ერთ მცირე სტატიაში ამის გაკეთება, მის მიერ კეთილნაქმნართა წარმოჩინება შეუძლებელია.

ჩემი საქმიანობის მანძილზე ამ დიდებულ ხელმძღვანელსა და ადამიანთან არაერთხელ მქონია შეხვედრა, მაშინ, როცა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე სამუშაოს სათხოვნელად მისულ ახალგაზრდას მიმასპინძლა და მაშინაც, როცა მე ვიყავი მისი მასპინძელი რაიონის პირველი ხელმძღვანელის რანგში. პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება თავისი ცხოველმყოფელობით დღემდე მომყვება. დაახლოებით 20 წუთი ვისაუბრეთ. ჩემს წინ იჯდა რაიონზე დაფიქრებული და მზრუნველი კაცი. მისი მიხრა-მოხრა, ჟესტიკულაცია და საუბრის ინტონაცია დიდ ენერგიას, ცოდნას, ნებისყოფასა და მიზანსწრაფულობას ამჟღავნებდა. რამდენადმე არტისტულადაც, მაგრამ ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე. ბატონი გივი იყო რაიონში ჩემი თაობის ახალგაზრდობის დიდი მეგობარი, დამრიგებელი, მასწავლებელი და გზის გამკვალავიც. საერთოდ, აღარაფერს ვამბობ მასებთან მის ფანტასტიკურ დამოკიდებულებაზე.

ბატონი გივის ფანტასტიურობა იმაშიცაა, რომ მან უცდომლად შეძლო მასებში რაიონის აღდგენით გამოწვეული ფსიქოლოგიური მუხტი და დადებითი ემოციები „დაეჭირა", ვირტუოზულად წარემართა და გარდაესახა პრაქტიკული აღმშენებლობის პროცესებში. დაყრდნობოდა და ემართა ხალხის განწყობა, ენთუზიაზმი, რაც აშკარად დაატყო კიდევაც რაიონის ზესვლას. ვანის ისტორიას ახსოვს შემართებული საზოგადოება, რომლებიც არცთუ იშვიათ შემთხვევაში ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეც, თავიანთ ძალისხმევას აქსოვდნენ რაიონის გაკეთილშობილების საქმეში. მიჰყვებოდნენ „სამუშაო ფორმაში" გამოწყობილ ლიდერს, რომელიც ასევე, მათთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობას არ თაკილობდა.

ბატონი გივი არის მაშინდელი დროის რაიონში აგრარულ საკითხთა ჭეშმარიტი რეფორმატორი, მისმა გონებამ გათვალა, რომ ნატურმეურნეობა, რომელიც სამეურნეო ეფექტს უკან წევდა, ისტორიას უნდა ჩაბარებოდა. მისი ჯერ მოკრძალებული, მაგრამ შემდგომში მის მიერვე ხორცშესხმული იდეა, რაიონის აგრარული სფეროს სასაქონლო პროდუქტწარმოებაზე გადაყვანის შესახებ გახდა რაიონის აგრარიკის ინდუსტრიულ საწყისებზე შემოტრიალების დასაწყისი. თუ შემდგომში რაიონის „ცენტრალიზებული" მეურნეობიდან ყოველწლიურად 9-11 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იწარმოებოდა და მიღწევებით თავსაც ვიწონებდით, გივი ყიფიანის საფუძველჩაყრილია. მან ასევე ვირტუოზულად შეძლო რაიონში აგრარულ დარგთა განლაგებისა და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა და მისი დამსახურებაა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გადამამუშავებელი მრეწველობის, საწყის ეტაპზე რეკონსტრუქციის უწყვეტი გადაიარაღების, გაფართოებისა და სრულქმნის პროცესთა დაჩქარება. ესეც იყო ახალი შემოტრიალება რაიონის მთლიან სამეურნეო საქმიანობაში აგროსამრეწველო კომპლექსის სრულყოფის გზაზე, ამიტომაც საინტერესოა ბატონი გივის ხედვა რაიონის სამრეწველო პოტენციალის დინამიური და მიზანმიმართული განვითარების

საქმეში, რადგან იგი უტყუარად გრძნობდა, რომ რაიონის ფისკალური პოლიტიკის დადებითი ფორმირება ვერ მოხდებოდა, მხოლოდ აგრარული სექტორის ხარჯზე საჭირო იყო მყარი დამატებითი საშემოსავლო რეზერვები და რესურსები. იგი დაეყრდნო რა რაიონში არსებულს, თავისივე შეუპოვარი პოზიციებიდან აფართოვებს მსუბუქი მრეწველობის დინამიკასაც, ამ და მოსაზღვრე სფეროს ახალმშენებლობათა ციკლს. აქედან ბატონი გივი გრძნობდა და განსაზღვრავდა იმასაც, რომ რაიონის ახლო, მეზობლად უწყვეტი ქალაქთმშენებლობის, დასაქმეგა-სოციალურ პრობლემათა მოგვარების მაშინდელი ტემპი, გავლენას იქონიებდა რაიონზეც, რაც თავისთავად გაზრდიდა რაიონიდან გამსვლელთა რიცხვს, შეათხელებდა რაიონის მოსახლეობას, მითუმეტეს რაიონში არსებობდა ჭარბი მუშახელი. ამის გამო რაიონში სამრეწველო პოტენციალის ზრდა, არამარტო სუფთა ეკონომიკურ, არამედ ახალგაზრდობის მაქსიმალური დასაქმებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებითაც იყო განპირობებული. ამ პროცესს პარალელურად გაჰყვა აგრარული სექტორის უწყვეტი ენერგოშეიარაღებაც, ხელით შრომის კოეფიციენტის შესამცირებლად. საერთოდ, თუ ვანს 80-იანი წლებისათვის გააჩნდა მოწესრიგებული სამრეწველო დონე, ადგილობრივი შრომითი რესურსების ბაზაზე „რთული შრომისათვის" მომზადებული კადრებით და მათ მიერ ყოველწლიურად გამოშვებული 35-40 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო პროდუქციით, დაჩქარებულ ტემპსა და ორგანიზებული მიმართულების სათავეს ბატონი გივისა და მისი გუნდისაგან იღებს.

სამეურნეო ციკლის მოწესრიგების საფუძველზე გივი ყიფიანმა უმოკლეს დროში შეძლო და რაიონს თავი დააღწევინა საფინანსო მეურნეობის დოტაციური (დღეს ტრანსფერული) უზრუნველყოფისაგან. საქმის ზუსტი კოორდინაციით გაორმაგა ბიუჯეტი, რომელიც შემდგომში პერმანენტულად მზარდი გახდა და მიმართა იგი სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ. დაბისა და სოფლების კეთილმოწყობისაკენ, მის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ შეძლო დაერწმუნებინა და ზემდგომი ინსტანციების ნებართვით, რაიონის აღმშენებლობის საქმეში ჩაერთო რესპუბლიკის სამინისტროთა კონკრეტული ნაწილი, რომელთა ფინანსური დახმარებითაც დააჩქარა რაიონის აღმშენებლობის ტემპი.

ბატონ გივის მიაჩნდა, რომ არავითარი წარმატება არ არსებობს მეურნეობრიობის მეცნიერებასთან ინტეგრირების გარეშე. სამეურნეო დარგთა სკოლები, რომელიც უშუალოდ მისი ინიციატივით ფუნქციონირებდნენ რაიონში და სათავეში ედგნენ რესპუბლიკიდან მოწვეული წამყვანი და სახელოვანი მეცნიერები ამის დასტურია. საერთოდ, ვინც ამ პერიოდის განვითარების ისტორიას იცნობს, ახსოვს, რომ ასევე, არაერთი მეცნიერულად დამუშავებული მასალა და დასკვნა უდევს საფუძვლად რაიონის აღმშენებლობისა და სამეურნეო ციკლის სრულყოფის პროცესებს.

გივი ყიფიანს რაიონის მაღალმთიანი სოფლები მასიურად დახვდა ელექტროფიცირების გარეშე. მისი ძალისხმევა დაემთხვა სახელმწიფო პროგრამას და ამ ნიადაგზე 1966 წელში დაიწყეს და 1967 წელს მთლიანობაში გადაჭრეს ეს უსერიოზულესი პრობლემა. ამ პროცესში დიდი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ენთუზიაზმი, რომელსაც სოფლების ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით, ასევე ენერგიულად კოორდინირებდა ბატონი გივი. ესეც იყო რაიონში განხორციელებული ერთგვარი სოციალ-კულტურული შემოტრიალება თუ არ ვიხმართ სიტყვას, რევოლუციას.

გივი ყიფიანამდე, ბოლო 23 წლის მანძილზე, რაიონში არ აგებულა არცერთი კაპიტალური ტიპის შენობა და რომ არ გავაგრძელო, მარტო 1966-68 წლებში, მის დროს, მშენებლობაში ერთდროულად იყო 80-მდე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი.

ბატონი გივის რაიონში 8-წლიანი მოღვაწეობის პერიოდი აღინიშნა სასკოლო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო ქსელის მაქსიმალური გაფართოებითა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის „ბუმით", დაბის კეთილმოწყობითა და თანამედროვე იერსახის მიცემით. ასეთი, ჯერჯერობით, განმეორდა მხოლოდ ერთხელ, 80-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე.

უკვე მომძლავრებულ რაიონში, მხოლოდ მისი დახვეწილი ფანტაზიისა და პრაქტიკული გარდასახვის ნაყოფია, მხოლოდ ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ფინან-

სური რესურსებით, რაიონის ალპური საძოვრების ურთულეს რელიეფზე სამანქანო გზის შეყვანა, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა და რომლის სრულქმნითაც გათვალისწინებული იყო არა მარტო მწყემსთა მომსახურება და აქ შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაშლა, არამედ რაიონის ეკონომიკისათვის უზარმაზარი ეფექტი. ამ პროცესში სენსაციურია ის, რომ ასეთი ურთულესი სამუშაოს შესრულება, მხოლოდ რაიონულ ძალებზე დაყრდნობით, ისიც დროის მცირე მონაკვეთში, დიდ რისკთან და უზარმაზარ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ბატონი გივი იყო არაორდინალური პიროვნება, რომელსაც ხელეწიფებოდა რისკის გაწევაც და უზარმაზარი პასუხისმგებლობის თავისთავზე აღებაც, დასახული მიზნების ბოლომდე მიყვანა, რაც მართვის ხელოვნებაში მის ღრმა ცოდნასა და დიდ ნებისყოფაზე მიუთითებს.

– გადიდის გორაზე ულამაზესი ახალგაზრდული ქალაქის აგება-დღეს გაპარტახებული და იავარქმნილი.

– მშვიდობის გორა ქალაქის ცენტრში.

– ვანის ზღვა, ახალგაზრდობის დასასვენებელი ადგილი იმ დროისათვის.

– ვანის სამხატვრო-პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის დაარსება, რომლის ანალოგი მაშინდელ კავშირში არ არსებობდა, გარდა თბილისის ი. თოიძის სახელობის №11 სასწავლებლისა და სადაც პრაქტიკულად მოხდა, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების თავმოყრა და აღზრდა.

– დიდი გალაკტიონის ფუძეზე, პოეტის ულამაზესი და უსრულყოფილესი მუზეუმის საფუძველჩაყრა და ტემპური მშენებლობა, რომელიც მაშინ პავილიონის სახელითაც მოიხსენიებოდა. ეს მუზეუმი ათწლეულების მანძილზე დომინირებდა ანალოგთა შორის და შეასრულა დიდი საქმე სამეცნიერო - კულტურულ-საგანმანათლებლო ბაზაზე. ბატონი გივი თითქმის ერთი წლის ჩამოსული იყო რაიონში და მიუხედავად ეკონომიკური გაუმართაობისა, მისივე თაოსნობით რაიონის სათანადო ორგანომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება და საფუძველი ჩაუყარა ამ საშვილთაშვილო საქმეს.

– ვანის (დღევანდელი ქალაქის) გასასვლელში დაჭაობებული, მასიური ტერიტორიის დაშრობა და აქ ულამაზესი ცენტრალური სტადიონის აგება.

– რამდენიმე „ბარაკზე" დაფუძნებული სულორის საკურორტო მეურნეობის მთლიანი სახეცვლა. ძლავრი საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც ეს ადგილი რეს-პუბლიკის წარჩინებულ კურორტთა რიგებში ჩადგა და იქცა მნიშვნელოვან სამკურნალო და დასასვენებელ ადგილად.

– ბატონი გივი იყო დიდი ხელშემწყობი ვანის სამეცნიერო არქეოლოგიურ გათხრებზე მიმდინარე საქმიანობისა.

სამწუხაროდ, აქ ასეთ, ცალკეულ ფაქტებსა და ციფრებზე ფართოდ საუბარი გამორიცხულია, რადგან მას კრებულის ერთი ნომერიც არ ეყოფა.

ბატონი გივი იყო ბრწყინვალე საკადრო პედაგოგი, კადრების შერჩევის, აღზრდისა და წარმოჩინების უბადლო უნარით. იგი პედაგოგი იყო ამ სიტყვის მოცულობითი გაგებით, რადგან მიუხედავად ძლიერ მოუცლელობისა შეეძლო საათობით დაჯდომოდა რაიონული აქტივის ახალგაზრდულ შემადგენლობას და ემუშავა მათთან. გზა გაეკაფა მათთვის, ჩაეხედებინა საზოგადოებრივი მართვისა და კოორდინაციის ურთულეს ლაბირინთებში, ეჩვენებინა პირადი მაგალითი. მის მიერ შერჩეული აღზრდილი კადრები რაიონის მმართველ რგოლებში დომინირებდნენ 90-იანი წლების დასაწყისამდე, აქა-იქ დღესაც. მან შეკრა თანამოაზრეთა გუნდი, რომელთანაც ერთად რაიონის ერთგულ, მშრომელ მასებზე, ინტელიგენციაზე, ახალგაზრდობაზე დაყრდნობით მოძრაობაში მოჰყავდა და წყვეტდა ურთულეს პრობლემებს.

როგორც ვთქვი, ვანში, ბატონი გივი ყიფიანის საქმიანობაში მომხიბვლელია ისიც, რომ მან შეძლო მასებში რწმენის აღზევება. ეს კი მთავარია საქმის კეთების პროცესში. თავისი მიზანმიმართული ქმედებით ბატონმა გივიმ წარმოაჩინა ვანის რაიონი და მისმა ხალხმა ერთგულებით დაუღალავი შრომითა და გვერდით დგომით წარმოაჩინა – გივი ყიფიანი. ურთიერთმოქმედებაში ეს ფაქტორი ფენომენალურია, ისე როგორც ფენომენალური დარჩა გივი

ყიფიანის დამოკიდებულება ვანსა და ვანელებთან. მას შემდეგაც, რაც მან რაიონი დატოვა, ვანელებმა იციან, რომ მცირეოდენი თავისუფალი დროის შუალედში, ეს დიდებული ადამიანი აუცილებლად ჩამოდიოდა ვანში, ინტერესდებოდა მიმდინარე საქმიანობით, ჭეშმარიტად ახარებდა რაიონის წარმატებანი. მე და ჩემს კოლეგებს არაერთხელ გვინახავს ბატონი გივი სპეციალურად ჩამოსული ჭირისა და ლხინის დღეების გასაზიარებლად, რასაც მას ვანელებისადმი და მის მიმართ ვანელთა სიყვარულიც შთააგონებდა.

ვიცი, რომ წარმატებული იყო ბატონი გივის საქმიანობა რაიონში მოღვაწეობის შემდეგაც, როცა იგი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური მასშტაბების უმნიშვნელოვანეს სფეროებს.

და დღეს, როცა 90- იანმა წლებმა მძიმე ხელი დაატყო რაიონს, როცა რაიონის დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო უფრო მძიმე მემკვიდრეობა, ვიდრე ეს იყო 1965 წლის დასაწყისში, და საჭირო ღონისძიებანიც ხორციელდება რაიონის კრიზისიდან გამოსაყვანად, საჭიროა გივი ყიფიანის მაგალითების გახსენება, ისევ რწმენისა და აღმშენებლობის აღსაზევებლად, ხალხი უტყუარად შეიცნობს პიროვნებას, ან პიროვნებათა ჯგუფს და უტყუარადვე მიაგებს მისაგებელს ყველა იმათ, ვინც არ იზარებს თავისი ნიჭი და ენერგია პატიოსნად დადოს დიდ კეთილსაქმეთა სასარგებლოდ. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომელ ეპოქასა და სისტემაში მოღვაწეობდა ან მოღვაწეობენ პიროვნებები. კაცი იზომება კაცობითა და კეთილნამოქმედარით. ამ ფენომენს ვერაფერი ვერ შეცვლის!

– ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში...

– ამ ადამიანმა თავისი საქმიანობით დაამტკიცა ის, რომ ღირსია დიფირამბებისა და მოფერებისაც.

– ამ კაცის სახელსა და ხსოვნას პატივს მიაგებს რაიონის მოსახლეობა და გადასცემს მომავალ თაობას.

ოთარ გაბუნია

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრაძალის დირექტორი.

დიდი არქეოლოგი – ოთარ ლორთქიფანიძე

საქართველოს არაერთი წარმატებული მამულიშვილი აღუზრდია. ამჟამად ჩვენ ვსაუბრობთ დიდ ქართველ მეცნიერ – ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეზე, რომელიც ამშვენებდა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ანტიკური პერიოდის ქართული სივრცის კვლევაში და მსოფლიო მასშტაბით წარმოჩინებაში, კაცი რომელიც ასევე დააკლდა ქართველ საზოგადოებას, როგორც წარმატებული მეცნიერი, კარგი მეგობარი და მასწავლებელი. უყვარდა თავისი სამშობლო და მის სადიდებლად მთელი ცხოვრება იღწვოდა. გვერდში მყოფთ ადვილად შეეძლოთ გამოეცნოთ მამულისათვის თავდადებული ადამიანის მისწრაფებები ქართული კულტურის წარმოჩინებისა და პროპაგანდის საქმეში, დაუღალავი ენერგიის შფლობელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალში „ძიებანი" (თბ 2002 წ. №10 გვ 5/12) გამოქვეყნდა მასალები რომელიც გვაუწყებს ბატონი ოთარის ცხოვრების განვლილ გზას, როგორც პიროვნების და როგორც წარმატებული მეცნიერისას. დასახელებულ კრებულში თავმოყრილი შეფასებები გამოჩენილი მკვლევარის მოღვაწეობის შესახებ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვენის არქეოლოგიურ უქსპედიციას და მის სახელს უკავშირდება ანტიკური ვანის ისტორიის შესწავლა, ამავდროულად იყო ვანის საპატიო მოქალაქე, ვანელთა დიდი მეგობარი.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი და ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და ჰუმბოლიტის პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ლორთქიფანიძე დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს, თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანიძისა და სათნო ქალბატონის პარასკევა ამაშუკელის ოჯახში, მისი წინაპარი, დიდი ბაბუა ვანის რაიონიდან გახლდათ. საქართველოს ძველი ისტორიის სიყვარულმა, რაც სიყრმიდანვე გამოვლინდა, ის 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მიიყვანა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მეცნიერული წვრთვნა საქართველოს ძველ ისტორიასა და არქეოლოგიაში მან ცნობილი ბიზანტინისტის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. ერთხანს ის (ლენინგადში) სანკტ- პეტერბურგში იყო მივლინებული, სადაც ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტების ხელში აღმოჩნდა, როგორიც პროფეესრები ქსენია კოლობოვა და ვიქტორ გაიდუკევიჩი იყვნენ. გავიდა ხანი და ოთარ ლორთქიფანიძემ, უკვე სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, წიგნი „ფაზისის" შესახებ თავის სათაყვანებელ მასწავლებლებს უძღვნა.

შთამბეჭდავია მის მიერ განვლილი სამეცნიერო, საველე-არქეოლოგიური, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის გზა.

1957 წელს ოთარ ლორთქიფანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახ.წ.აღ I-III საუკუნეებში", 1960 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა, აქვე 1966 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო," ხოლო 1972 წელს იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სამეცნიერო გზის სრულიად ახლო ეტაპი დაიწყო 1977 წლიდან, როდესაც მან ჩამოაყალიბა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი რომლის უშუალო ხელმძღვანელიც იყო სიცოცხლის ბო-

ლომდე. ჩამოყალიბების დღიდანვე ცენტრი აწარმოებს როგორც საქართველოში არსებული ყველა პერიოდის ძეგლის, ისე საქართველოს, კავკასიისა და ძველი სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის კარდინალური საკითხების კვლევას.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია), 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები. არ დარჩენილა ძველი საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არც ერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეხებოდა, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ.წ.აღ VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა" და „ელინისტური" კულტურის დეფინიციის პრობლემები აბრეშუმის გზის ისტორიული წინამძღვარი, კოლხეთის რელიგია თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების სკრუპულოზურ ანალიზზე.

უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ის ნაშრომები, რომლებიც ნივთიერი კულტურის ცალკეულ ძეგლებს სოხუმის სტელა, ვანის ბრინჯაოს, გონიოსა და ახალგორის განძები, რომაული ტორევტიკის ნიმუშები ნიჩბისიდან, ბიჭვინთის წითელლაქიანი კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ვანიდან, კოლხური თეთრი, ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემა, ძვ.წ.აღ VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა და ოქრომჭედლობა და მრავალი სხვა, რომელთა უბრალო ჩამონათვალიც კი შორს წაგვიყვანდა. თითოეული მათგანი შედარებითი – ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის ნიმუშია.

ბატონ ოთარის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება ღრმა განსწავლულობა, უდიდესი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი, წერილობითი წყაროებისა თუ ნაყოფიერი ძეგლების სისტემური ანალიზის უზადო ტექნიკა, ფართო ისტორიული განზოგადოების იშვიათი უნარი.

ფრიად ნაყოფიერი იყო, ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის საგამომცემლო საქმიანობაც. მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებული „ვანი, არქეოლოგიური გათხრები" (9 ტომი), საქართველოს არქეოლოგიის საკითხები (3 კრებული), შავი ზღვისპირეთისა და იბერიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების მასალები (11 კრებული), საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული (2 ტომი), არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (17 კრებული), ჟურნალი „ძიებანი" (10 ნომერი).

ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან მცხეთაში მიიღო, შემდეგ კი მონაწილეობდა ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე მირმეკიონისა და ილიუსტის (ყირიმი) გათხრებში. 1966 წლიდან კი მისი საველე არქეოლოგიური საქმიანობა უკავშირდება ვანსა და მის სიძველეებს, რომელთა ბრწყინვალე აღმოჩენებმა და ბატონ ოთარისეულმა ინტერპრეტაციებმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ არქეოლოგიას. ბატონი ოთარის კვლევებსა და მის დიდ სახელს უკავშირდება ინგლისელი მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის სამეცნიერო ექსპედიაცია საქართველოში, რომელმაც დაადასტურა და აღიარა, რომ კოლხეთში არგონავტთა მოგზაურობა შეესაბამება რეალობას.

ბატონ ოთარს უტყუარი ალღო ჰქონდა ახალი მეცნიერული ტენდენციების წინასწარ განსაზღვრისა, სიახლეზე სწრაფი რეაგირებისა და რაც მთავარია მას ჰქონდა მათი დანერგვის და ხორცშესხმის იშვიათი უნარი. იგი იყო ინიციატორი ჩვენს არქეოლოგიაში კველვის თანამედროვე მეთოდების დამკვიდრებისა (ჰიდრო და აერო – არქეოლოგიური გეომორფოლოგი-

ური, ინტერდისციპლინარული). მანვე შემოიღო არქეოლოგიაში სტრუქტურულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები, ამ ურთულეს ხანაში როდესაც ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება ჩვენში თითქმის პარალიზებული გახდა. ბატონმა ოთარმა შეიმუშავა ახალი სტრატეგია ცენტრის სამეცნიერო საქმიანობისა. ამ ახალი ტენდენციის წყალობითაა, რომ არა შხოლოდ თვით ბატონ ოთარს, არამედ მთელ დაწესებულებას ჩვეული ტემპით ერთი დღითაც არ შეუნელებია შუშაობა. მის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად ცენტრში გამოსაცემად მზადდება საქართველოს არქეოლოგიური ატლასი. „ქართლის ცხოვრების" ტოპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, ანტიკური შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ცნობარი, კლასიკური არქეოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი.

ბატონი ოთარი არაჩვეულებრივი ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო, მან დააარსა საქართველოში უდიდესი, მისთვის ჩვეული მაღალი სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ანალოგიც მსოფლიოში იშვიათია, მუზეუმი დღეს ბატონი ოთარის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრიუკენში, შტუტგარტში, ბრაუნშვიგში, ბონში და სხვა), რომელთაც დიდი მოწონება და აღიარება ხვდათ წილად. 2002 წელს გერმანიის ქალაქ ბოხუმში მოწყობილ გამოფენას, სახელწოდებით „საქართველო", არქეოლოგიური განძეულობა „ოქროს საწმისის ქვეყნიდან", ისეთი დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ მისი ჩვენება სამი თვით გაგრძელდა, ხოლო 2002 წლის დეკემბერიდან ქალაქ ვისბადენში გადაინაცვლა. ოთარ ლორთქიფანიძემ ჩაუყარა საფუძველი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომლის რიგით მეათე შეკრება 2002 წლის სექტემბერში ჩატარდა. სიმპოზიუმის მასალები სისტემატიურად ქვეყნდება. მათგან უკანასკნელი ხუთი საფრანგეთში დაიბეჭდა. მისი თაოსნობით მოეწყო აგრეთვე ორი საერთაშორისო კოლოკვიუმი – კავკასიის, იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ.

2002 წლის აპრილის თვეში არქეოლოგირი კვლევის ცენტრმა გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „არქეოლოგია XXI საუკუნეში „მემკვიდრეობა და პერსპექტივები", რომელიც მიუძღვნა ცენტრის დაარსებიდან 25 და საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების 150 წლისთავს. კონფერენციამ დასახა ახალ საუკუნეში საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

განუზომლად დიდია ოთარ ლორთქიფანიძის როლი ძლიერი ქართული არქეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1957 წლიდან მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მაგისტრატებს და კითხულობდა ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის კურსს... ლექციების ეს კურსი დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს „ანტიკური არქეოლოგია". სრულიად ორიგინალურ სახელმძღვანელოს, რომლის მსგავსი არ გამოქვეყნებულა არც ჩვენში არც საზღვარგარეთ. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. ბატონი ოთარის მონაფეთა შორის შვიდი მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნის (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია პოლონეთი, ბულგარეთი და სხვა აკადემიების, ანოტაციების და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო კლასიკური მითოლოგიის ეკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან იგი

გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპოდენტია, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეფო საისტორიო აკადემიის წევრია. გარდა ამისა ბატონი ოთარი იყო ინდო-ევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულტანტი, ქ. მაიცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი. 2002 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა კრებული „Autouz de la inez Hoize" რომელიც ბატონი ოთარის 70- წლისთაეს მიუძღვნეს მისმა უცხოელმა კოლეგებმა.

რეცენზია ბატონი ოთარის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომზე ამ სიტყვებით ბოლოვდება „ქართული არქეოლოგიისათვის არავის გაუკეთებია იმდენი, რამდენიც შესძლო ოთარ ლორთქიფანიძემ" და მართლაც, ბატონ ოთარის მიერ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე წაკითხული მოხსენებები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომს ხდის ქართული არქეოლოგიის მონაპოვარს.

მამულიშილობა, მაღალი ზნეობრიობა, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა, არაჩვეულებრივი გულისხმიერება და სიკეთე, სხარტი იუმორი ბატონ ოთარს განუმეორებელ ადამიანურ ხიბლს ანიჭებდა, იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ მეგობრების და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენ საზოგადოებაში.

ბატონ ოთარზე განთქმული სამეცნიერო ორგანიზაციების, ცალკეულ საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერთა მიერ ისეთი შეფასებებია გაკეთებული და იმდენი რამაა ნათქვამი, არა თუ სტატიამ, სპეციალურად გამოცემულმა წიგნებმაც შეიძლება ვერ დაიტიოს. გთავაზობთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

* * *

„პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე იყო არა მხოლოდ საეთაშორისო მასშტაბის აღიარებული მეცნიერი და სწავლული, არამედ ჩვენი ინსტიტუტის ერთგული მეგობარი. უაღრესად გულთბილი და საყვარელი სტუმარი, რამდენი სასიამოვნო საუბარი გვქონია მასთან...

პროფესორი დიტერ მედენსი – რომში გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი".

* * *

„პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე იყო ბრწყინვალე არქეოლოგი, შესანიშნავი პიროვნება, მის მიერ წლების მანძილზე ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმები ნიმუშია მეცნიერთა თანამშრომლობისა და აზრთა ურთიერთგაცვლისა...

პროფესორი ჯეინ ვალდბაული – ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუციის პირველი ვიცე პრეზიდენტი."

* * *

... „როცა კი ვფიქრობ საქართველოზე, ეს ფიქრები ყოველთვის ოთარ ლორთქიფანიძესთან იქნება დაკავშირებული, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მე მოვიგონებ მას, როგორც ჯენლტმენ – მეცნიერს, დიდი გონებისა და დიდსულოვან ადამიანს.

დოქტორი ოვენ დენინი – აშშ. ფილადელფია პენსილვანიის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმები."

* * *

... „ჩვენთვის ოთარ ლორთქიფანიძე მეცნიერებაში დიდი ავტორიტეტი იყო. ამავე დროს იგი უხვად იყო დაჯილდოებული საუკეთესო ადამიანური თვისებებით..."

პროფესორი ჰერმან პარტინგარი – გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორი.

* * *

... „პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძით აღტაცებული ვიყავი და ვიქნები. სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები მისი მადლიერი იმ დიდი სიკეთისათვის, რაც მან გამოავლინა ჩემს მიმართ,

როდესაც მე ერთი პატარა, არქეოლოგიაზე მეოცნებე გოგო ვიყავი. ვანის ექსპედიციაში გატარებული დღეები ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილია...“

დოქტორი ბალიბინა ბებლერი – შვეიცარია – ბერლინი.

* * *

... „ოთარ ლორთქიფანიძე, უთვალსაჩინოესი ქართველი არქეოლოგი, ჩემთვის მეცნიერული კომპეტენტურობის მაგალითს წარმოადგენდა...

პროფესორი ანდრეას ფურტვენგლერი – გერმანია, ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი, კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტი.“

* * *

... „ვანში მე მონმე გავხდი ოთარის დიდი მიღწევებისა საველე არქეოლოგიურ მუშაობაში. გარდა ამისა ის დიდი მეცნიერი იყო, რაც აისახა მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში და მის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულ ვანის სიმპოზიუმებში, რომლებმაც ახალი ჰორიზონტები გაშალეს მსოფლიოს არქეოლოგიისათვის და ეს ყველაფერი ოთარის სახელთან იქნება დაკავშირებული“.

პროფესორი ბრაიან შეფტინი – დიდი ბრიტანეთი, ნიუკასლის უნივერსიტეტი.

* * *

... „ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომები აღიარებულია მთელ მსოფლიოში, მან ბევრი რამ გააკეთა თავისი კოლეგებისათვის შესანიშნავი ადამიანი იყო...“

დოქტორი ელენე ვლასოვი – რუსეთი სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი, ანტიკური სამყაროს განყოფილება და ა.შ. ხოლო ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის ვიცეპრეზიდენტი ჯეინ ვოლბრაუნი, რომელიც დაესწრო ვანში ჩატარებულ სიმპოზიუმს 1999 წელს, (ვანში ჩატარებულ ყველა სამეცნიერო სიმპოზიუმს როგორ წესი 20-დან 30-მდე ქვეყნის მეცნიერ-წარმომადგენელი ესწრებოდა) აღნიშნავდა, რომ სიმპოზიუმი გამოირჩეოდა არამარტო მეცნიერული დონით, არამედ თბილი სტუმართმოყვარეობითაც. ტრადიციული ქართული ბანკეტები, ცეცხლოვანი ქართული ხალხური ცეკვები, მელოდიური გუნდური ფოლკლორული სიმღერები ამშვენებდა საღამოებს, ხოლო საქართველოს ძეგლებისა და მუზეუმების მონახულებამ ქვეყნის სიძველეებით სიმდიდრის ახალი სამყარო გადაუშალა სიმპოზიუმის მონაწილეებს.“

„ვანის სიმპოზიუმებით ოთარ ლორთქიფანიძემ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო თანამშრომლობას შავიზღვისპირეთის ქვეყნების შესწავლაში.“

სტატიას ვამთავრებთ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო ოჯახისადმი გაგზავნილი წერილით.

„მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ბატონ ოთარის გარდაცვალების გამო. დიდია მისი ღვაწლი ქართველი ერის, ქართული მეცნიერების წინაშე.

აღვავლენთ ლოცვებს და შევთხოვთ უფალს რათა სავანესა მართალსა დააწესოს მისი უკვდავი სული...“

სოსო ჩაჩუა
გაზეთ „საჩინოს“ რედაქტორი

წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით – ვანის საპატიო მოქალაქე ნოდარ ანდრიაძე

ქვეყნის აღმშენებლობა და განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები, ძირითადად, ციფრებით გამოისახება და ამ მონაცემებით ხდება ანალიზი. ნებისმიერი ეკონომისტი გეტყვით, რომ ეს სავსებით ლოგიკურია და, ალბათ, ასეცაა, მაგრამ თუ ამ ციფრებისა და მაჩვენებლების უკან არ დგას საქმე, რომელსაც თვალნათლივ დაინახავს საზოგადოება და არ შეიგრძნობს მის სიკეთეს – მხოლოდ მონაცემები არაფრის მაქნისია. ჩემის აზრით, მთავარი მაინც ისაა, საქმისადმი როგორი დამოკიდებულებით და ზნეობის რა კრიტერიუმებით იქმნება ეს ციფრები.

ვანის რაიონში შუა ასაკს გადაცილებული ნებისმიერი პიროვნება გეტყვით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან რომელმა ხელმძღვანელმა მუშაკმა რა საქმე აკეთა რაიონის მოსახლეობისათვის, როგორი კვალი გაავლო რაიონის სოციალ-ეკონომიკური კულტურული აღმშენებლობის პროცესებში. მინდა ბოდიში მოვუხადო ყველა ყოფილ ხელმძღვანელს, მაგრამ პასუხი მაინც ორ პიროვნებაზე შეჩერდება, არც დაფიქრდებიან ისე გიპასუხებენ: გივი ყიფიანი და ნოდარ ანდრიაძე.

1978 წლის 22 დეკემბერს – **ნოდარ ანდრიაძე** ვანის რაიონის პირველი ხელმძღვანელი გახდა – „მუშაობის საწყის პერიოდში, სადაც არ უნდა გავსულიყავი, ყველგან გივი ყიფიანის სახელი მხვდებოდა. არ მოიძებნებოდა ვანის ტერიტორიაზე ადგილი, სადაც მისი კვალი არ იყო, საოცრად ვგრძნობდი მოსახლეობის მიერ მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას. ჩემი პირველი შეხვედრა რაიონის აქტივთან სწორედ მასზე და მის ნაკეთებ საქმეზე საუბრით დავიწყე, რომ მისი საქმიანობის გაგრძელება მინდოდა. მძიმე ბავშვობა გამოვიარე და შრომა არ მეზარებოდა, მაგრამ მთავარი მაინც ხალხის ნდობა იყო. მოსახლეობას უნდა ეგრძნო სიკეთისა და საქმის დასაწყისი. იცით, რამ მომცა ძალიან დიდი სტიმული? – დარბაზი ოვაციებით შეხვდა ჩემს წინადადებას“.

ნ. ანდრიაძე გაზეთი „საჩინო“ 2015 წლის მაისი.

ამ დღიდან თითქმის 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბატონი ნოდარ ანდრიაძე ვანის რაიონს და მოსახლეობის ის დიდი ნაწილი, რომელმაც იგი ერთ-ერთ წარმატებულ ხელმძღვანელ მუშაკად დაგისახელათ, ვერ მოგაწვდით რაიმე შთამბეჭდავ ციფრს, რომელიც რაიონის ეკონომიკურ მაჩვენებელს გაგიმარტავდათ, მათ უბრალოდ, იცოდნენ, რომ საოცრად შეიცვალა მდგომარეობა მიმდინარეობდა აღმშენებლობა, გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები, უკეთესი და იმედისმომცემი გახდა მომავალი და სწორედ, ეს იყო მიზეზი სიყვარულისა და პატივისცემის.

ბატონმა ნოდარ ანდრიაძემ და ომარ კაპანაძემ ერთი ათეული წელი იმოღვაწეს ერთად. ბატონი ომარი თავის მონოგრაფიაში „ვანი – ქრონიკები რაიონის ცხოვრებიდან,“ რაიონის სოციალ-ეკონომიკური მიღწევების ანალიზისას აღნიშნავს: „ბატონი ნოდარ ანდრიაძე რაიონში ჩამოვიდა, როგორც პიროვნება, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა მნიშნელოვანი საპასუხისმგებლო დანაყოფების მართვისა და კოორდინაციის პრაქტიკული სკოლა, თუმცა მიზეზთა გამო რაიონი მას დახვდა ოდნავ ბზარშეპარული, რომელიც ითხოვდა სასწრაფო ღონისძიებათა გატარებას. ამიტომ ახალი ხელმძღვანელის უნარი უნდა გამჟღავნებულიყო იმაში, თუ რამდენად სწრაფად შეძლებდა იგი, კოლექტივთან ერთად, სიტუაციათა შესწავლა-გაცნობიერებას და მოქმედებაზე გადასვლას, მხედველობაში იყო მისაღები, რომ საქართველოს არც ერთი აგრარული რაიონი ძირითად ნიუანსებში თითქმის არაფრით არ ამჟღავნებს მსგავსებას დაწ-

ყებული მიკროკლიმატიდან დამთავრებული დარგთა განლაგებითა და თუ გნებავთ მასების სამუშაო ფსიქოლოგიითა და განწყობით. ამ პროცესის მართვა ურთულესი ფენომენია... მისი სამუშაო დღე კოლექტივთან ერთად იწყებოდა თითქმის გათენებისთანავე საკოლმეურნეო მინდვრებზე სამუშაო ფრონტის დათვალიერებით, საჭირო ზომების მიღებით, გრძელდებოდა რაიონის სამრეწველო და რიგ სხვა ორგანიზაციებში ვიზიტით, რადგანაც საქმიანობის პროცესში საკუთარი თვალით ნახულს ვერ ცვლის ვერავითარი ინფორმაცია... ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე და გვი ყიფიანის შემდეგ, რაიონს იშვიათად თუ ჰქონია ისეთი ურთიერთობა ქვეყნის სამეცნიერო წრეებთან, როგორიც ამ დროს იყო. ამ საფუძველზე რაიონში არაერთი ნოვაციაც განხორციელდა, რაიონი წარმოჩინდა სრულიად საქართველოს მასშტაბით და თავისი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მიღწევებით აპოგეას მიაღწია... შეეძლო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რაც ხელმძღვანელი მუშაკის ე.წ. „ვარგისიანობის" ერთ-ერთი მსაზღვრელი კრიტერიუმია... ცხადია, ნებისმიერ თანამდებობას გააჩნია ავტორიტეტი, მაგრამ თუ ამას არ ემთხვევა ხელმძღვანელის ავტორიტეტიც, რომელსაც მისი ცოდნა, პრაქტიკული მოღვაწეობა და პროფესიული თავმოყვარეობა ქმნის, მიღწევებზე საუბრები ზღაპრების სფეროს განეკუთვნება."

ნორმალურ სახელმწიფოს, აქედან რაიონს, ყოველთვის ჰქონდა და დღესაც აქვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტები. ასე იყო მაშინაც, მაგრამ ბატონი ნოდარი არასოდეს ტოვებდა ყურადღების გარეშე რომელიმე დარგს, რომელიც არ ხვდებოდა ამ ნუსხაში. იგი თანაბრად იბრძოდა ყველა დარგის განვითარებისათვის, თუმცა ამისათვის ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში ძალინ ძნელი და, ამავდროულად, საკმაოდ სახიფათო იყო რისკები, რომელზედაც ბატონი ნოდარი ძალიან ხშირად მიდიოდა. რაიონის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ალბათ არც იცის, რომ არქეოლოგიური მუზეუმისათვის ფინანსები და სამშენებლო ფონდები, როგორც „კვლევითი ლაბორატორიისათვის" ისეა გამოყოფილი, (სხვანაირად ვერ აშენდებოდა) სტადიონთან მდებარე ყოფილ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს იმავე სახელმწიფო ფონდებში „მევენახის სახლი"ერქვა, ტურისტული ბაზა „არგო" კი, საერთოდ, საქართველოს გარედანაა ჩამოტანილი მისი უშუალო ძალისხმევით, ისევე როგორც ჰიდროლსკის ელექტრომექანიკური ქარხნის ვანის ფილიალი, რომლის მშენებლობასაც ნოდარ ანდრიაძე მისი ყოფილი დირექტორის ნოდარ შენგელიას იდეად და დამსახურებად მიიჩნევს:

– „ამ იდეაზე ხშირად მაწუხებდა ცხონებული ნოდარ შენგელია, უნდა გითხრათ, რომ ამ პერიოდში ძირფესვიანად ჩავიხედე რაიონის დემოგრაფიულ მონაცემებში, საკმაოდ მაღალი იყო მიგრაცია, შობადობა დაბალი, აუცილებელი იყო რაღაც ისეთი გამოსავალის მოძებნა, რომელიც ამ პროცესს შეაჩერებდა. როგორ შეიძლებოდა მხარი არ დამეჭირა ნოდარისათვის, როცა პერსპექტივაში 500 ახალგაზრდის დასაქმება იყო. ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ არაერთხელ ვიყავით მოსკოვში, ვხვდებოდით უმაღლესი რანგის სამხედრო პირებს... ვერ წარმოიდგენთ როგორ მიყვარდა იქ გასვლა საღამოს საათებში, სამუშაოს დასრულებისას, წარმოგიდგენიათ? – ელექტრო მექანიკური ქარხნიდან და ცეკავშირის ვანის კომბინატიდან 800-მდე ახალგაზრდის გამოსვლა, ეს ხომ ერთი ბედნიერება იყო."

ნ. ანდრიაძე გაზეთი „საჩინო" 2015 წლის მაისი.

დიახ, ნოდარ ანდრიაძის შიერ ზემოთ ნახსენები დემოგრაფიული მონაცემები ნამდვილად იყო ფიქრისა და განსჯის საგანი, სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ იმ დროისათვის რაიონის 9 სამრეწველო საწარმოში (ელექტრო მექანიკური ქარხანა, ცეკავშირის ვანის სამკერვალო კომბინატი, საქსოვი ფაბრიკა, გორის ბამბეულის ფაბრიკის ფილიალი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, სქემური კაბელების საქსოვი საწარმო, საკონსერვო და ღვინის ქარხნები). 2500 ახალგაზრდა იყო დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების წილი რაიონის ეკონომიკაში.

– „სამრეწველო პროდუქციის წარმოება ყოველწლიურად იყო: 1970 წლისათვის 10,8 მილიო-

ნი მანეთი, 1975 წელს 11,6 მილიონი, 1980 წელს 17,3 მილიონი, 1985 წელს 23 მილიონი და 80-იანი წლების ბოლოსათვის 35 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ხოლო რაიონის შიგა ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მაცხოვრებელზე გაანგარიშებით 1975 წელთან შედარებით გასამმაგდა. ელექტრომექანიკური ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლამდე რაიონში დომინირებდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები, ხოლო ამ უკანასკნელის წილი რაიონის მთლიან სამრეწველო პროდუქციაში 73-75% შეადგენდა. ძირითადი საწარმოო ფონდების 78% ასევე მოდიოდა კვების მრეწველობაზე. მითითებული ამ ორი დარგიდან 80-იანი წლების მთელს პერიმეტრზე ასევე დაგეგმილი იყო მთლიანი პროდუქციის გაორმაგება."

ანალოგიური ძვრები მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან. ყოველწლიურად ყურძნის მოსავლიდან შემოდიოდა 7,6 მილიონი მანეთი, ხილიდან 3 მილიონი, ხორციდან 1,2 მილიონი, დაფნიდან 1 მილიონი, ბოსტნეულიდან 1,4 მილიონი. მთლიანობაში კი შემოსავლები ძირითადი სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან ყოველწლიურად 15 მილიონ მანეთამდე აღწევდა.

1979-1990 წლებში რაიონში 140-მდე სხვადასხვა სფეროს ობიექტი აშენდა, სხვაა საწარმოთა რეკონსტრუქციები, კაპიტალური რემონტები (სკოლები, საცხოვრებელი ბინები, საბავშვო ბაღები, სპორტული მოედნები, ადმინისტრაციული შენობები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, მეცხოველეობის ფერმები, სამრეწველო ობიექტები და მრავალი სხვა) რამდენჯერმე გაფართოვდა სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის ყოველწლიური მოცულობა, რომელიც 21-მილიონს გასცდა და მარტო ამ სფეროში დასაქმდა 800 - კაცზე მეტი. დაიგო შავი საფარი არა მხოლოდ რაიონის მთავარ მაგისტრალზე, არამედ არაერთ სოფელში.

წარმატებები იყო რაიონის სპორტულ ცხოვრებაში. წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო არენაზე ვანელი მძლეოსნები და მოჭიდავეები. 1988 წელს ჩატარებულ საქართველოს ხალხთა სპარტაკიადაზე ვანელმა სპორცმენებმა მე-3 ადგილი მოიპოვეს. ვანი „სულორი" ორჯერ გახდა საქართველოს თასის მფლობელი, გუნდმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში.

წარმატებები და სიახლეები იყო კულტურაში – იდგმებოდა სპექტაკლები, იმართებოდა პრემიერები, სისტემატურად ტარდებოდა შიდა ოლიმპიადები, შემოქმედებითი კოლექტივები კონცერტებს მართავდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მაშინდელი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქების საკონცერტო სცენებზე.

ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ წარმატებებისა, რომელსაც რაიონმა მიაღწია ბატონი ნოდარ ანდრიაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, რაც შესაძლებელი გახდა საქმისადმი სწორი და ერთგული დამოკიდებულებით, რაიონის აქტივის ერთი იდეის გარშემო გაერთიანებით. ამიტომაცაა, რომ ბატონი ნოდარი დღესაც დიდი სიყვარულით ხვდება და იხსენებს თითოეულ მათგანს. საქმიან, – სიძნელეების წინაშე შეუდრეკელ და უშიშარ გუნდს ვეყრდნობოდიო, ხოლო რაიონის მოსახლეობა თავისი სიკეთით, რუდუნებით, კაცური კაცობითა და შემოქმედებითი უნარით, საქმის სიყვარულით ხომ ზღაპრულ დონეს აღწევსო – ხშირად იგონებს იგი.

– „ალბათ მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ვანში გავატარე, 12 წელი ცოტა არაა, ამ ხნის მანძილზე ყველგან და ყოველთვის ვიცავდი ვანისა და ვანელთა ინტერესებს, რაც შემეძლო გავაკეთე წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით.

ყველაფრისთვის დიდი მადლობა ჩემო ვანელებო.

ნ. ანდრიაძე. გაზეთი „საჩინო" 2015 წლის მაისი.

ნოდარ ანდრიაძის ავტორიტეტი და მისდამი პატივისცემა, რომ იგი ახსოვთ ვანში, გამჟღავნდა მისი წასვლიდან 25 წლის შემდეგაც, როდესაც 2015 წლის 2 ივნისს, „ვანელობის დღესასწაულზე", მას ვანელთა სახელით, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით რაიონის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის „საპატიო ვანელის" ტიტული მიენიჭა, ხოლო მასთან ხალხის შეხვედრებმა და მოფერებამ აჩვენა, რომ კეთილნამოქმედარი არ იკარგება.

***

საქმითა და ნლეგით დატვირთული კაცი, ქვეყნის დამსახურებული აგრონომი – დუშიკო მებურიშვილი

ხელმძღვანელი მუშაკის პრიორიტეტს უპირატესად განსაზღვრავს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რომელსაც უნდა ერთვოდეს ასევე საქმის სიყვარული და პროფესიული თავმოყვარეობა. ეს ფენომენი მოქმედების პროცესში შეჯიბრობითობის რანგშიც გადადის, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით, და დამატებითი მუხტიც შეაქვს შრომით საქმიანობაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბატონი დუშიკო მებურიშვილის მოღვაწეობაც ამ კრიტერიუმებს შეესაბამება და დაკავშირებულია კაიკაცობასთანაც. სწორედ ამის გამო ჰქონდა მას ავტორიტეტი მრავალრიცხოვან თანამშრომლებში. მის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ რაიონის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები, ენდობოდნენ მას და სჯეროდათ მისი. თანამშრომლების მიმართ იყო მომთხოვნიც, მაგრამ, ამავდროულად, მათ გვერდით მდგომიც და ერთგული მეგობარიც.

ხელმძღვანელი მუშაკისათვის იოლი საქმიანობა არ არსებობს. იგი გარკვეულ სირთულეებთან ბრძოლაა და იმარჯვებს ის, ვინც პასუხისმგებლობას გრძნობს ხალხისა და მინდობილი საქმის წინაშე, ვისაც არ თრგუნავს გაცნობიერებული რისკები და არ გააჩნია შიში დაბრკოლებათა გადალახვისას. სწორედ ასეთ პიროვნებად შეიძლება შევაფასოთ ბატონი დუშიკო, რომელსაც 2015 წლის 31 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ დღის მისალოცად და მასზე პუბლიკაციის მოსამზადებლად ვეწვიეთ მის ოჯახში. იუბილარი და ჩვენი ენაწყლიანი რესპოდენტი დიდი სიხარულითა და მამულიშვილური სიყვარულით შეგვხვდა.

შეკითხვაზე – როდის და როგორ დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა ბატონი დუშიკო იგონებს: „ჩემი ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის გზა ძალიან შორიდან იწყება თითქმის 65 წელი მშობლიური რაიონის სოფლის მეურნეობის სამსახურში გავატარე, როგორც შემეძლო გვერდით ვედექი ჩემს ხალხს, რაიონსა და ქვეყანას. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია, ამის დასტური თქვენი დღევანდელი ვიზიტია – უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გახსენებისათვის, დაბადების დღის მოლოცვისათვის. დამერწმუნეთ ასეთი შეხვედრები მმატებს სიცოცხლის ხალისს, რომელიც ჯერ ნამდვილად არ დამიკარგავს."

დუშიკო მებურიშვილი ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში დაიბადა 1925 წლის 31 ოქტომბერს. დედა გულჩინა ხელაძე, მეტად ღვთისნიერი, კეთილშობილი ქალი ყოფილა, მამის გარდაცვალება კარგად არც ახსოვს. ობლობაში გაზრდილ მასა და მის დედმამიშვილებს ცხოვრების ბევრი სიმწარეც უგემნიათ. მან წარმატებით დაამთავრა შუაგორას საშუალო სკოლა, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში დაიწყო აგრონომად. რაიონის 17 ხელმძღვანელი პირიდანო,იგონებს იგი, პირველი ვისთანაც მიმუშავია, გახლდათ მაშინდელი პირველი მდივანი გრიგოლ ცხოვრებაძე, იგი ჩემთან გასაურებით კმაყოფილი დრჩა და სამუშაოდ სოფლის მეურნეობის სამმართველოში დამტოვა. სამი წლის საქმიანობის შემდეგ, 1956 წელს, გადამიყვანეს ფერეთას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც არასასურველი ვითარება დამხვდა, ომი ახალი დამთავრებული იყო, რესურსები და რეზერვებიც ზღვარზე იდგა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არასაკმარისი იყო, რაც შრომის ნაყოფიერებას დაბლა სწევდა, ხალხს უჭირდა, მაგრამ გამარჯვების პათოსი და დადებითი განწყობა შენარჩუნებული იყო და სწორედ, ამას უნდა დავყრდნობოდით საქმიანობაში და საქმიანობაც ამ მუხტით უნდა დამეწყო. მაშინდელი აგრარული სექტორი ისეთი მრავალდარგოვნებით არ გამოირჩეოდა როგორც შემდეგში იყო, მაგრამ ერთადერთ სასიცოცხლო კულტურაში, როგორიც სიმინდი იყო, მოსავლიანობა იმდენად დაბალი და, თანაც, განაწილების წესი იმდენად შეუსაბამო იყო, დარგის განვითარებასაც ხელს უშლიდა და საკვებადაც არ ყოფნიდათ. ფაქტობრივად, ეს შიმშილის ტოლფასი იყო. აუცილებელი იყო სასწრაფო

ზომების გატარება, რათა მოსახლეობა გამომეყვანა ამ მდგომარეობიდან. მოვიწვიე კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება და შევთავაზე მათ ჩემეული გეგმა. გარკვეული უნდობლობა კი იგრძნობოდა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც მივიღეთ. პრინციპი კი შემდეგი იყო – გეგმიური პროდუქციის ზემოთ წარმოებული მოსავალი მთლიანად მოსახლეობას დარჩებოდა. სწორედ ამან ათქმევინა მათ – „ვინ მოგვცემს ბატონო ჩვენ მაგის უფლებას?! – ვინც გითხრათ და გპირდებათ, სწორედ ის იქნება მაგის გარანტი- მეთქი."

მალე სოფელში სიმინდის წარმოებასთან ერთად სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაც დავიწყეთ, რომელიც შრომადღეზე ნაწილდებოდა, შევუდექით ჩაის პლანტაციის გაშენებას, სამუშაო გეგმაში შევიტანეთ ბოსტნეული კულტურების მოყვანაც. ნელ-ნელა სოფელიც წელში გაიმართა.

წარმატებული იყო დუშიკო მებურიშვილის საქმიანობა სოფელ ზეინდრის კოლმეურნეობაში. უკვე გამოცდილი თავმჯდომარე აქაც ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1965 წელს რაიონის ხელმძღვანელმა გივი ყიფიანმა მაშინდელი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ზეინდრის კოლმეურნეობაში მიიყვანა ორგანიზაციის შრომითი მიღწევების გასაცნობად.

– „ეს ჩემთვის დაუვიწყარი წუთები იყო, ხელმძღვანელთა სჯა-ბაასს ყურადღებით ვისმენდი, სადაც საჭირო იყო, თავადაც ვერთვებოდი მათთან საუბარში. დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ჩემგან კმაყოფილნი წავიდნენ."

1976-1980 წწ. ბატონი დუშიკო ვანის მეცხოველეობის გაერთიანების თავმჯდომარეა, 1980-1983 წწ. შუამთის მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობის დირექტორი, რომელიც შექმნილი იყო შუამთის, მიქედისა და ციხესულორის კოლმეურნეობების ბაზაზე და ხელმძღვანელობდა დაახლოებით სამი ათას კაციან კოლექტივს. 1983 წლიდან კი ვანის სანერგე მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. მისი საქმიანობა, როგორც ადრე ამ წლებშიც წარმატებული იყო. დასავლეთ საქართველოში, აჭარისა და აფხაზეთის ჩათვლით, არ იყო რაიონები, რომლებიც არ სარგებლობდნენ აქ გამოყვანილი ვაზისა და მრავალწლიანი ნარგავების სხვადასხვა ჯიშებით. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა წარმოება მომგებიანი და სხვა სიკეთესთან ერთად შეფობას უწევდა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსაც.

მისი შრომითი საქმიანობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დუშიკო მებურიშვილი გამორჩეული იყო როგორც პრინციპული ორგანიზატორი და უნარიანი ხელმძღვანელი. ატარებს საქართველოს დამსახურებული აგრონომის ტიტულს, აქვს უფლება იამაყოს რაიონის სოფლის მეურნეობის სრულქმნისა და უწყვეტი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილით.

90 წლის გადასახედიდან ის არც პირადი ცხოვრებით და ბედითაა უკმაყოფილო, ცხადია, ჰქონდა მძიმე პერიოდებიც, რომლებიც მეუღლისა და რძლის გარდაცვალებას უკავშირდება, ამას განიცდის და ტკივილი დღემდე არ განელებია, თუმცა ამაყობს თავისი შვილებით. უფროსი – როლანდ მებურიშვილი წლების განმავლობაში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა. ბადრი მებურიშვილი იყო ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რაიაღმასკომისა და რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, უმცროსი – მალხაზი კი, ვანის ალადასტურის ქარხნის დირექტორი გახლდათ. ამაყობს რძლით, ხარობს მხცოვანი, ამაგდარი კაცი 8 შვილიშვილითა და 8 შვილთაშვილით.

რესპოდენტთან საუბრისას ჩვენი ყურადღება რამდენჯერმე განმეორებულმა ერთმა ფრაზამ მიიქცია, რის უკან აბსოლუტურად გულწრფელი კაცი იდგა – „მთელი ცხოვრების მანძილზე, სადაც კი მიმუშავია, ჩემი მთავარი საზრუნავი და მიზანი ყოველთვის ხალხის კეთილდღეობა იყო."

ეს სარწმუნოა და ამას ხალხიც დაადასტურებს.

რამინ ქობალია

ექიმი

ცოტა რამ, ვანელ, ცნობილ ქირურგზე, ვიშნევსკის პრემიის ლაურეატ – შოთა თოდუაზე

სვერდლოვსკის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი მეანგინეკოლოგად სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ტურინსკის საავადმყოფოში.

გაზეთ „იზვესტიაში" გამოჩნდა წერილი სათაურით: „დოკტორ ვ სელე". ეწერა, რომ საქართველოს სსრ-ის სოფელ ვანის (დაბა არ ეწერა) რაიონულ საავადმყოფოში მუშაობს ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შ. ბ. თოდუა. ეს იყო საოცრება, სენსაცია. იმ დროს საბჭოთა კავშირის არც ერთ რაიონულ საავადმყოფოში არ მუშაობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ბატონ შოთა თოდუას ვინაობა ამ წერილით გავიგე პირველად. აღფრთოვანებულმა გაზეთის სტატია ვაჩვენე ყველა ექიმს და ამ ამბავმა (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მუშაობამ რაიონში) გააოცა რუსი კოლეგები. სამი წელი ვიმუშავე ტურინსკში და დავბრუნდი ზუგდიდში, მაგრამ იქ გინეკოლოგის ვაკანტური ადგილი არ იყო. შვიდი თვე მაინც ვიმუშავე ზუგდიდში შვებულებაში მყოფი ექიმების ადგილზე.

ჯანდაცვის სამინისტროში მითხრეს, რომ ვანში გინეკოლოგის ერთი ადგილი ვაკანტურია და მირჩიეს იქ მუშაობა. ჩამოვედი ვანში და ბედმა შემახვედრა დიდებულ პიროვნებას, ცნობილ ქირურგს, რაიონის მთავარ ექიმს ბატონ შ. ბ. თოდუას, რომელმაც მაშინათვე დამნიშნა მეან-გინეკოლოგად, ხოლო 1975 წლიდან პენსიაზე გასვლამდე ვიყავი რაიონის მთავარი მეან-გინეკოლოგი.

შ. თოდუამ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი მოსკოვში. მუშაობდა ქირურგად ფრონტზე, ომის დამთავრების შემდეგ იყო ვანის მთავარი ექიმი და ქირურგი. ამავე დროს მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე (გამგე – სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ვ. კოვანოვი) და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ჟურნალში „ექსპერიმენტალნაია ხირურგია ი ანესტეზიოლოგია" (1971 წ. 5) მოთავსებულია შ. თოდუას სტატია სათაურით: „ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის ანატომიური დასაბუთება". (ამ ჟურნალის ნომერს დღესაც ვინახავ ჩემს ბიბლიოთეკაში, რომელსაც ამშვენებს ბატონ შოთას წარწერა: „რამინ კონსტანტინეს ძე ქობალიას მეგობრობის ნიშნად პატივისცემით შ. თოდუა. 26.XI.75).

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოპერაცია გაუკეთდა ჩიყვის სხვადასხვა ფორმით დაავადებულ 2000-ზე მეტ ავადმყოფს. მათი უმრავლესობა იყო თირეოტოქსიკური. გამოსავალი ყველა შემთხვევაში იყო კეთილ-საიმედო.

ყველა ოპერაციის დროს მან გამოიყენა ფარისებრი ჯირკვლის რეზექციის საკუთარი მოდიფიკაცია: კოსმეტიკური მიზნით გაკვეთა ხდებოდა განივად მეორე ნეკნებშუა დონეზე. ანესთეზია ყოველთვის იყო ინფილტრაციული – ვიშნევსკის მეთოდით. ოპერაციული მიდგომა – განაკვეთი მეორე ნეკნებშუა დონეზე დასაბუთებულია ფარისებრი ჯირკვლის ანატომიური თავისებურებით.

შ. თოდუა იყო ვირტუოზი ქირურგი, დიდი ინტელექტის, ვიშნევსკის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი საქართველოში.

შ. თოდუას გაკეთებული აქვს უამრავი ოპერაცია. მუშაობას იწყებდა დილით ადრე და დღის 11-12 საათისათვის ყველა ოპერაცია ჩატარებული ჰქონდა. საოპერაციოდ ჩამოდიოდნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან (გურია, რაჭა, სამეგრელო, სვანეთი და ა. შ.)

ყოფილა ასეთი შემთხვევაც: შ. თოდუას ურეკავს პაციენტი ჩხოროწყუდან და ეკითხება: „თოდუას ბინაა?" „დიახ" – პასუხობს ბატონი შოთა. პაციენტს სურს ჩამოვიდეს საოპერაციოდ და ამაზე უყვება ქირურგს მეგრულ ენაზე. ექიმი პასუხობს, რომ მეგრული ენა არ იცის. პაციენტი განმეორებით ეკითხება თოდუა ხომ ბრძანდებითო? „დიახ" – უდასტურებს ექიმი. მაშინ პაციენტი ისევ მეგრულ ენაზე ეუბნება: „თოდუა ბრძანდებით და შეუძლებელია მეგრული ენა არ იცოდეთო". ბატონმა შოთამ ძლივს დაარწმუნა პაციენტი, რომ მეგრული ენა მართლაც არ იცოდა.

ეს მე ვიცი ბატონი შოთას გადმოცემით.

შ. თოდუას მიერ ჩატარებული დილის სამედიცინო კონფერენციები იყო უაღრესად საინტერესო და სასარგებლო ექიმებისთვის. კონფერენციაზე მძიმე ავადმყოფის ისტორიის გარჩევა ერთ კარგ ლექციას უტოლდებოდა.

შ. თოდუა ერთნაირად მაღალ დონეზე განიხილავდა, როგორც ქირურგიულ, ასევე თერაპიულ, სამეანო-გინეკოლოგიურ და ინფექციური ავადმყოფების ისტორიებს.

შ. თოდუა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სამედიცინო დახმარების, ქირურგიული ოპერაციის სასწრაფოდ, დროულად გაკეთებას: აღნიშნავდა, რომ გადაუდებელი ოპერაციული ჩარევის საჭიროებისას დაყოვნება საშიშია და გაიხსენებდა ლათინურ გამონათქვამს: „ბის დატ, ქუი ციტო დატ" – ორმაგად (ორჯერ) იძლევა ის, ვინც სწრაფად იძლევა.

შ. თოდუას საექიმო საქმიანობის დევიზი, როგორც თვითონ იტყოდა, იყო: „არტე ეთ ჰუმანიტატე, ლაბორე ეტ სციენტია" – ხელოვნებით და ადამიანის მოყვარეობით, შრომით და ცოდნით.

სამედიცინო კონფერენციაზე, როცა გამოითქმებოდა სხვადასხვა აზრი პაციენტის დაავადების მიზეზზე, დიაგნოზსა და მკურნალობაზე, შ. თოდუა დიდი ყურადღებით ისმენდა თითოეული ექიმის აზრს, რადგან მიაჩნდა, რომ: „აუდიატურ ეთ ალტერა პარს" – საჭიროა მოვუსმინოთ სხვა მხარეს.

შ. თოდუას მოსწონდა გამოთქმა: „ალის ინსერვიენდო, იპსე კონსუმორ" – სხვებს გზას ვუნათებ, თვითონ ვიწვი, აგრეთვე: „ნე ნოცეას, სი იუვარე ნონ პოტეს" – თუ არ შეგიძლია დაეხმარო, მაშინ ნუ ავნებ.

შ. თოდუა იყო სასტიკი წინააღმდეგი პაციენტის თანდასწრებით დაავადების დეტალებზე საუბრისა და იტყოდა: „აბსენტე აეგროტო" – ავადმყოფის არყოფნაში.

შ. თოდუას უყვარდა ავადმყოფი, საერთოდ ადამიანი და მიაჩნდა, რომ „მედიკუს – ამიკუს ეთ სერვუს აეგროტორუმ" – ექიმი ავადმყოფის მეგობარი და მსახურია.

შ. თოდუა ლათინურ სიტყვებს და გამოთქმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებდა, თუ აუცილებელი იყო. სამედიცინო ტერმინებს მხოლოდ ქართულ ენაზე ამბობდა. მაგალითად: ქართულ ენაზე იტყოდა გამოჯანსაღებას, მორჩენას და არ იტყოდა რეკონვალესცენციას; იტყოდა მოსმენას და არა აუსკულტაციას; უკმარისობას და არა ინსუფიციენციას; გადაგვარებას და არა დეგენერაციას; იტყოდა გაგანიერებას და არა დილატაციას და ა. შ.

ვანში ექიმი-ანესთეზიოლოგი არ გვყავდა და საკეისრო კვეთისთვის პაციენტებს ვაგზავნიდით ქუთაისის სამშობიარო სახლში. შ. თოდუას არ სიამოვნებდა ეს ამბავი და მირჩია, საკეისრო კვეთა გამეკეთებინა ადგილობრივი ინფლიტრაციული ნოვოკაინის ანესთეზიით. დავეუფლე ამას, მაგრამ მაინც ოპერაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაკეთებდი, თუ ქუთაისამდე პაციენტის გადაყვანას ვერ ვასწრებდით. ამ მეთოდით ოპერაცია იშვიათად კეთდებოდა საქართველოში. საკეისრო კვეთა ყველგან კეთდებოდა ზოგადი ინჰალაციური ნარკოზით.

1990 წელს გვეშველა: რაიონში სამუშაოდ ჩამოვიდა ექიმი-ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი ქალბატონი ოლიკო მაღლაფერიძე, რომელიც იყო (და არის) თავისი საქმის დიდოსტატი, უჭკვიანესი ექიმი, ოპერაციის შემდგომ სამ დღეს (თუ საჭირო იყო მეტსაც) ავადმყოფს არ ტოვებდა მეთვალყურეობის გარეშე. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, თუ გართულებები იქნებოდა, მათი დაძლევა პრობლემა არ იყო. ო. მაღლაფერიძის დახმარებით. საჭიროებისას კონსულტაციებს გვიწევდა ვირტუოზი ექიმი, კარდიოლოგი გია ბურკაძე. ყველა ოპერაცია კეთდებოდა ვანში.

სამწუხაროდ, 2012 წელს ო. მაღლაფერიძე და გ. ბურკაძე სამუშაოდ გადავიდნენ ქუთაისში და შ. თოდუას სახელობის საავადმყოფოც დაიხურა რემონტის გამო.

ვანისა და ბაღდათის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გარდაქმნის დროს გაერთიანებული სამედიცინო ცენტრის ადგილსამყოფლად დადგინდა ბაღდათი, ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა შოთა თოდუა, რომელმაც დიდი ძალა და ენერგია დაახარჯა ბაღდათში მძლავრი საავადმყოფო-პოლიკლინიკის აშენების საქმეს და მის აღჭურვას სათანადო სამედიცინო ტექნიკით.

გავიდა რამდენიმე წელი. ვანი და ბაღდათი ისევ ცალ-ცალკე რაიონებად დაიყო. ვანის რაიონის მთავარ ექიმად დაინიშნა შოთა თოდუა, რომლის ინიციატივით საძირკველი ჩაეყარა ვანის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის მშენებლობას, რომელიც მიმდინარეობდა შოთა თოდუას სისტემატური მთვალყურეობის ქვეშ. ისევე როგორც ბაღდათში, ვანშიც, აშენდა მძლავრი, თანამედროვე საავადმყოფო-პოლიკლინიკა აღჭურვილი უახლესი სამედიცინო მოწყობილობა დანადგარებით, რენტგენოლოგიური კაბინეტით, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური ექიმებით და საშუალო მედპერსონალით. ვანში მძლავრი სამედიცინო ბაზის შესაქმნელად ეს მაინც არ იყო საკმარისი და ისევ შოთა თოდუას თანადგომით რიგ სოფლებშიც აშენდა საექიმო ამბულატორიები, ზოგიერთ მათგანში კი – საავადმყოფო-ამბულატორია. სოფლის სამედიცინო ქსელში მუშაობდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმები, მათ სამედიცინო დახმარებისთვის გადუცათ მანქანები.

შოთა თოდუა ზრუნვდა ვანის რაიონის კურორტების (ამაღლება, სულორი) მომძლავრებაზეც, რაც დიდი წარმატებით შესრულდა. ორივე კურორტი გახდა კეთილმოწყობილი, დაკომპლექტდა შესაბამისი სამედიცინო კადრებით. კურორტები იღებდნენ დამსვენებლებს, პაციენტებს (სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნით), როგორც საქართველოს რაიონებიდან, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან.

შ. თოდუა ეწეოდა ფართო საგანმანათლებლო მუშაობას რაიონში, იყო საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი. მისი ლექციები სამედიცინო თემებზე მსმენელთათვის ყოველთვის იყო საინტერესო და პოპულარული. შ. თოდუა მიუხედავად დიდი დატვირთვისა, როგორც ქირურგი და რაიონის მთავარი ექიმი ყოველთვის პოულობდა დროს სოფლის მოსახლეობასთან შესახვედრად და მათთან საკონსულტაციო საუბრებისთვის, აქტიურად თანამშრომლობდა რაიონულ პრესასთან, სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე მედიცინის სფეროდან.

შ. თოდუა ხშირად იმყოფებოდა ტურისტული მოგზურობით უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში: იაპონიაში, ინდოეთში, აშშ-ში და სხვაგან. საბჭოთა კავშირის დროს საზღვარგარეთ ტურისტული „გასეირნებისთვის" განსაკუთრებული ნებართვა იყო საჭირო, მაგრამ შოთა თოდუა თავისი დიდი დამსახურებისა და ავტორიტეტის წყალობით ამას ადვილად ახერხებდა. ერთ-ერთ ქვეყანაში ყოფნისას დელეგაციის თითოეულ წევრს შეეკითხნენ, თუ ვინ რომელი ქვეყნიდანაა. ზოგმა უპასუხა ბრაზილიანო, ზოგმა იტალიანო და შ. თოდუამ ხუმრობით მიუგო: „გადიდიანო" (ბატონი შოთა წარმოშობით იყო სოფელ გადიდიდან) და რადგან ვერ მიხვდნენ სად მდებარეობს „გადიდიანო", მაშინ დაუმატა „ჯორჯია" და ისინი მიხვდნენ.

რაიონის სამედიცინო საზოგადოების მოთხოვნით ვანის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოს ეწოდა გამოჩენილი ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ვიშნევსკის პრემიის ლაურეატის საქართველოში შოთა ბარნაბას ძე თოდუას სახელი.

გამოსაცემად მზადდება ჟურნალისტ მერაბ კვაჩიძის წიგნი „ამაღლების თემი," რომელიც ვანის რაიონის სოფლების ამაღლებისა და ინაშაურის წარსულსა და დღევანდელობას ასახავს. წიგნი ორივე სოფლის ისტორიას წარმოაჩენს უაღრესად საინტერესოდ და მრავალმხრივად, მისი შექმნისთვის ავტორმა შრომატევადი სამუშაო გასწია. გთავაზობთ ავტორის მიერ მომზადებული წიგნის შემოკლებულ ვარიანტს.

მერაბ კვაჩიძე
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი

ამაღლების თემი
(იბეჭდება შემოკლებით)

სოფელი ამაღლება საკმაოდ დიდი, ეკონომიურად ძლიერი და მნიშვნელოვანი დანიშნულების სოფელია ვანის რაიონში. მდიდარი ბუნებრივი რესურსები, შესანიშნავი ჰავა, ნოყიერი და უხვმოსავლიანი ნიადაგები, უნიკალური ტყის მასივები, წყალუხვი მდინარეები, ანკარა წყაროები, უმნიშვნელოვანესი სამკურნალო თერმულ- მინერალური წყლები ნაწილია იმ სიმდიდრისა, რაც ამ სოფელს აქვს.

ამაღლება სტრატეგიული დანიშნულების სოფელია. იგი მდებარეობს ვანის რაიონული ცენტრიდან ათი კილომეტრის დაცილებით, აღმოსავლეთ მხარეს, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე. სოფლის ტერიტორიაზე გადის ვანი-ბაღდათისა და ვანი-ქუთაისის დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო, ბაქო-სუფსის გაზსადენისა და ნავთობსადენის ცენტრალური მაგისტრალი. ამ სოფლის გავლით უკავშირდება რაიონული ცენტრი სოფლებს: საპრასიას, რომანეთს, ზეინდარს, გორას, უხუთს, ფერეთას, სალომინაოს. ამაღლებიდან 25 კილომეტრზეა დაცილებული უახლოესი რკინიგზის სადგური „რიონი", ხოლო 28 კილომეტრზე – ქვეყნის მეორე ქალაქი, სავარდო და სამაისო „ქუთაისი".

სოფელ ამაღლებას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება სოფელი ზეინდარი, ნაწილობრივ, სოფელი გორა, დასავლეთით სოფელი ბზვანი, სამხრეთით – საპრასია-რომანეთის მთები და სახნავ-სათესი სავარგულები, ჩრდილოეთით კი – მდინარე რიონი.

სოფლის ტერიტორია ხასიათდება მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატურ-ნიადაგობრივი თავისებურებებით.ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია, განსაკუთრებით კი ინაშაურის უბანი. სოფლის ყველაზე დაბალი ადგილი (ზღვის დონიდან 110-120 მეტრზე) ამაღლების ცენტრსა და ჭალების სასნავ-სათეს ნაკვეთებს უჭირავს, ყველაზე მაღალი კი ზღვის დონიდან 170-180 მეტრზე ინაშაურში – ჯოჯოურის მთაზე არსებულ ტყის მასივებს.

იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა პლუს 4-6 გრადუსს შეადგენს, ივლისის თვის კი 23-25 გრადუსს. ჰაერის მინიმალური ტემპერატურა მინუს 5-დან მინუს 12 გრადუსამდე მერყეობს. მაქსიმალური ტემპერეტურა პლუს 49 გრადუსი დაფიქსირდა 1997 წლის 31 ივლისს, თუმცა ეს მაჩვენებელი არა ერთხელ განმეორდა 2010 წლის ზაფხულში, კერძოდ კი ივლის-აგვისტოს თვეებში.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2500-3200 მილიმეტრს შეადგენს. ყველაზე გრილი ზაფხული (20-22გრადუსი) აღინიშნა 1985 და 2013 წლების ივლისის თვეებში.

სოფელს აქვს მრავალფეროვანი ტყის მასივები. ბარში ძირითადად გვხვდება ხის ისეთი

ჯიშები, როგორებიცაა: მუხა, წაბლი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, კოპიტი, თხმელა, რცხილა, წიწვოვნებიდან – ფიჭვი, ნაძვი, ხოლო ფოთლოვნებიდან მუხა და წიფელი, რომლებიც ძირითადად მთის ალპურ ზონაში ხარობენ.

სოფელს 200 ჰექტრამდე საძოვარი აქვს, რომლის უმეტესი ნაწილი ალპურ ზონაში მდებარეობს,სადაც მრავალი ათეული წლის მანძილზე საიალაღოდ მიერეკებოდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირიტყვს, დღესდღეობით ამ საძოვრებით კერძო მეცხოველეები სარგებლობენ.

სოფელი ამაღლება, რომლის ტერიტორიაზე ინაშაურის ჩათვლით 700-მდე კომლი და 2000-მდე კაცი ცხოვრობს, 1813 ჰექტარზეა გაშლილი, ანუ მისი მთლიანი ტერიტორია 18,13 კვადრატული კილომეტრია.

სოფელი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ბართან შედარებით არც თუ დიდად, მაგრამ მაინც შემაღლებულ ადგილზეა გაშენებული. ვარაუდობენ, რომ მას სახელი სწორედ მისი ადგილმდებარეობის მიხედვით დაერქვა, თუმცა არის თქმულებაც, რომელიც ცნობილი გეოგრაფისა და ისტორიკოსიის ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონის) მოგზაურობასთან არის დაკავშირებული. ერთსელ ბატონიშვილი თავისი ამალით სამეგრელოდან ვანის გავლით ბრუნდებოდა. რამოდენიმე კილომეტრის დაჭაობებული ადგილების რის ვაი-ვაგლახით გავლის შემდეგ, ის ერთ-ერთ შემაღლებულ ბორცვზე შედგა, შუბლი ხელით მოიჩრდილა, ადგილმდებარეობა შეათვალიერა და თქვა: „აი, აქედან იწყება ამაღლება, ერთი სოფელი კიდევ ზევით არის." ლეგენდის მიხედვით ამ სოფელს დაერქვა „ამაღლება", ხოლო ის მეორე სოფელი „ზევით არის" სავარაუდოდ დროთა განმავლობაში გახდა „ზეინდარი". არ გამორიცხავენ იმასაც, რომ სოფლის სახელწოდება დიდი ქრისტიანული დღესასწაულის „ქრისტეს ამაღლებასთან" იყოს დაკავშირებული, რომელიც აღდგომიდან მე-40 დღეს აღინიშნება.

სოფლის მეორე დასახლებილი პუნქტი ინაშაური, სადაც 240-მდე კომლი და 700 სულამდე მაცხოვრებელია, ამაღლებისაგან განსხვავებით უფრო მთაგორიანი რელიეფითაა წარმოდგენილი. ინაშაურის სახელთან დაკავშირებით რამოდენიმე ტოპონიმია ცნობილი, რომელთაგანაც ორი უფრო შეესაბამება სინამდვილეს.

1. ადრე გავრცელებული იყო საღებავი „ინა", რომელიც სოფელში გასაყიდად შემოჰქონდა ქუთაისიდან ვინმე სანიკიძეს. „ინა" თავიდანვე სამ კაპიკად იყიდებოდა, შემდეგ კი გამყიდველმა იგი ხუთი კაპიკი დააფასა. განაწყენებულმა ხალხმა გაკვირვებით წამოიძახეს „ინა" შაური? (ხუთ კაპიკს მაშინ შაურს ეძახდნენ, შაური კი ირანული ფულის ერთეულია და აბაზის (ყოფილი 20 კაპიკის) ერთ მეოთხედს შეადგენს), საიდანაც სოფელს შემორჩა სახელი ინაშაური.

2. ის ტერიტორია, სადაც დღეს ინაშაურია გაშენებული, ადრეულ წლებში მეწყერს მიჰქონდა. მიწები ზვავდებოდა და მოსახლეობა საცხოვრებლად სხვა, უფრო საიმედო და უსაფრთხო ადგილებისაკენ მიემართებოდა. საოჯახო ბარგით დატვირთული ურმებით მიმავალ მგზავრებს, როცა ჰკითხეს საიდან მოდიხართო, „იმ ნაშვაური" ადგილებიდანო - უპასუხეს, შემდეგ სიტყვამ ასიმილაცია განიცადა და „იმ ნაშვაურიდან" წარმოიშვა სოფლის სახელწოდება „ინაშაური".

საუკუნეების მანძილზე, ფორმაციათა ცვლას სოფლის ცხოვრებაშიც შეჰქონდა ცვლილებანი. ფეოდალურ ხანაში სოფელი დაყოფილი იყო ფენებად. ცხოვრობდნენ თავადები (ჩიჯავაძეები, ერისთავები), აზნაურები (ლალიაშვილები, წერეთლები, ლორთქიფანიძეები, ნაწილობრივ გაბუნიები), უმრავლესობას კი ღარიბი გლეხობა შეადგენდა. გლეხი თავადაზნაურთა ყმა იყო და მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო მთლიანად დამოკიდებული იყო მათზე, ამიტომ იგი უუფლებოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თუმცა, ამ დროისათვის თვით გლეხებიც დაყოფილი იყვნენ ფენებად: შეძლებული, საშუალო და ყმა გლეხი, მათ ფეოდალურ ვალდებულებაში შედიოდა შრომითი და საგადასახადო ბეგარა.

XI – XII საუკუნეებში საქართველო დაყოფილი იყო საერისთავოებად, რომელთა ხელმძღ-

ვანელებს ერისთავებს უწოდებდნენ. XIII –XV საუკუნეებში კი დაიწყო სათავადოების ჩამოყალიბება.

დასავლეთ საქართველოში მდინარე ყვირილა-რიონის მიდამოებში ორი სათავადო არსებობდა: საჩხეტიანი (საჩხეიძო), რომელიც მოიცავდა ხანისწყლიდან კვინისწყლის ხეობებს შორის ტერიტორიას და საჩიჯავაძო, რომელიც ვრცელდებოდა სალომინაოდან დაფნარამდე.

აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, თუ უფრო გვიან, დასავლეთ საქართველოდან ზემო ქართლში გადმოსული ჩიჯავაძეები რჩებიან აქ XV საუკუნის შუა წლებამდე,მანამ, სანამ ეს ტერიტორია ტაოდან მოსულმა ციციშვილებმა არ დაისაკუთრეს და ისინი არ გამოაძევეს იქედან.

ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ყალიბდებოდა. მიმდინარეობს ბრძოლა ლიხთ იმერეთისა და ამერეთის მეფეებს შორის. ქართლში შევიწროებული ჩიჯავაძეები, სავარაუდოდ, ამ ბრძოლაში იმერთა მეფეს მიემხრნენ და ასეთ ვითარებაში გადმოვიდნენ იმერეთში. 1489 წლიდან იმერეთი საბოლოოდ ჩამოცილდა ქართლის სამეფოს.

ჩიჯავაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XV–XVI საუკუნეების მიჯნაზეა სავარაუდებელი. ისინი მითითებული პერიოდისათვის „საჩინოს" მთელ ტერიტორიას ფლობდნენ. ჩიჯავაძეთა სათავადოში ამ დროისათვის შემდეგი სოფლები შედიოდა: დაფნარი, დაბლა გომი (მუხაღრუა), მთისძირი, შუამთა, ტობანიერი, ყუმური, ვანი, სებეკა, სალხინო, დიხაშხო(ნაწილობრივ), ისრითი, ციხისუბანი (ნაწილობრივ), ზენობანი, გადიდი, ონჯოხეთი, სულორი (ნაწილობრივ), ამაღლება (ნაწილობრივ), ინაშაური, საპრასია (ნაწილობრივ), ბზვანი (ნაწილობრივ),საყულია (ნაწილობრივ), ჩიჯავაძეთა სათავადო რეზიდენცია სებეკაში იყო (დღევანდელი ვანის საგრენაჟო ქარხნის ტერიტორიაზე).

სათავადო მართვის საქმეში ჩიჯავაძეები თავიანთ აზნაურებს იყენებდნენ. როგორც ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, XVII საუკუნის შუა წლებში ეს საგვარეულო საკმაოდ დაწინაურებულია და იმერეთის თავადურ გვართა შორის თავისი ღირსებით მეოთხე ადგილი უჭირავს, მაგრამ XVII საუკუნის მიწურულს მათ საკმაოდ გასაჭირი ჰქონდათ. საქმე ის იყო, რომ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში (1734-1735წწ) იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის ძმამ, მამუკა ბატონიშვილმა, დაიპყრო საჩიჯავაძეო, წაართვა მათ გარკვეული ტერიტორია და მეფის დახმარებით საკმაოდ დაასუსტა სათავადოს მდგომარეობა. ამის შემდეგ, სოლომონ პირველის მეფობის დროს, ჩიჯავაძეებს ჩამოერთვათ საგვარეულო სამფლობელო „საჩინოს მხარე," შეწყდა მათი გავლენა კუთვნილ ტერიტორიებზე და მას მეფე განაგებდა. მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან სათავადომ რამდენადმე შესძლო ფეხზე წამოდგომა.

სოლომონ მეორის მეფობის დროს ჩიჯავაძეთა სახლი ნაწილობრივ აღზევდა, მაგრამ მათ ძველი სამფლობელო მთლიანად მაინც ვერ დაიბრუნეს. გაინაწილეს საერთო ყმა, მიწა-წყალი, მთელი ქონება და ცალკეულ მემამულეებად იქცნენ, რომელთაგანაც დღესდღეობით სოფელ ამაღლებაში ტარიელ ჩიჯავაძის ოჯახი ცხოვრობს.

ძველი „საჩინოს" ტერიტორიაზე, ჩიჯავაძეების შემდეგ,წარჩინებული გვარის მემამულეებად ითვლებოდნენ ერისთავები. მათი წინაპარი სოფელ ამაღლებაში რაჭის საერისთაოდან გადმოსახლებულა. „საქმე იმაშია, რომ მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში იმერეთის მეფე ალექსანდრესთან რაჭის ერისთავთა გაუთავებელი შუღლის გამო, მეფემ შესძლო მათთვის დაეპირისპირებინა ამ საგვარეულოს გვერდითი შტო და მათ წარმომადგენელს გედევანს მისცა საერისთავო მამული იმერეთში და უწოდა მათ „ბარის ერისთავები," ამ ტერიტორიას კი – „საერისთავო". ეს მამულია სალომინაოდან ამაღლებამდე მიმდებარე ტერიტორიები, რომელიც ადრე ჩამოეჭრათ ჩიჯავაძეებს. სოფელ ამაღლებაში მდინარე კვინისწყალი ყოფდა ერთმანეთისაგან ჩიჯავაძეთა და ერისთავთა სათავადოებს.

საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა სოფლები: ამაღლება (ნაწილიბრივ), სადემეტრაო (წითელხევი), სიმონეთი, სალომინაო, ნასაგორევი, ბაბოთი, გორა, ბზვანი (ნაწილობრივ), უხუთი, რომანეთი, გორმაღალი, (აქვე იგულისხმება სოფელი ძულუხი), ინაშაური (ნაწილო-

ბრივ). საკითხზე განსხვავებულ ვერსიას გვაძლევს კრაევიჩი: Страна к востоку от саджавахо до верхних частей Романети и Дзулухи известно под именем Сачино. Далее востока до персотских гор и. р. Корисцкали лежит саеристо. „– აქ პრაქტიკულად დაკონკრეტებულია დასავლეთით საჩინოს საზღვარი საჯავახომდე და სამხრეთ აღმოსავლეთის სოფლები რომენეთიც და ძულუხიც ჩართულია საჩინოს შემადგენლობაში." (ომარ კაპანაძე) ვანი – ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან გვ-10).

ერისთავები საკმაოდ გამრავლდნენ ამაღლებაში და ღირსეული შთამომავლებიც გაზარდეს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა გიგო ერისთავს, რომელმაც სამხედრო განათლება მიიღო და წლების მანძილზე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი იყო.

ჩიჯავაძეების მსგავსად ერისთავებსაც დაუდგათ რთული პერიოდი. მათ დიდძალი ვალი დაუგროვდათ. ოჯახმა ვერ გაუძლო გახშირებულ სტუმრიანობას, შვილების დასახლებას, ყოველდღიურ ქეიფსა და დროსტარებას.ყოველივე ამის გამო იძულებული გახდნენ მამული დაეგირავებინათ საადგილმამულო ბანკში. „როცა ვალების დაფარვის დრო დგებოდა, სწორედ მაშინ გაყიდდნენ ცალკეულ ნაკვეთებს, საძოვრებს, ტყეებს." ისინი დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ. მათი კუთვნილება იყო ქოკიანის აბანოც, რომელიც ბანკის ვალების გამო გაყიდეს. ხარჯი რომ შეემცირებინათ იძულებულნი გახდნენ მოურავები და მოსამსახურეებიც დაეთხოვათ. ყოველივე ამის შემდეგ ერისთავები თავად ჩაებნენ შრომის ფერხულში, ხნავდნენ და თესავდნენ, ხე-ტყეს ამუშავებდნენ, ამზადებდნენ ყავარს, შეიძინეს თხისა და ცხვრის ფარები, გააშენეს ვაზი, რის შემდეგაც მათი ეკონომიური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა. მთლიანად დაფარეს ბანკის ვალები, ისევ გაიჩინეს მოჯამაგირეები და ხელზე მოსამსახურეები. დღესდღეობით ერისთავების სახლსა და კარმიდამოში მათი შთამომავალი უმცროსი გიორგი ერისთავი აგრძელებს ცხოვრებას.

1880-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღევანდელი ვანის რაიონის, მაშინდელ ტერიტორიულ სივრცეზე (ვანის რაიონი 1930წ შეიქმნა) მოქმედებდა ხუთი თემსაზოგადოება: ვანის თემის, ტობანიერის თემის, დვალიშვილების თემის, გორას თემის, უხუთის თემის საზოგადოებები, იგივე თვითმმართველი ორგანოები. თითოეულ საზოგადოებაში საშუალოდ შედიოდა 3-დან 7 სოფლამდე. სოფლის საზოგადოების აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი იყო სოფლის მამასახლისი, რომელსაც გლეხთა წარმომადგენლები ირჩევდნენ.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, სოფლები ამაღლება, ინაშაური და ბზვანი შედიოდა გორას სოფლის საზოგადოების შემადგენლობაში. 1909 წლის 1 სექტემბერს სწორედ ამ სოფლების მცხოვრებთა 356 კომლის უფროსთა ხელმოწერით დაისვა საკითხი კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებაში გორას სოფლის საზოგადოებიდან სოფლების ამაღლების, ბზვანის და ინაშაურის გამოყოფისა და მათ ბაზაზე ახალი სოფლის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. ასე შეიქმნა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე რიგით მეექვსე, ამაღლების სოფლის საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სოფლები: ამაღლება, ბზვანი და ინაშაური.

1918–1921 წლების მოვლენები შეეხო სოფელ ამაღლებასაც. 1921 წლის თებერვლამდე ისე როგორც საქართველოში, ამაღლების თემს მართავდა მენშევიკური ხელისუფლება, ხოლო 1921 წელს, ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის შექმნის შემდეგ სოფლებშიც დაიწყო რევკომების, როგორც ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბება. ამაღლებაში რევკომი შეიქმნა 1921 წლის 1 აპრილს ილია ეფრემიძის თავმჯდომარეობით. რევკომებს მოჰყვა კომუჯრედები.

1922 წლის თებერვალში აქტიურად წარიმართა მუშაობა საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით. მომდევნო ეტაპზე რევკომების ნაცვლად შეიქმნა საბჭოები. ამაღლების სასოფლო საბჭოს აღმასკომის პირველი თავმჯდომარე გახდა ალექსანდრე კოღუაშვილი, რომელიც 1924 წლის 28 აგვისტომდე ვანის რაიაღმასკომის III თავმჯდომარედ მუშაობდა.

წლების მანძილზე ამაღლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებად მუშაობდნენ: ელეფთერ ხონელიძე, მირიან ბრეგვაძე, არდალიონ მელაძე, საშა კვაჩიძე, კუკური ერისთავი, შოთა სან-

ადირაძე, სოსო გაბუნია, დურმიშხან მესხი, ვალერიან მეფარიშვილი, რეზო გენელიძე, ჯუანშერ ზარნაძე, შოთა ხონელიძე, ვახტანგ ტყეშელაშვილი, გივი სურგულაძე, თამაზ ძიგრაშვილი, ამირან შარაშენიძე, რეზო ძიგრაშვილი, ანდრო ზარნაძე, ბადრი გიორგაძე, მერაბ ზარნაძე, მამია გაბუნია, სომონ მხეცაძე.

1924 წლის 28 აგვისტოს დაიწყო გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შეტაკებისას მოკლული იქნა ამაღლებელი ბოლშევიკი არტემ ლომინაძე. გადმოცემის თანახმად ყველა აჯანყებულს მთელი რაიონის მასშტაბით ამაღლების ცენტრში უნდა მოეყარათ თავი, ბორნის მეშვეობით მდინარე რიონზე გადასულიყვნენ და ქუთაისის მიმართულებით აეღოთ გეზი. ღამით ძლიერი სროლა ატყდა სოფლის ცენტრში. სწორედ აქ შეეჯახნენ ერთმანეთს მენშევიკები და ქუთაისიდან გადმოსული კომუნარების რაზმი, რომელმაც გაანთავისუფლა მენშევიკების მიერ დაპატიმრებული კომუნისტები – დავით მესხი,აკაკი მესხი, დომენტი ხარაბაძე, კალისტრატე ტყეშელაშვილი და სხვები, რომლებიც აბრეშუმის პარკის საშრობ ფარდულში ჰყავდათ გამომწყვდეული.

1924 წლიდან სოფელში იწყება სასოფლო-სამეურნეო არტელების (შემდეგში კოლმეურნობათა) ჩამოყალიბების პროცესი. 1931-1932 წლებისათვის კი სოფელ ამაღლების მცხოვრებთა 95 პროცენტი გაწევრიანდა ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში. ხელისუფლების მოწოდების თანახმად, თავიანთი სურვილით შეჰყავდათ მასში მუშა პირუტყვი, ურემი, კავი, გუთანი და წარმოების სხვადასხვა საშუალება, თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგეები ე.წ. კულაკებისა და სხვა შეძლებული ფენების სახით.

მიუხედავად, მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობისა 1930 წლისათვის უკვე არსებობდა ამაღლების „წითელი ვარსკვლავისა" და ინაშაურის „კუიბიშევის" სახელობის კოლმეურნეობები.

სოფელ ამაღლების ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგნენ და მის დამკვიდრებას საფუძველი ჩაუყარეს პირველმა თავმჯდომარეებმა: დავით ნაკაშიძემ, ელეფთერ ხონელიძემ, გიგლა ფუტკარაძემ, დავით მესხმა, ვანო ნაკაშიძემ, ლეონიდე ხურციძემ. მომდევნო წლებში კოლმეურნეობას უნარიანად უძღვებოდნენ: საშა კვაჩიძე, გერონტი ხარაბაძე, გიორგი ჩახუნაშვილი, ვაჟა გაბუნია, ანდრო ხონელიძე, ვახტანგ ზარნაძე, ბერი გოგორიშვილი, ვალერიან მეფარიშვილი, აკაკი ხელაძე, ნოდარ შენგელია.

როგორც ითქვა, კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა აგრეთვე სოფელ ინაშაურშიც, რომლის თავმჯდომარეები სხვსდასხვა წლებში იყვნენ: კლიმენტი სვანაძე, ელისე კანკაძე, გრიშა ხარაბაძე, შალვა ნიკოლეიშვილი, გრიშა სვანიძე,აპოლონ ხარაბაძე, საშა კვაჩიძე, კუკური ერისთავი. 1951 წელს აღნიშნული კოლმეურნეობა შეუერთდა სოფელ ამაღლების კოლმეურნეობას და მას სერგო ორჯონიკიძის სახელი ეწოდა. 1975 წელს სოფლების ამაღლების, გორასა და ზეინდრის კოლმეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდა ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

კოლექტივიზაციის პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ, რასაც შედეგად მოჰყვა ოცდაათიანი წლების რეპრესიები. 1936-1937 წლებში სხვადასხვა დანაშაულობისა, ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საქმისა, კოლექტივიზაციის ჩამოყალიბებისას გაწეული წინააღმდეგობისა და არაადამიანთა სიტყვიერი დასმენის შედეგად რეპრესირებულნი იყვნენ თანასოფლელები: პაჭუა ლორთქიფქნიძე, კალისტრატე ტყეშელაშვილი, ზოსიმე გვალია, შალიკო გაბუნია, მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი - სერგო ამაღლობელი, ბარნაბა მსხილაძე, კალისტრატე გაბუნია, რაჟდენ ხურციძე, სოკრატე სვანაძე, გიორგი ხურციძე, მიტროფანე ჩხობაძე, პორფილე სვანაძე, იოსებ ჩიჯავაძე, ევგენი მარკოიძე, გედევან მეფარიშვილი, გიორგი ჯაჯანიძე, გრიგოლ დადუნაშვილი, აკაკი წერეთელი, სულიკო ნაკაშიძე და სხვები.

დიდმა სამამული ომმა, რომელიც 1418 დღეს გაგრძელდა დიდი მწუხარება და უბედურება მოუტანა სოფელს. 250-ზე მეტი რჩეული ვაჟკაცი გაიწვიეს ქვეყნის დამცველთა რიგებში, ზოგიერთი ოჯახიდან სამი და მეტი მეომარიც კი, ამაღლება-ინაშაურიდან წარგზავნილი მებრ-

ძოლები სამშობლოს იცავდნენ სამამულო ომის ფრონტის თითქმის ყველა უბანზე. მამაცურად იბრძოდნენ პარტიზანთა რიგებში, სადაზვერვო დანაყოფებში, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიებზე.

მრავალი, სამშობლოს სიყვარულით, მშობლიური კუთხის მომავალი ბედნიერებისა და მტერზე გამარჯვების რწმენით გულანთებული ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა ამ უთანასწორო ბრძოლამ. წარგზავნილებიდან ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. უკაცური გახდა ათეულობით ოჯახი.

მრავალი ღირსეული თანასოფლელი თავდაუზოგავად შრომობდა საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, ბაღ-ვენახებში, სამუშაო იარაღს ძირითადად ხის კავი, თოხი, ბარი, ცელი და ნამგალი შეადგენდა, გამწევი ძალა კი ხარი იყო და ასე შეჰქონდათ თავიანთი წვლილი ოჯახებისა და ფრონტის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაში.

პირველი ტრაქტორი ამაღლების კოლმეურნეობაში 1940-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, რითაც შვება იგრძნეს კოლმეურნეებმაც.

პირველი ქალი ვანის რაიონის ისტორიაში, ვინც ტრაქტორის საჭეს ხელი მოჰკიდა, ამაღლებელი ივლიტა კვაჩიძე იყო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს, თუმცა მის ინიციატივასა და პატრიოტიზმს მხარდამჭერებიც მალე გამოუჩნდნენ თანასოფლელების არიანდა ოქროპილაშვილის, პასიკო კვაჩიძისა და ნიკო მეფარიშვილის სახით. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ სოფელი არ დაივიწყებს ამ ღირსეულ ადამიანებს და პატივს მიაგებენ მათ უკვდავ, მარადიულ ხსოვნას, შთამომავლები კი ყოველთვის იამაყებენ ამ შესანიშნავი ადამიანების სახელოვნად განვლილი ნაათელი გზით.

ადრე სოფელში სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა მთის საჩოჩიალე ურემი, შიგ შებმული ხარით და კურტნიანი ცხენი, რომელსაც მეორენაირად საპალნიან ცხენსაც უწოდებდნენ. და ე.ნ. „ლინეიკა", ოთხ ბორბლიანი, ფაეტონის მსგავსი ეტლი, რომელშიდაც ცხენი იყო შებმული და ძირითადად ბარგის გადასატანად და მგზავრების გადასაყვანად გამოიყენებოდა.

ნამდვილი სატრანსპორტო საშუალების (ავტომანქანის) შემოყვანის ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა სავარაუდოდ პირველი „ტონანახევრიანი" ავტომანქანა 40-იანი წლების დასაწყისში იყო შემოყვანილი. ამ დროისათვის არც ერთმა თანასოფლელმა არ იცოდა მანქანის მართვა, რის გამოც დაქირავებული მძღოლები ჰყავდათ მოწვეული პოლიაქტორ ფოფხაძისა და ზებულის სახით. 1949 წლიდან მძღოლად დაიწყო მუშაობა პირველმა ამაღლებელმა ერნიკო კვაჩიძემ, შემდეგ კი მძღოლების მთელი პლეადა აღიზარდა.

განსხვავებით სხვა სოფლებისგან ამაღლებაში XX – საუკუნის მიჯნაზე მოწესრიგდა განათლების საკითხი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს, 1897 წელს, იმ დროისათვის გამოჩენილ ადამიანთა ინიციატივით მოინვიეს ქუთაისის მაზრის ამაღლების სოფლის ყრილობა, სადაც გადაწყდა, რომ ხალხის აქტიური მხარდაჭერით, შეწირულობების ხარჯზე შეიძენდნენ ბინას სკოლის შენობისათვის. ამ მიზნით გამოიყო მიწის ნაკვეთი და მიღებული დადგენილების საფუძველზე გაიხსნა „ამაღლების ორ წლიანი უმაღლესი სამასწავლებლო სასწავლებელი".ამ საქმის წამომწყები და ორგანიზატორები იყვნენ სოფელ ბზვანში მცხოვრები იოსებ სანებლიძე, მღვდელი გიორგი ტყეშელაშვილი, სოფელ ამაღლებაში მცხოვრები თავადები ბიქტორ მანუჩარის-ძე ჩიჯავაძე და გიგო ივანეს – ძე ერისთავი.

სკოლა თავდაპირველად მოთავსებული იყო იოსებ და გიგო ერისთავების კერძო ბინაში. ამ სკოლის პირველი ხელმძღვანელი იყო მღვდელი გიორგი ტყეშელაშვილი, შემდეგ კი – მღვდელი ერთაოზ ნიკოლაძე. სწავლება ძირითადად მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, კვირაში ერთი დღე ისწავლებოდა ქართული ენა. ამ სკოლის კურსდამთავრებულებს უფლება ეძლეოდათ სწავლა გაეგრძელებინათ სასულიერო სემინარიაში. სკოლის პირველი გამოშვება 1901 წელს მოხდა.

1902 წელს სკოლის შესამოწმებლად მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ ვინმე ვოდევის ხე-

ლმძღვანელობით, დაიწუნა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გააუქმა იგი.[1] აღნიშნული სკოლა დროებით გადაიტანეს რაჭაში (ონის რაიონი), მაგრამ ვერც იქ იარსება დიდხანს და იმავე წელს სკოლა გადმოიტანეს სოფელ დაფნარში (ამჟამად სამტრედიის რაიონი) ვექილ დარასველიძის მიერ შეწირულ ბინაში.

ამაღლების სოფლის მაშინდელი საზოგადოების აქტიური მცდელობით სკოლა დაუბრუნდა თავის ძველ ადგილსამყოფელს და მღვდელ იაკობ მაჭავარიანის ბინაში გაიხსნა „უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის" სახელწოდებით.

1905 წლის რევოლუციის დროს მთავრობამ ერთი წლით კვლავ დახურა სკოლა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ სკოლას კვლავ მისცეს მუშაობის გაგრძელების უფლება.

მომდევნო წლებში სკოლამ რამოდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება. 1921 წლის შემდეგ სკოლას ეწოდა „მეორე საფეხურის პირველი კონცერნის (შვიდწლიანი) შრომის სკოლა", რომელიც 1930 წლამდე არსებობდა.

1924 წლამდე სკოლის გამგე იყო იოსებ შვანგირაძე, 1925-1926 წლებში – ბესარიონ ტყეშელაშვილი, 1927 წელს – გრიშა ლორთქიფანიძე, 1928 წელს - ი. კასრაძე, 1929 წელს – ვასილ ფარცხალაძე. ამავე წლიდან ჩამოყალიბდა არასრული საშუალო სკოლა, რომლის დირექტორი 1933 წლამდე იყო აკაკი ტყეშელაშვილი. 1934 წელს გაიხსნა საშუალო სკოლა ვასილ ფარცხალაძის ხელმძღვანელობით.

სკოლას შორს გაუთქვა სახელი კურსდამთავრებულმა კალისტრატე გაბუნიამ, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, რომელმაც ქ. ტომსკის (რუსეთი) უნივერსიტეტში დაარსა გეოლოგიის ფაკულტეტი და კათედრა. აღსანიშნავია, რომ ეს კათედრა დღესაც მისი დამაარსებლის კალისტრატე გაბუნიას სახელს ატარებს. იგი იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარეც.

თავის დროზე ამაღლების სკოლა დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ქართული ფილოლოგიის პატრიარქმა, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ. აღნიშნულ სკოლაში სწავლობდა 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სამხედრო და განათლების მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, მენშევიკების ხელისუფლების დროინდელი თბილისის გენერალ-გუბენატორი და შემდეგში გერმანიის „ვერმახტის" გენერალი – შალვა მაღლაკელიძე.

დღევანდელი მდგომარეობით სოფელ ამაღლებაში სხვადასხვა მიზეზთა გამო ყოველწლიურად მცირდება მაცხოვრებელთა სულადობა, შესაბამისად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც. 2008 წლიდან ამაღლების საშუალი სკოლის მოსწავლეთა დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:

2008-2009 სასწავლო წლები – 260 მოსწავლე
2009-2010 სასწავლო წლები – 246 მოსწავლე
2010-2011 სასწავლო წლები – 212 მოსწავლე
2011-2012 სასწავლო წლები – 182 მოსწავლე
2012-2013 სასწავლო წლები – 180 მოსწავლე
2013-2014 სასწავლო წლები – 167 მისწავლე
2014-2015 სასწავლო წლები – 160 მოსწავლე

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 100 (ასი) ბავშვით. მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა, შეიძლება ითქვას საგანგაშოც კი.

---

[1] შენიშვნა — სკოლის გაუქმება (და გაუქმებები) დაკავშირებული იყო 1900-იანი წლებიდან გამძაფრებულ სოციალ-ეკონომიკურ მოძრაობებთან. ამდაგვარი სკოლები სადაც უკვე მოწიფული ასაკის ახალგაზრდები სწავლობდნენ არასაიმედოდ იქნენ მიჩნეულნი, რასაც პრაქტიკულად მოჰყვა მთელი რიგი ფარული და აშკარა რეპრესიული ღონისძიებები (რედ).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ქვეყნის დემოკრატიულ საწყისებზე გადასვლამ ხელ-ფეხი გაუხსნა რელიგიურ თავისუფლებასა და თავისუფალ აღმსარებლობას. მრავალ რწმენადაკარგულს რწმენა დაუბრუნდა და ეკლესიებს მიაშურეს. მასიურად დაიწყო ერთ დროს დანგრეულ-გაპარტახებული, კოლმეურნეობის საწყობებად ქცეული ეკლესიებისა და სამლოცველოების აღდგენა-მშენებლობა.

აღადგინეს „მაცხოვრის ამაღლების", სოფელ ამაღლების ეკლესია. ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი, რომელიც, სავარაუდოდ, V–VIII საუკუნეებში უნდა იყოს აგებული, ნგრევის შედეგად პირველად XI საუკუნეში აღუდგენიათ. ომებისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად ეკლესია ისევ დანგრეულა და მეორედ მისი აღდგენის თარიღად XVII საუკუნეა მიჩნეული. ეკლესიის მეორედ აღდგენას შოშიტა ერისთავის სახელს მიაწერენ. ერისთავები, ლორთქიფანიძეები, ჩიჯავაძეები, მინდლები ყოფილან ის ადამიანები, რომლებიც უძღვებოდნენ საეკლესიო საქმიანობას. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, დაახლოებით 1967-1968 წლებში, ბოროტმა ადამიანებმა თუნუქის სახურავი გადახადეს მას.

მესამედ აღდგენილი და რესტავრირებული სოფელ ამაღლების „ქრისტეს ამაღლების" ეკლესია ეკურთხა 2001 წლის 3 ივნისს წმინდა სამების დღეს.

მსგავსად ამაღლების ეკლესიისა აღადგინეს და განაახლეს ინაშაურის „ღვთისმშობლის შობის" ეკლესია, ხოლო ინაშაურში ხარაბაძეებისა და სინაურიძეების სასაფლაოს ტერიტორიაზე 2013 წელს დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდა კიდევ ერთი ეკლესიის მშენებლობა, რისი ხარჯებიც მთლიანად სოფლის მოსახლეობამ გაიღო.

ამაღლების თემს ყველა დროში ჰყავდა ღირსეული მამულიშვილები, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს სოფლის ისტორიაში და დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მეცნიერებაში. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სოფლის ყოფილი მამასახლისები: ეზეკი ხარაბაძე, იაკობ მელაძე, თავადები – გიგო და გიორგი ერისთავები, იოსებ და გიორგი ჩიჯავაძეები, სოციალისტური ეპოქაში სასამართლოს აღმასრულებლები – გალაკტიონ საკანდელიძე, ბიქტორ და ბესარიონ შუბლაძეები, ქ. ტომსკის (რუსეთი) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – კალისტრატე გაბუნია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი – ლევან გაბუნია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ყოფილი რექტორი, პროფესორი – ნოდარ გაბუნია, მუსიკათმცოდნე, პროფესორი – ნუნუ გაბუნია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი – მანანა გაბუნია, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – პოლიკარპე ჯაჯანიძე, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი – ნარგიზა ჯაჯანიძე, ცნობილი დრამატურგი, პუბლიცისტი და თეატრმცოდნე, მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი,საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი – სერგო ამაღლობელი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი – მურმან მესხი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, პროფესორი – იაკობ ფუტკარაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – გივი გაბუნია, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ნოდარ გაბუნია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი – ავთანდილ ხელაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ომარ ღიბრაძე, მისი ბიძაშვილი, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, იმერეთის სამხარეო სამმართველოს ყოფილი უფროსი – გოჩა ღიბრაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ვანო გაბუნია, ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოს მთავარი ექიმი,სსრ კავშირის სახალხო ექიმი – ოთარ ჩხობაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – გიორგი გაბუნია, გარემოს

დაცვისა და ეკოლოგიის ყოფილი მინისტრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ნინო ჩხობაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი – გიორგი ხურციძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი – ავთანდილ ნიკოლეიშვილი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი– ამირან ნიკოლეიშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, ცნობილი ჩეკისტი – ქრისტეფორე გიორგაძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი – გიორგი გაბრიჩიძე, სამამული ომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პოლკოვნიკი – ელეფთერ ხურციძე, დივიზიის მეთაურის მოადგილე ვიცეპოლკოვნიკი – ვასილ კვაჩიძე, სოციალისტური შრომის გმირი – გიგუცა ბარამიძე, მრავალი ორდენის კავალერი – იორამ გაბუნია, გამოჩენილი ქართველი მწერალი – ანდრია სინაური, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი – თამარ ბოქორიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გია გოგიბერიძე და სხვები.

ამაღლების თემი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო რაოდენობის რუსი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ადრეულ წლებში ცხოვრობდნენ სოფელში. ძირითადად, ისინი ქალბატონები იყვნენ, რომლებმაც ქართველ მამაკაცებთან ერთად ოჯახები შექმნეს. მათი გვარები იყო: ბობორიკინა, ბელიაკოვა, შიბკოვა, პანტეევა, დღესდღეობით ბარანიკოვის გვარს ატარებს ხუთი ოჯახი, ხოლო ვალია კუდრიავცევა და ინა ჩუმაკი სოფლის რძლები არიან.

სოფელში სულ 130-მდე დასახელების გვარი ცხოვრობს, რომელთაგან უმრავლესობა ხურციძეები არიან. მეორე ადგილზე ხელაძეები მოდიან, ხოლო მესამე ადგილი გაბუნიებს უჭირავთ.

1989 წელს სოფლის მოსახლეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებიდან მეწყერული მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ჩამოსახლების ხარჯზე 38 კომლით გაიზარდა, აქედან გაჩნდა სოფელში ახალი გვარები: ჩოგაძე, ჯოყილაძე, ბერიძე, მაკარაძე, ბოლქვაძე.

სოფელში მოსულ სტუმარს ყოველთვის აინტერესებს ძირითადი, ძირძველი გვარები, რაც ცოტა არ იყოს ძნელი დასადგენია (კვლევები ადასტურებენ, რომ ყველა გვარი, რომელიც არ უნდა იყოს ის, ოდესღაც მოსულა საიდანღაც), მაშინ, როცა არ არსებობს კრიტერიუმები იმისა, თუ რამდენი წელი ან საუკუნეა საჭირო ძირითადი გვარის განსასაზღვრელად. სოფელში მიიჩნევენ, რომ სხვებთან შედარებით ძირძველ გვარებს მიეკუთვნება: მესხი, ლორთქიფანიძე, ხარაბაძე, მხეცაძე, ბედენაშვილი, შუბლაძე და სხვები.

ქრისტიანული დღესასწაულებიდან ამაღლებაში განსაკუთრებით „ქრისტეს ამაღლებას“ ზეიმობდნენ.საბჭოური მმართველობის წლებში ანტირელიგიური პროპაგანდის მსხვერპლი მრავალი საეკლესიო დღესასწაული გახდა, გამონაკლისი არც ეს დღე ყოფილა. 1990-იანი წლებიდან კვლავ აღდგა აღნიშნული დღესასწაული, რომელსაც ერთგვარ ელფერს ისიც მატებს, რომ დღესასწაულიც, ეკლესიაც და სოფელიც „ამაღლების“ სახელს ატარებენ.

ინაშაურში ადრე „ღვთისმშობლობას“ აღნიშნავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი „მარიამობის“ დღესასწაულმა ჩაანაცვლა. ამ დღეს (28 აგვისტო) დიდი ხალხმრავლობაა „ჭოკიანის“ აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

გარდა საეკლესიო დღესასწაულებისა, ძველად სოფელში დამკვიდრებული იყო სახალხო დღესასწაულებიც, რომელთაგანაც გამორჩეული ადგილი ეჭირა „ჯარიანობას“, იყო ქეიფი, დროსტარება, სიცილ-კისკისი, ურთიერთპატივისცემა, ცეკვა-თამაში, ფანდური და დაირა. იმართებოდა სახალხო თამაშობები: ლელო ბურთი, ლახტი, რიკტაფელა, ცხენების ჯირითი(დოღი) და სხვა. ყოველივე ეს შესანიშნავ გარემოს ქმნიდა გოგო-ბიჭების გასაცნობად, სამაჭანკლოდ.

ლელო ბურთს შესანიშნავად თამაშობდნენ ინაშაურებლები:კიმოთე ჩხობაძე, ამბერკი გენელიძე, ალფეზ სვანაძე, შოთა მხეცაძე და სხვები.

დამკვიდრებული ტრადიციებიდან ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქორწილს, რომელიც ახალი ოჯახების შექმნის, ერის გამრავლებისა და ახალი სიცოცხლის გაჩენის სიმბოლოდ აღიქმება. ზომიერებას იცავდნენ ყველეფერში, განსაკუთრებით, ღვინის სმაში, სიტყვა ბოდიში და თუნდაც ულვაშზე ხელის დადებაც დიდად ფასობდა. იმ დროისათვის იარაღი ყველას ჰქონდა და სტუმრობისას მასპინძელს ჩააბარებდნენ, მხოლოდ მაშინ გაისროდნენ, როცა სიძე-დედოფალი მობრძანდებოდა. ქორწილი ძირითადად ღამით იმართებოდა. მაყარს თავზე უნდა დაათენდესო, იტყოდნენ ძველები.

დღევანდელი სოციალური მდგომარეობა სოფელში არც თუ სახარბიელოა. სოფლიდან ყოველდღიურად იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რისი ძირითადი მიზეზი ცალკეული ოჯახების მძიმე სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებია. სამუშაოზე ძირითადად მიემგზავრებიან ქალბატონები და შრომისუნარიანი ახალგაზრდები. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სოფელში არ დაბრუნებულა ემიგრანტთა 90 %. შედეგიც აშკარაა, საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის, როგორც საერთო სულადობა, ისე პენსიონერთა რაოდენობაც.

დღესდღეობით ამაღლების თემში 460 პენსიონერია, სიღარიბის ზღვარს ქვევით კი 76 ოჯახი ცხოვრობს.

თამაზ ჩიტორელიძე
ისტორიკოსი

სოფელი ზედა ვანი
(ზოგადი მიმოხილვა)

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა ვანი, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სამხრეთ ნაწილში, ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. თემის შემადგენლობაშია დასახლებული უბნები – ტყელვანი და მერე. ტერიტორიულად სოფელი განლაგებულია მესხეთის ქედის ჩრდილო კალთების ძირში. მას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ქალაქი ვანი, სამხრეთით სოფელი გადიდი, აღმოსავლეთით სოფელი სალხინო.

სოფელში მიედინება მდინარე ჭიშურა, რომელიც სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, იგი ქალაქ ვანის ტერიტორიაზე უერთდება მდინარე სულორს.

ზედა ვანში რამდენიმე უბანია: ძაგნიძეების, ჩახუნაშვილების, აბრამიძეების, ტოხვაძეებისა და თვალაბეიშვილების. სოფლის ცენტრალური ნაწილი მდებარეობს ვაკეზე, დანარჩენი მთაგორიანია, უმეტესი გორაკ-ბორცვები მთის წინა ნაწილზეა განლაგებული.

სოფელი გამოირჩევა ლანდშაფტური მრავალფეროვნებით და მჭიდროდაა დასახლებული.

სოფელში არსებობს აგროლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ყველა პირობა.

გეოლოგიური თვალსაზრისით მთის ქანების დიაპაზონი საკმაოდ დიდია, ის ზედა ცარცული ფენით იწყება და მუქი, მოწითალო ფერის კირქვებითაა წარმოდგენილი, რომელთა ჭრილები კარგად ჩანს სოფლის მიდამოებში. ჭიშურას ხეობის ფლატეებზეც კარგად ჩანს მთის ქანების დიაპაზონი, რომელიც ამ მხარეში უხსოვარ დროში წარმოშობილა. აქ, მიწის ქერქის ამდაგვარ განვითარებას გეოლოგები რამდენიმე ათეული მილიონი წლით ანგარიშობენ.

სოფელში ზომიერი სუბტროპიკული ჰავაა. თბილი ზაფხულით და ზომიერი ზამთრით. ზედა ვანი ზღვის დონიდან 70-120 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

სოფელში არსებული მთებიდან და გორაკებიდან აღსანიშნავია: პერანგას მთა, წიქედა, ლურძღანა, სასირე, ნაჯორიალები, ჩინთოურა, ცხენის ზურგა და სხვა. ჩაუდის ღელეები: სკვინჩის ღელე, ღარწყარო (მდებარეობს სასირეს მთასთან), ლაშე, ჭურა – მდინარე ჭიშურას ხეობაში.

სოფლის გორაკ-ბორცვებზე გაშენებულია თხილი და სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარეები. სამხრეთ გორაკ-ბორცვიან ნაწილში სოფელს გარს აკრავს ფართოფოთლოვანი ტყეები და წიწვოვანი მცენარეების კორმები ე. წ. კატრები. ეს ადგილი საკმაოდ ლამაზი და მიმზიდველია.

სოფლის სიძველეებიდან აღსანიშნავია: 1. XII-XIII საუკუნის ზედა ვანის მთავარანგელოზის ეკლესია; 2. XIX საუკუნის ზედა ვანის ეკლესიასთან მდებარე სამრეკლო; 3. „ნაციხვარი" – მთავარანგელოზის ეკლესიიდან ორ კილომეტრში; 4. „კელენჯვარი" – ნაეკლესიარი. მას სოსელიების ეკლესიასაც უწოდებენ. 2015 წელს მთავარანგელოზის ეკლესიას ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია.

ზედა ვანი, როგორც დასახლებული პუნქტი, XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან გვხვდება. გვიანფეოდალურ ხანაში იგი საჩინოელი ფეოდალის ჩიჯავაძის საკუთრებაშია და მათ საგვარეულო საძვალესაც წარმოადგენდა.

ზედა ვანის ეკლესია ერთნავიან ნაგებობას წამოადგენს. ეკლესიის სიგრძე 13 მეტრია, სი-

განე – 8, სიმაღლე ცენტრში – 12 მეტრი. სიმაღლე გვერდების საყრდენთან – 8 მეტრი. ჩრდილოეთით და სამხრეთით ნართექსები აქვს, დასავლეთით ექვტერი, კარისა და სარკმლის ნაწილები მოჩუქურთმებულია. ფრესკების პირველი ფენა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება, ისინი ამჟამად ცუდად იკითხება, ჩამორეცხილია. ზედა ვანის მთავარანგელოზის ეკლესიასთან მდებარეობს ექვსნახნაგა სამრეკლო, იგი ქართულ საბჭოთა ენციკლობედიაში XIX საუკუნითაა დათარიღებული.

XIX საუკუნეში მთავარანგელოზის ეკლესიას წინამძღვარი განაგებდა. დღემდე მოღწეულია შემოწირულობის ათზე მეტი დოკუმენტი, მათ შორის სოფელ ვანიდან.

საყურადღებოა, რომ სახარებას, რომელიც XII-XIII საუკუნეებში შეიქმნა კონსტანტინეპოლში ხელნაწერის სახით, „ვანის სახარება" ეწოდა. ხელნაწერი გელათიდან თბილისში გადაიტანეს და შეისწავლეს. არსებობს გადმოცემა, რომ ეს ხელნაწერი თამარ მეფის დაკვეთით დაუწერიათ.

„ვანი" ძველ ქართულში სახლს, საცხოვრებელ ადგილს ნიშნავდა. ზედა ვანი ე.ი. ზედა საცხოვრისი.

ზედა ვანი ისტორიულ ადგილზეა აღმოცენებული და, ეჭვგარეშე, იგი ეკუთვნოდა ანტიკური პერიოდის ქალაქს. 1917 წლამდე სოფელი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაში, 1917-1928 წლებში – ქუთაისის მაზრაში, 1930 წელს ვანი ცალკე რაიონად გამოიყო და ზედა ვანიც მის შემადგენლობაში შევიდა.

სოფლის მოსახლეობა ქართველებია. 1990 წლამდე აქ ცხოვრობდა დაახლოებით 1900 სული. XX საუკუნის მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ მოვლენათა შედეგად, 2014 წლისთვის ეს მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირდა და 1500-მდე სულს შეადგენს. საგრძნობია მიგრაციული პროცესი, აქედან საქართველოს საზღვრებს გარეთ წასულია დაახლოებით 200 ადამიანი, დემოგრაფიული პროცესი სამწუხაროდ მძიმეა.

სოფელი ძირითადად ხუთ უბნად იყოფა: მერე, ტყელვანი I, ტყელვანი II, ძაგნიძეები, ტოხვაძეები, ჩაისუბანი, ჩახუნაშვილები. ჭარბობს შემდეგი გვარები: ნამიჭეიშვილები, აბრამიძეები, ბელთაძეები, ჩახუნაშვილები, ძაგნიძეები. აქედან შედარებით ძველი გვარებია: აბრამიძეები ცხოვრობენ XVII საუკუნიდან, ლასხიშვილები XIX საუკუნიდან, ასევე ჩახუნაშვილები და ნამიჭეიშვილები.

ზედა ვანში XX საუკუნის 80-იან წლებში დასახლდნენ ეკომიგრანტები აჭარიდან: აბულაძეები, ფუტკარაძეები (თუმცა ფუტკარაძეთა რამდენიმე ოჯახი აქ, მანამდეც ცხოვრობდა), ჯორბენაძე.

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, რომლისთვისაც 2015 წლისათვის აშენდა ახალი კორპუსი, მოქმედებს საბავშვო ბაღიც.

ადრეულ წლებში არსებობდა დაწყებითი საფეხურის სკოლა ტყელვანშიც, რომელიც ამჟამად გაუქმებულია. სოფელს ემსახურებოდა კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა.

1931 წელს ზედა ვანში, ჩამოყალიბდა ორი კოლმეურნეობა. შემდეგ ეს კოლმეურნეობები გააერთიანეს, ამავე პერიოდში იქნა გაყვანილი სოფლის საავტომობილო გზაც. 1945 წლიდან სოფლის ტერიტორიაზე მოქმედებდა სელექციური მიღწევების, გამოცდის და დაცვის სახელმწიფო სადგური. 1986 წელს იგი გადაკეთდა და იწოდებოდა სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდის პუნქტად, 1996 წლიდან – ვანის კომპლექსურ ჯიშთა გამოცდის სადგურად.

სოფლის ინტელიგენციის ძირითად ნაწილს პედაგოგები წარმოადგენენ.

სოფელს ემსახურება სამედიცინო პუნქტი და ექიმი კვირაში ერთი დღით. მოსახლეობის უმეტესობა აგრარულ სექტორშია დასაქმებული. საქმიანობა ძირითადად კერძო მეურნეობებში მიმდინარეობს. გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ვაზი, თხილი,

სიმინდი, ლობიო და ბოსტნეული კულტურების სხვადასხვა სახეობანი. სოფელს ემსახურება ერთი სავაჭრო ჯიხური და 12 მცირე ელექტროწისქვილი.

დამხმარე საწარმოები არ არსებობს და ადრეულთან შედარებით არც აგრარული სექტორია მთლიანობაში უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

გადაუჭრელი პრობლემაა ახალგაზრდობის დასაქმების საკითხი.

პრობლემატური და მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე ზედა ვანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა დინამიკა თანმიმდევრულად კლებულობს. ეს პროცესი წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

1950-იან წლებში ზედა ვანის 8-წლიან სკოლაში სწავლობდა 320 მოსწავლე.

1960-1970 წლებში – 300 მოსწავლე.

1980 წელს უკვე ზედა ვანის საშუალო სკოლაში – 240 მოსწავლე სწავლობდა.

2001 წელს – 200 მოსწავლე.

2014 წელს – 130 მოსწავლე.

სოფელში 345 პენსიიონერი ცხოვრობს და შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს შეადგენს. სოფელი განიცდის დემოგრაფიულ დაბერებას. სიტუაციათა შედეგად მზარდი ხდება მიტოვებული ოჯახების რაოდენობა და აჭარბებს 50-ს. სოფელში დაახლოებით 12 ნასახლარია,

რაიონის ცენტრთან დამაკავშირებელი გზა ასფალტირებულია. მდინარე ჭიშურაზე ორი მოქმედი ხიდია. ერთი აკავშირებს სოფლის ცენტრთან ტოსვაძეების უბანს, მეორე კი სოფლებს – გადიდსა და ონჯოხეთს.

კავშირგამბულობის სისტემა სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. მოწესრიგებას მოითხოვს სოფლის ელექტროფიცირების საკითხები და გაზიფიცირება.

სოფელ ზედა ვანის მკვიდრნი არიან ღირსეული პიროვნებები:

ლევან გერსამია – 1944 წლიდან ვანის კულტურის სახლის, შემდეგ სახალხო თეატრის რეჟისორი და ცნობილი თეატრალური მოღვაწე. 2001 წლიდან მის სახელს ატარებს ვანის რაიონის კულტურის ცენტრი.

რაიბულ თოდუა – ცნობილი ქირურგი, პროფესორი.

გერონტი ნამიჭეიშვილი – ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ყოფილი კათედრის გამგე.

ალექსანდრე (შურა) ლასხიშვილი – წლების მანძილზე ვანის საგრენაჟო ქარხნის ყოფილი ხელმძღვანელი.

ბაბო (ბარბარა) ნამიჭეიშვილი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

სოსო მიქელთაძე – მუსიკათმცოდნე, დირიჟორი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

არჩილ მიქელთაძე – ცნობილი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე.

შალვა ბელთაძე – ვანში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი დირექტორი.

ანზორ შარაშენიძე – მეცნიერი, აკადემიკოსი, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

რამაზ ნამიჭეიშვილი – ქუთაისის ეკონომიკური ლიცეუმის დირექტორი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის ყოფილი გამგე.

ბეჟან ნამიჭეიშვილი – დაამთავრა მოსკოვის დიპლომატიური აკადემია. არის ათამდე წიგნის ავტორი, აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას.

გიორგი ნიკოლეიშვილი – პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ლექტორი.

დავით პაიკიძე – სპორტის ოსტატი, ცნობილი ფეხბურთელი, ყოფილი დინამოელი, წლების მანძილზე ვანი-სულორის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი და ვანის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე.

თამაზ ნიკოლეიშვილი – საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

კონსტანტინე (კოტე) გურგენიძე – წლების მანძილზე ვანის რაიონის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი რანგის წარმომადგენელი.

მამუკა ნამიჭეიშვილი – ვანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი.

ზედა ვანის საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი დირექტორები: ელენე საკანდელიძე, შალვა ბელთაძე, პავლე კორძაძე, ავთანდილ ერემეიშვილი, პავლე ქუთათელაძე, როზა დევდარიანი, მურმან ეფრემიძე, ციცინო მხეიძე. ამჟამად, სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი ლიანა ნოზაძე.

1939- 1945 წლების მეორე მსოფლიო ომში, ზედა ვანის მოსახლეობამ, თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ცალკეულ მებრძოლთა თავდადება:

დავით ტოხვაძე – ოფიცერი.

შალვა აბულაძე – ლეიტენანტი, ასმეთაური-არტილერისტი.

შოთა ნამიჭეიშვილი – იტალიის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, დაიღუპა გერმანელებთან საომარი მოქმედების პროცესში, პატივითაა დასაფლავებული იტალიაში.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“ –

მადლობას უხდის:

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– კვლევის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს „კვლევის ცენტრის“ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

– გულწრფელი მადლობა ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ზაზა ხურციძეს წინამდებარე ნომრის გამოცემაზე ფინანსური დახმარებისათვის.

– გულწრფელი მადლობა ქველმოქმედებს: ბატონ ბეჟან წაქაძესა და ბატონ ზაურ თათ-ვიძეს, რომელთაც კარგად ესმით „კრებულ მატიანის“ ყადრიც და ფასიც, დღევანდელი და მომავალი თაობის წინაშე.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანის“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი **ომარ კაპანაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ამირან ნიკოლეიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ მეცენიერებათა აკადემიის წევრი.
უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ქრისტინე მეძველია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
ოლეგ ალავიძე – ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.
ზაურ თათვიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბეჟან წაქაძე – რედაქტორ-გამომცემელი
პასუხისმგებელი მდივანები: **აკაკი თევზაძე, ქეთევან ძაგნიძე, თამილა მჟავანაძე**
კორექტორები: **ბელა ცაბაძე, მაცაცო როხვაძე**
კომპიუტერულ ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანის" გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე
ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის" მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54